კვირის პალიტრა

გზა

N19 (257) 1 [illegible] 0 თ.

1168
2005

დაძაბული მოლოდინი, ემოციები და...

...ის, რაც კადრს მიღმა დარჩა

კვამლი აეროპორტის ტრასაზე, „ერთჯერადი“ ტუალეტები, „ყირამალა“ პლაკატები, „ვითომ“ ბომბი, „იქეიფეთ, ბიჭებო“ და სხვა...

გზავნილები: ქალის მოტაცება – ქორწილიდან... საკუთარ ქორწილში

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

მაისის ნომერში იხილეთ:

შხამიანი მწერები და პარაზიტები



როგორ იცავენ ამერიკის პრეზიდენტს

ქართველების მიერ გამოგონილი ჯავშანგამტანი იარაღი

იდეალურად დაგეგმილი კატასტროფა თუ უბედური შემთხვევა

ბევრი რამ სისხლის შხამებზე... ანუ CO-თი მოწამვლის გაუხმაურებელი ფაქტები

ბრაზილიური „გაცოფებული ხარი"

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

№19 (257)
12 - 18 მაისი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ცხოვრება საამურია ანუ „...იმ ხინკალს კარგად ყლაპავდი!“ 3
ერთი კითხვა
„როცა დაგჭირდები, დამირეკე და დაგეხმარები, – ამაგე მეტს რას იტყოდა?!.“ 4
ვიზიტი
● ის, რაც ტელეეკრანს მიღმა დარჩა 6
● ისტორიული პარალელები – ვინ და რისთვის სწვევია საქართველოს 8
● დაბაბული მოლოდინი, ემოციები და... 9
პირდაპირი კავშირი
„ეგეც იცით, ბატონო პრეზიდენტო?..“ 11
პერსპექტივა
ირაკლი ალასანია: „სტატუსგე მსჯელობა მათ ისე აღარ აღიზიანებს, როგორც ეს არძინბას დროს ხდებოდა“ 13
კრიმინალი
● ახალგაზრდა კაცი ცოლის ბაბუის მკვლელობისთვის დააკავეს 15
● მეზობლების ჩხუბი სისხლის ღვრით დასრულდა 17
● მკვლელობა და ცხოველთან სასტიკი მოპყრობა – ასეთია ბანაჩენი 17
მოდელი
რას შეცვლიდა საკუთარ გარეგნობაში ნათია მაქაცარია? 18
გზავნილები
„თუ მაინცდამაინც მოტაცება უნდა, ნაბადგეც მე ვიგრუნებ...“ 20
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან 22
სასიძო
ერთი... ორი... სამი და... ბოდიში რა საჭიროა? 24
ჩემი თაობა
ტრამვაიგე „ბადნით“ შეხტომა, 12 წლის კავალერი და ნავთის რიგში გატარებული ღამეები 26
სიძე
პროტესტანტმა სტივ პრემკუმარმა მართლმადიდებლად მონათვლასა და ქართველ გოგონასთან ჯვრისწერაგე ლოცვა-კურთხევა კათალიკოს-პატრიარქისგან მიიღო 28
საკითხავი ქალებისთვის
● წარბის ფორმა ხასიათის თავისებურებას გაგვანდობს 31
● ცოტა რამ ქალისა და სასმლის შესახებ 32

ის, რაც ტელეეკრანს მიღმა დარჩა

არ ვიცი, ისროლა თუ არა ამერიკის პრეზიდენტმა საკუთარი თვითმფრინავის ტრაპიდან – ამ ქვეყანას კიდევ უნდა ვეწვიოო! – მაგრამ ვიზიტისთვის მზადების ისეთი კულუარული დეტალების შესახებ გიამბობთ, რაც თავად საპატიო სტუმრისთვისაც კი, შეუმჩნეველი დარჩებოდა.

6

„ეგეც იცით, ბატონო პრეზიდენტო?..“

გადავწყვიტეთ, პრეზიდენტს დავხმარებოდით და მამუკა ლომაშვილს მივმართეთ, რომელიც მისი ხმის იმიტაციას მშვენივრად ახერხებს. მე და მამუკამ სატელეფონო ცნობარი მოვიმარჯვეთ და თბილისელთა ბინებში რეკვას მივყავით ხელი, მოგვიანებით, რამდენიმე ცნობილ ადამიანსაც დავუკავშირდით...

11

რას შეცვლიდა საკუთარ გარეგნობაში ნათია მაქაცარია?

„ავთო ცქვიტინიძემ ჩვენ – ქართველ მოდელებს წიხლი გვკრა, თქვა – რუსები მირჩევნიაო. თამუნა ინგოროყვაც უცხოელებისკენ გადაიხარა. ეტყობა, ეს ადამიანები ხედავენ, რომ საქართველოში არ იყიდება მათი შექმნილი ნაწარმი“.

18

სტივ პრემკუმარმა ლოცვა-კურთხევა კათალიკოს-პატრიარქისგან მიიღო



„ქართველ ქალებს განსაკუთრებულად იზიდავს ინდოეთი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ქართველი ქალია ინდოეთში გათხოვილი. მაგალითად, ჩემი მეგობარი სოლოლაკელი რუსიკო ნიკოლეიშვილი, ულამაზესი გოგონა, დელიში გათხოვდა და დღეს ძალიან ბედნიერია.

ინდოეთში ქალის, დედის კულტია...“

28

ჯანმრთელობა
- აცრა ალერგიის წინააღმდეგ 33
- გაგაფხულის სევდა 34

ტაძარი
რას ნიშნავს ეკუმენიზმი? 35

ეკრანი
ფიურერი ბოლოს გამუდმებით ნამცხვარს ჭამდა, ნერწყვი სდიოდა, მაგრამ... ავტორიტეტს ინარჩუნებდა 36

მინდორზე და მინდორს მიღმა
გალახული ფოტოგრაფი, „არ ითამაშოთ, თორემ გესვრით“ და... ლოცვა თამაშამდე 39

რომანი
მიხეილ იაშვილი. მაქცია (გაგრძელება) 42

სპორტული მოზაიკა 46

შემოქმედი
ოთარ ტატიშვილი: „უნიჭობას ნიჭიერებასთან ბრძოლის დიდი ნიჭი ჰქონია...“ 48

ბედი კაცისა
ბორჯომში – დედის საფლავთან და მილანში – ბებია კანჩეტინოსთან 50

ვარსკვლავი
სიცოცხლით ტკბობის უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული ანტონიო ბანდერასი 52

ბომონდი 54

ავტო 55

დანაკლისი
„სამი ნათლული ჰყავდა და საკუთარი შვილებივით უყვარდა...“ 58

ნუმეროლოგია
ნუმეროლოგიური ემანაციები ანუ რიცხვთა სიმფონია 59

ჰოროსკოპი
კვირის (12-18 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი ქალებისთვის
რამდენად კარგი ცოლი ხართ? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მართი.. ორი... სამი და... ბოდიში რა საჭიროა?

ამჯერად ახალგაზრდებში ერთ-ერთ პოპულარულ რეპერს ძვალს წარმოგიდგენთ. წინასწარ გეტყვით, რომ თავისი სასიათის გამო, არცთუ ისეთი ტკბილი ვინმე იქნება მომავალი მეუღლისთვის – ვერც პუნქტუალობით დაიკვეხნის და როგორც თავად ამბობს, არც სიმღერა სცოდნია...

24

ფიურერი ბოლოს გამუდმებით ნამცხვარს ჭამდა, ნერწყვი სდიოდა, მაგრამ... ავტორიტეტს ინარჩუნებდა

„მისთვის უცხო იყო თანაგრძნობა... ხშირად ვფიქრობდი იმ დროზე, როცა ჰიტლერი ვენაში მამაკაცთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, სულელურ საფოსტო ბარათებს ხატავდა და პურის ფულს ამით შოულობდა. მას... პანიკურად ეშინოდა „არარაობად“ დარჩენისა...“

36

რინგიდან პირდაპირ „პლეიბოის“ გარეკანზე

დღეს უკვე აღარავის უკვირს ის, რომ წმინდა მამაკაცურ სპორტის სახეობებში ქალებიც ასპარეზობენ. მართალია, რესტლინგს სპორტს ვერ ვუწოდებთ (იგი უფრო ეფექტურად დადგმული შოუა), მაგრამ ამ სანახაობაში მონაწილეობა ერთი შესედვით სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის შეუფერებელი და მიუღებელიც კი უნდა იყოს...

46

მაქცია

მიხეილ იაშვილი

სტუმარი სკამზე დაეშვა. ამოვისუნთქე – არ ჰგავდა ისეთ ადამიანს, ჩხუბი და დავიდარაბა რომ გამოეწვია. მოხუციც მშვიდად განწყობილი ჩანდა...

– უკაცრავად შეწუხებისთვის, – ყრუდ ჩაილაპარაკა უცნობმა. – ბიჭებმა მირჩიეს, მიდი, შესაძლოა, გოგი დაგეხმაროსო და მეც მოვედი...

42

ცხოვრება საამურია

ანუ „...იმ ხინკალს კარგად ყლაპავდი!"

ამ ბოლო დროს, ისე აგვერია ერთმანეთში დასვენებისა და მუშაობის დღეები, რომ თუ სასწრაფოდ შრომის ახალი კოდექსი არ მივიღეთ, წასულია ჩვენი საქმე! შრომის ახალი კოდექსის მიღებაში ვგულისხმობ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გამოსასვლელი დღეების დაწესებას და შაბათ-კვირას მუშაობას. რატომ? ახლავე გიპასუხებთ:

ამ დღესასწაულებმა ხომ შეგვიკლა ხელში! ამდენი ღირსშესანიშნავი თარიღი გვაქვს და არც ერთი მათგანი არ ემთხვევა შაბათ-კვირას, რომ ბარემ დასვენების დღეს იზეიმო და სამუშაო დღე არ გაგიცდეს. გნებავთ, ეს კვირა ავიღოთ: 9 მაისი მაინც არ დამთხვეოდა ორშაბათს (მაშინაც ორშაბათი იყოო, ზოგმა თქვა) და შაბათს ან კვირას აეტანათ დროშა რაიხსტაგზე! დავიჯერო, მიუკაკუნეს და დარაჯმა უთხრა — ვისვენებთ ახლა ჩვენ და ორშაბათს მობრძანდითო?!

კარგი, ბატონო, გამარჯვების დღე უდიდესი ზეიმია და ის ორშაბათიც მივაყოლეთ, შაბათ-კვირის დასვენებას და „მუშაობას მოწყურებულმა" ხალხმა ვიფიქრეთ, სამშაბათიდან მაინც დავიწყებთ შრომით კვირას-თქო, — მაგრამ ვინ გვაცალა?! სმაზე რომ იყო ნათქვამი თუ ორშაბათს დალიე, მთელი კვირა ქეიფი მოგიწევსო, — ვიცოდი, მაგრამ თურმე დასვენებაზეც იგივე ყოფილა:

სამშაბათს — ბუშია თბილისშიო და, რა თქმა უნდა, უქმე დღე გამოვაცხადეთ. ეს ჩვენ დავუშვით ასეთი გამონაკლისი, თორემ სხვა სახელმწიფოებში რომ უცხო ქვეყნის პრეზიდენტი ჩადის სტუმრად, კი არ ისვენებენ. ანდა რამდენჯერაც ჩვენი პრეზიდენტი ჩადის კიევში, იმდენჯერ რომ დაისვენოს უკრაინელმა ხალხმა, შიმშილით დაიხოცებიან...

ისე, ჩვენ ჭკვიანურად მოვიქეცით, სამშაბათს რომ დავისვენეთ. აბა, ბუშის ჩამოსვლის დღეს რომ გვემუშავა, ის კაცი იფიქრებდა — აი, ხალხი დოვლათს ქმნის, რაღად უნდა ჩემი დახმარებაო?! — და სულ დავიღუპებოდით...

ოთხშაბათს არანაირი დღესასწაული არ დამთხვევია, მაგრამ ხომ იცით ქართული წესი: კაცი საპატიო სტუმარს რომ გააცილებს, მეორე დღეს მეზობლებს ეპატიჟება ნამცეცობაზე — შინაურები დავსხდეთო. ჰოდა, საიდუმლო წყაროებიდან შევიტყვე, ჩვენს მამა-მარჩენალს სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგებისთვის დაუძახია — მოდით, სასწაულებს მოგიყვებითო... საცოდავებს, მაინც ასინეთასავით ექნებოდათ ყური მოდებული საზღვარზე — ნეტავ, რაზე საუბრობდნენ ბუში და სააკაშვილიო!..

ხუთშაბათს 12 მაისი იყო და რელიგიური დღესასწაული გვქონდა — ისედაც უნდა დაგვესვენა.

მოკლედ, პარასკევიღა შემოგვრჩა წასამუშავებლად, მაგრამ 13 მაისი უწევს — ანუ ქართული ფეხბურთის უდიდესი გამარჯვების დღე. ამიტომ რა დროს მუშაობაა: ყველანი უნდა შევიკრიბოთ ყვავილებით ხელში და პატივი მივაგოთ ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას.

აი, ასე შემოგვეფლანგა ხელში ხუთი სამუშაო დღე და სწორედ ამიტომ მოვითხოვე, შაბათ-კვირა მაინც გამოვაცხადოთ სამუშაო დღეებად-მეთქი: იქნებ, კვირაში ორი დღე მაინც ვასწავლოთ ბავშვებს, ჩვენც წავიმუშაოთ, რომ „ორი კაპიკი" შევმატოთ ქვეყნის გამოფხეკილ ბიუჯეტს...

მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, არც ესაა სწორი ნაბიჯი: მთელი კვირა ხომ დავისვენეთ; ამდენი, დასვენებაც კი დამღლელია... ამიტომ შაბათ-კვირას კარგად უნდა დავისვენოთ, რომ ორშაბათიდან ნაყოფიერად დავისვენოთ... გამოფხეკილ ბიუჯეტს კი ის ოკეანისგაღმელი სტუმარი შეგვივსებს, ქართული მასპინძლობით მოხიბლული რომ ცეკვავდა და მუცელზე ხელს ისვამდა...

ასე რომ, დაისვენეთ, ქართველებო! ცხოვრება საამურია!..

P.S. *ძველი კახური ანეკდოტის თანამედროვე პოლიტიკური ინტერპრეტაცია:*

სააკაშვილი—ბუშის სატელეფონო საუბარი 2008 წელს:

— ჯორჯ, შენი დახმარება მჭირდება და იქნებ, სოჭი დამაბრუნებინო...

— კარგი, რა, კაცო! ტერიტორიული მთლიანობა აღგიდგინე, ბაზები გაგაყვანინე, ნატოში მიგიღე, ევროკავშირში საქმე ჩაგიწყვე, მეტი რაღა გავაკეთო!

— რავი, იმ ხინკალს კარგად ყლაპავდი!..

პროვოკატორი

„როცა დაგჭირდები, დამირეკე და დაგეხმარებიო — ამაზე მეტს რას იტყოდა?!.“

მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბუში და მისი მეულლე აბანოთუბანში პროტოკოლით გათვალისწინებული 8 წუთის ნაცვლად, 40 წუთის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს ქართულ ხალხურ შემოქმედებას, რომელიც აჭარული „განდაგანის“ მოტივებზე, ჯორჯ ბუშის სოლო გამოსვლით დასრულდა, მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ტელეკომპანიის წარმომადგენელმა აღიარა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ასეთი არავის ახსოვს... საქართველომ ჯორჯ ბუშის მასპინძლობის რთულ მისიას წარმატებით გაართვა თავი, მისი ვიზიტის დასრულების შემდეგ კი, „პოზიცია“ და ოპოზიცია უკვე ზესახელმწიფოს ლიდერის გამოსვლის თითოეულ სიტყვას გულდასმით აანალიზებს. ვინ რა ამოიკითხა ჯორჯ ბუშის დიპლომატიური რევერანსების მიღმა და რა იყო მისი განცხადების მთავარი მესიჯი?

ხათუნა მაღრაძე

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა, პირადად მომეხსენებინა ამერიკის პრეზიდენტისთვის იმ ხარვეზების შესახებ, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დამკვიდრდა. ჩვენი ქვეყანა რეალურად დგას იმ საფრთხის წინაშე, რასაც ავტორიტარული რეჟიმის დამყარება ჰქვია, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევა, სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემა, მასმედიაზე ზეწოლა, მესაკუთრეთა წინააღმდეგ მიმართული აქცია და მთელი რიგი პრობლემები, რაც ხელისუფლებაში ძალთა თანაფარდობის საკითხებს უკავშირდება. მე დარწმუნებული ვარ, ჯორჯ ბუში ინფორმირებულია საქართველოში ანტიდემოკრატიულ გამოვლინებებზე, თუმცა ამის კიდევ ერთხელ დაფიქსირება, თეთრი სახლის მხრიდან კონტროლის გამკაცრების იმედს გვიტოვებს. რაც შეეხება თავად ბუშის გამოსვლას, მე გამოვყოფდი მის მინიშნებას ენერგეტიკული დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე. ამერიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მაგისტრალური გაზსადენის თემა, განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, მისი ეს განცხადება უმსხვილესი რუსული კომპანიების გააქტიურებას და მათი მხრიდან ქართულ ენერგეტიკაზე მონოპოლიის აღების მცდელობას უკავშირდება. საქართველოს ხელისუფლება ბუშის ამ განცხადებაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს.

გიორგი გაჩეჩილაძე, *პოლიტოლოგი:*

— ბუშმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო საკითხებზე შეთანხმებას დრო სჭირდება. ჩემი აზრით, ეს იყო დიპლომატიური რევერანსი, რადგან რუსეთმაც და ამერიკამაც მშვენივრად იციან, რომ ძალიან მალე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ამუშავდება. ევროატლანტიკური სამყარო კი არ დაუშვებს, რომ ამ პროექტის ბედი დამოკიდებული იყოს რუსი გენერლების არაადეკვატურ გამოხდომებზე. ნავთობსადენი იმ ქვეყანაში ვერ გავა, სადაც მოუგვარებელი ეთნოკონფლიქტებია. ამას რუსებიც ხვდებიან, ამიტომ სამხედრო ბაზების გაყვანის ოთხწლიან ვადაზე ლაპარაკი აბსურდულია. სულ მალე, საქართველოში კონფლიქტური კერები აღარ იარსებებს, ეს გლობალური პოლიტიკის ნაწილია, რაც ბუშის ვიზიტმაც დაადასტურა.

ირაკლი წერეთელი, *ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია:*

— მე ბუშის ვიზიტის დღეებში ერთ-ერთი ყველაზე ამაყი და ბედნიერი ქართველი ვიყავი. მიხარია, რომ გამართლდა პროგნოზი, რომელსაც ჯერ კიდევ 15 წლის წინ, მერაბ კოსტავასთან ერთად ვაკეთებდი — რომ საქართველოს ყველაზე ძლიერი და ერთგული მოკავშირე აშშ იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მე ბატონ ააკაშვილს ცალკეულ საკითხებში არ ვეთანხმები, 9-10 მაისს მოვლენები მაინც მისი დიდი გამარჯვება იყო. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ვიზიტის დროს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ შენიშვნებსაც ელოდებოდა. ბუში მშვენიერი დიპლომატია, მაგრამ პირველ რიგში, ის დიდი ადამიანია. ამიტომ არ შეეძლო, ახალგაზრდა, აღფრთოვანებული და ბედნიერი მასპინძლისთვის პირველსავე ვიზიტის დროს ხარვეზებზე მიეთითებინა. ნუ ვიჩქარებთ, ამის დროც მოვა. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან ეროვნული მოძრაობის წვლილის აღნიშნვა, ის პირველი პოლიტიკოსია, რომელიც მხოლოდ ვარდების რევოლუციით არ შემოიფარგლა და 9 აპრილიც გაიხსენა. მისი გამოსვლა მთელი მსოფლიოს დასანახავად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი დამოუკიდებლობის აღიარება იყო. როცა დაგჭირდები, დამირეკე და დაგეხმარებიო — ამაზე მეტს ის ჩვენს პრეზიდენტს ვერაფერს ეტყოდა.

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტია:*

— ბუშის ვიზიტის მნიშვნელობაზე ჩვენ დიდი ხანია ვლაპარაკობთ. სწორედ ამიტომ გვინდოდა, რომ თავისი ბიუროკრა-

ტიული აპარატის გაქნილ თანამშრომლებთან ერთად, მარტო დარჩენილიყო, ხალხი კი ლეიბორისტული პარტიის მიტინგს შეერთებოდა, საიდანაც ამერიკის პრეზიდენტს უფრო კარგად მივაწვდენდით ხმას, რომ სოროსის პირმშობამ ქვეყანა დაღუპვის პირას მიიყვანეს, ამიტომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა თავიანთ „დიდ მოძღვართან“ უნდა გავგზავნოთ, ქვეყნის მართვის ბერკეტები კი ჯანსაღ ძალებს გადაეცეთ. ჩვენ მიტინგის ჩატარება მაინც მოვახერხეთ, თუმცა ტელევიზიებმა ეს ინფორმაცია „დაბლოკეს“, ამიტომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჩვენთან შემოერთება ვერ შეძლო. მაგრამ მთელმა მსოფლიომ და მათ შორის, ჯორჯ ბუშმაც დაინახეს, თუ რა პრობლემები აქვს რეალურად საქართველოს, ფარშავანგის კუდისფრად შეღებილი ქალაქის უკან, ხელისუფლების შავბნელი პოლიტიკა რომ იმალება, რაც მეწარმეების დევნის, უმუშევრობის, დაჭერის, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის და ოპოზიციის განადგურების მცდელობაში გამოიხატება. ბუშის ადმინისტრაცია ჩვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას კიდევ კარგად გააანალიზებს და შედეგიც შესაბამისი იქნება. სააკაშვილი ბუშის ვიზიტით საკუთარ რეიტინგს ვეღარ გადაარჩენს.

ლევან გერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— ჯორჯ ბუშმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით დააფიქსირა, რომ ის მეგობარი ქვეყნისთვის დათვური სამსახურის გაწევას არ აპირებს, ამიტომ ჩვენი გასაკეთებელი თავადვე უნდა გავაკეთოთ. ამერიკის დახმარების ფორმატი რუსეთთან არა დაპირისპირების, არამედ თანამშრომლობის პირობებში უნდა წარიმართოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს გამო ამერიკა კრემლს არ დაუპირისპირდება, თეთრ სახლს უფრო უმნიშვნელო საკითხებთან მიმართებაშიც გადაუდგამს ასეთი ნაბიჯი. მაგრამ ის მეგობარ ქვეყანას (საქართველოს) ეუბნება, — ის, რისი მიღწევაც შეიძლება მშვიდობიანი გზით, კონფრონტაციის მიზეზი არ უნდა გახდეს. რაც შეეხება ოპოზიციის გულისტკივილს იმის გამო, რომ ვერ მოახერხა პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრა — ეს ნამდვილად სამართლიანია. როგორც ჩანს, სააკაშვილს ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება იმის გასაცნობიერებლად, თუ რა როლი აკისრია ოპოზიციას ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ოპოზიცია აუგად მომიხსენიებს, ამიტომ ჯობია, აშშ-ის პრეზიდენტს არ შეხვდნენო — ეს იყო მისი გადაწყვეტილების მოტივი, რაც სააკაშვილის სერიოზული შეცდომაა.

ვახტანგ რჩეულიშვილი, *პოლიტოლოგი:*

— როცა ჟურნალისტებმა ბუშს ჰკითხეს საქართველოში არსებული პრობლემების მოგვარებაზე, მან მოკლედ და ლაკონიურად გვიპასუხა — მე აქ ჩამოვედი, თქვენ გვერდით ვარ და დაგეხმარებითო. ეს იყო ყველაზე დიდი გზავნილი მსოფლიოსთვის. აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, სვეტიცხოველში წავედი და ვილოცე ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის და სანთელი დავანთე ერეკლე მეორის საფლავზე, რადგან ის იყო საქართველოს პირველი მმართველი, რომელმაც ამერიკას დახმარება სთხოვა. მეორედ ამ ქვეყანას დახმარების თხოვნით ნოე ჟორდანიამ მიმართა. მაშინ ეს ქვეყანა თავადაც არ იყო ისეთი ძლიერი, რომ ჩვენთვის მფარველობა აღმოეჩინა. დღეს ამერიკა უკვე მზადაა, მეგობრობის ხელი გამოგვიწოდოს. სააკაშვილს უცხოეთში ნდობის მაღალი კრედიტი აქვს, ამიტომ მის არც ერთ ნაბიჯს არ აკრიტიკებენ. იგივე მდგომარეობა იყო შევარდნაძის გაპრეზიდენტების პირველ პერიოდშიც. მთავარია, რომ ბატონმა მიშამ საქართველოს ექსპრეზიდენტის შეცდომები არ გაიმეოროს და ამით თავისი კრედიტი არ ამოწუროს. ჯერჯერობით ამერიკა სააკაშვილს თითს არ დაუქნევს, ოპოზიცია ამას ტყუილად ელოდება, თუმცა, დემოკრატიის განმტკიცებისა და ოპოზიციური სპექტრის გაფართოების აუცილებლობაზე ბუშის მხრიდან მინიშნება გაკეთდა. მე ყურადღებას გავამახვილებ ამერიკის პრეზიდენტის კიდევ ერთ მითითებაზე — არ დაუშვათ კონფრონტაცია რუსეთთანო.

ალექსანდრე რონდელი, *პოლიტოლოგი:*

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოში ვიზიტი მოსკოვის გავლით დაიწყო, წითელ მოედანზე გამართული სამხედრო აღლუმის შემდეგ, მას საქართველოში შთამბეჭდავი კულტურული სანახაობა და გულითადი შეხვედრა მოუწყვეს, რამაც ბუშიც აღაფრთოვანა. ეს იყო კარგად ორგანიზებული, ლამაზი სანახაობა, თუმცა, ვიზიტის პოლიტიკური დატვირთვა მაინც უმთავრესია. ბუშმა ილაპარაკა, ნატოში საქართველოს ინტეგრაციაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს ამ ალიანსში გაწევრებას ამერიკა მოუთმენლად ელოდება. შესაძლებელია, ამ განცხადების მიღმა ვადების შემცირების პერსპექტივაც ამოვიკითხოთ. ვერ ვიტყვი, რომ ბუშის ამ ვიზიტით საქართველოს მომავალი გადაწყდება, მაგრამ ამის შემდეგ უფრო იმედიანად ვიქნები. ეს ვიზიტი სხვა ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი მესიჯია, რომელიც ნიშნავს, რომ ამიერიდან საქართველოსთან ურთიერთობისას დაბალანსებული პოლიტიკა უნდა აწარმოონ. ■



ბოლო ორი კვირა, ვისაც კი პირში ენა უბრუნდებოდა, ბუშის ვიზიტის შესახებ ყველამ ილაპარაკა. ბოლოს, სალაპარაკო რომ აღარ ჰქონდათ, იმაზე დაიწყეს ფიქრი — ვაითუ, დაგვაღალატოს, თბილისში ჩამოსვლა გადაიფიქროს და მთელი ნაშრომ-ნაჯახირები წყალში ჩაგვიყაროსო!.. შრომის შედეგი კი ქალაქში იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მონდომებული ადამიანი ბუშის ესკორტის გადაადგილების მარშრუტსაც კი შეადგენდა... არ ვიცი, ისროლა თუ არა ამერიკის პრეზიდენტმა საკუთარი თვითმფრინავის ტრაპიდან — ამ ქვეყანას კიდევ უნდა ვეწვიოო! — მაგრამ ვიზიტისთვის მზადების ისეთი კულუარული დეტალების შესახებ გიამბობთ, რაც თავად საპატიო სტუმრისთვისაც კი, შეუმჩნეველი დარჩებოდა.

ის, რაც ჭელეკრანს მიღმა დარჩა

ემა ტუხიაშვილი

ქ-ნი ნინო, *პუშკინის ქუჩის მცხოვრები:*

— პრეზიდენტ სააკაშვილის ესკორტი ჩვენს ქუჩაზე ყოველდღე მოძრაობს, ამიტომ სამთავრობო დაცვის ოცდაოთხსაათიანი პატრულირება ამ პერიმეტრზე ჩვენთვის უცხო არ არის. მაგრამ ის, რაც ჩვენ გარშემო უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ხდებოდა, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. ბუშის ვიზიტისთვის მზადება რომ ჩვენი მთავრობისთვის პრიორიტეტად იქცა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც ჩემი სახლის ფანჯრებთან მდგარი პრეზიდენტი სააკაშვილი დავინახე. მართალია, მისი და ქალაქის პრემიერის დიალოგის ხმა ჩემამდე ვერ აღწევდა, მაგრამ ჟესტიკულაციით ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ქურხული პრეზიდენტს ფასადებთან დაკავშირებით უთანხმებდა რაღაცას... მიუხედავად ამისა, ჩვენი სახლის ფასადი, როგორც მინიმუმ, ოთხჯერ მაინც შეღებეს. მუშები ამბობდნენ, რომ ჰოლანდიური ავტობუსის ფერებში გადაწყვეტილი სახლი თავად სააკაშვილს არ მოსვლია თვალში და ფერების შერჩევა დიზაინერებისთვის მიუნდვია. მიუხედავად იმისა, რომ სახლის გასალამაზებლად ქალაქის მუნიციპალიტეტმა საღებავები არ დაიშურა, სადარბაზოს კარისთვის ფუნჯი ერთხელაც კი არ შეუვლიათ... როგორც წესი, დღისით ეს კარი ყოველთვის ღიაა, ამიტომ მისი შელახული მდგომარეობა ნაკლებად თვალში საცემია, მაგრამ მონდომებულმა მასპინძლებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ამერიკის პრეზიდენტის უსაფრთხოებისთვის არათუ კარის, არამედ ფანჯრის დარაბების დახურვაც კი სთხოვეს ხალხს. ასე რომ, ბუშის დაკვირვებულ თვალს ალბათ არ გამორჩებოდა განახლებული სახლის კარი, რომელიც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, თურქეთის პრეზიდენტის სტუმრობისთვის შეღებეს... სამაგიეროდ, ყველა ფანჯრის რაფა ქოთანში ჩარგული ფერად-ფერადი ყვავილებით გაგვილამაზეს.

— თქვენი სახლი იმდენად ახლოს მდებარეობს თავისუფლების მოედანთან, უფლება რომ მოეცათ, შეგეძლოთ, ბუშის მიმართვა საკუთარი ოთახის ფანჯრიდან მოგესმინათ. ასეთი სტრატეგიული მდებარეობის გამო, ალბათ სპეცსამსახურების ყურადღების ქვეშ მოექეცით, არა?

— ყოველთვის, როდესაც თბილისი საპატიო სტუმრის დასახვედრად ემზადება, ჩვენი სახლით უშიშროების და სახელმწიფო დაცვის სამსახურები ინტერესდებიან. როგორც წესი, ხელსაწყოებით შეიარაღებული რამდენიმე ადამიანი უცერემონიოდ მოდის და სახლის სახურავს ჩხრეკს, ვიზიტის დღეს კი, აქ პოზიციებს სნაიპერები იკავებენ. ამჯერად ვითარება რადიკალურად განსხვავებული იყო. თითოეულ ოჯახს უშიშროების თანამშრომელი ეწვია და ყველა ბინადრის დეტალური მონაცემები დააფიქსირა. აინტერესებდათ ყველაფერი: სად ვმუშაობთ, რა მარკის ავტომობილი გვყავს და მობილური ტელეფონის ნომრებსაც კი იწერდნენ. გვკითხეს, ხომ არ შეგვინიშნავს ბოლო დროს, საეჭვო ადამიანები და გვთხოვეს, მსგავს შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გვეცნობებინა მათთვის.



...კარგა ხანს, მისი ქვეყნის დროშა ქართულის გვერდით უკუღმა ეკიდა...

— საინტერესოა, სტუმარმა რაიმე დოკუმენტი თუ გიჩვენათ იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილად უშიშროების თანამშრომელი იყო?

— სიმართლე გითხრათ, ეს არც გვითხოვია მისთვის. ამაზე მხოლოდ ახლა დავფიქრდი... სხვათა შორის, ისიც მხოლოდ ჩვენი სიტყვიერი ინფორმაციით დაკმაყოფილდა და პირადობის მოწმობაც კი არ მოუთხოვია, რომ ინფორმაცია გადაემოწმებინა. ჩემი ქალიშვილი ეხუმრა კიდეც — ჩვენს ოჯახს ხშირად, ბინ ლადენი სტუმრობს და არ გამოვრიცხავ, რომ ახლა სწორედ ბუშის ვიზიტის დროს დაგვაფასოსო. უშიშროების თანამშრომელმაც მიუგო — აუცილებლად შემატყობინე, როცა გესტუმრებათო... გვაინტერესებდა, შეგვეძლო თუ არა ბუშს ჩვენი სახლის ფანჯრიდან შეძახილებით მივსალმებოდით. მან გვიპასუხა, რომ ეს დასაშვები. და დასძინა — მთავარია, ყვავილი არ ესროლოთო.

— რამდენიმე დღის განმავლობაში, თქვენს სახლთან მისასვლელი გზა გადაკეტილი იყო, რაც ალბათ, საკმაო დისკომფორტს გიქმნიდათ...

— ჩვენ კი არა, 2-3 დღე, სააკაშვილიც კი კანცელარიაში შემოვლითი გზებით დადიოდა... ბუშისთვის გზებს ჰოლანდიელები აგებდნენ, ხოლო საფრის გამოცვლის პროცესი უშიშროების თანამშრომლების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. ქართველი მუშები ამბობდნენ — უშიშროება ასფალტის ყოველ გოჯს ამოწმებს, ვინმემ ასაფეთქებელი მოწყობილობა არ დაამონტაჟოსო. საპატრულო პოლიცია სახლამდე მანქანით არც ასფალტის დაგების შემდეგ გვიშვებდა და

წესების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, „ლიშენიით“ ემუქრებოდა მძღოლებს. ამ გზით მხოლოდ ამერიკის სპეცსამსახურის თანამშრომლები სარგებლობდნენ. აშკარა იყო, რომ ახალი ავტომობილები ამერიკელებმა თავად ჩამოიყვანეს საქართველოში. უსაფრთხოების მიზნით, ჩვენს ქუჩაზე ყველა სავაჭრო ჯიხური აიღეს, ხოლო მაღაზიები 2 დღით დაკეტეს. ესეც არ გვაკმარეს და ყველგან დამონტაჟებული ხმის გამაძლიერებლებიდან დღე-ღამის განმავლობაში, ამერიკულ ჰიტებს გვასმენინებდნენ.

ქ-ნი მანანა, *ტაბიძის ქუჩის მცხოვრები:*

— 9-10 მაისი ისე გავატარეთ, გვეგონა, საკონცენტრაციო ბანაკში ვცხოვრობდით: ბავშვებს ეზოში თამაშის უფლებას არ აძლევდნენ, უფროსებს კი, ახლობელ-ნათესავებთან მეზობელ ქუჩაზე მისვლა ეკრძალებოდათ. მიწისქვეშა გადასასვლელები ხომ საერთოდ პარალიზებული იყო და იქ დაცვა პატრულირებდა. ქუჩები სამგზავრო ავტობუსებით იყო გადაკეტილი, სადაც რამდენიმე სპეცრაზმელი იმყოფებოდა. ღამის განმავლობაში კი გვესმოდა, როგორ ამოწმებდნენ პერიოდულად სახლებს, ეზოებსა და სახურავებს.

ასეთ რაღაცებს ბუში-უმცროსი მხოლოდ ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან თუ შეიტყობს, თორემ, არც ის ეცოდინება, რომ მერიის შენობაზე ჩვენი ქვეყნის გერბი საგანგებოდ მისი ვიზიტისთვის რომ ამოტვიფრეს, არც ის, სააკაშვილის სანაქებო შადრევანი მისი გულისთვის რომ მოშალეს, არც ის, თავისუფლების მოედანზე გადმოფენილი ფარდების უკან რომ ისტორიული ძეგლის ნანგრევებია, საიდანაც მის სიტყვას ვირთხები უსმენდნენ. ვერც იმას შეიტყობს ბუში, რომ სიჩქარეში მისი პლაკატები ავლაბარში, სომხურ თეატრთან თავდაყირა გააკრეს და ვერც იმას, რომ კარგა ხანს, მისი ქვეყნის დროშა ქართულის გვერდით უკუღმა ეკიდა... დარწმუნებული ვარ, არც ის ეცოდინება ბუშს, რომ მოძრავი საპირფარეშო კუპე, რომელიც ცივილიზებულ ქვეყნებში მასშტაბური ღონისძიებების დროს გამოიყენება, ქართველებმა პირველად ვნახეთ. რას იზამ, რევოლუციაც და ხანგრძლივი მიტინგებიც „ჩვენი მოგონილია“, მაგრამ არც ტუალეტის „მონიშვნა“ გვიჭირს სადმე... დანარჩენი კი, მოდი, იმ ადამიანისგან შევიტყოთ, ვინც პრეზიდენტებზე ადრე ისადილა იქ, სადაც ჯორჯ ბუშს მიხეილ სააკაშვილმა ორშაბათს საღამოს უმასპინძლა.

ნოდარი, *მუშა:*

— უკვე დაახლოებით ერთი თვეა, რაც ბუშის ვიზიტის სამზადისში ვმონაწილეობ. რამდენიმე სახლის ფასადი ჩემი ხელით არის შელებილი. მართალია, საღებავი, რომელსაც ამ სამუშაოების დროს ვიყენებდით, ძვირად ღირებულია — 20 კგ ასე, 350-380 ლარი ღირს, — მაგრამ სამუშაოები ნაჩქარევად და შესაბამისად, უხარისხოდ არის შესრულებული: ერთი კარგი წვიმა გვინდა და ისე ჩამორეცხავს ამ საღებავებს, რომ მათი კვალიც კი არ დარჩება. მთელი ამ ხნის განმავლობაში, უშიშროების თანამშრომლების თანხლებით ვმუშაობდით და სულ ბესლანის ტრაგედიას იხსენებდნენ ხოლმე, როდესაც ტერორისტებმა თავი მუშებად გაასაღეს. 3 დღე-ღამე იმ რესტორნის განახლებაზე ვიმუშავე, სადაც ბუშების წყვილის, ვახშმით გამასპინძლება დაიგეგმა. ასეთი ლამაზი შენობა თუ არსებობდა თბილისში, ვერასდროს წარმოვიდგენდი. რესტორანი „გორგასალი“ მთლიანად მიწაშია ჩაფლული და ერთი სარკმელიც კი არა აქვს. ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს მიწისქვეშა სასახლეში იმყოფები, გარს უამრავი ძვირფასი ნივთი გარტყია: ფრესკები, ქანდაკებები. რესტორნის კედლები ძვირად ღირებული აგურისგან არის აგებული, ამიტომ საღებავის წვეთიც რომ მოეცხებოდა, სათუთად ვწმენდდით. აი, იქ კი, ჩვენი ხელის ყოველი მოძრაობა კონტროლდებოდა. დაცვამ გვითხრა, რომ ეს რესტორანი თბილისში ყველაზე დაცული ადგილია. ისე ღრმადაა თურმე მიწაში, ზემოთ ყველაფერი რომ ააფეთქონ, ბუში ვერაფერს გაიგებსო... რესტორანში ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო კი, თავად პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა შეამოწმა. შედეგით კმაყოფილი დარჩა და შემოგვთავაზა: ბიჭებო, ლუდს ხომ არ დალევთო? — მერე მზარეულს უთხრა — ამათ კარგი პური აჭამეო. ასე რომ, ამერიკის პრეზიდენტამდე, იმ რესტორანში მე და ჩემმა მეგობრებმა მოვილხინეთ...

საპირფარეშო კუპე მომცრო პირსაბანითა და პატარა სარკით იყო აღჭურვილი, მის უკან კი, საგუმბი მანქანა იდგა...



მიუხედავად იმისა, რომ სახლის გასალამაზებლად ქალაქის მუნიციპალიტეტმა საღებავები არ დაიშურა, სადარბაზოს კარისთვის ფუნჯი ერთხელაც კი არ შეუღებიათ...

ყველა ფანჯრის რაფა ქოთანში ჩარგული ფერად-ფერადი ყვავილებით გაგვილამაზეს...

P.S. ბევრი სხვა ჟურნალისტის მგავსად, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მეც ვცდილობდი, რაიმე ინფორმაცია მომეპოვებინა იმ ადამიანებისგან, ვინც ყველაზე დაცული პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. მაგრამ ბუშის დაცვის მრავალათასიანი ამალა ჟურნალისტებთან კონტაქტზე არ მოდიოდა. მოგეხსენებათ, რომ ამერიკული სპეცსამსახური ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობდა და ამბავი, რომელიც ახლა კურიოზად არის ქცეული, მათგან შევიტყვეთ. 6 მაისს, ამერიკული და ქართული სპეცსამსახურები აეროპორტის ტრასის დეტალურ შემოწმებას აწარმოებდნენ. შორიახლოს კვამლი შეუნიშნავთ და როდესაც ობიექტს მთელი სიფრთხილით მიუახლოვდნენ, აღმოჩნდა, რომ სვანებს გიორგობის დღესასწაულზე ცხვარი დაეკლათ და მწვადებს აშიშხინებდნენ. ამის შემხედვარე, ამერიკელებს გულიანად უცინიათ და ის ამბავი გახსენებიათ, რომელიც ნიუიორკში მომხდარა: მსგავსი მსხვერპლშეწირვა თურმე, რამდენიმე წლის წინ, მანჰეტენზე ამერიკაში მცხოვრებ სვანებს მოუწყვიათ. ამერიკაში ეს ამბავი იმით დასრულებულა, რომ მოქეიფეები პოლიციის განყოფილებაში წაუყვანიათ. აქ კი, ამერიკელმა სპეცაგენტებმა მწვადის გასინჯვა და ღვინის დაგემოვნება არჩიეს... ■

ისტორიული პარალელები – ვინ და რისთვის სწვევია საქართველოს

როგორია ქართული დიპლომატიის წარსული? რომელი ქვეყნების პოლიტიკური ელიტა ყოფილა ჩვენთან სტუმრად ჩამოსული? რატომ არის ჯორჯ ბუშის ვიზიტი ყველა სხვა ვიზიტისგან გამორჩეული და განსაკუთრებული? ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად, რამდენიმე ქართველ პოლიტოლოგს მივმართეთ.

ლელა ჭანკოტაძე

მიხეილ ნანეიშვილი:

– ჩვენი ისტორიის მანძილზე არსებულ არც ერთ დიპლომატიურ ვიზიტს არ შეიძლება შევადაროთ ბუშის ვიზიტი. მახსოვს, როცა მარგარეტ ტეტჩერი გვესტუმრა, საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ შესანიშნავი მიღება მოუწყო. ხალხმაც ისეთი დიდი ინტერესი და კეთილგანწყობა გამოიჩინა ამ პოლიტიკოსის მიმართ, რომ მისი ვიზიტი მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად და ისტორიულ ფაქტად იქცა. მაგრამ მაშინ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა იყო. ამჟამად კი, თავისუფალი ქვეყანა ვართ და პირველი შემთხვევაა, როცა ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი, მსოფლიოს ლიდერი ქვეყნის მეთაური გვეწვია.

— ჩვენ გვახსოვს ექსპრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის და ჯეიმს ბეიკერის ვიზიტები საქართველოში. როგორ შეაფასებთ ამ ორ ვიზიტს?

– ნიქსონის ვიზიტი ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან არსებობს მყარი მოსაზრება, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიქსონი ყველაზე კომპეტენტური პრეზიდენტი იყო. უმნიშვნელოვანესი გახლდათ გენშერის ჩამოსვლაც. თუმცა, ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ბუშს, რომლის ვიზიტმაც აჩვენა, რომ აშშ დაინტერესებულია საქართველოს დამოუკიდებლობით და მისი შემდგომი ბედით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით და ეკონომიკური აღმავლობით.

ირაკლი შენგელაია:

– ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ნიქსონის ჩამოსვლა გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიოში მუსირებდა აზრი, თითქოს საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებები ილახებოდა. ნიქსონი სწორედ ეროვნულ უმცირესობათა მხარდასაჭერად ჩამოვიდა. ცხადია, მისი ვიზიტი გამოწვეული იყო იმითიც, რომ საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და არსებობას იწყებდა ახალი, დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც სჭირდებოდა სხვა დიდი ქვეყნების თანადგომა. შემდეგ იყო გენშერისა და ბეიკერის ვიზიტები... საერთოდ, როცა ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურები ჩადიან ამა თუ იმ „მშენებარე" სახელმწიფოში, ისინი მხარს უჭერენ ამ სახელმწიფოს. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქცევა „მშენებარე" ქვეყნის ხელისუფლება და ირჩევს თუ არა პრიორიტეტად, დემოკრატიული პრინციპების გატარებას. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩამოვიდა ბორის ელცინი. მას გულთბილი მიღება გაუმართეს. მეგობარმა ბორისმა საშინელი დღე გვაყარა: მის ვიზიტს აფხაზეთის დაკარგვა მოჰყვა...

მიხეილ ნანეიშვილი:

– საქართველოში ჩამოსული სტუმრები იოლად გრძნობენ, როგორ არის ეს ქვეყანა განწყობილი დანარჩენი სამყაროს მიმართ. ქართველები ამას გრძნობების

ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი

გამჟღავნებით ვაგრძნობინებთ ხოლმე. საქართველო 500 წლის მანძილზე იბრძვის ევროპის ერთა ოჯახში დასამკვიდრებლად. სულით, გულით, ისტორიით, კულტურით ვეკუთვნით დასავლურ ცივილიზაციას და ეს შეგვიძლია, სწორედ დიპლომატიური ვიზიტების დროს დავანახვოთ სტუმარს. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტმა ბუშმა ეს ყველაფერი დაინახა.

— შესაძლებელია თუ არა, დიპლომატიურმა ვიზიტმა უარყოფითი როლი ითამაშოს? ყოფილა შემთხვევები, როცა სტუმარი, ქვეყნიდან დაბოღმილი წასულა?

– ამბობენ, რომ ბრეჟნევი დაიბოღმა... საერთოდ, როცა რუსეთის დელეგაცია ჩამოდიოდა, ქართველები მათ ღვინოში ისე ჩაახრჩობდნენ, ისე დაასაჩუქრებდნენ ხოლმე, რომ ისინი აქედან მართლაც, დაბოღმილები მიდიოდნენ – აქაოდა, ქართველები რა კარგად ცხოვრობენ... ისინი ჩამოდიოდნენ, როგორც ბატონები ქვეშევრდომ ქვეყანაში. თუმცა ხალხი პომპეზურად ხვდებოდა.

ირაკლი შენგელაია:

– ბრეჟნევი სადაც კი ჩადიოდა, ყველგან პომპეზურად უნდა დახვედროდნენ. მაშინ ფაბრიკა-ქარხნები მუშაობდა. „გამოყრიდნენ" მუშებს ქუჩებში, ავალდებულებდნენ პარტიულ კომიტეტებს, რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოეყვანათ. იყო შეძახილებიც. მაგრამ ადამიანები თავიანთ შინაგან დამოკიდებულებას სულაც არ გამოხატავდნენ – უბრალოდ, მაშინდელ რეჟიმს ემორჩილებოდნენ... რაც შეეხება დიპლომატიური ვიზიტის ცუდად წარმართვის გამო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვას, ამის არაერთი მაგალითი არსებობს. რამდენჯერაც ამერიკის დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა, იმდენჯერ შეხლა-შემოხლით დასრულდა მოლაპარაკება. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეს ჰელსინკის ხელშეკრულების შემდეგ: ამერიკული მხარე საბჭოთა ხელისუფლებისგან ადამიანის უფლებათა დაცვას მოითხოვდა, რაზეც იღებდა პასუხს – საბჭოთა მოქალაქის უფლებები არ ირღვევაო. ეს გახდა კიდეც ურთიერთობების გაცივების მიზეზი.

— 1918-21 წლებში, დამოუკიდებელ საქართველოსაც ესტუმრნენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეები...

– სოციალისტური ინტერნაციონალის დიდი დელეგაცია გახლდათ ჩამოსული. მან მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს სოციალურ-დემოკრატიულ მთავრობას. მაგრამ სამთავრობო დელეგაცია ან მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწეები არ ჩამოსულან.

ჰამლეტ ჟიჟაშვილი:

– 1921 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, დიპლომატია და დიპლომატიური ოქმი მივიწყებას მიეცა. საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად იქცა და კავ-

ბრეჟნევი თბილისში

შირში შემავალი რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხების მოგვარება საბჭოთა კავშირის ცენტრმა – მოსკოვმა იკისრა. საზღვარგარეთის ქვეყნებთან ისეთი ურთიერთობა, როგორიცაა დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა, იქ დიპლომატების მივლინება, მხოლოდ კონსტიტუციაში ჩაწერილ ფიქციას წარმოადგენდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მხოლოდ მაღალი რანგის დელეგაციების სტუმრობის პროგრამის შედგენა ევალებოდა.

— მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც ჩამოსულან მაღალი რანგის დელეგაციები. იქნებ, რამდენიმე ასეთი ვიზიტი გავიხსენოთ.

– საქართველოში ჩამოსულან: ავსტრიის, ალბანეთის, ინდოეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, სირიის, შვეიცის, იაპონიის პარლამენტების (1955 წ), ლათინური ამერიკის ქვეყნების, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის (1979 წ.) ვენესუელის ეროვნული კონგრესის, ირლანდიის პარლამენტის, ნიკარაგუის (1981 წ), აშშ-ის სენატორთა, ერაყის ეროვნული საბჭოს, კოლუმბიის ეროვნული კონგრესის (1984 წ.) დელეგაციები; აშშ-ის სენატორი ბილ ბრედლი, ავსტრიის პარლამენტის, პოლონეთის სეიმის, სიცილიის პარლამენტის დელეგაციები. ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალი გახლავთ.

— დავუბრუნდეთ ჯორჯ ბუშის ვიზიტს და ამჯერად, პრიმიტიულად დავსვათ კითხვა — რატომ ჩამოვიდა ჯორჯ ბუში საქართველოში?

მიხეილ ნანეიშვილი:

– აშშ-ის სამთავრობო წრეებში კარგა ხანია, რაც ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი აკისრია თანამედროვე მსოფლიოში. საქართველო არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი. ეს არის ძირითადი ფაქტორი, რატომაც აშშ იჩენს ინტერესს ჩვენ მიმართ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მსოფლიომ დაინახა, რომ ეს ქვეყანა დასავლური სამყაროს უძველესი ორგანული ნაწილია. ამ მიზეზების გამო გვეწვია აშშ-ის პრეზიდენტი.

გია ნოდია:

– ჯორჯ ბუშის პრიორიტეტს მთელ მსოფლიოში დემოკრატიის მხარდაჭერა წარმოადგენს. მისი ვიზიტი არის განაცხადი – სად ხედავს მოკავშირეებს. ერთერთი ზონა, სადაც მისი პოლიტიკური მოკავშირეები არიან, აღმოსავლეთ ევროპა გახლავთ. ამ რეგიონის გარდა, ის გამოარჩევს ქვეყნებს, რომლებმაც დემოკრატიის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. არასაბჭოთა ნაწილში ეს სლოვაკეთია. ამის დასტური იყო ბუშის ვიზიტი ბრატისლავაში. ყოფილ საბჭოთა კავშირში კი ეს – ბალტიის ქვეყნები, უკრაინა და საქართველო არიან. პრეზიდენტ ბუშს სურს, დააფიქსიროს, რომ ის აფასებს ამ ქვეყნების მონაწილეობას ანტიტერორისტულ კამპანიაში და თვითონაც მხარს უჭერს ამ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას. აი, ამიტომ ჩამოვიდა საქართველოში.

— ყველაზე რეალური შედეგი, რომელიც ჯორჯ ბუშის ვიზიტს მოჰყვება, რა შეიძლება იყოს?

რამაზ საყვარელიძე:

– წარსულში, საქართველოს ანალოგიური პოლიტიკური კავშირი დასავლეთთან არასოდეს ჰქონია. წლების წინ, რუსეთთან ურთიერთობის ძირითადი არგუმენტი ქართველი პოლიტიკოსებისთვის ასე ჟღერდა – რუსეთი ევროპაში გაჭრილი ფანჯარაა. ახლა საქართველო ევროპასთან ურთიერთობას უკვე რუსეთის დახმარების გარეშე ახერხებს. ბუშის ვიზიტი ჩვენთვის მნიშვნელოვანია საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით: ის მთელ მსოფლიოში განმტკიცებს საქართველოს, როგორც სტაბილური და უდავოდ ევროპული ქვეყნის პოლიტიკურ იმიჯს. ■

დაძაბული მოლოდინი, ემოციები და...

ლელა ჭანკოტაძე
ლიკა ქაჯაია

10 მაისს, დილის რვის ნახევარზე კოლმეურნეობის მოედნიდან თავისუფლების მოედნისკენ გავემართე. მინდოდა, ადრე მივსულიყავი და ხელსაყრელი ადგილი შემერჩია. მაგრამ იქ უკვე ბევრი ადამიანი დამხვდა. მათ შორის, კონცერტის ორგანიზატორების გარდა – ცნობილი მომღერლები და რიგითი მოქალაქეები. ყველა, წინა საღამოს მეიდანში გამართულ შთამბეჭდავ შეხვედრაზე ლაპარაკობდა. 8 საათიდან ხალხის ნაკადმა სწრაფად იმატა და მალე მთელი მოედანი თვალის დახამხამებაში გაივსო. სპეცსამსახურის თანამშრომლების სიმრავლე ცხადია, თვალში საცემი იყო. განსაკუთრებით უცხოელები გამოირჩეოდნენ, რომლებიც ამერიკული ბლოკბასტერების პერსონაჟებს ჰგავდნენ. გაოცებას იწვევდა მათი ბმული სახეები. ყოველ წუთას მოსალოდნელი იყო ჭყლეტის საფრთხე, ამიტომ ისინი გამუდმებით მოუწოდებდნენ ხალხს, 2-2 ნაბიჯით უკან დაეხია. ყველას ეგონა, რომ ჩხრეკა ჩატარდებოდა და ნებისმიერ ადამიანს საგულდაგულოდ შეამოწმებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხალხმა ჯებირები გაარღვია, ჩხრეკა და შემოწმება შეწყდა.

პრეზიდენტების გამოჩენამდე, რამდენიმე სახელდახელო ინტერვიუ ჩავიწერე.

მარიკა სისაური:

– უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენი ჰიმნის ტექსტი არ ვიცოდი. გუშინ საგულდაგულოდ ვისწავლე. მინდა, რომ დღეს ვიმღერო. მგონია, აქ ამდენი ხალხი რომ შეიკრიბა, ეს გუშინდელი საღამოს წყალობითაა. გუშინ, ბუში პირქუში და მოწყენილი რომ ყოფილიყო, შეიძლება, აღარც მოვსულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფანი ვარ. ერთადერთი, რაზეც გული დამწყდა, ჩვენი პირველი ლედის ჩაცმულობაა. არ მომეწონა თევზებიანი კაბა, დელფინარიუმში ხომ არ მიდიოდა!..

ლიანა მენაბდე:

– ჩემი შვილი ამერიკულ აკადემიაში სწავლობს. მას საშუალება მიეცემა, ლორა ბუში და სანდრა რულოვსი ნახოს. ეს მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი იქნება. თვითონაც ძალიან ღელავდა. მეუბნებოდა, რომ უბედნიერესი ადამიანია და ყოველნაირად შეეცდება ემოციების შეკავებას... მე და ჩემი მეორე შვილი აქ მოვედით. მინდა, პრეზიდენტ ბუშს ხელი

დავუქნიო და „ვუთხრა“, როგორ მახარებს მისი სტუმრობა. ამ სიტყვებს ჩურჩულით ვიტყვი, დარწმუნებული ვარ, ყველას გულისთქმას იგრძნობს.

თავისუფლების მოედანზე მდგარ ადამიანებს ეგონათ, რომ პრეზიდენტები სცენაზე 9 საათზე გამობრძანდებოდნენ. მაგრამ ლოდინი რამდენიმე საათს გაგრძელდა. ხალხი უფრო მეტხანსაც დაელოდებოდა, რადგან თითოეული იქ მყოფი კარგად აცნობიერებდა ამ ვიზიტის ისტორიულ მნიშვნელობას. მერე ალმების დარიგება დაიწყეს. თუმცა ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც ხელის მოთბობა განიზრახეს და მსურველებს ურცხვად სთავაზობდნენ წყვილს ერთ ლარად... მალე იქაურობა ლარად ნაყიდი ქართული და ამერიკული ალმებით გაივსო. მერე ვიღაცამ იკითხა — ნეტავ, ბუში რამდენ მილიონს დუუტოვებს ჩვენს სახელმწიფოსო? და პასუხიც მაშინვე მიიღო — 300 მილიონ დოლარს გვაჩუქებსო! — რას ამბობთ, ამხელა სახელმწიფოს პრეზიდენტი 300 მილიონისთვის გადმოლახავდა ოკეანეს?!. 500 მილიონს მოგვცემს, ასეთი შესაშური სტუმრმასპინძლობისთვისო!.. რამდენიმე ხანს, ჩემს სიახლოვეს მდგარმა ადამიანებმა თავი პოლემიკით შეიქცეს და მაინც ვერ შეთანხმდნენ.

გია ასლანიშვილი:

— მე ჩემი ორი მცირეწლოვანი შვილით ვარ მოსული. ჩვენ გორიდან ჩამოვედით. როცა ჩემი შვილები გაიზრდებიან, მათ სიამაყით შევახსენებ, რომ ჩვენ უდიდესი სახელმწიფოს პრეზიდენტი საკუთარი თვალით ვნახეთ. ისევე, როგორც მამაჩემი მიყვებოდა ხოლმე, როგორ შეძლო თბილისის აეროპორტში ინდირა განდის ნახვა და მისთვის ხელის ჩამორთმევა...

დიმიტრი ვარძელაშვილი:

— წუხელ ჩემს ცოლ-შვილს ვუთხარი, ამაღამ ყველაზე მშვიდად შეგვიძლია დავიძინოთ, რადგან საქართველო ახლა მსოფლიოში ყველაზე დაცული ქვეყანაა-მეთქი. იცით, რითი ვარ ამაყი? აქამდე სულ ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ პატარა ქვეყანა ვიყავით და უმნიშვნელო იყო ჩვენი როლი მთელ მსოფლიოში. ბუშის ვიზიტმა კი აჩვენა, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს სტრატეგიული პარტნიორი ვყოფილვართ. წლების წინ ამაზე ვერც ვიოცნებებდით...

მერე თეთრი ფურცლების დარიგება დაიწყეს, რომლებზეც საქართველოს ჰიმნის ტექსტი და ნოტები ეწერა. უმეტესობამ სგულდაგულოდ დაკეცა და ჯიბეში ჩიდო, ალბათ — ამ დღის სამახსოვროდ... მზე ისე აჭერდა და ისეთი სიმხურვალე ჩამოწვა, რომ არა წყალი, რომელსაც არიგებდნენ, გულწასული ადამიანების რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. ყველანი ძალიან შევწუხდით მცხუნვარე მზისგან, მაგრამ პრეზიდენტების გამოჩენამ პრობლემები დავივიწყა. ატყდა ჩურჩული, რომელი პირველი ლედი უფრო ელეგანტური იყო და რომელს უფრო ღირსეულად ეჭირა თავი...

პრეზიდენტების წასვლის შემდეგ, ნელი სვლით ყველანი მეტროს სადგურებისკენ დავიძარით. მოედანი ისევე სწრაფად დაცარიელდა, როგორც გაივსო...

მეორე დილით, თავისუფლების მოედანზე ნაპოვნი ხელყუმბარის შესახებ შევიტყვეთ. რამდენად გამოგნებელია, რომ მსგავს სიტუაციაში ვინმეს პროვოკაციის მოწყობა მოსვლოდა თავში. ბატონმა კოტე გაბაშვილმა ამაზე ყველაზე კარგი კომენტარი გააკეთა — ეს ხელყუმბარა უთუოდ გაზეთ „Правда“-ში იქნებოდა გახვეულიო...

საინტერესოა, როგორ ხვდებოდნენ ამერიკის პრეზიდენტს ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლები. სწორედ ამ კითხვით მივმართეთ რამდენიმე მათგანს, ჯორჯ ბუშის ვიზიტის პირველ დღეს (9 მაისის საღამოს).

გიო ხუციშვილი:

— ამხელა ქვეყნის პრეზიდენტის ჩამოსვლა, მისი ორდღიანი ვიზიტი, ჩემთვის და მთელი ქვეყნისათვის სასიხარულო მოვლენაა. ამ ვიზიტზე დიდ იმედებს ვამყარებ. მეამაყება, რომ ბუშის პატივსაცემად გამართულ კონცერტში მეც და ზუკაც ვმონაწილეობთ.

ლელა ოთარაშვილი:

— პრეზიდენტ ბუშის საქართველოში ჩამობრძანება ისტორიული ფაქტია. მაქსიმალურად ვცდილობ, ქართული სტუმართმოყვარეობის შესაფერისად შევხვდე. მის პატივსაცემად, 2 ქართულენოვან სიმღერას ვმღერით... ამ დღისთვის კოსტიუმები დიზაინერ ავთო ცქვიტინიძესთან შევიკერეთ. ვფიქრობ, რომ ეს მოვლენა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს წაადგება.

ავთო ცქვიტინიძე:

— ამერიკის პრეზიდენტის ჩამოსვლამ ჩვენს ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები უნდა გამოიწვიოს. ბუშის ვიზიტს, ოჯახთან ერთად, ტელეეკრანიდან მივადევნებ თვალს, რადგან ფართო გაშუქების მეშვეობით შევძლებ, უფრო რეალურად დავინახო ყველა საინტერესო მომენტი. ამ დღეს, შოუბიზნესის წარმომადგენლებს შეიძლება, ჩემ მიერ შეკერილი კოსტუმები ეცვათ, მაგრამ სპეციალურად ამ დღისთვის, მხოლოდ ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს შევუკერე სამოსი.

თემურ თათარაშვილი:

— ტელევიზიის მეშვეობით ვიხილე პრეზიდენტ ბუშის ჩამობრძანება. უზომოდ კმაყოფილი ვარ ამ ვიზიტით. თუმცა, უკმაყოფილო მხოლოდ ბოროტი ადამიანი შეიძლება იყოს. ღმერთმა ქნას, რომ მისი ჩამოსვლა ჩვენთან ყოველივე კარგის დასაწყისი ყოფილიყოს და იმედი მაქვს, რომ ეს ასეც იქნება. 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე ორ სიმღერას შევასრულებ და ამით ჩემს პატივისცემას გამოვხატავ ამერიკის პრეზიდენტის მიმართ.

ლიზა გაგრატიონი:

— პოლიტიკურ პროგნოზებს ვერ გავაკეთებ, ეს არ მეხერხება. მაგრამ პრეზიდენტმა ბუშმა საოცრად თბილი, უშუალო, ადამიანური შთაბეჭდილებაა დაგვტოვა. ისეთი მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენლებისთვის, როგორიც საქართველოა, ამხელა ქვეყნის პრეზიდენტის აღფრთოვანებული რეაქციები ჩვენი კულტურის, ფოლკლორის მიმართ, ცოტას როდი ნიშნავს. ყველას ყურადღება მოგვაქცია, მადლობა გადაგვიხადა. ეს საოცარ შეგრძნებას აღძრავს. დღეს ამაყი და ბედნიერი ვარ. ეს ქართველების ნიჭიერების ზეიმი გახლდათ. ყველა ერთმანეთს ვკოცნიდით და ვულოცავდით, მაგრამ რას — არ ვიცი...

ნანი ბრეგვაძე:

— დღემდე, ამერიკის შეერთებული შტატების არც ერთი პრეზიდენტი საქართველოში არ ჩამოსულა და ეს ალბათ, საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. მიმაჩნია, რომ იგი კმაყოფილი უნდა იყოს ქართული სტუმართმოყვარეობით და კარგ შთაბეჭდილებებსაც წაიღებს აქედან. ამბობენ, რომ ჯორჯ ბუშის ჩამოსვლის დღე განსაკუთრებული იყო, მაგრამ ჩვენ, ქართველები ხომ ყველას ასე ვხვდებით! ვცდილობთ, სტუმარს ვასიამოვნოთ — ეს ჩვენი ტრადიციაა... ამ წუთშიც ვფიქრობ, მივიღო თუ არა მონაწილეობა თავისუფლების მოედანზე გამართულ კონცერტზე. ალბათ, წავალ ქართველი ხალხის გამო, თორემ, ბუში მეც ისევე დამიხსომებს, როგორც თქვენ. ■

რუბრიკაში გამოყენებულია სააგენტო „ინტერპრესის“ ფოტოები

„ვეს ოკით, ბატონო პრეზიდენტო?..“

მარი ჯაფარიძე

ალბათ გახსოვთ, როდესაც ბატონმა მიხეილ საკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო უფლებები კონსტიტუციურად დაკანონა, პირველსავე სამთავრობო სხდომაზე ახალგამომცხვარ მინისტრებსა და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებს მოუწოდა – საზოგადოებრივი ტრანსპორტით იარეთ და ხალხთან მჭიდრო კავშირი იქონიეთო. ჰოდა, მაშინ თავისუფლად შეგეძლოთ, პირდაპირ მეტროში ენერგეტიკის მინისტრისთვის გეკითხათ, როდის მოვიდოდა შუქი თქვენს უბანში, თავდაცვის მინისტრისთვის „მარშრუტკაში“ გადაგეცათ განცხადება ჯარში წასვლის თაობაზე ან შინაგან საქმეთა მინისტრს ავტობუსში გვერდით მისვდომოდით და დაწვრილებით გამოგეკითხათ, რა სპუთები უნდა მოგეროვებინთ, პატრულში სამსახური რომ დაგეწყოთ... ამ ბოლო დროს, ხალხთან სასაუბროდ ველარავინ იცლის. ბუნებრივია, თავად პრეზიდენტიც ძალზე მოუცლელი გახლავთ და მხოლოდ რომელიმე რეგიონში სტუმრობისას თუ შეივლის ხოლმე რიგითი მოქალაქის ოჯახში იმის გასარკვევად, თუ როგორ ცხოვრობს ჩვეულებრივი ოჯახი და რას ფიქრობენ მისი წევრები მთავრობაზე. ამიტომ გადავწყვიტეთ, პრეზიდენტს დავხმარებოდით და თავად გავსაუბრებოდით მოქალაქეებს. ამისათვის კი დახმარება **მამუკა ლომაშვილს** *ვთხოვეთ, რომელიც პრეზიდენტს გარეგნობითაც საკმაოდ ჰგავს და მისი ხმის იმიტაციასაც მშვენივრად ახერხებს. მე და მამუკამ სატელეფონო ცნობარი მოვიმარჯვეთ და თბილისელთა ბინებში რეკვას მივყვით ხელი, ხოლო მოგვიანებით, რამდენიმე ცნობილ ადამიანსაც დავუკავშირდით... ახლა კი ჯერ მამუკას წინასწარ პროგნოზსა და რამდენიმე საინტერესო ამბავს მივუსმინოთ, შემდეგ კი – „პრეზიდენტისა“ და თბილისელი მოქალაქეების საუბარს გადმოგცემთ.*

— მამუკა, როგორ ფიქრობ, — დაიჯერებს ხალხი, რომ მას ნამდვილად პრეზიდენტი ელაპარაკება?

– ვფიქრობ, ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის პრეზიდენტის ასეთი ნაბიჯი მოულოდნელი იქნება, მაგრამ არა – დაუჯერებელი. სავსებით ნორმალურია, როდესაც პრეზიდენტს სურვილი აქვს, მოუსმინოს თავის ხალხს. ვინაიდან ბატონი მიხეილი ამ საქმისთვის ვერ მოიცლის, ვეცდები, დავეხმარო მას – დროებით შევცვალო. ვფიქრობ, ზოგი ჩვეულებრივად მიიღებს, ზოგიერთი კი ყურმილს დაკიდებს.

— საკუთარი ინიციატივით თუ დაგირეკავს ვინმესთვის და პრეზიდენტის ხმით თუ დალაპარაკებიხარ?

– საკუთარი სურვილით – არა, მაგრამ გამიკეთებია სხვისი დაჟინებული თხოვნით. ჩემი ვოკალის მასწავლებელმა, ციური მჭედლიძემ მთხოვა, მისი ნათესავი ქალბატონისთვის დამრეკა. რომ ვუთხარი, პრეზიდენტი გელაპარაკებათ-მეთქი, ძალიან დაიბნა, მთხოვა – ხელები მაქვს „დატკბილული“, დავიბან და დაგელაპარაკებითო, – შემდეგ ბოდიში მომიხადა და გულითადი საუბარი გამიბა. ამ რამდენიმე დღის წინ, ბათუმში ვიყავი. ვიცე-მერმა, ქალბატონმა ნათიამ მთხოვა, აჭარის ერთ-ერთი მინისტრისთვის დამრეკა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც აჭარა დამოუკიდებლობის წლისთავს აღნიშნავდა და პრეზიდენტის დასახვედრად ემზადებოდა. დავრეკეთ. ის კაცი ისე დაიბნა, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. ბოლოს მეხვეწებოდა – მითხარი, მართლა მიშა ხარ თუ ვინმე სხვაო... მსგავსი შემთხვევა მეტი არ მქონია. აი, ახლა გვეძნება მე და შენ და ვნახოთ, რა გამოგვივა.

პირველი რესპონდენტი დიღმის მასივში მცხოვრები, 31 წლის **ნუგზარ მამიაშვილი** *გახლავთ.*

— გამარჯობათ, თქვენ გესაუბრებათ საქართველოს პრეზიდენტი. გადავწყვიტე, მოქალაქეებს დაველაპარაკო და გავიგო მათი აზრი რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით.

– დიახ, დიახ... გისმენთ, ბატონო მიშა.

— პირველ რიგში მაინტერესებს, რას ფიქრობთ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით?

– მგონი, ცოტა ძვირი გვიჯდება ქართველებს ამერიკის პრეზიდენტის სტუმრობა. მაგრამ თუ ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება, რა თქმა უნდა, ღირს ამ ხარჯის გაწევა. ისე, ბევრი არაფერი გაკეთებულა. მარტო გზა – აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე და შენობები შეიღება, ეგ არის და ეგ.

— ახლა ჩემთან ერთად თქვენს საუბარს მთელი მინისტრთა კაბინეტი ისმენს. ხომ არ გინდათ, ვინმეს თქვენი აზრი გაუზიაროთ რაიმე საკითხზე?

– ბარამიძეც მანდ არის?

— დიახ!

– გია, ძალიან მიყვარხარ. ისე, თუ ვანო მერაბიშვილიც მისმენს, ვეტყვი, რომ პოლიციაში ჯერ კიდევ იღებენ ფულს საქმის მისაჩქმალად. არც მოსამართლეები ამბობენ უარს ქრთამის აღებაზე... ბატონო მიხეილ, იცით, რა ვერ გავიგე? რატომ „დაარბენინებთ“ ამ მინისტრებს აქეთ-იქით? თუ ერთი სფეროს მინისტრად ვერ ივარგა, მეორეში გამოდგება?

— როგორც ჩანს, თქვენ ჩვენი საკადრო პოლიტიკა არ მოგწონთ...

– პირდაპირ რომ გითხრათ, არ გეწყინებათ?

— პირიქით, სწორედ ის გვინდა, რომ სიმართლე დაუფარავად გვითხრათ.

– ჰოო... ხომ არ დამიჭერთ?

— არა, რას ბრძანებთ!..

– კაცო, ეს გამოუცდელი ბიჭბუჭები რომ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნეთ, რა იციან მაგათ საქმის კეთების? კი, ბატონო, მესმის, რომ „ნაციონალია“ და უნდა დაწინაურდეს, მაგრამ მოადგილედ მაინც დაუნიშნეთ გამოცდილი ადამიანი, რომ ერთს თანამდებობა და სახელი ჰქონდეს, მეორემ კი, საქმე აკეთოს...

— კარგი ყველაფერი გასაგებია. გმადლობ. კარგად ბრძანდებოდეთ...

– მოიცადეთ, არ დაკიდოთ ყურმილი. ერთი სათხოვარი მაქვს. უკვე 3 წელია, უმუშევარი ვარ. იქნებ, დმეხმაროთ, რომ თუნდაც მცირეხელფასიანი სამუშაო ვიშოვო.

— კარგი, მოვიფიქრებ და დაგიკავშირდებით...

შემდეგი რესპონდენტი, 60 წლის **ნელი ჩაჩუა** *გახლავთ, რომელიც პრეზიდენტის ზარს დიდი სიხარულით შეხვდა.*

– უიმე, მართლა მიშა ხართ? რას მოვესწარი, პრეზიდენტმა შინ დამირეკა! დედა, ამას ვინ დაიჯერებს?! რამ მოგაფიქრათ ჩემთან დარეკვა? ხომ არ დაგჭირდთ რამეში?

— რამდენიმე კითხვა მაქვს თქვენთან, ქალბატონო. ბუშის ვიზიტზე რას ფიქრობთ?

– სტუმარი ღვთისაა, ბატონო, მობრძანდეს. ქართველებს არც დახვედრა გვეშლება და არც პატივისცემა. თუ „კაი საქმეს გვიზამს“, საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს? მაგან გაიხაროს, რომ ჩამოდის, თორემ, კაი ხანი, ქალაქს არაფერი ეშველებოდა. ჭიაბერაშვილი არაფერს აკეთებს,

სულ აქეთ-იქით დაბორიალებს და მაგის გაკეთებული ჯერ არაფერი მინახავს.

— ეი. ქალაქის მერი არ მოგწონთ?

— ახლა... რა გითხრათ... გარეგნობით რა უჭირს, ამ ბოლო დროს მთლად დაიპეწა და კარგად გამოიყურება, მაგრამ ეგ ჩვენს გასაჭირს რას უშველის! აგერ ჩემი სახლის გვერდით იმდენი ნაგავი და სამშენებლო ნარჩენი ყრია, რომ ლამის დათვები გაჩნდნენ. ვის აღარ მივმართე, მერსაც შევატყობინეთ, მაგრამ არაფერი გვეშველა. მიშა, შვილო, იქნებ, ქალაქის სისუფთავეს მიხედოთ, თორემ, მარტო შენობების შეღებვა არაფერს გვიშველის.

— კარგი, ქალბატონო. გავითვალისწინებთ თქვენს შენიშვნებს. კარგად ბრძანდებოდეთ.

„პრეზიდენტთან“ საუბრის საშუალება მსახიობ ***ცუცა კაპანაძესაც*** *მიეცა. თუმცა, ცოტა გაჭირდა მისი დარწმუნება, რომ ნამდვილად მიხელ საკაშვილი ელაპარაკებოდა.*

— მოიცა, კაცო, მართლა პრეზიდენტს ვესაუბრები?

— დიახ. მიხეილ სააკაშვილი გახლავართ, თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემელი.

— უი, მართლა? ძალზე დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვერ გიცანით.

— არა უშავს, რა, ხდება ხოლმე. მაინტერესებს, მოსაწვევი გადმოგცეს თუ არა, ბუშის ვიზიტზე დასასწრებად?

— მოსაწვევი არ გადმოუციათ, მაგრამ რაც შეეხება ბატონი ჯორჯის ჩამობრძანებას, ძალზე მოხარული ვარ. აუცილებლად მივალ თავისუფლების მოედანზე დილით ადრე, რომ კარგი ადგილი დავიკავო...

— განახლებული და შეღებილი ქალაქი თუ მოგწონთ?

— საერთოდ, ძალიან კარგია, მაგრამ ზოგიერთი სახლი ძალზე აჭრელებულია და სიმართლე გითხრათ, შეღებილი თბილისი ამსტერდამს მახსენებს. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მაინც რომ გვესტუმრებოდეს ბატონი ბუში, იქნებ, მაშინ მაინც გვეშველოს რამე.

— ცუცა, ახლა რით ხართ დაკავებული? მუშაობთ?

— მხოლოდ თეატრში ვარ დაკავებული, ბატონო პრეზიდენტო და იქნებ, თქვენს აპარატში გამომიძებნოთ ადგილი?

— გპირდები, ცუცა. რამეს მოვიფიქრებთ.

ქალბატონი ***ეთერ კაკულია*** *თავდაპირველად გაოცდა, პრეზიდენტის ხმა რომ გაიგონა, მაგრამ შემდეგ დაბნეულობამ გაუარა და საკმაოდ გულითადი საუბარი გაუბა ბატონ „მიშას“.*

— ვაიმე, ბატონო მიშა! ძალიან მიყვარხართ. გენაცვალე, იცით, როგორ მინდა თქვენი ნახვა და მოფერება?

— ქალბატონო ეთერ, მოგწონთ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები?

— ბუშის ვიზიტზე მეკითხებით? კარგია, რომ ჩამოდის. ქალაქში მომხდარი ცვლილებებითაც კმაყოფილი ვარ, თუმცა, ჩემი სახლი არ შეუღებავთ.

— ახლა ვეღარ მოვასწრებთ და ბუშის წასვლის შემდეგ, პირობას გაძლევთ, აუცილებლად შევღებავთ.

— კარგი, გენაცვალე. მე თქვენი გაკეთებული ყველაფერი მომწონს.

— ახლახან კულტურის მინისტრს გავეხუმრე — თუ ჭკუით არ მოიქცევი, გაგიშვებ და შენს ადგილზე ეთერ კაკულიას დავნიშნავ-მეთქი...

— უკვე დროა, მაგაზე იფიქროთ, ბატონო პრეზიდენტო... მართალია, მე ლეიბორისტებთან ვიყავი, მაგრამ თქვენც ძალიან მიყვარხართ. ახლა „ნაციონალებში“ ვაპირებ გადასვლას.

— გავიგე, ძალზე გემრიელ მურაბას აკეთებთ და სიამოვნებით გავსინჯავდი...

— უიმე, ეგეც იცით? ისიც გეცოდინებათ, ქათამი რომ უნდა მომეხარშა და ჩიჩახვი არ ამოვაჭერი... თუ არ იცით, პირადად რომ შეგხვდებით, მაშინ მოგიყვებით.

— ქალბატონო ეთერ, გულწრფელი იყავით, როდესად მესაუბრებოდით?

— რა თქმა უნდა, ბატონო მიხეილ, აბა, მაშ როგორ!..

მამუკა:

— იცი, მარი, ძალზე გამიხარდა, რომ ასე გულწრფელად ესაუბრებოდნენ პრეზიდენტს და გულისტკივილს უზიარებდნენ. ხომ ხედავ, არავის გაჰკვირვებია, რომ მიშამ დაურეკა, ალბათ იმიტომ, რომ ხალხი და პრეზიდენტი ერთმანეთთან გაუცხოებულები არ არიან და მოქალაქეებს სჯერათ, რომ შესაძლოა, პრეზიდენტმა მართლა დაურეკოს და ესტუმროს კიდეც. ისე, ურიგო არ იქნება, ბატონმა მიხეილმა მართლა ჩაატაროს ასეთი გამოკითხვა — უფრო ზუსტ ინფორმაციას მიიღებს. ბათუმში ყოფნის დროს, ასეთ ამბავს შევესწარი. რამდენიმე საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი საუბრობდა. პრეზიდენტს ისე აქებდნენ და ადიდებდნენ, თითქოს მას უარყოფითი არაფერი ჰქონდეს. შემდეგ შევიტყვე, რომ ეს ადამიანები ყოფილ პრეზიდენტთან, ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ძალზე დაახლოებულები ყოფილან და დღესაც ხშირად სტუმრობენ მას. აი, ასეთი ხალხი რომ პირისპირ შეხვდება ბატონ მიშას, ბუნებრივია, მათგან სიმართლეს ვერ გაიგებს, სიმართლეს მხოლოდ ხალხი ეტყვის.

ვინაიდან ჩვენმა პირველმა მცდელობამ ხალხს საკუთარი აზრი ეთქვა თავად პრეზიდენტისთვის, წარმატებით ჩაიარა, გადაწყვიტეთ, მოქალაქეებს მართლაც მივცეთ საშუალება, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს, პოლიტიკოსებსა თუ შოუბიზნესის წარმომადგენლებს გაუზიარონ საკუთარი შეხედულება. ვისაც ამის სურვილი გაქვთ, დამიმესიჯეთ თქვენი სახლის ტელეფონის ნომერი და სახელი და მაცნობეთ, თუ რომელ ცნობილ ადამიანთან საუბარს ისურვებდით. მომავალში, რეალურ პიროვნებებთან დაკავშირების შანსი გეძლევათ. დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 877.45.68.61. ■

ეკა ლომიძე

ირაკლი ალასანია:

სტატუსზე მსჯელობა მათ ისე აღარ აღიზიანებს, როგორც ეს არძინბას დროს ხდებოდა

სუფრის დეტალებს არ მოვყვები, მაგრამ ყეთილგანწყობა იგრძნობოდა...

ახლახან ოქსფორდში დასრულდა ბრიტანული ორგანიზაციის, „შერიგების რესურსების“ ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით ორგანიზებული ქართულ-აფხაზური დელეგაციების შეხვედრა, რომელიც კონფლიქტის მოგვარების მიზნით უკვე მეთოთხმეტედ ჩატარდა. ქართველი ექსპერტების თქმით, ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჟენევის შეხვედრიდან (რომელიც გაეროს ეგიდით იმართება) სულ მოკლე ხანში შედგა და მასში აფხაზური მხარიდან მონაწილეობდა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა, რომელმაც დე ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას ჟენევაში ყოფნისას იმის გამო უსაყვედურა, რომ აფხაზური დელეგაცია ქართველებთან ერთად, რუსების გარეშე გაემგზავრა ტიროლში, არაფორმალური შეხვედრის ჩასატარებლად. ამჯერად კი ლაკობაც რუსების ზედამხედველობის გარეშე შეხვდა ქართველებს. ეს ერთადერთი ფორმატია, რომლის ფარგლებშიც ქართველები და აფხაზები პირისპირ ხვდებიან ერთმანეთს. ამასთან, ამ ფორმატის შეხვედრებს არ ესწრება მასმედია, რის გამოც დეტალებიც თითქმის არ ხმაურდება. ასეთ შეხვედრებზე კონფლიქტის მონაწილე მხარეები უფრო თამამად და გახსნილად საუბრობენ. სწორედ ასეთი დიალოგის წყალობით დღეს უკვე ბევრს მიაჩნია, რომ წლების მანძილზე გამართული უამრავი უშედეგო შეხვედრისგან განსხვავებით, როგორც იქნა, წყლის ნაყვას მოვრჩით. აფხაზეთიდან დევნილთა აზრით, უმჯობესი იქნება, ამიერიდან ქართველები და აფხაზები ყოველგვარი დამსწრეებისა და „მრჩევლების“ გარეშე შეხვდნენ ერთმანეთს – ასე უფრო გამოვნახავთ საერთო ენასო.

*მორიგი შეხვედრა გაეროს ეგიდით შემოდგომაზე გაიმართება, მანამდე კი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე **ირაკლი ალასანია** (რომელიც ოქსფორდშიც იმყოფებოდა) მიიჩნევს, რომ სექტემბრის შეხვედრა ჟენევაში აპრილის შეხვედრისგან რადიკალურად თუ არა, მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება. რა ხელშესახებ შედეგებს მიაღწია ქართულმა დელეგაციამ?*

– ჟენევის შეხვედრას წარმატებულად ვთვლი იმდენად, რამდენადაც აფხაზებთან მართალია, თავიდან დაძაბული, მაგრამ მთლიანობაში, გულღია საუბარი გვქონდა. ამ შეხვედრამ თვალსაჩინო გახადა აფხაზების პოზიცია ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და მათაც გაიგეს ჩვენი პოზიციები იმ საკითხების ირგვლივ, რაც მათ განსაკუთრებით აღელვებთ. საერთაშორისო თანამეგობრობამ კარგად დაინახა, რომ საქართველო ბევრად წინ არის წასული კონფლიქტის მოგვარების საკითხში, ვიდრე ამას აღიქვამს აფხაზური მხარე. ამიტომაც აფხაზებს მოსთხოვეს, იყვნენ უფრო ადეკვატური ქართული მხარის წინადადებათა მიმართ, რაზეც აფხაზები დელიკატურად დაეთანხმნენ. ერთი სიტყვით, ოფიციალური მოლაპარაკებებისა თუ ადამიანური ურთიერთობების კუთხითაც ჟენევის შეხვედრა პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს.

— ჟენევის შეხვედრის შედეგები თითქმის არ გაშუქებულა არც უცხოური და არც ქართული მასმედიით...

– ამ შეხვედრის დასკვნა გაეროსთვის ე.წ. „შიდამოხმარების“ დოკუმენტია და ამიტომაც არ განხილულა იგი ფართო მასშტაბით. თუმცა, ჰაიდი ტალიავინმა მცირე პრესკონფერენცია ჩაატარა. ამ შეხვედრაზე მივაღწიეთ შეთანხმებას, გალის რაიონში მოსახლეობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და აფხაზ და ქართველ სამართალდამცავთა უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის შესახებ. ამასთან, აფხაზებმა განაცხადეს, რომ ქართული ენის სწავლების საკითხსაც გადაწყვეტენ ჟენევის მომავალ შეხვედრამდე. ვისაუბრეთ ასევე გალში, ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაზე. შემოდგომაზე კონკრეტულად ამ თემისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდება ბერლინში. სერიოზული მსჯელობა გვქონდა, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დევნილთა დაბრუნებისა და მათი უსაფრთხოების შესახებ. აფხაზების თქმით, თუ ის ქართველები და აფხაზები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ 1992 წელს, წინასწარი შემზადების გარეშე ისევ ერთმანეთის გვერდით იცხოვრებენ, კონფლიქტის განახლების საშიშროება შეიქმნება. ამიტომაც შევთანხმდით, რომ ორივე მხარის მოსახლეობა მოსამზადებელია. ეს აუცილებელია! აფხაზები ასევე ითხოვენ გარანტიებს, რომ ქართული მხარე არ შეეცდება კონფლიქტის სამხედრო გზით მოწესრიგებას. ჩვენი პოზიცია დეკლარირებული გახლდათ და განვაცხადეთ, რომ მზად ვართ, საერთაშორისო გარანტიებით – წერილობითაც კი გავაფორმოთ ეს ვალდებულება. რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, თუ აღნიშნულს აფხაზების მხრიდან ადეკვატური რეაქცია მოჰყვება და აღიარებენ, რომ დევნილების უსაფრთხო დაბრუნებას შეუწყობენ ხელს. ამაზე ლაპარაკი დაიწყო. მართალია, ყოველივე ორ დღეში არ მოგვარდება, მაგრამ შედეგი აუცილებლად იქნება.

— ჟენევის შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსებიც, ვალერი ლოშჩინინის ხელმძღვანელობით. ხომ არ გამოიწვია მისი გაღიზიანება იმ ფაქტმა, რომ აფხაზებთან ერთად რუსების გარეშე წახვედით სამხრეთ ტიროლში?

– რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი იმდენად გამოცდილი დიპლომატია, რომ ძნელი იყო მისი რეაქციის „გაშიფვრა“. იგი ძალზე დელიკატურად ახდენდა თავისი კეთილგანწყობის დემონსტრირებას და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში წვლილის შეტანის სურვილსაც გამოხატავდა. თუმცა, აფხაზურ მხარეს აშკარად ეტყობოდა შებოჭილობა და იგრძნობოდა, რომ ზეწოლის ქვეშ იყო. მე მქონდა საშუალება, ჟენევისა და სამხრეთ ტიროლის შეხვედრათა შორის კონტრასტი დამენახა. აშკარა იყო, რომ ჟენევაში რუსები ახდენდნენ გავლენას აფხაზებზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს გავლენა იმდენად შესუსტდება, რამდენად წარმატებული იქნება ჩვენი პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან. საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებსაც განვუცხადე, რომ თუ უნდათ,

დაგვეხმარონ კონფლიქტის მოგვარებაში, რაც შეიძლება ხშირად უნდა შეგვახვედრონ ერთმანეთს, ყველა სხვა მხარის მონაწილეობის გარეშე. არსად არ გადაწყდება ეს კონფლიქტი – არც ჟენევაში, არც ვაშინგტონში, არც ბრიუსელში. იგი უნდა გადაწყდეს სოხუმსა და თბილისში.

— შეხვედრების დროს ალბათ ტრადიციულ კავკასიურ სუფრასთანაც შეიკრიბეთ... სადღეგრძელოებიც იყო?

– უმაგისობა ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა, თავდაპირველად, მეც კი გამიჭირდა თუნდაც, ჭიქის აწევა მათთან ერთად, მაგრამ როგორც კი ეს ბარიერი გადავლახეთ, ურთიერთობა ნორმალურად აეწყო. სუფრის დეტალებს არ მოვყვები, მაგრამ ორივე მხრიდან გულწრფელი კეთილგანწყობა იგრძნობოდა.

— ბაგაფშის მოწოდება ჟენევის შეხვედრის წინ, დავივიწყოთ პოლიტიკა და ეკონომიკის ენით ვისაუბროთო, ბევრმა რუსების მორიგ ხრიკად მონათლა...

– არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ეს რუსების ხრიკი იყო. მხოლოდ პოლიტიკური საკითხების განხილვას რომ მივუძღვენით 12 წელი, რა შედეგებამდეც მივედით, კარგად ჩანს. ეკონომიკური მხარე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არ გახლავთ მთავარი, ურთიერთობების მოგვარებისას. ეს არის ხელშემწყობი ფაქტორი, ომით გახლეჩილი ორი მხარის შესარიგებლად. მთავარია, ნდობის აღსადგენად გადავდგათ ნაბიჯი. დამერწმუნეთ, არანაირ პროექტს არ უწერია განხორციელება, თუკი ერთმანეთის მიმართ ელემენტარული ნდობა არ გაგვიჩნდება. ეს კი გაჩნდება უშუალო ურთიერთობის, პლუს ერთობლივი ეკონომიკური (თუნდაც მცირე) პროექტების წყალობით. როგორც კი ქართულ-აფხაზურ მცირე ბიზნესჯგუფებს ერთიანი ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდებათ, შეგვეძლება, ზოგადად, ეკონომიკური რეაბილიტაციის ფართომასშტაბიან პროექტებზეც ვიმსჯელოთ. მცირე პროექტები უკვე არსებობს და მალე განხორციელდება კიდეც.

— რა აზრის ბრძანდებით რკინიგზის გახსნის თაობაზე, რომელსაც აფხაზებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს? საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ 28 აპრილს თბილისში სომეხ კოლეგა ბაღდასარიანთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მოგვარების პროცესში პოლიტიკური პროგრესის მიღწევის შემთხვევაში, მზადაა, განიხილოს ეს საკითხი.

– შევთანხმდით, რომ უახლოეს დღეებში ექსპერტები დაიწყებენ ამ თემაზე მუშაობას და ორივე მხარის ვარიანტებს წარმოადგენენ. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საკითხი პოლიტიკურ დონეზე განიხილება.

— ზოგი ფიქრობს, რომ რკინიგზის გახსნა ქართული მხრიდან შეცდომა იქნება, რასაც „დათბობა“ არ მოჰყვება....

– ვფიქრობ, ქართულ მხარეს მართებს, ბევრად უფრო სულგრძელი იყოს. ჩვენ უნდა შევძლოთ, პირველი ნაბიჯი გადავდგათ შერიგების გზაზე. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ კონფლიქტს, რომელიც 1992 წლის დასაწყისში შედგა, ქართულმა მხარემაც შეუწყო ხელი გაუთვლელი ნაბიჯებით. მაგრამ ახლა ჩვენი ინტერესი საქართველოს გამთლიანება გახლავთ, რადგან ამის გარეშე ქვეყნის განვითარება შეუძლებელია. საქართველოს პრეზიდენტმაც ამიტომ დასახა თავის უმთავრეს მიზნად ქვეყნის გამთლიანება, ამიტომაც, პირველად ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი. ეს უკვე დავიწყეთ, როდესაც შეიარაღებული პარტიზანული ფორმირებები განვაიარაღეთ. ეს ძალზე რთული გახლდათ და ვრწმუნდებით, რომ აფხაზური მხარე ამ ნაბიჯს აფასებს.

— საინტერესოა, რა ბედი ელის აფხაზეთში არსებულ იმ სანატორიუმებს, სასტუმროებსა და დასასვენებელ სახლებს, რომლებიც უკვე გაყიდულია ან იყიდება რუს ბიზნესმენებსა და მაღალჩინოსნებზე? რამდენად აწუხებს ეს საკითხი ე.წ. აფხაზეთის თვითგამოცხადებულ მთავრობას?

– ეს ყველაფერი საერთაშორისო სამართლებრივი და ელემენტარული იურიდიული თვალსაზრისითაც არის უკანონო და ეს მათაც შესანიშნავად იციან, ვინც აფხაზეთში იყიდა რამე. ამიტომაც არ აწარმოებენ აფხაზეთში სერიოზულ კაპიტალდაბანდებას. ჩვენც ამ მხრივ მაინცდამაინც არ ვღელავთ. მართალია, პირდაპირ ხელის შეშლა არ შეგვიძლია, მაგრამ ვფლობთ ყველა ინფორმაციას და თავისუფლად ვახერხებთ იმის გატანას საერთაშორისო არენაზე. რაც ხდება აფხაზეთში, ეს არის უკანონობა და ამჟამინდელ ნებისმიერ კაპიტალდაბანდებას აფხაზეთში ხვალ დაკარგვის რისკი ემუქრება. ასევე ფიქრობს სოხუმის მთავრობაც, თუმცა, ამას პირდაპირ არ (ვერ) აცხადებს, რადგან მათ ინტერესებში შედის, ამ გზით რაც შეიძლება მეტი ფული შეიტანონ ბიუჯეტში. მოგეხსენებათ, რა მძიმე მდგომარეობაც აქვთ მათ ხაზინაში.

— როგორც მახსოვს, თქვენ ჯერ კიდევ ჟენევაში წასვლამდე განაცხადეთ, სანამ აფხაზებს არ უხელმძღვანელებს პროაფხაზური ორიენტაციის ლიდერი, პრობლემის მოგვარებაზე ფიქრიც კი ილუზიაა. რას ფიქრობთ, სოხუმის მთავრობაში იგრძნობა იმ ძალების მოსვლა, რომელიც აფხაზების გადარჩენის გასაღებს საქართველოსთან ტრადიციულ ურთიერთობაში მოძებნის?

– ეს ძალა უკვე მოსულია სოხუმში, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ მათ არ აქვთ საშუალება, დღესვე მოახდინონ თავიანთი პროაფხაზური პოლიტიკის რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებათ განსაზღვრული დრო და ჩვენც მეტი მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ არსებულ ვითარებას. არა მგონია, დრო გაიწელოს. ჩემი აზრით, ერთ წელიწადში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები უფრო სერიოზულ ეტაპზე გადავა...

— აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით თუ იმსჯელეთ?

– არა. თუმცა, დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შამბას განვუმარტე, რომ ეს საკითხი ქართულ საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგანია, რომ ქართველები სერიოზულად ფიქრობენ აფხაზებთან გვერდიგვერდ მშვიდობიან ცხოვრებას და მოვუწოდე მას, ხელი შეუწყოს იმავე პროცესის დაწყებას აფხაზურ საზოგადოებაში. შამბას პოზიციიდან გამომდინარე, სტატუსზე მსჯელობა მათ, ისე აღარ აღიზიანებს, როგორც ეს არძინბას დროს ხდებოდა.

— როგორ ფიქრობთ, რა ზეგავლენას მოახდენს ბუშის ჩამოსვლა კონფლიქტის მოგვარების პროცესზე?

– ეს იქნება კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოებრიობის უმაღლესი მხარდაჭერა. კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. რუსეთი იგრძნობს, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ხოლო აფხაზებს, მგონი, უკეთესი გარანტია აღარც სჭირდებათ იმისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით აპირებს კონფლიქტის მოგვარებას...

■

ახალგაზრდა კაცი ცოლის ბაბუის მკვლელობისთვის დააკავეს

„გადავწყვიტე, ბოლო მომეღო ავადმყოფის ტანჯვისთვის...“

23 წლის ახალგაზრდა — ოზურგეთში მცხოვრები ზაზა ყაველაშვილი სამართალდამცავებმა ცოლის ბაბუის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისათვის დააკავეს. როგორც პროკურატურა იუწყებოდა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი კაცი, ღვიძლი შვილიშვილის ქმარმა საწოლში მოგუდა, თანაც ეს სავსებით გაცნობიერებულად, წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. ახლახან გამართულ სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა ამ დანაშაულისთვის ყაველაშვილის 12 წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯა მოითხოვა. თუმცა, პროკურატურის წარმომადგენლისთვის, ისევე, როგორც პროცესზე დამსწრეთათვის მოულოდნელად, სასამართლომ განსასჯელის ბედი სხვაგვარად გადაწყვიტა...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დანაშაული ასეთ ვითარებაში მოხდა: ქალაქ ოზურგეთში, გორკის ქუჩის №16-ში მცხოვრები, 85 წლის მარტოხელა მოხუცი — კვიპროსი სურგულაძე ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა და ამის გამო, ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჯანმრთელობის შერყევას იგი 2003 წლის ივლისიდან მოყოლებული უჩიოდა, მაგრამ აგვისტოს შუა რიცხვებში, მისი მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა. ექიმების თქმით, მოხუცს დისცირკულატორული ენცეფალოპათია — ანუ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის უკმარისობა სჭირდა. მას შემდეგ, რაც კვიპროსი სურგულაძე ლოგინად ჩავარდა, მასზე მზრუნველობა შვილიშვილმა — თბილისში მცხოვრებმა ნინო კვარაცხელიამ და მისმა მეუღლემ, ზაზა ყაველაშვილმა ითავეს. ამის მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ავადმყოფს სხვა ახლო ნათესავი არ გააჩნდა. ბაბუის მოვლაში ახალგაზრდებს, ოზურგეთში მეზობლად მცხოვრები ირინა დარჩია ეხმარებოდა.

გარდა იმისა, რომ კვიპროსი სურგულაძე დავრდომილი და საწოლს მიჯაჭვული იყო, მას მეტყველების უნარიც დაქვეითებული ჰქონდა. მისი მოვლა განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებდა, ყოველივე ეს კი, ხარჯებთან იყო დაკავშირებული და როგორც პროკურატურა აღნიშნავს, გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა ზაზა ყაველაშვილს. სამართალდამცავთა თქმით, რაც დრო გადიოდა, ახალგაზრდა სიძე მით უფრო ღიზიანდებოდა და ბრაზობდა, ერთ დღეს კი, მოხუცის მოვლა-პატრონობით თავმობეზრებულმა, მისი მოკვლა და ამ გზით, აღნიშნული პრობლემისგან საბოლოოდ გათავისუფლება გადაწყვიტა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ყაველაშვილმა ეს შემზარავი განზრახვა 2003 წლის 22 აგვისტოს მოიყვანა სისრულეში. დაახლოებით დღის 3 საათისთვის იგი შევიდა მოხუცის საძინებელ ოთახში, აიღო ბალიში და ლოგინში გულაღმა მწოლიარე სურგულაძეს სახეზე დააფარა. ისედაც ძალაგამოცლილი ავადმყოფი ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევდა მას. 2-3 წუთში ის მოიგუდა. როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოგვიანებით განმარტეს, კვიპროს სურგულაძეს ბალიშით მოგუდვის შედეგად სასუნთქი გზები გადაეკეტა, რამაც მექანიკური ასფიქსია გამოიწვია და სწორედ ეს გახდა სიკვდილის უშუალო მიზეზიც. სამართალდამცავთა თქმით, როცა ყაველაშვილი დარწმუნდა, რომ თავისი მზაკვრული განზრახვა სისრულეში მოიყვანა და მოხუცს, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლე მოუსწრაფა, მან კვალის დაფარვაზეც იზრუნა. ამ მიზნით, ბალიში ბუხარში შეაგდო და დაწვა, ცოლს — ნინო კვარაცხელიას კი უთხრა, რომ ბაბუამისი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

სიკვდილის ბუნებრიობაში თავდაპირველად, ეჭვი არავის შეჰპარვია და ჩადენილი დანაშაულის შესახებ ალბათ, ვერავინ შეიტყობდა, რომ არა მეზობლად მცხოვრები ახალგაზრდა ქალი. ირინა დარჩია, როგორც თავად აცხადებდა (და ეს შემდეგ, გამოძიებითაც დადასტურდა), მომხდარი ფაქტის ერთადერთი თვითმხილველი იყო. თუმცა, მკვლელობის შესახებ მან, სურგულაძის გარდაცვალებიდან მხოლოდ 5 თვისა და 3 დღის შემდეგ განაცხადა. *„ნანახს აქამდე არ ვამხელდი, რადგან ყაველაშვილი ანგარიშსწორებით დამემუქრა და მეშინოდა“*, — განმარტა ირინა დარჩიამ.

თავდაპირველად, მომხდარის თაობაზე დარჩიას მეზობლებისთვის უთქვამს, შემდეგ კი — გარდაცვლილის რძლის — ნორა ღლონტისთვისაც გაუმჟღავნებია ეს ამბავი. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის სახით დაკითხულმა **ღლონტმა** განაცხადა: *„2003 წლის აგვისტოში ხშირად ვაკითხავდი ლოგინად ჩავარდნილ, ხანდაზმულ მაზლს. მას მეზობლად მცხოვრები ირინა დარჩია უვლიდა. ჩემი მაზლის შვილიშვილი — ნინო კვარაცხელია და მისი ქმარიც იმ პერიოდში ოზურგეთში იმყოფებოდნენ. 22 აგვისტოს, დაახლოებით ოთხის ნახევარი იქნებოდა, როცა კვიპროსის სახლში მივედი და ის გარდაცვლილი დამხვდა. მაშინ არავის გაგვჩენია რაიმე ეჭვი მისი ძალადობრივი სიკვდილის შესახებ. ჩემი მაზლი ქრისტიანული წესით დავასაფლავეთ, გარდაცვალების 40 დღეც აღვნიშნეთ და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ მითხრა ირინა დარჩიამ, რომ მოხუცი მის თვალწინ მოგუდა ზაზა ყაველაშვილმა. ისიც თქვა, ზაზა ანგარიშსწორებით დამემუქრა, თუკი ნანახს გავამხელდიო. თანაც წუხდა ამის შესახებ — ცოდვა მაწევსო, — ამბობდა. მოგვიანებით, ირინასთან საუბარი მალულად ჩავიწერე აუდიოფირზე, რაც შემდეგ გამოძიებას წარვუდგინე“.*

მართლაც, საქმის მასალებში არსებული, 2004 წლის 3 ივლისის ოქმის თანახმად, ნორა ღლონტმა ოზურგეთის რაიონულ პროკურატურას აუდიოკასეტა გადასცა და განმარტა, რომ ფირზე, მომხდარი მკვლელობის შესახებ მისი და ირინა დარჩიას საუბარი იყო ჩაწერილი. თუმცა, წარდგენილი აუდიოკასეტა გამოძიებამ მტკიცებულებად არ ცნო. ამის მიზეზი, სამართალდამცავთა თქმით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა გახლდათ. ექსპერტებს აუდიოკასეტა გამოსაკვლევად გადაეგზავნათ, მიმართვაში კი ისინი აღნიშნავდნენ, რომ ფირის გამოკვლევის შედ-

ეგად ვერ დადგინდა, თუ რამდენი პირის საუბარი იყო დაფიქსირებული მასზე და ასევე, ჰქონდა თუ არა ადგილი აუდიოჩანაწერის მონტაჟს. შესაბამისად, კასეტას მტკიცებულების ძალა არ გააჩნდა.

რაც შეეხება ირინა დარჩიას, მან 2004 წლის 25 იანვარს მიმართა განცხადებით გურიის სამხარეო პოლიციის უფროსს. დარჩიას იმავე დღეს დააწერინეს დაწვრილებითი ახსნა-განმარტება. მას ასევე ჩამოერთვა ხელწერილი, ცრუდასმენისთვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ირინა დარჩიას ჩვენებიდან:

„ნინო კვარაცხელია ჩემი ბავშვობის მეგობარია. ბაბუამისის მეზობლად ვცხოვრობდი. იმის გამო, რომ ოჯახში პრობლემები შემექმნა, ნინოს ვთხოვე – დროებით საცხოვრებლად ბაბუაშენის სახლში გადავალ, ამის სანაცვლოდ კი, ლოგინად ჩავარდნილ მოხუცს მოვუვლიმეთქი? ნინომ და მისმა მეუღლემ მთხოვეს, დაუყოვნებლივ გადავსულიყავი სურგულაძის სახლში და ავადმყოფისთვის როგორმე მომევლო. კვიპროს სურგულაძეს საშინელი ტკივილები აწუხებდა, ხშირად წუხდა და ამბობდა: ქრისტიანები თუ ხართ, მომკალით, ასეთი სიცოცხლე აღარ შემიძლიაო... იმ დღეს – 22 აგვისტოს, მოხუცის საძინებელ ოთახში ვიყავი, ავადმყოფს წყალს ვასმევდი. ამ დროს შემოვიდა ზაზა ყაველაშვილი. მწოლიარეს მიუახლოვდა, მას ბალიში თავზე დაადო და მთელი ძალით დააჭირა. ასე ეჭირა ბალიში მანამ, სანამ მოხუცი არ გაიგუდა. შემდეგ ბალიში ბუხარში დაწვა, მე კი, ნანახის გამხელის შემთხვევაში, ანგარიშსწორებით დამემუქრა“.

დარჩიამ იგივე გაიმეორა მორიგი დაკითხვებისა და ზაზა ყაველაშვილსა და მის მეუღლესთან დაპირისპირების დროსაც. მიღებული ახსნა-განმარტების შემდეგ, პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსმა მასალები გურიის საოლქო პროკურორს გადაუგზავნა; პროკურორმა, თავის მხრივ, ისინი ოზურგეთის რაიონულ პროკურორს გადასცა. ამ მომენტამდე, კვიპროს სურგულაძის ძალადობრივი სიკვდილის შესახებ პოლიციის სამმართველოსა და პროკურატურას არანაირი მონაცემი არ გააჩნდა. დარჩიას განცხადების შემდეგ კი, გვამის ექსჰუმაციის საკითხიც დადგა. აუცილებელი გახდა, გაერკვიათ, აღენიშნებოდა თუ არა გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის ნიშნები. ექსჰუმაცია ოზურგეთის სასაფლაოზე მკვლელობიდან 5 თვის შემდეგ, 2004 წლის 28 თებერვალს განხორციელდა. მაშინ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ აღინიშნებოდა გვამის ლპობა, თუმცა, მათი დასკვნის თანახმად, აღმოჩენილი იქნა ასფიქსიის ნიშნებიც.

ამ დასკვნას საქმის მასალებში არსებული მეორე – სასამართლო-სამედიცინო კრიმინალისტთა ასოციაცია „თაგესის“ მიერ გაკეთული დასკვნა ეწინააღმდეგება. საჭირო გახდა კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.

ამ შემთხვევაში, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სიკვდილის უშუალო მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო გვამის მნიშვნელოვანი ლპობითი ცვლილებების გამო.

ირინა დარჩიას მამხილებელი ჩვენების საფუძველზე დაკავებულმა ზაზა ყაველაშვილმა, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ყველაფერი დაადასტურა. თუმცა, წინასწარი გამოძიების პერიოდში მიცემულ ჩვენებებში დანაშაულის განზრახვა კატეგორიულად უარყო და აღნიშნა, რომ მკვლელობა მან თავად მოხუცის თხოვნით ჩაიდინა.

„გარდაცვალებამდე 10-12 დღის განმავლობაში, მოხუცი თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, აწუხებდა საშინელი ტკივილები და ლოგინს იყო მიჯაჭვული. როცა თავს ვადექით, მეხვეწებოდა: მომკალით, ამდენი ტკივილის ატანა აღარ შემიძლია, ქრისტიანები არა ხართო? 22 აგვისტოს, 3 საათისთვის, მის ოთახში შევედი, ირინა დარჩიაც იქ იყო და წყალს ასმევდა მოხუცს. მაშინ გადავწყვიტე, ბოლო მომელო ავადმყოფის ტანჯვისთვის, ამიტომაც დავაფარე ბალიში და მოვგუდე. ირინა დარჩია იქვე იდგა და შიშისგან ხმას ვერ იღებდა. გავაფრთხილე – მომხდარის შესახებ არავის უთხრა-მეთქი. ამის სანაცვლოდ, მოგვიანებით, მას სამედიცინო მკურნალობის საფასური გადავუხადე“, – წერს ყაველაშვილი.

ამ შინაარსის ჩვენებები მისცა მან ეჭვმიტანილად დაკითხვისას და დარჩიასთან დაპირისპირების დროს. პროკურატურა მის სიტყვებს სარწმუნოდ არ მიიჩნევდა. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მოხუცი ყაველაშვილს ვერ სთხოვდა, მომკალიო, – რადგან მას მეტყველება ჰქონდა დაქვეითებული. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ავადმყოფის ამ სიტყვებს თავის ჩვენებაში, სხვა მოწმეებთან ერთად, დარჩიაც აფიქსირებს.

სასამართლო პროცესზე განსასჯელმა წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებებიც უარყო. 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა: *„ჩემს ცოლთან ერთად ვუვლიდი მოხუცს, ჩვენ მისი მემკვიდრეები ვიყავით. 2003 წლის 22 აგვისტოს სახლში არ ვიყავი; შინ როცა დავბრუნდი, ის უკვე გარდაცვლილი დამხვდა. ის მე არ მომიკლავს. ბრალი დანაშაულში მხოლოდ ირინა დარჩიას ჩვენებების საფუძველზე დამდეს. დარჩიას მსგავსად, მეც იძულებული გამხადეს, დამეწერა, თითქოს მკვლელობა ჩავიდინე“.*

სასამართლო სხდომაზე ირინა დარჩიამაც განაცხადა სამართალდამცავთა მხრიდან ზეწოლის შესახებ, მაგრამ კოლეგიამ უფრო სარწმუნოდ მისი – ისევე როგორც განსასჯელის, – წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები მიიჩნია. კოლეგის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სურგულაძის სიკვდილის უშუალო მიზეზი ზუსტად ვერ დადგინდა, სასამართლო სხდომაზე მოპოვებული და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მოხუცის გარდაცვალება ყაველაშვილის მიერ ჩადენილმა, ძალადობრივმა ქმედებამ გამოიწვია. *„ყაველაშვილი და მისი მეუღლე სურგულაძის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ და ამდენად, განსასჯელს არ შეიძლებოდა, ჰქონოდა მისი სიცოცხლის მოსპობის მოტივი, გარდა ფიზიკური ტკივილისა და ტანჯვისაგან მოხუცის, მისივე თხოვნით, გათავისუფლებისა“*, – წერია განაჩენში. აქედან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ პროკურატურის მიერ წაყენებული 109-ე მუხლი – 110-ე მუხლზე (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) გადაკვალიფიცირა. განსასჯელის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია ის, რომ ყაველაშვილი წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა და ჰყავს მცირეწლოვანი შვილი. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლომ განსასჯელს არა 12 წლით, არამედ 110-ე მუხლის გათვალისწინებით, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელს, განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებული საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის.

■

მეზობლების ჩხუბი სისხლის ღვრით დასრულდა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ 32 წლის ონისე ხვინგიას მიმართ რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა. აღნიშნული განაჩენით, დანაშაულისთვის ხვინგიას 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული — 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. როგორც განაჩენშია აღნიშნული, ცოლშვილიანმა და დროებით უმუშევარმა ხვინგიამ ჩხუბის დროს, დანით სასიკვდილოდ დაჭრა მეზობელი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში მცხოვრებ ონისე ხვინგიას ოჯახს სახლის ეზოში პროდუქტების მაღაზია ჰქონდა გახსნილი. 2003 წლის ნოემბერში ეს მაღაზია გაქურდეს, ხვინგიებმა კი, ეჭვი მეზობლად მცხოვრებ გოგიტა და ელგუჯა ხუფენიებზე მიიტანეს. აღსანიშნავია, რომ მომხდარ ფაქტამდე, ხვინგიებსა და ხუფენიების ოჯახებს ერთმანეთთან ნორმალური მეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. ქურდობის შემდეგ კი ხუფენიებისადმი ხვინგიების დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა. ონისე ხვინგიამ ისინი გააფრთხილა კიდეც — ჩემს ოჯახში ფეხი არასდროს შემოდგათო.

2004 წლის 7 თებერვალს გოგიტა ხუფენია, გაფრთხილების მიუხედავად, ხვინგიასთან არყის შესაძენად მივიდა. ხვინგიამ მას შეახსენა: ხომ იცი, ჩემთან მოსვლა გეკრძალებაო, — და გაბრაზებულმა, ჯერ ხელი გაარტყა მას, ხოლო შემდეგ, სახლიდან გააგდო. დაახლოებით 2-3 საათის შემდეგ, ონისე ხვინგიას ელგუჯა ხუფენიამ მიაკითხა, იგი ეზოში გაიხმო და გაბრაზებულმა, ბრმა და ლაჩარი უწოდა მას, თან უთხრა, რომ არასდროს აპატიებდა გოგიტა ხუფენიასთვის ხელის გარტყმას. ხუფენიასა და ხვინგიას შორის ურთიერთშელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. სწორედ ამ დროს, ხვინგიამ შემთხვევით ფეხი დააბიჯა დაგდებულ დანას, აიღო იგი და ხუფენიას გულმკერდის არეში ჩაარტყა. დანის დარტყმის შედეგად, ელგუჯა ხუფენიამ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო, ჭრილობა შემავალი აღმოჩნდა, რამაც გულის მარცხენა პარკუჭი დაუზიანა. დაჭრილმა დაახლოებით 50-60 მეტრის გარბენა კი შეძლო, მაგრამ შემდეგ, ძალაგამოცლილი დაეცა და ადგილზევე გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტზე იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ჩადენილი დანაშაულისათვის დაკავებულმა ონისე ხვინგიამ განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო. სასამართლო პროცესზე, განსასჯელის ადვოკატმა 108-ე მუხლის — 113-ე მუხლზე (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) გადაკვალიფიცირება მოითხოვა, რადგან, მისი მტკიცებით, ონისე ხვინგიამ სწორედ ასეთ ვითარებაში — კერძოდ, თავდაცვის დროს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა ხუფენიას. სააპელაციო პალატამ ადვოკატის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. დამცველის ასეთი პოზიცია არ გაითვალისწინა არც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ. პალატის მოსამართლეების თქმით, ადგილი ჰქონდა შურისძიების მოტივით ჩადენილ განზრახ მკვლელობას და არა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას. აქედან გამომდინარე, პალატამ სასჯელი უცვლელად დატოვა.

■

მკვლელობა და ცხოველთან სასტიკი მოპყრობა — ასეთია განაჩენი

თერჯოლელი, 48 წლის ვალერიან პირველაშვილს მოსამართლეებმა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა (მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით) განზრახ მკვლელობისა და ცხოველთან სასტიკი მოპყრობისათვის მიუსაჯეს. როგორც ირკვევა, პირველაშვილმა მეზობლად მცხოვრებ გ. გუბელაძეს ველოსიპედის ქურდობაში დასდო ბრალი და ამით განაწყენებულმა, მისი მოკვლა განიზრახა.

2003 წლის 16 ივლისს, ღამის ორის ნახევრისთვის, იგი ჩუმად მიუახლოვდა, საკუთარ მანქანაში მძინარე გუბელაძეს და სამჯერ ჩაარტყა დანა გულმკერდისა და მუცლის არეში. პირველაშვილმა დანით დაჭრა ასევე, გუბელაძის გვერდით მწოლიარე, მძინარე ძაღლი, რათა ცხოველს ყეფა არ აეტეხა და ამით ვინმეს ყურადღება არ მიეპყრო. იმის გამო, რომ დარტყმები ძლიერი არ აღმოჩნდა, გუბელაძემ მხოლოდ მსუბუქი დაზიანებები მიიღო. გაღვიძებული, ის მაშინვე დაედევნა პირველაშვილს, დაახლოებით 40 მეტრის გარბენის შემდეგ დაეწია მას და ჰკითხა, რატომ დაარტყა დანა და რატომ კლავდა? პირველაშვილმა, ახსნა-განმარტების სანაცვლოდ, მას მეოთხედ — ამჯერად გაცილებით ძლიერად ჩაარტყა დანა მარცხენა ლავიწის არეში და შემავალი ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მაშინვე დაეცა მიწაზე და ადგილზევე გარდაიცვალა. როცა დარწმუნდა, რომ გუბელაძე მკვდარი იყო, პირველაშვილმა მიატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა.

მოგვიანებით, დაკავებულმა პირველაშვილმა განაცხადა, რომ მას გუბელაძის მკვლელობა განზრახული არ ჰქონია. სასამართლო პროცესზე მისმა ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ პირველაშვილმა დანაშაული, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩაიდინა, ხოლო ძაღლი ავტომანქანაში საერთოდ არ უნახავს. პალატის მოსამართლეების თქმით, განზრახ მკვლელობის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით: შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების ოქმებით, სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური და სხვა ექსპერტიზის დასკვნებით. ხოლო რაც შეეხება ძაღლს, მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ ამის თაობაზეც არსებობს საკმაოდ მყარი მტკიცებულება და მათ, ზესტაფონის რაიონის მთავარი ვეტექიმის მიერ შედგენილ აქტზე მიუთითეს. შესაბამისად, პირველაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენიც ძალაში დარჩა.

■

რას შეცვლიდა საკუთარ გარეგნობაში ნათია მაქაცარია?

სამოდელო სააგენტო „ნატალის“ წარმომადგენელი, ნათია მაქაცარია თავისი ძირითადი საქმით ამჟამად დაკავებული არ არის, რადგან ამ სფეროში პრაქტიკულად არაფერი ხდება. სამაგიეროდ, ნათიამ საკუთარი მცირე ბიზნესი წამოიწყო და პირადი ცხოვრებისთვისაც მოიცალა.

ეკა მინდაძე

— ნათია, როგორ ხარ, სად დაიკარგე?

— რა ვიცი, თბილისში ვარ და თავსაც მშვენივრად ვგრძნობ.

— საქართველოში სამოდელო ბიზნესი რატომ ჩაკვდა? იმიტომ ხომ არა, რომ მაკა ასათიანი წავიდა?

— რა თქმა უნდა. საქართველოში მაკა ასათიანის სამოდელო სახლი იყო ყველაზე მოქმედი. ის წელიწადში ორ ან სამ ჩვენებას აწყობდა და ასევე სხვადასხვა კვირეულშიც მონაწილეობდა. ავთო ცქვიტინიძემ ჩვენ — ქართველ მოდელებს წიხლი გვკრა, თქვა — რუსები მირჩევნიაო. თამუნა ინგოროყვაც უცხოელებისკენ გადაიხარა. ეტყობა, ეს ადამიანები ხედავენ, რომ საქართველოში არ იყიდება მათი შექმნილი ნაწარმი, მათი მცირე ბიზნესი არ მუშაობს და აქედან გამომდინარე, კომერციული თვალსაზრისით, არ არის ხელსაყრელი აქ მუშაობა. ყოველივე ამის გამო, ყველაზე ცუდ დღეში მოდელები აღმოვჩნდით.

— ამჟამად რას საქმიანობ?

— ამჟამად, გარდა იმისა, რომ სამოდელო სააგენტო — „ნატალიში“ ვმუშაობ, მაქვს ჩემი ბიზნესიც, რომელიც 3 თვეა, რაც წამოვიწყე.

— ამბობენ, ნათია მაქაცარიას მეორადი ტანსაცმელის მაღაზია აქვსო, მართალია?

— არა, რას ლაპარაკობ?! ეს არის საშინელი ტყუილი. ჩემს მაღაზიაში საკმაოდ პრესტიჟული ფირმების ტანსაცმელი იყიდება.

— თავის დროზე, შენი მშობლები როგორ შეხვდნენ იმას, რომ მოდელის პროფესია აირჩიე?

— თავიდან მამაჩემს, ბუნებრივია, არ უნდოდა, რომ მოდელი გავმხდარიყავი. მაგრამ მერე, როცა ჟურნალებსა და ტელევიზორში მნახეს, მოეწონა და ჩემით ამაყობდა კიდეც. მშობელმა არასოდეს არ უნდა დაუშალოს მოდელობა შვილს, თუ ის ამას სწავლის ხარჯზე არ აკეთებს — რადგან უმთავრესი მაინც სწავლა და კარგი განათლების მიღებაა. სამოდელო კარიერა 5-დან 10 წლამდე გრძელდება, ხოლო შემდეგ, თუ სხვა პროფესია არ გაქვს, უსაქმოდ დარჩები, რადგანაც შენს ადგილს შენზე ნორჩები და ლამაზები დაიკავებენ.

— შენ რა პროფესიას დაეუფლე?

— მე, თუ შეიძლება, ასე ითქვას, პიარის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ჩემი პროფესიით არ ვმუშაობ. თუმცა, ხშირად მიწევს „პიარისტული“ დატვირთვით ამა თუ იმ ღონისძიებაზე გამოსვლა.

— გაიხსენე შენი პირველი ჩვენება.

— პირველად, 10 წლის წინ — 12 წლის ასაკში გამოვედი ჩვენებაზე, რომელიც გვანცა ჯანაშიამ მოაწყო.

— რომელი დიზაინერის ჩვენებამ მოგიტანა წარმატება?

— არც ერთმა. ეს ხომ ჩვეულებრივი ჩვენებებია. სილამაზის კონკურსი ის არ არის, რომ უცებ გაღიარონ. თან, მოდელს კი არ აღიარებენ — მთავარი ყურადღება დიზაინერის ნამუშევარს ექცევა. რაც შეეხება ჩემს წარმატებას — საქართველოში იმაზე მეტი რა წარმატება უნდა მქონდეს, რაც უკვე მაქვს, როგორც მოდელს?! როდესაც ხალხი შენს სახეს ცნობს, ამაზე მეტი წარმატება გამორიცხულია.

— ერთი ჩვენებისთვის ქართველ მოდელს რა თანხას უხდიან?

— ჩვენებას გაჩნია. სამუშაო დღე ჩვენებაზე 150 დოლარია. მაგრამ ამას წინ უძღვის რეპეტიციები, მოზომება და ფოტოგადაღება, ამიტომ ეს ყველაფერი შეიძლება, 250 დოლარამდე ავიდეს.

— როგორი უნდა იყოს პროფესიონალი მოდელი?

— მოდელი უნდა იყოს აუცილებლად მოწესრიგებული და შრომისმოყვარე. ნამდვილი პროფესიონალი მოდელი სულ ფორმაში უნდა იყოს. მე ვიცნობ მოდელებს, რომლებიც მთელი ღამე კლუბებში ერთობოდნენ და მეორე დღეს, დილის 10 საათზე ისეთ ფორმაში იყვნენ, რომ გეგონებოდა, ჩვენებამდე ერთი კვირა რომელიმე კუნძულზე ისვენებდნენ... მოდელი უნდა იყოს აგრეთვე მიმწოლი და ამავე დროს, მომთმენიც: რაღაცას რომ მიაღწიო, ამისათვის გარკვეული დროა საჭირო.

— თუ გყავს იდეალი ცნობილ მოდელებს შორის?

— იდეალური მოდელია კეიტ მოსი, რომელმაც დაანგრია სტერეოტიპი თითქოს პოდიუმზე მხოლოდ მაღალი, ულამაზესი, „აწყობილი“ გოგონები უნდა გამოდიოდნენ. ვფიქრობ, იდეალურია აგრეთვე ნაომი კემპბელი, რომელიც პირველი შავკანიანი მოდელი გახლდათ.

— ფიგურის შენარჩუნება ხომ არ გიძნელდება?

— მართალი გითხრა, არ მიყვარსს ვარჯიში. სხვათა შორის, იყო პერიოდი, როცა ბევრს ვწვალობდი სასურველი ფიგურის მისაღწევად — კიდეც „ვდიეტობდი“ და ისეთი რაღაცებიც მიცდია, რის შესახებაც ხშირად გვსმენია ტელეეკრანიდან — სხვადასხვა აფერისტობას ვგულისხმობ... ამ ყველაფერს არანაირი შედეგი არ მოუტანია. მე მუდმივად ერთ წონაზე ვარ გაჩერებული — 60-დან 64 კგ-მდე. ერთადერთხელ ვიყავი 56 კგ, ისიც — ავადმყოფობის დროს. მაშინ მივხვდი — გამხდარი რომ ვიყო, ავად უნდა გავხდე... ამიტომ მირჩევნია, ჩემი „ჯანმრთელი“ წონა რაც არის, ის მქონდეს.

— გურმანი თუ ხარ?

— კი, ჭამა ძალიან მიყვარს. ვთვლი, რომ ჭამა ერთ-ერთი უდიდესი სიამოვნებაა, რომელიც ძნელია, ადამიანმა მოიკლოს. ძალიან მიყვარს ხორციანი კერძები, გემრიელად მომზადებული სოუსი და ქათმის ჩახოხბილი.

— თავად თუ გეხერხება კერძების მომზადება?

— რასაც ვაკეთებ, ყველაფერი გემრიელი გამომდის, მაგრამ სამზარეულოში საფუსფუსო დრო ნაკლებად მაქვს.

— პირველად დამოუკიდებლად რა ასაკში ჩაიცვი?

— მე ყოველთვის დამოუკიდებლად ვიცვამდი. დედა ჩემს ჩაცმულობაში არასოდეს

ერეოდა. ის ახლა უფრო ერევა, რომ მზედავს, ამხელა ქალს სულ ქუჩურად მაცვია. ხშირად მეუბნება: ცოტა ქალურად ჩაიცვიო.

— ჩაცმის რომელ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— ყოველდღიურს — ასე ვთქვათ ქუჩურს: მიყვარს ჯინსი, ბოტასი და „ზმეიკიანი“ „კურტკა“. რა თქმა უნდა, გამოსასვლელ კაბებსაც ვიცვამ. არ მიყვარს, როცა არ იციან, სად რა უნდა ჩაიცვან; როცა წვეულებაზე გამოპრანჭული ვარ და ჩემ გვერდით ვიღაცას „დუტი“ ჟილეტი აცვია. იმ მომენტში უხერხულად ვგრძნობ ხოლმე თავს, ქუსლებზე „შემხტარი“...

— ტანსაცმლის ხარისხს ანიჭებ უპირატესობას თუ ფასს?

— ხარისხს. ისე, ყოფილა შემთხვევა, როცა მაღაზიაში 100 ლარად მიყიდია რაღაც და მერე, ზუსტად ისეთივე, ბაზრობაზე მინახავს, 20 ლარად. ეს, რა თქმა უნდა, შოკის მომგვრელია. ამიტომ ძირითადად, ტანსაცმელს ან ვიკერავ, ან უცხოეთში ვყიდულობ ხოლმე.

— აქსესუარებიდან რას გამოყოფ?

— ძირითადად, მხოლოდ საყურეს ვხმარობ. იმასაც, სახლში შესულიც კი არ ვარ, სადარბაზოშივე ვიხსნი ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონს ოქროს სამკაულები, მხოლოდ ბიჟუტერიას ვატარებ.

— ხშირად იცვლი ვარცხნილობას?

— ძალიან. მახსოვს, ერთმა ტიპმა ნახევარი წლის განმავლობაში სამჯერ მნახა და ვერც ერთხელ ვერ მიცნო, სამჯერვე სხვადასხვაგვარი ვარცხნილობა მქონდა... პირველად, გრძელი და სწორი თმით მნახა, მეორედ — დახვეულით და მესამედ — მოკლე ვარცხნილობით.

— ქალში მთავარი რა არის?

— სახე. თუ ამას კარგი ფიგურა, სიმაღლე და გემოვნებიანი ჩაცმულობაც ახლავს თან, ეს ხომ მთლად გადასარევია. ჩემი აზრით, ქალმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ლამაზად გამოიყურებოდეს. თუ საჭიროა, პლასტიკური ოპერაციაც უნდა გაიკეთოს.

— თუ შეცვლიდი შენს გარეგნობაში რაიმეს?

— ბევრ რამეს. ძალიან მინდა, უფრო გამხდარი ვიყო, მწვანე ფერის თვალები და სქელი თმა მქონდეს...

— ამჟამად ვისთან ერთად ცხოვრობ?

— დედასთან და ჩემს ვაჟთან ერთად.

— ბავშვისთვის დრო თუ გრჩება?

— ლადუკა, მიუხედავად იმისა, რომ ორწლინახევარისაა, სულ არ არის პრობლემური ბავშვი. მის აღზრდაში ძალიან მეხმარება დედაჩემი, თუმცა, მეც ვცდილობ, ბავშვს ყურადღება და მზრუნველობა არ მოვაკლო.

— მიზანშეწონილად მიგაჩნია თუ არა, ბოიფრენდის ინსტიტუტის არსებობა?

— კი, რა თქმა უნდა. თუ გინდა, უნდა გყავდეს *(იცინის)*... იცი, რა, ალბათ ეს დრომ მოიტანა. შეიძლება, ბევრი არ აღიარებს, მაგრამ დრო მოვა და ამ ფაქტს აღარავინ დამალავს. ცხოვრება ისეთი რამ არის, თუ ადამიანი ყველაფერში არ გამოსცადე, სიდან უნდა იცოდე, რომ მას სიცოცხლის ბოლომდე აიტან? განა, არ სჯობია, რომ ჯერ ადამიანი კარგად შეისწავლო და მერე გადადგა სერიოზული ნაბიჯი?!.. ბევრ ისეთი გოგოს ვიცნობ, რომლის მშობლებსაც ჰგონიათ, რომ სასახელო შვილი ჰყავთ, ამ დროს კი, ხან ვისთან არის და ხან — ვისთან... ამას არ სჯობია, ერთი გყავდეს და მასთან სტაბილური ურთიერთობა გქონდეს?!

— თავად ხომ არ გყავს ბოიფრენდი?

— არა. მე მყავს საქმრო, რომლის ვინაობას ჯერჯერობით არ გავამხელ.

— ახლო მომავალში გათხოვებას ხომ არ აპირებ?

— რა თქმა უნდა, ვაპირებ, მაგრამ როდის, ჯერ არ ვიცი. საბოლოო ჯამში, ქალისათვის აუცილებელია ქმარი. რა სჯობია, სიბერეში მეუღლესთან ერთად ხელიხელჩაკიდებულ სიარულს!..

— როგორია შენთვის სასურველი მამაკაცი?

— მამაკაცი პირველ რიგში, ძალიან ყურადღებიანი უნდა იყოს. იმდენად ყურადღებიანი, რომ დრო არ დაგიტოვოს იმაზე ფიქრის, ვაითუ, ეს ის ადამიანი არ არის, ვინც მე მჭირდებაო?!. საერთოდ, მამაკაცებთან მიმართებაში ძალზე მკაცრი ვარ. ის აუცილებლად ერთგული უნდა იყოს. მე ისეთი

მხარში დგომა ვიცი, რომ ამაში ვერავინ შემედრება... მამაკაცი უნდა მამშვიდებდეს, ყოველდღიურად. ცხოვრება ისედაც რთულია, ამიტომ გვერდით ისეთი ადამიანი უნდა გყავდეს, ვისაც მხარზე თავს დაადებ, გულს გადაუშლი და მორალურად დაისვენებ...

— თაყვანისმცემლები ხშირად გაწუხებენ?

— არსებობენ და მაწუხებენ კიდეც. ზოგს, ჩემი აზრით, უნდა აკლდეს კიდეც თავში *(იცინის)*... ისეთებიც არიან, რომლებმაც სიტყვა „არას“ მნიშვნელობა არ იციან ან არ უნდათ, რომ გაიგონ. მე კიდევ, 16 წლის აღარა ვარ, რომ მათ ავყვე. პატარა რომ ვიყავი, ყველას ვუყვარდი და მოვწონდი, მაგრამ გავიდა დრო და ეს ასე აღარ არის. დღეს ახლები გვყავს — ლამაზები და ნორჩები, რომელთაც ბიჭები დასდევენ *(იცინის)*... თაყვანისმცემლების თემასთან დაკავშირებით, ერთი კურიოზი მახსენდება. რამდენიმე თვის წინ, მობილურზე მირეკავს ვიღაც ბიჭი და მეუბნება — შენზე ვგიჟდებიო, — და რომ დამიწყო სიყვარულის ახსნა, შუა გზაში გაჩერდა და მეუბნება — ოღონდ, ახლა ანგარიშზე ფული აღარ დამრჩა და შენ გადმომირეკეო!..

— ალბათ შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მამაკაცის მატერიალურ მდგომარეობას...

— რა თქმა უნდა, დღევანდელ ცხოვრებაში ფული ძალიან ბევრს ნიშნავს. მამაკაცს, მისი ცოლი რომ გავხდე, ელემენტარულად ჩემი შენახვა, ჩემი პრობლემების გადაჭრა უნდა შეეძლოს. მე მჭირდება ელემენტარული კომფორტი, რაც ადამიანს სჭირდება... ჩემი აზრით, მამაკაცმა ცოლი არ უნდა მოიყვანოს მანამ, ვიდრე მას არ ექნება იმის საშუალება, რომ რამდენ შვილსაც იყოლიებს, იმდენი შეინახოს, ამასთან ერთად, უზრუნველყოს ცოლიც და საკუთარ თავსაც მიხედოს. ■

ქალის მოტაცება

„თუ მაინცდამაინც მოტაცება უნდა, ნაბადზეც მე ვიზრუნებ...“

„გზავნილების“ თემად ქალის მოტაცების შემოთავაზებამ საკმაოდ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მირეკავდნენ და მიმესიჯებდნენ მოტაცებული გოგონები. მათი უმეტესობა მოტაცების ფაქტს გულისტკივილით იხსენებს. თუმცა, რამდენიმე მკითხველმა კურიოზული შემთხვევაც მიამბო. რატომღაც მამაკაცებმა თავი აარიდეს ამ თემაზე ლაპარაკს და დუმილი ამჯობინეს. ერთადერთმა რესპონდენტმა მამაკაცმა დაგვიმესიჯა, საკმაოდ საინტერესო თავგადასავალი გაგვიზიარა და ახლა სწორედ მის მიერ ჩადენილი „გმირობის“ ამბავს გადმოგცემთ.

მარი ხაფარიძე

„ნაიარევი ახლაც მაჩნევია...“

„ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, 14 წლის წინ მოხდა. მაშინ 22 წლის ბიჭი ვიყავი და ცოტა თავში „მიქროდა“ კიდეც. ერთი გოგო შემიყვარდა. თანატოლები ვიყავით. თავიდანვე ვიცოდი, რომ მის გულში ჩემი ადგილი არ იყო და არავითარი პერსპექტივა არ მქონდა, მაგრამ არსებობდა ერთადერთი გამოსავალი — მოტაცება. თუმცა, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, 3 თვის განმავლობაში ვცდილობდი მისი გულის დაპყრობას. ახლოს არ მიკარებდა — საქმრო მყავსო, მეუბნებოდა... ჩემს ორ ძმაკაცთან ერთად შევიმუშავე მისი მოტაცების გეგმა. სამსახურის წინ დავხვდით და ქუჩაში გამოსულს, ხელი ვტაცეთ. ისეთი ამბავი ატყდა, მტრისას!.. მას თან ორი ქალი ახლდა. ისინი თავში ჩანთებს გვირტყამდნენ, ჩვენ კი ვცდილობდით, თამუნა მანქანაში შეგვეტენა. როგორც იქნა, მოვახერხეთ. მე და თენგო აქეთ-იქიდან მივუსხედით, ლევანი კი საჭესთან იჯდა. თამუნას წარამარა გული მისდიოდა. ძლივს ვასულიერებდით. რამდენიმე ადგილზე მანქანის გაჩერებაც მოგვიხდა, მაგრამ მას იმის თავიც არ ჰქონდა, რომ გაქცეულიყო. ცალი ფეხსაცმელი ვეღარ ვიპოვეთ. როგორც ჩანს, ძიძგილაობის დროს დაეკარგა. მივაღწიეთ დუშეთის ერთ-ერთ სოფლამდე, სადაც ჩემს მეგობარს დაკეტილი სახლი ჰქონდა. თამუნა ოთახში შევიყვანე და ჩავკეტე. მეგობრები მალევე გამობრუნდნენ უკან. 3 დღე-ღამის განმავლობაში ვცდილობდი მის დამორჩილებას, მაგრამ ძალზე დიდ წინააღმდეგობას წავაწყდი. მეოთხე დღეს, თენგომ ამბავი ჩამომიტანა — მგონი, თამუნას მშობლებმა თქვენი ადგილსამყოფელი გაიგეს, საქმროც გამწარებული დაეძებს და ამბობს — თამუნას ვერ დაიმორჩილებდა, მას აუცილებლად დავიბრუნებო. თენგო მეორე დილისთვის დავიბარე, რომ ადგილსამყოფელი გამოგვეცვალა და დავთქვი — რადაც არ უნდა დამიჯდეს, ეს გოგო უნდა დავიმორჩილო, რომ ვერავინ წამართვას-მეთქი, ასე, ღამის 11 საათისთვის, დაღლილ-დაქანცულ თამუნას ჩაეძინა. მე მივეპარე და შევეხე თუ არა, წამოხტა, მაგრამ ხელიდან ვეღარ დამისხლტა და... მოკლედ, მისი ცრემლიანი თვალები დღესაც თვალწინ მიდგას. თენგომ დილით მოგვაკითხა. მანქანაში ჩავსხედით და ის იყო, ეზოდან უნდა გამოვსულიყავით, რომ 4 მანქანა მოგვადგა. ასე, ოცამდე ბიჭი „გადმოლაგდა“ მანქანებიდან. ერთ-ერთი მათგანი თამუნას საქმრო იყო. ძალზე დიდი ჩხუბი მოგვივიდა. მე და თენგო დაგვაბეს და უმოწყალოდ გვცემდნენ. თამუნა ევედრებოდა — არ მოკლათო, მაგრამ ვის ეყურებოდა მისი ხვეწნა?! ბოლოს, მისი საქმრო მომიახლოვდა და სახეზე „ბრიტვა“ დამისვა. თამუნა მანქანაში ჩასვეს და წავიდნენ. ჩვენ კი მეზობლები დაგვეხმარნენ და საავადმყოფოში წაგვიყვანეს. ორი დღის შემდეგ, თამუნამ მომინახულა. ჩუმად გამოპარულიყო. თავისი საქმროსთვის შინ გაყოლაზე უარი უთქვამს. მასში ნამდვილი მხეცი დავინახეო, — მითხრა. რამდენიმე კვირაში გამოვჯანმრთელდი, თუმცა ნაიარევი დღემდე მაჩნევია მარჯვენა ლოყაზე. თამუნა ჩემთან დარჩა და დღესაც ცოლ-ქმარი ვართ. მაგრამ როცა ამ ამბავს ვიხსენებ, გული მეკუმშება, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს. თამუნას კი საყვედური არასოდეს დასცდენია“...

როგორც ჩანს, ქალის მოტაცება არცთუ ისე იოლი საქმე ყოფილა. ვიდრე ნაბიჯს გადადგამდეთ, კარგად მოიფიქრეთ და ჯიბეებიც მოიჩხრიკეთ, რომ დარწმუნდეთ — საკარცხელი და სალესი ქვა თან გაქვთ თუ არა, რომ მდევარს გადაუგდოთ და მათ წინ ულრანი ტყე ან სალი კლდე აღმართოთ... ნახეთ, რა მოხერხებულად მოიქცა გამტაცებელი:

ქორწილიდან... საკუთარ ქორწილში

„მე ნინო ვარ, 28 წლის. ჩემმა ქმარმა 5 წლის წინ მომიტაცა. ეს კი ასე მოხდა. ჩემი ნათესავის ქორწილში ვიმყოფებოდი. მშობლებიც თან მახლდნენ. იმავე ქორწილში დაპატიჟებული გახლდათ ჩემი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი, დათო. ვიცოდი, რომ ამ ბიჭს ვუყვარდი და მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა მიყვარდა, მაინც ვეპრანჭებოდი. პატარძლის მოსაყვანად, მშობლებთან ერთად უნდა წავსულიყავით. ერთ-ერთ მანქანაში დათო, ჩემი ბიძაშვილი გოგო და ორი უცხო ბიჭი ისხდნენ. მშობლებს ვთხოვე, რომ მათთან ერთად წასვლის ნება მოეცათ. ასე აღმოვჩნდი საკუთარი სურვილით იმ მანქანაში, რომლითაც ჩემს მოტაცებას გეგმავდნენ. მივედით პატარძლის ოჯახში, ვიქეიფეთ, უკანა გზაზე კი, ჩვენი მანქანა კოლონას გამოეყო და სულ სხვა გზით წავიდა. ცოტა კი შევშინდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. მერე მითხრეს — მოგიტაცეთო. დავიწყე ტირილი. ვეხვეწებოდი — ოღონდ ახლა მიმბრუნეთ და მერე ჩემი ფეხით გამოგყვები-მეთქი. ამასობაში, ქალაქიდან საკმაოდ შორს წავედით. ნერვიულობის ნიადაგზე ცუდად გავხდი. გული მერევა-მეთქი, — ვთქვი, მაგრამ არ დამიჯერეს. თავი ვერ შევიკავე და პირდაპირ მანქანაში მაღებინა. იძულებული გახდნენ, წყაროსთან გაჩერებულიყვნენ... ამასობაში, ჩემი მშობლები შეშფოთდნენ და ატეხეს ერთი ამბავი. მათ ვიღაცამ უთხრა — თქვენი ქალიშვილის მოტაცებას აპირებდნენ და ეტყობა, მოახერხესო. მერე, ვიღაცამ ისიც უთხრა, თუ სად აპირებდნენ ჩემს წაყვანას. ჰოდა,

დაგვედევნენ. სანამ მე ტანისამოსს ვისუფთავებდი, ხოლო ბიჭები მანქანას წმენდდნენ, მდევარი წამოგვადგა თავს. ატყდა ერთი ამბავი. დათოს ძმაკაცმა არეულობით ისარგებლა და მამაჩემის მანქანა მწყობრიდან გამოიყვანა. ორი ბიჭი მამაჩემთან საჩხუბრად დარჩა, მე ისევ მანქანაში ვიჯექი. დათო, ჩემი ბიძაშვილი და მათი ერთ-ერთი მეგობარი ჩასხდნენ და ისევ მომიტაცეს... ბიჭებმა წინასწარ შედგენილი მარშრუტი შეცვალეს და დასავლეთში ამოვყავით თავი. ასე გავხდი დათოს მეუღლე. თუმცა, დღეს ამით უკმაყოფილო არა ვარ. პატივისცემით, ნინო".

„რავა დამძიმებულა ეს ჩვენი ვარდენის ქალიშვილი!" — ხვნეშდნენ გამტაცებლები, როცა ქალიშვილის მგვავრად ნაბადში გახვეულ ვარდენს იტაცებდნენ (გეხსომებათ ფილმი „უდიპლომი სასიძო")... დაახლოებით ამის მსგავსი ამბავი ჩვენს რესპონდენტსაც გადახდენია თავს.

„...ნეტავ, არავინ მომიტაცებს?"

„ერთ მშვენიერ დღეს, მამიდაჩემს ვეწვიე სტუმრად. კარგა ხანს ვეჭორავე, რადგან ჩემი მამიდაშვილი — თეკლა შინ არ იყო და მის მოლოდინში შემომაღამდა. ყველას გულთბილად გამოვემშვიდობე და შინისაკენ გავწიე. გაჩერებაზე ვიდექი, როცა 3 ახმახი დამეტაკა და მანქანისკენ წამათრია. ავტეხე წივილ-კივილი, მაგრამ ვინ მომისმინა?!. მანქანა დიდი სისწრაფით მოსწყდა ადგილს. ვეკითხები — კი, მაგრამ რატომ მომიტაცეთ, ვინ არის ჩემზე ასე შეყვარებული-მეთქი? — მალე გაიგებ, ვინც არისო, — მიპასუხეს. ვიფიქრე — არიქა, მეშველა, როგორც იქნა, 27 წლის ასაკში ვთხოვდები, თანაც — მოტაცებით, აუჰ, რა მაგარია-მეთქი!.. მხოლოდ ის მაღელვებდა, თუ ვინ იყო ჩემი საქმრო. როგორც იქნა, მცხეთაში, ერთ კერძო სახლში მივედით. იქ ძალზე სიმპათიური ქალბატონი გამომეგება. სულ „შვილო, შვილოს" ძახილით შემიყვანა შინ. ოთახში, ფანჯარასთან, ჩემკენ ზურგით ახოვანი ყმაწვილი იდგა. რომ მობრუნდა, ვერ ვიცანი, თუმცა, ისე მომეწონა, აღფრთოვანებისგან ლამის ამოვკვნესე, მაგრამ ღიმილი პირზე შემეყინა: შენ ვინ ხარო? — მკითხა. მერე ბიჭებს დაუძახა და უთხრა — ეს ჩემი შეყვარებული არ არისო. აღმოჩნდა, რომ ჩემი მამიდაშვილის ნაცვლად მომიტაცეს. ორივე ერთნაირი სიმაღლისანი ვართ და ორივეს ხვეული, გრძელი თმა გვაქვს, ამიტომ ბიჭებს შეეშალათ... სასიძო ძალზე განერვიულდა. მე ვუთხარი — ნუ ინაღვლებ, ახლავე მოგიგვარებ საქმეს-თქო. დავრეკე ჩემს მამიდაშვილთან და ვუთხარი — მომიტაცეს, ამა და ამ ადგილზე ვარ, ნურავის ეტყვი, ტაქსი დაიჭირე და აქამდე ჩამოდი, სხვებს მერე შევატყობინოთ-მეთქი. ერთ საათში, თეკლა თავისი ფეხით მოვიდა. ზაური რომ დაინახა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ვინ გაუშვებდა?!. ასე გათხოვდა ჩემი მამიდაშვილი. მე კი, დღემდე გასათხოვარი ვარ. ნეტავ, არავინ მომიტაცებს?.."

„...მანქანას რატომ აწვებოდი?"

„კურიოზული მოტაცების ამბავი უნდა მოგიყვეთ. ერთ ბიჭს ვუყვარდი. მეც მესიმპათიურებოდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი. მასთან შეხვედრას ვერიდებოდი და სიახლოვესაც არ ვიკარებდი. ერთხელ ვუთხარი — შენი ცოლი არასოდეს გავხდები-მეთქი და იმის მერე, ვირზე შევჯექი. გავჯიუტდი და სიტყვას არ გადავდიოდი. ისიც, ადგა და მომიტაცა. გავბრაზდი და დავიწყე მანქანაში ხელ-ფეხის ქნევა. ახლავე მიმბრუნეთ შინ, მაინც არ დავრჩები, მეზიზღები-მეთქი! — ვეუბნებოდი. ბიჭებმა გადაწყვიტეს, გამკაიფებოდნენ. უეცრად, მანქანა გაჩერდა. ახადეს კაპოტი, ქვეშ შეიჭყიტეს და ერთ-ერთმა გამოაცხადა — მორჩა, მანქანა გაფუჭდა, ამით გზას ველარ გავაგრძელებთ, გვინდა თუ არა, უკან უნდა დავბრუნდეთო. გამიხარდა. მერე მითხრეს — მანქანიდან გადმოდი, უნდა მივაწვეთ და იქნებ, დაიქოქოსო. მეც გადმოვხტი და თავგამოდებით მივაწექი მანქანას. მართლაც, ნელ-ნელა გაგორდა, მერე, ასე მიწოლ-მიწოლით შემოვბრუნეთ და პირი თბილისისკენ ვუქნინეთ. მანქანა დაიქოქა. უცებ ჩავსხედით. მძღოლმა კი კვლავ დასავლეთისკენ აიღო გეზი. აი, ასე ვაწვებოდი იმ მანქანას, რომლითაც მიტაცებდნენ.. ამ ამბიდან 7 წელი გავიდა. ჩემი ქმარი და მისი მეგობრები ახლაც დამცინიან — თუ ჩვენი ვახო არ გიყვარდა, მანქანას რატომღა აწვებოდიო?.. ასეა, ბედი რაც არის, არ აცდება. პატივისცემით, ნინო".

„თავის გადასარჩენად მეოთხე სართულიდან გადმოვხტი..."

„დიდი სურვილი მაქვს, საკუთარი გულისტიკივილი გაგიზიაროთ. ამბავი, რომელიც გადამხდა თავს, ჩემი ყველაზე საშინელი მოგონებაა. 11 წელი გავიდა მას შემდეგ. 19 წლის ვიყავი, როცა პირველი სიყვარულის მარცხი განვიცადე. ამის გამო ძალზე ცუდად ვიყავი. ფსიქოლოგის ჩარევა დამჭირდა, გონზე რომ მოვსულიყავი. ყოველდღე დავდიოდი სეანსზე და თან, საკმაოდ ძლიერმოქმედ დამამშვიდებელ და ფსიქოტროპულ წამლებს ვიღებდი. ოჯახში გამუდმებით კონფლიქტი მქონდა. ერთ დღეს გადავწყვიტე, საცხოვრებლად ცალკე გადავსულიყავი. ამისათვის ბინა უნდა მომეძებნა. ფსიქოლოგთან ვიზიტის შემდეგ, საგენტოში ვაპირებდი მისვლას. შინიდან გამოსული, „მარშრუტკას" ველოდი, როდესაც ჩემ წინ მანქანა გაჩერდა. 3 მამაკაცი ივჯდა. შემომთავაზეს — ჩვენ მოგემსახურებით, სადაც გინდათ მიგიყვანთო. უარი ვუთხარი, მაგრამ მერე მაინც ჩავჯექი. გზაში გამომკითხეს, ვინ ვიყავი, სად მივდიოდი... არ დამიმალავს, რომ ექიმთან ვიზიტის შემდეგ, ბინის მოძებნას ვაპირებდი. ერთ-ერთმა მითხრა — ჩემი ახლობელი აქირავებს ბინას, შემიძლია, ახლავე გიჩვენოო. ერთ-ერთ კორპუსთან, მეოთხე სართულზე ოროთახიან ბინაში მიმიყვანეს. ერთ-ერთმა მთელი ბინა მომატარა, დამათვალიერებინა და მოგწონსო? — მეკითხებოდა. დასაწუნი ნამდვილად არაფერი ჰქონდა, ამიტომ უცებ დავთანხმდი. მოულოდნელად, ერთ-ერთი მომიბრუნდა და მეკითხება — ამოირჩიე, რომელი დარჩეს შენთანო. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. ვიფიქრე, ღამით მარტო რომ არ შემეშინდეს, იმიტომ სურთ ჩემთან დარჩენა-მეთქი და თავაზიანი უარი ვუთხარი. — თავს ნუ იშტერებ, შე ნაბოზარო, რომელთან დაწვები, თქვიო!.. მხოლოდ ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა. სამზარეულოს დათვალიერებისას თვალში მომხვდა დანა, რომელიც თაროზე იდო. იქით გავიქეცი, მაგრამ დანის მაგივრად, ხელი ჩანგალს ვტაცე. მაჯაზე მივიდე და ვუთხარი — არ მომეკაროთ, თორემ, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი. ერთ-ერთი, რომელიც უფრო ძლიერი იყო, დამეტაკა, იატაკზე წამაქცია და ცემა დამიწყო. თან მიყვიროდა — შე ბოზო, ვითომ ჯერ კაცთან არ წოლილხარ, რა თავი გამოიდე, აქვე გიხმარო!.. თავზე რკინის სამაგრი მეკეთა. მხოლოდ ის მოვახერხე, რომ თმიდან მოვიძრე და წვეტით ვენების გაგლეჯა ვცადე. ამან უფრო გაახელა მოძალადე. უმოწყალოდ მირტყამდა სახეში. ქამარზე ხელბორკილი ეკიდა. ის მოიხსნა და დაბმა დამიპირა. ძმაკაცებმა ამის საშუალება არ მისცეს. ხელი ჩაავლეს და მეორე ოთახში გაათრიეს. მესმოდა, როგორ ეჩხუბებოდნენ. ის კი გააფთრებით იწევდა ჩემკენ. ბოლოს, კარისკენ წავიდა. მას მეორე ძმაკაცი მიჰყვა, ჩემთან კი მესამე დარჩა. სწორედ ის, ვინც ყველაზე მეტად მექომაგებოდა. გასვლისას ძმაკაცმა მიაძახა — შენ იყო არაკაცი და ბოზი, თუ ამ გოგოს აქედან ასე გაუშვებო!... ისინი თვალს მიეფარნენ თუ არა, ჩემმა დამცველმა მოინდომა ჩემი მოფერება. წინააღმდეგობა გავუწიე, თანაც ვუხსნიდი — ავად ვარ, ექიმთან დავდივარ, ფსიქოლოგიური პრობლემები მაქვს, არ შემიძლია შენთან დაწოლა-მეთქი. ახლა ეს გაგიჟდა. სახეში შემომარტყა, კუთხეში მიმიმწყვდია და მთელი ძალით ცემა დამიწყო. თან გამაფრთხილა — იცოდე, თუ თვალიდან ცრემლი ჩამოგიგორდება ან ამოიკვნესებ, მოგკლავო. ტკივილისგან გული მიმდიოდა. თუ უნებურად ამოვიკვნესებდი, მთელი ძალით მირტყამდა. ბოლოს მითხრა — ახლა მე ტუალეტში შევალ, შენ კი ჩემს გამოსვლამდე გაიხადე და საწოლში დამხვდიო. ის ტუალეტის კართანაც არ იყო

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის *უბის წიგნაკიდან:*

1. მალტაში განქორწინება აკრძალულია.
2. პოლ გოგენმა ბავშვობა პერუში გაატარა.
3. ვია დანელია განათლებით არქიტექტორია.
4. ოლგა ხოხლოვა პიკასოს პირველი ცოლი იყო.
5. ივანე მრისხანე შიზოფრენიით იყო დაავადებული.
6. თეოდორ შალიაპინი ერთი პერიოდი გადამწერად მუშაობდა.
7. ანტონიო კიკონე ენტონი ქუინის ნამდვილი სახელი და გვარია.
8. ზაფხულობით ნიაგარის ჩანჩქერს 12 მილიონი ტურისტი ნახულობს.



9. დევიდ ბექჰემს ჰომოსექსუალისტები საკუთარ სექსსიმბოლოდ თვლიან.
10. ბურთების წონა ბოულინგში 5 კილოგრამიდან 12 კილოგრამამდე მერყეობს.
11. პომპეუსისგან პატიება რომ მიეღო, სომხეთის მეფემ, ტიგრან მეორემ, ერთი კილომეტრი მუხლის ჩოქით იარა.
12. ზიგმუნდ ფროიდმა ექვსი ენა დამოუკიდებლად ისწავლა. თორმეტი წლის ასაკში შექსპირს ორიგინალში კითხულობდა.
13. ახლად დაბეჭდილი ასდოლარიანი კუპიურა ერთ გრამს იწონის. ერთი მილიონი დოლარის წონა ზუსტად 10 კილოგრამია.
14. „სამაია დარაგაია ვეშ ნა სვეტე ეტა გლუპოსტ, პატამუ შტო ზა ნეიო დაროჟე ვსევო პრიხოდეტსა პლატიტ“, – ამბობენ რუსები.
15. გახმაურებულ სპექტაკლში „ჭინჭრაქა“ ეროსი მანჯგალაძე დათვის როლს თამაშობდა, გოგი გეგეჭკორი – მგლის, ზინაიდა კვერენჩხილაძე – ტურის, მედეა ჩახავა – მელასი.
16. ფრანც კაფკას სამი რომანი – „ამერიკა“, „პროცესი“ და „კოშკი“ – დაუმთავრებელი დარჩა. მწერალი ფილტვების ტუბერკულოზით გარდაიცვალა. პირადმა უბედურებამ, მუდმივმა ხელმოცარულობამ, დესპოტი მამის, ფილისტერული ოჯახისა და წრის გარემოცვამ, დასავლეთ სამყაროს ტოტალურმა სულიერ-კულტურულმა კრიზისმა მძიმე დაღი დასვა მის შემოქმედებას. კაფკა ებრაელი იყო. აღიზარდა გერმანულ გარემოში და განათლებაც გერმანული მიიღო, სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ჩეხეთში, პრაღაში გაატარა. მას ხან ცუდ ებრაელობას უკიჟინებდნენ, ხან ცუდ ავსტრიელ-გერმანელობას და ხან ცუდ ჩეხობას.
17. ფაშისტების მიერ პოლონეთის ოკმისული, რომ ელვისებური გადაწყვეტილება მივიღე – ჩანთას ხელი ვტაცე, ფანჯრის რაფაზე შევხტი და მეოთხე სართულიდან გადმოვხტი. კარგად მახსოვს, როგორ მივფრინავდი, სიმსუბუქეს ვგრძნობდი... უცებ დავმძიმდი და მიწას დავენარცხე. ჩემი გადამტვრეული ძვლების ხმა ახლაც ყურში მიდგას. ხერხემალი დამიზიანდა. იქვე, სადარბაზოსთან ბიჭები აბირჟავებდნენ. ხელი მტაცეს და სადარბაზოში, იატაკზე დამაწვინეს. მესმოდა ხმები, როგორ ამბობდნენ – ეს მერამდენე გოგოა? ბუნაგი აქვთ აქ, ამ შობელძაღლებსო!.. ერთ-ერთმა ბიჭმა მიპატრონა, საავადმყოფოში წამიყვანა, ჩემს მშობლებს შეატყობინა, მერე სანახავადაც მოდიოდა ხოლმე. ექიმები ამბობდნენ, რომ ვერასოდეს გავივლიდი... 8 თვე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი. მაგრამ მერე საკუთარი ფეხით გავიარე. ოჯახის წევრები მამტყუნებდნენ, მძიმე ავადმყოფი რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ გვარიდანაც მომკვეთდნენ... ის ბიჭი, რომელთანაც ბოლოს დავრჩი, საკმაოდ გავლენიანი კაცის დისშვილი აღმოჩნდა. მისი მშობლები მოდიოდნენ და ჩემს მშობლებს ფულს სთავაზობდნენ. ჩემებმა ფულზე უარი თქვეს. მე დაჟინებით მოვითხოვდი, რომ პოლიციაში არ ეჩივლათ, მაგრამ შური აუცილებლად ეძიათ. ერთი წელი ისე გავიდა, რომ მათზე შური არავინ იძია. როცა ფეხზე მყარად დავდექი, ფულის შეგროვება დავიწყე, რომ იარაღი მეყიდა და მე თვითონ გავსწორებოდი მხეცებს, მაგრამ მათ კვალს ვერსად მივაგენი. ამ ამბავმა ჩემს ცხოვრებას საშინელი დაღი დასვა და ალბათ მთელი სიცოცხლის მანძილზე გამაწამებს. ამას წინათ, იმ სამიდან ერთ-ერთი ტელევიზორში ვიხილე. თურმე, ძალოვან სტრუქტურაში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. სურვილი მაქვს, მივიდე და ამდენი ხნის შემდეგ, თვალებში ჩავხედო. ნუთუ, სინდისის ქენჯნას არ იგრძნობს?!. მინდა, რომ ეს ამბავი ერთ-ერთმა მათგანმა მაინც წაიკითხოს, გაახსენდეთ უბედური გოგონა, რომელსაც ცხოვრება დაუმახინჯეს. მაშინ ისინი 24 წლისანები იყვნენ. ახლა კი, ჭკუადამჯდარი კაცები იქნებიან. ნუთუ, ღვთის სამსჯავროსი არ ეშინიათ?!.“

„ის ქურდის შვილი იყო...“

„მარი, ვიცი, რომ ძალზე გვიანია *(ღამით მომწერა. – ავტ.)*, მაგრამ დღისით მესიჯის გამოსაგზავნად ვერ ვიცლი. ძალიან მინდა, ჩემი მოტაცების ამბავი „გზის“ ფურცლებზე მოხვდეს. პატარაობიდანვე, ძალზე მკაცრად მზრდიდნენ მშობლები. 9 წლის ვიყავი, როცა სკოლაში ერთი ბიჭი გადამეკიდა, რა ლამაზი ბავშვი ხარო, – მეუბნებოდა და ხშირად კანფეტებს მჩუქნიდა ხოლმე. ცოტა რომ წამოვიზარდე, სერიოზულად შეეყვარდი. ორჯერ დამიპირა მოტაცება, მაგრამ იმის გამო, რომ შინიდან არ მიშვებდნენ, ვერ მოახერხა. 14 წლის რომ გავხდი, მაშინ კი შეძლო და მომიტაცა. ჩემს ორ დაქალთან ერთად მაღაზიაში პურის საყიდლად წავედი. სახლთან მანქანა იდგა. ნაბიჯს ავუჩქარე თურმე, დაქალებს სცოდნიათ... წივილ-კივილისა და ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მანც ჩამტენეს მანქანაში. გული წამივიდა. გონს რომ მოვედი, უკვე მცხეთის ტრასაზე მივქროდით. ჩამიყვანეს დუშეთში, მერე – ქუთაისში, ბოლოს კი – ოჩამჩირეში. 8 დღის განმავლობაში დამატარებდნენ ასე. სულ ვტიროდი. არც გათხოვება მინდოდა და არც ეს ბიჭი მიყვარდა. ის კანონიერი ქურდის შვილი იყო. თვითონაც ძველბიჭობდა. მე თანახმაც რომ ვყოფილიყავი, ჩემი ოჯახი არ მიიღებდა. მოკლედ, ეს 8 დღე ჯოჯოხეთად მექცა. ხმასაც არ ვიღებდი. მინდოდა, გამოვპარულიყავი. შევიმუშავე გეგმა. თუ წინა დღეებში, იმ ბიჭის მოახლოებისას ვწიოდი და ვკიოდი, ახლა ნელნელა გამოველაპარაკე, გავუღიმე, მაგრამ ახლოს არ ვიკარებდი... მთელი ამ ხნის განმავლობაში, სკამზე დამჯდარს მეძინა. ჩემს „საქმროს“ ვუთხარი – თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვე, ოღონდ, დრო მომეცი, შეგეჩვიო, თუ არა და ცხენში ამოგალპობმეთქი. კომუნისტური რეჟიმის დრო იყო. მამაჩემი საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. მთელი საქართველოს მასშტაბით ჩემზე ძებნა იყო გამოცხადებული. ეს ყმაწვილი დავითანხმე. ახლა გაპარვის გეგმას ვადგენდი. ორჯერ თავად მომცეს ამის შანსი, მაგრამ არ გავიპარე, რადგან ვიცოდი – მითვალთვალებდნენ. ერთ ღამეს, ყველას რომ ეძინა, გამოვიქეცი. ტყე-ტყე მოვრბოდი. მეშინოდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა?!. მერე ხიდქვეშ შევაფარე თავი, შევისვენე და ისევ გავიქეცი. ამასობაში გზაზე გამოვედი და პირველსავე შემხვედრ მანქანას ავუწიე ხელი. საკმაოდ ასაკოვანი კაცი იყო. ჩემი ამბავი დაწვრილებით მოვუყევი. გადაირია კაცი. მიმიყვანა თავის ოჯახში (ის ჯემალ მატკავა იყო და მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო)... ბოლოს, როგორც იქნა, ჩემს ოჯახში დავბრუნდი. ჩემი მომტაცებლები დაიჭირეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს, რადგან მე უმწიკვლო ვიყავი. გავიდა დრო... გავთხოვდი. ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემს მეუღლეს ის ბიჭი გამოგვეცხადა, ჩემს ქმარს უთხრა – შენი ცოლი მიყვარს და მაინც ჩემი გახდებაო. დიდი ამბავი ატყდა. ღამის, ერთმანეთი დახოცეს. მერე ის რუსეთში გადაიხვეწა. წლების შემდეგ, ოჯახი დამენგრა. იმან რომ გაიგო, ჩამოვიდა, დამირეკა და ისევ მოტაცებით დამემუქრა. მერე შინ მომადგა და ჩემმა ბიძაშვილებმა გააგდეს. ახლა ხელმეორედ ვაპირებ გათხოვებას და იმედია, ჩემს მეორე მეუღლესაც არ გამოეცხადება... მარი, გმადლობ, რომ მომისმინე. პატივისცემით, ირა“.

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

„აღმოჩნდა, რომ საკუთარი დის მოსატაცებლად წამოიყვანეს“

„ჩემი სატრფო თურქეთშია, სამხედროა და იქ სწავლობს. რამდენიმე თვეში ჩამოვა. ძალიან გთხოვთ, ეს მესიჯი გამომიქვეყნოთ. მე ჟურნალს გავუგზავნი და ძალიანაც გავახარებ. ერთი ბიჭი მეჩემებოდა ხოლმე – მოგიტაცებ, ნაბადში გაგხვევ და მთაში გადაგმალავო. ახლა ეს ადამიანი ძალიან მიყვარს. ჩვენს გრძნობას მანძილიც კი ვერ აფერმკრთალებს. მინდა, შევატყობინო, რომ მოტაცება სულაც არ დასჭირდება. ჩემი ფეხით გავყვები. თუ მაინცდამაინც მოტაცება უნდა, ნაბადზეც მე ვიზრუნებ. ეჰ, რა ყოფილა სიყვარული! სულ მთლად გამაგიჟა“.

„რა ვქნა, აღარ ვიცი. ძველი შეყვარებული მოტაცებას მიპირებს, მე კი გიო მიყვარს. თუ წაიკითხავს, მიხვდება, ვინცა ვარ. გიო, მიყვარხარ და გთხოვ, ნუ დააგვიანებ. თამუნა“.

„შალვა ზ-ძემ ჩემი გული მოიტაცა. პასუხისმგებლობის შეეშინდა და გაიქცა. მშიშარავ, გული დამიბრუნე! შენ კი, იარე გზააბნეულმა...“

„მინდა ეს მესიჯი მან წაიკითხოს, ვის მოტაცებასაც ვაპირებ. ერთი ბიჭი შემიყვარდა. თვითონ არ მიტაცებს და მე უნდა მოვიტაცო, მაგრამ აზრზე არა ვარ, სად უნდა წავიყვანო. მამულიჩ ბ-იავ, მაგრად მიყვარხარ და თუ მოგიტაცებ, ნუ გეწყინება. ქორწილში გეპატიჟებით. მანჩო“.

„ქალის მოტაცების რა მოგახსენოთ, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება, კაცი მოვიტაცო? ბევრ კაცზე ნაკლები სიგრძე-სიგანე ნამდვილად არ მაქვს. ის კი ისე დამიფრთხა, რომ მგონი, საქართველოდანაც გარბის. ერთხელ მითხრეს – იცი, როგორ ვიცინებ, შენზე რომ გავიგო, მოიტაცესო? – მე იქით ვაპირებ კაცის მოტაცებასმეთქი, ვუპასუხე. – აუ, იმ ბიჭს მაგრად დავცინებ, თუ ის მოტაცებული მე არ აღმოვჩნდიო... რა ნარცისიზმია, არა? ახალციხელო ყოვლისშემძლე ზაო, გახსოვს ჩვენი ძველი დიალოგი?.. ახლა კი, აგარის შაქარივით დატკბი, არა?.. ჩემზე მაგარი მაინც არ ხარ, გაიგე, პატარავ? გკოცნი“.

„ქალს მოტაცება რად უნდა? თუ უყვარხარ, ისედაც წამოგყვება, თუ არა და, რა აზრი აქვს ძალადობას?! ისე, ბაბუაჩემს ბებიაჩემი რომ არ მოეტაცებინა, ვერც ამ მესიჯს მოგწერდით...“

„მე არა, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ქალი მოიტაცა და ახლა, სანანებელი გაუხდა“.

„მოტაცების მცდელობით „განებივრებული“ ვარ. ყველა შემოტევას ვიგერიებდი. ერთ მშვენიერ დღეს, შინიდან გავედი, მანქანიდან 2 კუნთიანი ჯეილი გადმოხტა და მებღღვნა. ჯერ ვიფიქრე, კივილს აზრი არა აქვს-მეთქი, მაგრამ წესი-წესია და ის იყო, მოვაღე პირი, რომ მანქანაში ბღავილი ატყდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თურმე, იცით, რა ხდება? ჩემი ძმის ძმაკაცის ნათესავს ვყვარებივარ. ის ჩემს ძმას არ იცნობდა. იმ ბიჭმა დახმარება ნათესავს სთხოვა – მან – ჩემს ძმას და აღმოჩნდა, რომ საკუთარი დის მოსატაცებლად წამოიყვანეს. აღარ აღვწერ, რა მოხდა ამის შემდეგ – ისედაც ყველაფერი ნათელია... ჯერ 19 წლის ვარ და იმედია, ჩემი ძმის გადამკიდეს, „მეშველა! მეშველას“ ძახილი მომიწევს, „მიშველეს“ ნაცვლად“.

„ჩემმა ნაცნობმა ორმეტრიანი ქალი ხუთმეტრიან ხალიჩაში გაახვია და სამსართულიანი სახლიდან მეგობრებს დაბლა გადაუგდო“.

„ჩემმა ძმამ თავისი ცოლი ჩემი დახამრებით მოიტაცა. იმ გოგოს სულაც არ ვიცნობდი, მაგრამ შინიდან მოტყუებით გამოვიყვანვე და ჰაიდა!.. ახლა მშვენიერი რძალმულობა გვაქვს და მადლობელიც არის, რომ ჩემს ძმას დავეხმარე“.

„ძალიან მინდოდა, რომ ჩემს შეყვარებულს მოვეტაცე, მაგრამ მითხრა – შარის თავი არა მაქვს. რატომ უნდა გადაჰყროდა შარს? მე ხომ უარს არ ვეტყოდი! უბრალოდ, თუ მომიტაცებდა, ჩემი მშობლები აღარ მეჩხუბებოდნენ და ბრალს ვერ დამდებდნენ – რა დროს შენი გათხოვებაო?!.“

„ჩემმა მამიდაშვილმა სვანი გოგო მოიტაცა, მაგრამ მისმა ნათესავებმა „ახანჯლეს“ და წაართვეს. ხათო, იცოდე, ინანებ, ასეთი კარგი ბიჭი რომ დაკარგე. ახლა თემოს იმერელი გოგო მოჰყვება საკუთარი ნებით. შენ კი დარჩები ასე...“

„ჩემმა ბიძაშვილმა გოგო მოიტაცა „მოსკვიჩით“. გზაში „გლუშიტელი“ დაკარგეს... შინ რომ მოიყვანეს, ფარდები დაგვიწყვიტა და საწერი კალმით ვენების გადაჭრა უნდოდა. ახლა კი, 2 შვილი ჰყავთ“.

„16 წლის ვიყავი, როცა მომიტაცეს. ისეთმა ბიჭმა წამიყვანა, უკეთესს ვერც ინატრებდი. ეს ბიჭი მეც მიყვარდა, მაგრამ რად გინდა? თურმე „ჯიგარგაცივებული“ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ თავისი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად, ნაძლევს ჩამოსულა – ამ გოგოს მოვიტაცებო. არ შერჩება ირაკლი ჭ-იას ასეთი საქციელი. თამუნა“.

„ხონელო თამუნა ს-ძე, ძალიან მიყვარხარ. სკოლას რომ დაამთავრებ, თუ ცოლად არ გამომყვები, აუცილებლად მოგიტაცებ“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – ტელეფონით დაწყებული ურთიერთობა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

უპაციის პირველ ხანებში იქაურ ებრაელებს არ ჰქონდათ უფლება 2000 ზლოტზე მეტი ფული ჰქონოდათ. მათ საზოგადოებრივ ადგილებში დაჯდომაც კი ეკრძალებოდათ.

18. „მის ტილოებში ერთმანეთს ერწყმის ბიზანტიური სინატიფე და XX საუკუნის უტიფრობა“, – წერენ კრიტიკოსები დეგას ნახატებზე.

19. „მე თანახმა ვარ, ეს დღეები სახელგანთქმული ქართული სტუმართმოყვარეობის მსხვერპლი გავხდე“, – განაცხადა თბილისში გასტროლებზე ჩამოსულმა მომღერალმა სერიოგამ.

20. „ციხე ძალზე სტრესული ადგილია. აქ ადამიანის ღირსებები და ნაკლოვანებები უფრო რელიეფურად ჩანს, ვიდრე ჩვეულებრივ ცხოვრებაში“, – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

21. ალექსანდრე ყაზბეგი საშინლად უყაირათო და მფლანგველი ადამიანი იყო. ღმერთიღა ჰყავდა დარჩენილი და ისიც მიაყიდაო, ამბობდა მასზე აკაკი წერეთელი.

22. ნიკო ფიროსმანს არ უყვარდა, როდესაც ვინმეს ვალი ჰქონდა. პირველად რომ მოხვდა მხატვართა საზოგადოებაში, თუმანი აჩუქეს და უზარმაზარი ტილო მიიტანა ამ ფულის სანაცვლოდ.

23. ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით, 9 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გრანდიოზული სამხედრო აღლუმი ჩატარდა. სხვა სამხედრო ტექნიკასთან ერთად აღლუმში სამხედრო თვითმფრინავებმაც მიიღეს მონაწილეობა. პარადის დროს „მიგ“-ებმა და „სუ“-ებმა გადაუფრინეს წითელ მოედანს. ასეთი მანევრი ყოველთვის გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რის გამოც პილოტებს ავარიის შემთხვევაში სასტიკად ეკრძალებათ კატაპულტირება. უკიდურეს შემთხვევაში მათ უფლება ეძლევათ თვითმფრინავი მდინარე მოსკოვის კალაპოტში მიმართონ.

24. „ეს არის ფითილი, რომლის ერთ მხარეს ცეცხლია, ხოლო მეორე მხარეს – სულელი“, – ამბობდა ბერნარდ შოუ სიგარეტის შესახებ.

25. „ათი წუთით გარანტირებული სიჩუმე – აი, რის გამო აღმერთებენ მამაკაცები ორალურ სექსს“, – ამტკიცებენ ამერიკელები.

„ეჰ, მარი, მარი, ვერ გავიგე, შენ გაზარმაცდი თუ აღარ გაძლევენ საშუალებას, შენი „ხანუმური“ მოვალეობა შეასრულო. დარწმუნებული ვარ, ჩემსავით ბევრს მოენატრა „სასიძოსა“ და „საპატარძლოს“ რუბრიკა“. მსგავსი შინაარსის უამრავ მესიჯს ვიღებ. მკითხველისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, იმისათვის, რომ ეს რუბრიკები ასე შეიყვარა. არ გავზარმაცებულვარ, არც შევუზღუდივარ ვინმეს. უბრალოდ, თითქმის აღარ დარჩნენ უცოლო და გასათხოვარი, ცნობილი ადამიანები. თითქმის ყველა მათგანი გახლდათ ჩვენი რუბრიკის სტუმარი. ამის გამო შევცვალეთ პერიოდულობა. აქვე იმასაც დავძენ, რომ შეგიძლიათ, მოგვწეროთ, „სასიძოდ“ ან „საპატარძლოდ“ ვისთან შეხვედრას ისურვებ-დით და თქვენს თხოვნას გავითვალისწინებთ. ამჯერად კი, ახალ-გაზრდებში ერთ-ერთ პოპულარულ რეპერს ძვალს — იმავე აჩიკო ვანიშვილს წარმოგიდგენთ. წინასწარ გეტყვით, რომ თავისი ხასიათის გამო, არცთუ ისეთი ტკბილი ვინმე იქნება მომავალი მეუღლისთვის — ვერც პუნქტუალობით დაიკვეხნის და როგორც თავად ამბობს, არც სიმღერა სცოდნია... რატომ ეძახიან ძვალს, გადაარჩენს თუ არა რეპი საქართველოს და რას აკეთებს აჩიკო იმის შემდეგ, როცა სამამდე უკვე დათვლილი აქვს, მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ერთი.. ორი... სამი და... ბიდიში რა სჭირთ?

მარი ჯაფარიძე

— ვარ 22 წლის, ზოდიაქოთი — ვერძი, მაგრამ ასტროლოგიური პროგნოზების არ მჯერა. ამიტომ წარმოდგენა არა მაქვს, რა თვისებებით გამოირჩევა ეს ნიშანი. ვცხოვრობ თბილისის ძველ უბანში, მყავს დედა, მამა და უფროსი და. თუმცა, ამჟამად ჩემთან ერთად ბიძაშვილი და მეგობრების მთელი არმია ცხოვრობს.

— როგორც ყველა მომღერალი, ალბათ, შენც პატარაობიდანვე მღერი?

— 12 წლის ასაკიდან ვმღერი. პირველი სიმღერა 15 წლის ასაკში ჩავწერე. ჯერ მარტო ვმღეროდი, მერე ჯგუფი ჩამოვაყალიბე. მყავს უამრავი მეგობარი და ჩვენს „სასტავს“ „ცხოვრებით ჯარისკაცები“ ჰქვია. სახელი რეპერების „სასტავს“ აუცილებლად სჭირდება. ჩვენც ვეძებდით სახელს და ეს მოვძებნეთ. აქ სიტყვა „ჯარისკაცი“ პირდაპირი გაგებით არ იგულისხმება. როგორც ჯარისკაცი ემსახურება სამშობლოს, ისე ვემსახურებით ჩვენც, ოღონდ — რეპით.

— კი, მართალია, ჩვენს სამშობლოს რეპი აუცილებლად სჭირდება. მაგრამ ასეთივე წარმატებით „გადაარჩენს“ ქვეყანას ჯაზი, სოული და პოპიც. რატომ აირჩიე მაინცდამაინც ეს მიმართულება?

— გეტყვით, რომ არანაირად არ შემიძლია სიმღერა, ვერაფერს ვიმღერებ. ბავშვობაში მუსიკასაც არ ვუსმენდი. რომ გითხრათ, სახლში შემოვიდოდი თუ არა, ტელევიზორს ან მაგნიტოფონს ვრთავდი და მაშინვე მუსიკის მოსმენას ვიწყებდი-მეთქი, ტყუილი იქნება. სანამ რეპი არ მოვისმინე, მუსიკას საერთოდ არ ვუსმენდი. მერე კი, აღარც მიფიქრია, სხვა რამე მემღერა. მივხვდი, რომ რეპი ჩემი საქმე იყო.

— სიმღერებს წერ, კლიპიც გადაიღე. ყველაფერ ამას კი ფული სჭირდება. ვინ არის შენი სპონსორი?

— არავინ. დღეს საქართველოში არსებობს მეგობრობა და სწორედ მეგობრობის დამსახურებაა ჩემი კლიპიც. მე თვითონ ნინას სტუდიაში ვმუშაობ და სიმღერის ჩაწერის პრობლემა არ მაქვს, ამიტომ მიზერული თანხა მჭირდება ხოლმე. ახლა ვამთავრებთ მეორე კლიპის გადაღებას და სულ მალე, ისიც დატრიალდება ეთერში. საქართველოში დღესდღეობით, 30 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები მუსიკას საერთოდ არ უსმენენ. მათ სხვა საქმე და სხვადასხვაგვარი პრობლემა აქვთ. მუსიკას უსმენს ის თაობა, რომელსაც მოსწონს რეპი. ამიტომ მიმაჩნია, რომ რეპს დიდი მომავალი აქვს. მე არ ვიბრძვი პოპულარობისთვის. უბრალოდ, ვაკეთებ იმას, რაც მომწონს და მომისმენს ვინმე თუ არა, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

— კარგი, დავანებოთ თავი შენს შემოქმედებას. დაახასიათე საკუთარი თავი.

— გამიჭირდება საკუთარ თავზე ლაპარაკი. გეტყვით, რომ რთული ასატანი არა ვარ, თუ ფხიზელი ვარ. მაგრამ თუ დავთვერი... ო-ოო...

— რატომ — ო-ოო? ასეთს რას აკეთებ ხოლმე?

— რა ვიცი — ვყვირი, ვღრიალებ, ვჩხუბობ ხოლმე. თუ ძალიან გადავთვერი, всё и всем конец... ადრე ხშირად მიწევდა დალევა, მაგრამ ახლა ძალზე დატვირთული ვარ და ვერ ვასწრებ ქეიფს. ამიტომ, თვეში ერთხელ თუ დავთვრები, ვახურებ ხოლმე... მახსოვს, ერთხელ ფილარმონიაში რეპერების კონცერტი იყო. ისეთი მთვრალი მივედი, საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. დაცვის ბიჭებმა ამის გამო საყვედური მითხრეს. ისეთი ამბავი ავტეხე, მტრისას!.. დავაყენე ეს ბიჭები და ვღრიალებდი, ვყვიროდი, ხელებს ვიქნევდი... ბოლოს, ვიღაც გამოვიდა და სცენისკენ წამათრია — შენი გამოსვლაა, წამოდი, იმღერეო. ორი სიმღერა უნდა შემესრულებინა. ამასობაში, საერთოდ გადამავიწყდა, რომ დაცვასთან კონფლიქტი მქონდა. დავამთავრე თუ არა მეორე სიმღერა, მტაცეს ხელი და ისევ ქვევით ჩამიყვანეს. ვერ გავიგე, სად მიმათრევდნენ ან რატომ მიმათრევდნენ... მერე დაცვის ბიჭებმა გამაფრთხილეს — მეორედ მთვრალს აღარ შემოგიშვებთ და აღარ გამღერებთო. მეც აღარ მივდივარ მთვრალი.

— ჯუჯღუნი ფხიზელ მდგომარეობაშიც გიყვარს?

— არა, ჯუჯღუნა არა ვარ. უბრალოდ, არ მიყვარს ერთსა და იმავეს ორჯერ გამეორება.

მე არ ვიბრძვი პოპულარობისთვის. უბრალოდ, ვაკეთებ იმას, რაც მომწონს...

რამეს რომ ვთხოვ ადამიანს, მაშინვე უნდა შემისრულოს. ვერ ვიტან, როცა ჩემი ნივთი ადგილზე არ მხვდება.

— **იოლად ბრაზდები ხოლმე?**

— კი, ძალიან მალე ვფეთქდები. ძალზე მაღალი ხმა მაქვს და როცა ვბრაზდები, ბოლო ხმაზე ვღრიალებ. დღის განმავლობაში, 10-15-ჯერ მაინც ვჩხუბობ. ყველას ვეჩხუბები, მაგრამ წყენა მალე გადამივლის ხოლმე. როცა ვინმეს ვეკამათები და ვერ ხვდება, რომ ვერ მაჯობებს, შემიძლია, 4 დღე და ღამე გადაბმულად ვეჩხუბო და ვუმტკიცო ჩემი სიმართლე. 1-2 დღე რომ ვიჩხუბებ, მერე ხვდებიან, რომ არ ღირს ჩემთან კამათი და ბრძოლა და თავს მანებებენ.

— **მოკლედ, თუ ვინმეს ყელში გაეჩხირე, მორჩა — წასულია იმის საქმე, ხომ? შენ ალბათ, ბოდიშს არასოდეს იხდი.**

— რატომაც არა? თუმცა, არასოდეს მომიხდია ბოდიში. ალბათ, არასოდეს მქონია საქმე საბოდიშოდ. თუ მექნება, აუცილებლად მოვიხდი ბოდიშს.

— **გინდა, თქვა, რომ როცა ჩხუბობ, ყოველთვის მართალი ხარ?**

— მართალი გამოვდივარ. თუ მეგობრებთან ვიჩხუბე, იქ ბოდიში რა საჭიროა?! ერთი საათის შემდეგ, ისევ გავუღიმებთ ერთმანეთს და შევრიგდებით.

— **ჯიუტი ხარ?**

— თუ ვიცი, რომ მართალი ვარ, გავჯიუტდები და ჩემი სიმართლის დამტკიცებას შესაძლოა, შევწირო ნერვები, ხმა, კბილები. დავითვლი — 1, 2, 3 და... ვიწყებ ბღავილს — ა-აა!.. პატრულიც კი ვერ შემაჩერებს ასეთ დროს. თუ მოწინააღმდეგე გამიღიმებს, შესაძლოა, მაშინ დავყარო ფარ-ხმალი.

— **როცა შეყვარებული ხარ, მაშინაც ასეთ აგრესიულობას იჩენ?**

— არასდროს ვყოფილვარ შეყვარებული. არ მცალია სიყვარულისთვის. როცა სიყვარულობანას დაიწყებ, გოგოს უნდა გაჰყვე, გამოჰყვე, ყურადღება უნდა მიაქციო. თუ ასე არ მოიქცევი, ეწყინება. რატომ ვაწყენინო?.. ამიტომ არავინ შევიყვარე. მეც მშვიდად ვარ და ისინიც.

— **მაგრამ ქალები ხომ გაინტერესებს?**

— კი, ქალებს დავდევ ხოლმე. ყველანაირი გოგო მომწონს. არ უნდა იყოს „დეფორმირებული“ და ცხენს არ უნდა ჰგავდეს. რომ შეხედავ, უნდა გესიამოვნოს. ბიჭები რომ ამბობენ ხოლმე — აუ, ამ გოგოს რა მაგარი თვალები აქვს, რა მაგარი ტანიო!.. — ეს არ მესმის: ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. სწორი ფეხები აქვს თუ მოღუნული, ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

ბიჭები რომ ამბობენ ხოლმე — აუ, ამ გოგოს რა მაგარი თვალები აქვს, რა მაგარი ტანიო!.. — ეს არ მესმის...

— **ოჯახის წევრები ცოლის მოყვანას არ გაძალებენ?**

— ბებიაჩემი მეუბნება ხოლმე ხშირ-ხშირად, მოიყვანე ცოლიო, მაგრამ მე ვპასუხობ — რა დროს ჩემი ცოლია, ბებო, ჯერ პატარა ვარ-მეთქი.

— **პაემანზე სიარული გიყვარს?**

— არა. უცხო გოგონებს არ ვხვდები. ნაცნობებს — კი, მაგრამ — „ბაღში სკამზე გელოდების“ პონტში — არა. პაემანზე დავდივარ მხოლოდ ნაცნობ გოგონებთან, ყოველგვარი რომანტიკის გარეშე.

— **ქალის შებმის რაიმე „საავტორო“ ხერხი ხომ არ გაქვს?**

— ასეთ დროს, რაც შეიძლება ნაკლებს ვლაპარაკობ. უმეტესწილად, მაშინვე მოქმედებაზე გადავდივარ. ყველაზე მაგრად ეს ამართლებს. ამ მეთოდს ჯერ არ უმტყუნია ჩემთვის.

არასდროს ვყოფილვარ შეყვარებული...

— **ქუჩაში ალბათ, გცნობენ, ხომ?.. მოგწონს პოპულარობა?**

— ამას წინათ, მეგობრებთან ერთად მანქანით მივდიოდი. ერთგან სიგარეტის საყიდლად შევჩერდით. გამყიდველი საკმაოდ ასაკოვანი ქალბატონი გახლდათ. მიღიმოდა. ფული რომ გავუწოდე, — ტელევიზია, ტელევიზია, „პრეს-პრესიო“! — აყვირდა უცებ. წარმოიდგინეთ, ამ ასაკის ქალმა რომ მიცნო, ბავშვები ხომ უფრო იოლად მიცნობენ?!.

— **წესრიგი გიყვარს?**

— დილით, თვალს გავახელ თუ არა, მაშინვე ვიწყებ ყვირილს — ნანა! ნანა! — ეს ჩემი ბიძაშვილია. მერე ვთხოვ ხოლმე, რომ ყავა მომიდუღოს და ოთახი დაალაგოს. ტანისამოსს დამიკეცავს საწყალი ნანა, თაროზე დაალაგებს, მე კი ქვემოდან გამოვაძრობ მაისურს და ყველაფერი ძირს გადმოიყრება ხოლმე... მე რატომ დავალაგებ, როცა მყავს ნანა და კიდევ მარიკა (და)?! მართალია, მარიკა ცოტა ზარმაცია და ნანას უფრო ხშირად უწევს ჩემ მიერ გაფუჭებული საქმის კეთება. მაგრამ ჩემი გულისთვის თუ შეწუხდება, რა უშავს?

— **ძვალს რატომ გეძახიან?**

— ეს სახელი ჩემი არჩეული არ არის. სკოლაში, ანატომიის კაბინეტიდან ჩემმა მეგობარმა ძალზე დიდი ძვალი მოიპარა და მე მომცა. მერე სულ ამ ძვალზე ვლაპარაკობდი, თან დამქონდა ხოლმე. სულ „ძვალი, ძვალის“ გავიძახოდი. რაღაცნაირად ამოვიჩემე ეს სიტყვა... მერე გადავიღეთ კლიპი. პროდიუსერი, მამუკა ბერიკა გახლდათ. კლიპი ასე იწყებოდა: ეკრანზე ჯგუფის წევრების სურათი ჩნდებოდა და მის ქვეშ მეტსახელი იწერებოდა. ბერიკა მე ვერ დამიკავშირდა, რომ „კლიჩკა“ ეკითხა და ჩემი მეგობრისთვის დაურეკავს. მას კი, უცებ უთქვამს — ძვალი დაწერეო. ასე შემერქვა „ოფიციალურად“ ეს სახელი. თავიდან ყველას ეუცხოებოდა, მაგრამ მერე შეეჩვივნენ და ახლა მეც მივეჩვიე. აჩიკოს რომ დამიძახებენ, არც კი ვიხედები. ძვალს თუ დამიძახებენ, მომენტალურად ვპასუხობ ხოლმე...

აი, ასეთი, მოჩხუბარი ძვალი გახლავთ ჩვენი „სასიძო“. დარწმუნებული ვარ, ის ბევრი გოგონას თაყვანისცემის ობიექტია. მასთან დაკავშირების მსურველებს შეუძლიათ დამირეკონ ან დამიმესიჯონ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ■



„ჩემს თაობას“ — ეი. „ახალ სამოციანელებს“ — ჯერ — „პირველსხ-იველებს“ გვეძახდნენ, შემდეგ — „ცისკრელებს“. ახლა კი ჩემს თაობას, წამსვ-ლელთა თაობას ვეძახი: დრო დაგვიდგა წასვლისა. მაგრამ არც რამეს ვნა-ტრობ და არც რამეს ვნანობ! მადლობელი ვარ ჩემი იღბლისაც და იუღ-ბლობისაც“, — მითხრა საუბრის დასაწყისში პოეტმა ZWANSUL ჩარკვიანმა, რომელმაც ცხოვრების რთული გზა განვლო.

ცხრამეტიდან „ზაღნით“ შეცხო

იმას გააკეთებენო, — მიპასუხა. — მართალი ხარ, ეს თავისუფლებაა, მაგრამ ღვთის საწინააღმდეგო თავისუფლება-მეთქი. — რატომ? — უფალმა შექმნა ადამი და ევა და არა, ადამი და ადამი ან ევა და ევა-მეთქი. ხმა ვეღარ ამოიღო. ახლა კი, რა ხდება? რუსთაველზე ისეთი „გასათხოვარი" ბიჭები დადიან, შეიძლება, ჭკუიდან შეიშალო... ხომ არ შეიძლება, ყველაფერში ამერიკელებს დავემსგავსოთ? გამწარებულმა, სოროსს მივუძღვენი ლექსი:

„ვისი გენიც გამოგყვა, იმის ლოცვა
გფარავდეს,
შენი დედა არ „მოკალ", დიახ, რომ არ
გამრავლდე".

კიდევ ერთ ლექსს წაგიკითხავთ, ქართულ-ამერიკულია:

„ჩვენს ისტორიას ვერავინ წაშლის,
შეხედეთ, მტრები როგორ გვკოცნიან.
ქართველო ხალხო, სულ ახალ ტანკში,
ტანკში შეძრომა მომილოცია!"

ერთმა მითხრა, ამას ვერ დაგიბეჭდავ — ტანკის მაგივრად სულ სხვა რამეს გულისხმობო; — რა თქმა უნდა, სხვა რამეს ვგულისხმობ, მაგრამ ასე ხომ არ მიწერია-მეთქი! სამწუხაროა, რომ მომავალმა თაობამ წარსულის ფასი არ იცის. ეს დაღუპვამდე მიგვიყვანს.

— როგორი ურთიერთობა გქონდათ უფროსი თაობის ადამიანებთან? რას სწავლობდით მათგან?

— ჩემი ლექსები პირველად გიორგი ლეონიძემ წაიკითხა და ფურცელზე წამიწერა — ძალიან მომეწონა, ჩემი ვილა ხარ, მაგრამ ბიჭო, გაიგე, ოხშივარი კი არა — ოშხივარიო... მეგონა, შეეშალა, თურმე თვითონ ასე — კახურად ამბობდა ამ სიტყვას. მის ლექსშიც ხომ ასეა: „როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები"... მთაში ვიყავით. გაიმართა ჭიდაობა. ჩემი ტოლი ბიჭი გამოიყვანეს, გოლიათს ჰგავდა, შიშით ვინ დაეჭიდებოდა?! მიდი, ბიჭო, ტყეილად ხომ არ გეძახი ჯილას, ეჭიდავეო, — მითხრა გოგლამ. გავედი, რას ვიზამდი? უცებ, მოგვერდი გავუკეთე და დავაგდე. ხალხი ყვიროდა — არ არის სწორი, ჭიდაობა თავიდან დაიწყეთო!.. გოგლა მომიახლოვდა და მითხრა — ბიჭო, არ წახვიდე, განა, კიდე მაიგებო... იცით, რა მასწავლა ამით? ერთხელ რომ გაგიმართლებს, შეიძლება, მეორედ აღარ გაგიმართლოს და არ უნდა გათამამდე. ირაკლი აბაშიძე ასაკით ჩემზე ბევრად უფროსი იყო, მაგრამ ვმეგობრობდით. უფროსუმცროსობის ტრადიციას ვიცავდი ყოველთვის. ირაკლი ისე არსად წავიდოდა, მე და ნოდარ დუმბაძე რომ არ წავეყვანეთ. მერე, როგორი ქეიფი იცოდნენ, როგორი თამადობა იცოდნენ, სუფრას როგორ უძღვებოდნენ!.. ეს ყველაფერი ხომ მამების თაობისგან ვისწავლეთ. თამადა ფეხზე რომ წამოდგება, არ უნდა იცოდეს, რას იტყვის, ჩარჩოებში არ უნდა ჩაჯდეს. ხსოვნის სადღეგრძელო ასე არასდროს მითქვამს — ვინც ჩვენგან წავიდა, იმის ხსოვნა იყოსმეთქი! — ჩემებურად ვამბობდი — მოდი, იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ჩვენთან იყო და სიცოცხლეს გვიადვილებდა, წავიდა ჩვენგან და სიკვდილს გვიადვილებს-მეთქი. ეს სიტყვები უკვე სხვანაირად ჟღერს. ერთხელ მითხრეს: დედის სადღეგრძელოს ცალკე რატომ ამბობ და მშობლებისას — ცალკეო? — გაიგეთ, დედა, მამას შვილის სიყვარულში 9 თვით სჯობნის-მეთქი! ისეთი თამადები არ მომწონს, ძალით 9 ლიტრ ღვინოს რომ ჩაგასხამენ. რატომ არის ცუდი ტრადიცია? ქართული სუფრა სიმღერით რომ იყო „სავსე". 10 კაციდან 5 მაინც მღეროდა, დანარჩენები — უსმენდნენ. რა იყო ამაში ცუდი? არ მესმის, რატომ უნდა დავკარგოთ კარგი ტრადიციები და წესჩვეულებები!..

— თქვენი ახალგაზრდობის დროინდელ თბილისზე რას იტყვით?

ვახტანგ ჭელიძე, ნოდარ დუმბაძე, ნუგზარ ფოფხაძე, თემურ ქლენტი და ჯანსუღ ჩარკვიანი

— ერთ ამბავს გავიხსენებ და ამით ყველაფერს მიხვდებით. ომის დროს, რუსი ჯარისკაცები ახლანდელი ჩაჩავას სახელობის სამშობიარო სახლში მოწყობილ ჰოსპიტალში იწვნენ. 12 წლის ვიქნებოდით მაშინ მე და ჩემი მეგობარი. ორი ჯარისკაცი დავინახეთ, ერთ-ერთ მათგანს ყავარჯენი ეჭირა. მათ წინ ერთი გოგონა მიდიოდა. უეცრად ერთ-ერთმა გოგონას ნაწნავი წააჭრა და ჯიბეში ჩაიდო. ამაზე დიდი შეურაცხყოფა რა უნდა ყოფილიყო!.. წავართვით ყავარჯენი და მეორე ჯარისკაცს დავცხეთ. ჩვენზე 3-4 წლით უფროსი ბიჭი, შალვა კვინტრაძეც დაგვეხმარა და ისე ვცემეთ, ისე ვურტყით იმ ჯარისკაცს, რომ იმ ტერიტორიაზე ჯარისკაცებს გავლა ეშინოდათ. როგორ ბედავ, ქალაქს შეურაცხყოფა მიაყენო!.. ყველა უბანს თავისი პატრონი ჰყავდა. ერთ მთაწმინდელ ბიჭს ჩხუბში „ბრიტვა" უხმარია. ორმა კაცმა ისე მაგრად ვცემეთ, ფეხზე ვეღარ დგებოდა. მეორე დღეს, მთელმა ქალაქმა გაიგო, რის გამოც იყო ნაცემი... ჩხუბის შემდეგ აუცილებლად უნდა შევრიგებულიყავით — ავყია კაცი სხვაა და ნაძირალა — სხვა.

— მწერლების ახალგაზრდა თაობაზე რას იტყვით? მოგწონთ თანამედროვე პოეზია?

— ნამდვილ პოეზიას თუ გულისხმობთ, მათ, ვინც ჩვენი ხელდასხმულია — ბესიკ ხარანაულს, ლია სტურუას, მაყვალა გონაშვილს — მსიამოვნებს მათი ლექსების კითხვა. პოეზია მაინც კლასიკური ჟანრია. ჩემი თაობა რასაც შაყირით წერდა (სახალისო ლექსებს ვგულისხმობ), შენ თუ ამას სერიოზულად აღიქვამ, ეს უკვე დასაგმობია. როდესაც სახუმარო ლექსებს ვწერ, ჯ.ჩ.-ს ვაწერ. სახალისო ლექსებს სამკურნალო კალც-ლექსებს ვეძახი. ახლა მღერიან ვიღაცები — ნინკა, ჭინკა, სანკა, ვანკა... დაიკარგა პოეზიაც და სიმღერაც. ამას წინათ, ვიღაცამ თავისი წიგნი მაჩუქა. ავტორის სახელი ეწერა მხოლოდ — გალინა. თავი ვეღარ შევიკავე და ვუთხარი — გალაკტიონს არ დაუწერია არასდროს მხოლოდ სახელი და ეს გალინა რა არის, რა უბედურებაა-მეთქი?! ან რა ლექსები იწერება? — არც რითმაა, არც აზრი... სირცხვილი რა არის ასეთი ლექსის დაწერა?!

„მე მინდა შენთან, შენ გინდა ჩემთან,
წამოდი ჩემთან, მე მოვალ შენთან.
წავიდეთ ერთად, მივიდეთ იქ,
შენა ხარ ჩემთან და მე ვარ აქ.
დარჩი ჩვენთან, შენ როგორც მე"...

ეს არის პოეზია?! რაღაცებს ბეჭუტურებენ და პოეზია ჰგონიათ... ეტყობა, მართლაც ყველაფერმა იცვალა ფერი და ზნე, რაც ძალზე შემაშფოთებელი და სამწუხაროა...

ძეთევან სეფაშვილი, ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ქალია. ალბათ, მასაც, როგორც ნებისმიერ გოგონას, თავის დროზე, ბედის კვერიც გაუსინჯავს და ყავის ჭიქაშიც ჩაუხედავს. იმას კი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მისი რჩეული სპილოებისა და ნიანგების ქვეყნიდან — შორეული ინდოეთიდან იქნებოდა.

სტივ პრემკუმარი 1996 წელს კანადურმა ფირმამ სამუშაოდ თბილისში გამოგზავნა. ნათქვამია, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო — ზუსტად ასე დაემართა ინდოელ ჭაბუკს, როდესაც ბინა მომავალი მეუღლის მეზობლად იქირავა. დღეს სტივსა და ქეთევანს ბედნიერი ოჯახი აქვთ და 6 წლის ვაჟი — გიორგი (ჯორჯი) ჰყავთ.

პროტესტანტმა სტივ პრემკუმარმა მართლმადიდებლად მონათვლასა და ქართველ გოგონასთან ჭვრისწერაზე ლოცვა-კურთხევა კათალიკოს-პატრიარქისგან მიიღო

ელენე ხირსელი

— ქეთევან, როგორ გაიცანი მომავალი მეუღლე?

— 1996 წელს ჩვენს მეზობლად ინდოელმა ყმაწვილმა იქირავა ბინა. ერთ დღეს, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ვხედავ, ოჯახის წევრებთან ერთად გაშლილ სუფრას ახალი მეზობელიც უზის. დედაჩემი ამ პიროვნებით შეხვედრისთანავე მოიხიბლა. მას ახალგაზრდობაში ინდოეთში უმოგზაურია და ამ ქვეყანასთან ბევრი სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. ამიტომაც, ინდოელ ადამიანთან შეხვედრა მისთვის განსაკუთრებულად სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო. სტივი იოლად შემოვიდა კონტაქტში და ძალიან მხიარული, თბილი ადამიანის შთაბეჭდილებაც დატოვა. იმ დღეს კარგად ვიმხიარულეთ: მე და ჩემმა დამ გიტარაზე დავუკარით, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ, გამომშვიდობებისას, უცხოელმა სტუმარმა მთხოვა, მისთვის გიტარაზე დაკვრა მესწავლებინა, თვითონ კი — ინგლისურის სწავლას შემპირდა. გაკვეთილები კვირაში სამჯერ დავნიშნეთ. მან ცოტა რუსული, მე კი — ცოტა ინგლისური ვიცოდი, მაგრამ მთხოვა, მასთან მხოლოდ ქართულად მელაპარაკა. ასე ნელ-ნელა, შესანიშნავად შეისწავლა ქართული. მას ენის ათვისების არაჩვეულებრივი ნიჭი აღმოაჩნდა.

— როდის დაიწყო თქვენი რომანი?

— ერთ თვეში, სტივი სიყვარულში გამომიტყდა და ცოლობა მთხოვა. ამ მცირე ხნის მანძილზე ძალიან შევეჩვიე და უკვე მომწონდა კიდეც, მაგრამ მაინც უარი ვუთხარი. ჩემს თაყვანისმცემელს იმედი არ დაუკარგავს, საკმაოდ თავდაჯერებულმა მითხრა: იცოდე, ერთ წელიწადში, მაინც ჩემი გახდებიო და მიაღწია კიდეც საწადელს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ვიქორწინეთ. შეყვარებულობის პერიოდი კი, ჩემთვის უბედნიერესი, ულამაზესი ხანა იყო. სტივი ძალზე რომანტიკული შეყვარებული აღმოჩნდა, ყოველდღე კართან ვარდების თაიგული მხვდებოდა. საოცარ წერილებს მწერდა, მომიძღვნა არაჩვეულებრივი პოემა (ინგლისურ ენაზე), დავდიოდით ჯაზკლუბებში, მეგობრებთან... და მოხდა ისე, რომ ძალიან მალე, მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმომედგინა.

— შენს მშობლებსა და მეგობრებს რა რეაქცია ჰქონდათ, თქვენი ურთიერთობების წინააღმდეგნი ხომ არ ყოფილან?

— სტივი ისეთი ბუნების ბიჭია, ყველას შეაყვარა თავი. საოცრად თბილი, კონტაქტური და მხიარულია. ერთი წლის განმავლობაში, თითქმის ჩვენი ოჯახის წევრი იყო. ისე მიიღეს და შეიყვარეს, როგორც საკუთარი შვილი. სტივი არც მალავდა თავის გრძნობებს, ყველამ იცოდა ჩვენი ურთიერთობების შესახებ. მშობლები ჩვენს საქმეში არ ჩარეულან. პატარა აღარ ვიყავი და მითხრეს, შენი ბედი შენი გადასაწყვეტია, მთავარია, ბედნიერი იყოო.

— სტივ, შენმა მშობლებმა როგორ მოგიწონეს არჩევანი?

— ინდოელები ხშირად ქორწინდებიან უცხოელებზე, ამიტომ იქ, ეს არავის უკვირს. ეროვნებას არავინ აქცევს ყურადღებას. სამაგიეროდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარწმუნოებას. ჩემი საცოლე სხვა სარწმუნოების წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, სერიოზული პრობლემები შემექმნებოდა. მართალია, მე პროტესტანტი ვიყავი, ქეთი კი — მართლმადიდებელი, მაგრამ ეს უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო — ორივე ხომ ქრისტიანები ვიყავით! ჯვრისწერა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, გადავწყვიტე, მართლმადიდებელი გავმხდარიყავი. სხვათა შორის, სიყვარულის გამო ანალოგიური ნაბიჯი თავის დროზე, მამაჩემმაც გადადგა. ეს ჩვენს ოჯახში ერთგვარ ტრადიციადაც კი იქცა: მამა ინდუსი გახლდათ, დედა — ქრისტიანი, ამიტომ მამა ქრისტიანულად მოინათლა. როცა ინდუსი იყო, სხვა გვარი ჰქონდა — აჩარი, პრემკუმარი მერე გახდა. ინდოეთში შეგიძლია, ნებისმიერ გვარზე თავისუფლად დაეწერო.

ჩემი აზრით, ჩვენს ხალხებს შორის, მსგავსება მეტია, ვიდრე განსხვავება. განსაკუთრებით ეს მეგრელებზე ითქმის...

ქეთევანი:

— ჩემმა მოძღვარმა არ მომცა სტივზე გათხოვებისთვის კურთხევა და მის მონათვლაზეც უარი განგვიცხადა: ჩვენ ძალიან ახლო, მამაშვილური ურთიერთობა გვქონდა და არ უნდოდა, არაქართველს გავყოლოდი. გადავწყვიტეთ, კურთხევა თვით უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორისგან მიგვეღო. საპატრიარქოს მისაღებში ვისხედით და იქ შემთხვევით, ერთი ქალბატონი გავიცანით. სტივმა მას შესჩივლა: ეს გოგონა მიყვარს, მინდა, მართლმადიდებლად მოვინათლო, ნუთუ ამის უფლება არა მაქვსო? ეს ქალი, კათალიკოს-პატრიარქის მდივანი აღმოჩნდა. ქალბატონმა შორენამ აუდიენცია მოგვიწყო. უწმინდესსა და უნეტარესს სტივმა ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა. კათალიკოს-პატრიარქს ძალიან მოეწონა სტივი. მისი გულწრფელობითა და სიალალით მოიხიბლა, მერე იმ წმინდა დედებს უხმო, რომლებიც ინდოეთში ყოფილან... ძალზე საინტერესო და გულითადი საუბარი გამოგვივიდა. იქიდან სულიერად დამშვიდებულნი და ბედნიერები წამოვედით. სტივი მართლმადიდებლურად მოინათლა და მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, ჯვარიც დავიწერეთ.

— **ქორწილი თუ გქონდათ?**

— ხელის სათხოვნელად სტივის მშობლები ჩამოვიდნენ. 300-კაციანი ქორწილი მედიკოსთა სახლის საბანკეტო დარბაზში გადავიხადეთ. სუფრასთან ქართველები, ინდოელები და სხვა ერის წარმომადგენლები — საზღვარგარეთელი სტუმრები ისხდნენ. ქართული ტრადიციული ქორწილი გვქონდა, ინდური მოტივები მხოლოდ რამდენიმე ინდურმა სიმღერამ შემოიტანა.

— **სტივ, რით განსხვავდება ქართული ქორწილი ინდურისგან?**

— ინდოეთში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს განსხვავებული ქორწილები აქვთ, თუმცა, მათ შორის საერთო მეტია, ვიდრე განმასხვავებელი. ინდური ქორწილი უფრო ხანგრძლივია — 3-4 დღე და ღამე უწყვეტად მიმდინარეობს. ჩვენი სურვილია ცხოვრების ეს ყველაზე მშვენიერი დღესასწაული რაც შეიძლება მეტხანს გაგრძელდეს. ჩვენს სუფრაზე საერთოდ არ არის ალკოჰოლური სასმელი — ეს აკრძალულია. ჩვენთან დალევა ცუდ ტონად, თითქმის დანაშაულად ითვლება. მსმელ ადამიანთან ურთიერთობას თაკილობენ, ის ყველასგან გარიყულია. საქართველოში კი, სუფრა ალკოჰოლის გარეშე წარმოუდგენელია. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება. მაოცებს, რამდენის დალევა შეუძლიათ ქართველებს...

— **რა განსხვავებაა ქართულსა და ინდურ ოჯახებს შორის?**

— აქ უფრო ქალები მართავენ ოჯახს, ჩვენში ფუნქციები თანაბრად არის განაწილებული. ჩვენი ხალხი უფრო პრაქტიკულია. ქართველებს უყვართ ფულის ფლანგვა, ნივთების შეძენა. ინდოელები კი ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ — დანაზოგს აკეთებენ, რაც ავადმყოფობისთვის, სწავლისა თუ ქორწინებისთვის, ან სამოგზაუროდ და სხვა გაუთვალისწინებელი



სადაც არ უნდა მოვხვდეთ, სტივს ყველგან ნაცნობი ჰყავს...

შემთხვევისთვის იქნება საჭირო. ჩვენში ბავშვი რომ იბადება, მის სახელზე მაშინვე ხსნიან ბანკში ანგარიშს და მერე, ყოველთვე გარკვეული თანხა შეაქვთ.

— **თქვენც გახსენით ბანკში ანგარიში?**

ქეთევანი:

— ჯერ არა, სულ ვაპირებთ, მაგრამ მაინც ხარჯვას ვამჯობინებთ. სტივი ქართულ ყიდაზე გადმოვიდა...

— **აქ შეიცვალა თუ საერთოდაც ასეთი იყო?**

— ხელმომჭირნე არასდროს ყოფილა! ასეთი რომ ყოფილიყო, არც მისი ცოლი ვიქნებოდი...

— **თუ ასეა, სტივს წესით, არ უნდა გასჭირვებოდა ჩვენს ხალხთან შეგუება...**

სტივი:

— ჩემი აზრით, ჩვენს ხალხებს შორის, მსგავსება მეტია, ვიდრე განსხვავება. განსაკუთრებით ეს მეგრელებზე ითქმის: ხასიათი, ტემპერამენტი.. თქვენ წარმოიდგინეთ, მათი სახლებიც კი ჩვენსას მგონებს. ძალიან ჰგავს მეგრული სამზარეულო ჩვენს სამზარეულოს. მათაც ცხარე კერძები უყვართ, პურის მაგივრობას ღომი უწევთ, ჩვენ კი — ბრინჯი. მაგრამ არის თქვენთან ზოგი რამ, რაც მაკვირვებს. მაგალითად, აქ ძალიან დიდხანს აჩერებენ მიცვალებულს (5-7 დღე), ჩვენში კი, იმავე დღეს კრძალავენ (ქრისტიანები) ან კრემაციას უკეთებენ (ინდუსები), რაც კლიმატური პირობებითაცაა განპირობებული. ჩვენში სასაფლაოზე არ ადიან, მიცვალებულების სულებისთვის ეკლესიაში ლოცულობენ...

— **მოდი, ისევ თქვენს ოჯახს დავუბრუნდეთ. რა ენაზე ლაპარაკობთ შინ?**

ქეთევანი:

— ქართულად. დღეს ინგლისური ენის პედაგოგებს სპეციალურად ქირაობენ და დიდ თანხებს უხდიან. სტივს ვეუბნები გამოიყენოს თავისი უპირატესობა და ბავშვს ინგლისურად ელაპარაკოს, მაგრამ თავისას არ იშლის... საინტერესო ის არის, რომ როდესაც გიორგი (ჯორჯი) ინდოეთში ჩავიყვანეთ, მოულოდნელად ინგლისურად ისე კარგად ალაპარაკდა — გავოცდით, თურმე ბავშვს სიტყვების რამხელა მარაგი ჰქონია.. იმ კახელის არ იყოს, 6 წლამდე რომ არ ამოუღია ხმა და მშობლებსაც მუნჯი ეგონათ: ხმას რატომ არ იღებდიო, რომ ჰკითხეს, ასე უპასუხა — აქამდე, ხაშლამას მარილი არ აკლდაო!.. ჩემმა შვილმაც მითხრა — არ მჭირდებოდა და არ ვლაპარაკობდიო. გიორგი ძალიან ჭკვიანი და თავისი ასაკისთვის განსწავლული ბავშვია. წელს, წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლაში უნდა შევიყვანოთ. ჩვენი შვილი ორ გვარს ატარებს: პრემკუმარ-სეფაშვილია. ისე გამართულად ლაპარაკობს ქართულად, მის ქართველობაში ეჭვი არავის ეპარება, მხოლოდ იმას მეუბნებიან ხოლმე: უი, ეს რა შავტუხა ბიჭი გყოლიაო! რომ იტყვიან — სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარო... ბავშვი თავს ქართველად გრძნობს.

— **სტივ, შენს ქვეყანაზე, შენს ქალაქზე გვიამბე...**

— ინდოეთში მილიარდზე მეტი მოსახლეობაა. ჩვენში, სტრატეგიული ობიექტის გარდა, ყველაფერი კერძო საკუთრებაშია. იქ სამი რელიგიის წარმომადგენლები (ინდუსები, მუსლიმანები, ქრისტიანები) მშვიდობიანად თანაარსებობენ. ვცხოვრობ უდიდეს (8-მილიონიან) საპორტო ქალაქ მადრასში, რომელიც ინდოეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. იქ საშინლად ცხელი და ნესტიანი ჰაერია. წელიწადში ერთხელ ახალი წლისთვის მთელი ოჯახით ჩავდივარ ჩემს სამშობლოში. ჩემი მშობლები ექიმები არიან, — ამ ქვეყანაში ცნობილი ონკოლოგები. მათ მსოფლიოს სხვადასხვა კლინიკაში უმუშავიათ. მყავს გათხოვილი და. ჩვენთან თითქმის ყველას კერძო სახლი აქვს. ჩვენც საკმაოდ დიდი სახლი გვაქვს. გვყავს ბევრი მოსამსახურე: დამლაგებელი, სახლისა და ბაღის დარაჯი, მოსამსახურე, რომელსაც მოაქვს პროდუქტი, მძღოლი... ინდოეთი საკმაოდ კონსერვატორული ქვეყანაა. ჩვენთან, ქალმა სიგარეტი რომ მოსწიოს,

დიდი სირცხვილია. ქალებს, ქალაქსა და სოფელშიც, მხოლოდ ნაციონალური ტანსაცმელი: სარი ან შალვარ-კუმისი (შარვალი და ხალათი) აცვიათ.

— გამიგია, ინდოეთში მხოლოდ ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბები ცხოვრობენო...

— დღეს ასე აღარ არის. ახლა ჩვენთან მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი, საშუალო ფენაა — ის ნახევარ მილიარდს შეადგენს. ინდოეთში უეცრად შემოიჭრა პროგრესი — უამრავი ფაბრიკა და ქარხანა ამუშავდა, ბოლო დროს რომ ვიყავი, დედა ჩიოდა — მოსამსახურის აყვანა ძალიან გართულდაო. ხალხს ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა ურჩევნია. დღეს ინდოელთა შვილები სკოლაში დადიან, ინგლისურს სწავლობენ — ეს მათი წინაპრებისთვის წარმოუდგენელი ფუფუნება იყო.

გიორგი (ჯორჯი) ინდოეთში ჩავიყვანეთ, მოულოდნელად ინგლისურად ისე კარგად ალაპარაკდა — გავოცდით, იმ კახელის არ იყოს, 6 წლამდე რომ არ ამოუღია ხმა და მშობლებსაც მუნჯი ეგონათ...

— ინდური ფილმი, განსაკუთრებული ფენომენია და ამ თემას ნამდვილად ვერ ავუვლით გვერდს...

— კინოინდუსტრიას დიდი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. წელიწადში 800 ფილმს იღებენ, ფილმებში აკრძალულია ეროტიკული სცენები — კოცნასაც კი ვერ ნახავთ. მახსოვს, 1994 წელს, ჩვენს ეკრანებზე გამოვიდა ფილმი, სადაც იყო ასეთი სცენა: თეთრკაბიანი ქალი ჩანჩქერში ბანაობდა და სველი კაბა ტანზე ეტმასნებოდა... ისეთი ამბავი ატყდა — ჟურნალ-გაზეთები კარგა ხანს წერდნენ ამის შესახებ.

— ქეთი, ქმრის სამშობლოში არაერთხელ ხარ ნამყოფი, როგორ მოგეწონა ინდოეთი?

— ქართველ ქალებს განსაკუთრებულად იზიდავს ინდოეთი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ქართველი ქალია ინდოეთში გათხოვილი. მაგალითად, ჩემი მეგობარი სოლოლაკელი რუსიკო ნიკოლეიშვილი, ულამაზესი გოგონა, დელიში გათხოვდა და დღეს ძალიან ბედნიერია.

ინდოეთში ქალის, დედის კულტია. ვნახე ბევრი მუზეუმი, ისტორიული ძეგლი და საინტერესო კანონზომიერება აღმოვაჩინე — აბსოლუტურად ყველა ინდურ ღმერთს ქალის სხეული აქვს. როცა პირველად ჩავედი ინდოეთში, ახალდაქორწინებულები ვიყავით. ძალიან მოკლე კაბა მეცვა, ყველა მე მიყურებდა და თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი. ტყუილად არ უთქვამთ — სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო. იქ ბევრ უცხოელს აცვია სარი, განსაკუთრებით ამერიკელებს უყვართ ინდური სამოსი. ბოლოს რომ ვიყავი ჩასული, დედამთილმა და მულმა საჩუქარი გამიკეთეს — სარი დამახვედრეს. ინდოეთში ძალიან მომხიბვლელი ქალები არიან, შეიძლება, ინდოელი ქალი შეუხედავიც კი იყოს, მაგრამ იმდენად ქალურია და ელეგანტური, ისე კოხტად დაგოგმანებს — თვალს ვერ მოსწყვეტ, ყელმოღერებული გედებივით არიან. ინდური სამოსი იმდენად ლამაზი და ჰაეროვანია, ყველას უხდება. რა ფერის სარიც აცვიათ, იმავე ფერის სამკაულებს იკეთებენ — არაჩვეულებრივი, საუცხოო ფერებია — სიცოცხლის, სიხარულის... იქ ისეთ ფერებს ნახავთ, რომელსაც სახელიც კი არა აქვს.

— ინდური კერძების მომზადება თუ ისწავლე?

— სტივმა ერთი დღეც რომ არ ჭამოს ინდური კერძი, არ შეუძლია. სამზარეულოში მას უფრო უყვარს ტრიალი, მეუბნება, რომ მე ისე მაინც ვერ გავაკეთებ, როგორც თვითონ უნდა. ინდოეთში პურს არ ჭამენ და მის ფუნქციას ბრინჯი ასრულებს. ამის გამო, როცა იქ ვიმყოფები, ძალიან ვიტანჯები. ინდოეთი სანელებლების ქვეყანაა. სანელებლებით კერძის შეზავება — ნამდვილი ხელოვნებაა. ინდოეთში რომ ჩახვალ, აეროპორტშივე სანელებლების სურნელი ტრიალებს — თითქოს სულ სხვა სამყაროში მოხვდი. მათი ძირითადი ტრადიციული კერძებია: ბირიანი (ხორცით, ბრინჯით და სანელებლებით მზადდება), თევზის ფუთია (ზუთხს ჯერ ხარშავენ, მერე ხრაკავენ, ურევენ სანელებლებს და საბოლოოდ, გამოდის ისეთი თხელი, როგორც ბლინი). ინდოელებს განსაკუთრებული ტკბილეული აქვთ, რომელსაც არა აქვს ტრადიციული ნამცხვრის ფორმა, არ ცხვება — ეს არის პატარ-პატარა გუნდები, რომელიც რძითა და სანელებლებით არის შეზავებული.

— ალბათ, მადრასში ინდოელებს ქართული კერძებიც გაასინჯე, ხომ?

— ინდოეთში ყველი საერთოდ არ არის. ჩემს მამამთილს ჩვენი ყველი ძალიან მოეწონა და მთხოვა, რომ ჩამოხვალ, ჩამოიტანეო. ორი თავი სულგუნი განსაკუთრებულად შევფუთე და უზარმაზარი გზა (თბილისი-მოსკოვი-დელი-მადრასი) გამოვატარე. ახალი წელი მოდიოდა. გადავწყვიტე, ხაჭაპური გამომეცხო — ისეთი ხაჭაპური გამომივიდა, თითებს ჩაიკვნეტდი — ყველი ლამის იყო, კილომეტრზე იწელებოდა. მამამთილი სახლში წინ და უკან დადიოდა და თან ხაჭაპურს მიირთმევდა — ასეთი გემრიელი რამე ჯერ არ მიჭამიაო! — ამბობდა. მეორე დღეს, ჩემი მული მოვიდა და რამდენიმე ხაჭაპური შინ გავატანე. საღამოს რომ შევხვდი, ვკითხე, როგორ მოგეწონა-მეთქი? ოფისში წავიღე, ჯემი წავუსვით და ჩაისთან მივირთვითო.

— ალბათ, როგორც უცხოელს, სტივსაც გადახდებოდა საქართველოში კურიოზები..

— მე ძალიან კონტაქტური და მეგობრული ადამიანი ვარ, მაგრამ სტივმა, რომ იტყვიან, ამაშიც „ვადამიჯოკრა". ერთხელ, მანქანით ბათუმში მივდიოდით. ქუთაისში, გამვლელ ქალს ვკითხე, სწორად მივდიოდით თუ არა. ამის თქმა ძლივს მოვასწარი, ქალმა მოულოდნელად ისე შეკივლა, ლამის გული გამისკდა: უი, სტივ, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, აქ რა ვინდაო?.. სადაც არ უნდა მოვხვდეთ, სტივს ყველგან ნაცნობი ჰყავს, სადმე მაღალმთიან, მიყრუებულ სოფელშიც კი აუცილებლად ვინმე გამოუჩნდება. ერთი სიტყვით, ჩემს ქვეყანაში მე უფრო ვარ სტუმარი, ვიდრე ის. როგორც გითხარით, ძალიან იოლად უმეგობრდება ადამიანებს. ერთხელ, თბილისში ახალი ჩამოსული იყო, მანქანა უნივერმაღ „თბილისთან" გავაჩერებინე და ვუთხარი, 5 წუთში ჩამოვალ-მეთქი. უნივერმაღიდან რომ გამოვედი, რას ვხედავ?.. სტივი ზის მანქანაში, ყურებამდე გაღიმებული ავტოინსპექტორი კი მის მანქანას მიყრდნობია და ტკბილად მასლაათობენ. თურმე იმ ადგილას მანქანის გაჩერება არ შეიძლებოდა, ინსპექტორი ჯარიმის გამოსაწერად რომ მივიდა, სტივმა ფანჯრიდან თავი გადმოყო და სუფთა ქართულით უთხრა: „ძმაო, რაშია საქმეო? პოლიციელი არ მოელოდა, რომ ინდოელი ასე გამართულად და უაქცენტოდ დაილაპარაკებდა და ისე გაოცდა, რომ სულ დაავიწყდა, რისთვის მივიდა. 5 წუთში უკვე ძმაკაცები იყვნენ! ■

წარბის ფორმა ხასიათის თავისებურებას გაგვანდობს

გაზაფხულზე ქალები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თავიანთ გარეგნობას, რადგან ამ დროს, გაცილებით თვალში საცემია კანისა თუ თმის დეფექტები. პორტრეტისტი, ვიზაჟისტი და კოსმეტოლოგი მაიკო ჭავჭანაშვილი რამდენიმე ყურადსაღებ რჩევას აძლევს ყველა ქალბატონს, რომელსაც სურს, მომხიბვლელად გამოიყურებოდეს. დღევანდელი საუბრის თემა გახლავთ წარბების ფორმა და ჭარბთმიანობის პრობლემები.

სოფო ყარალაშვილი

— მაია, რის მიხედვით ურჩევთ კლიენტს წარბის ფორმას?

— არაფრით არ შეიძლება, ნებისმიერი ფორმის სახეს ნებისმიერი ფორმის წარბი გავუკეთოთ. სახის სიგრძის მიხედვით, შეგვიძლია დახრილობის კუთხის კორექცია: „ატეხილი" წარბი პრეტენზიულობის მაჩვენებელია; ნაზი, თითქმის სწორი წარბი ადამიანის რბილ ხასიათზე მიგვანიშნებს. ცხოვრებისეული პრობლემები, სტრესი დროთა განმავლობაში, სახის ხასიათს ცვლის, ამიტომ აუცილებელია, შევიცვალოთ წარბის ფორმაც.

— როგორ ამოვიქნათ წარბი სწორად?

— წარბის ღერის ამოღება მისი ზრდის საპირისპიროდ უნდა ამოვიღოთ. ღერი ამოქნამდე ნაზია; როდესაც მას არასწორად ამოვიღებთ, ვარღვევთ ფორების სიგანეს, სადაც შემდგომ, უფრო მსხვილი ღერი ყალიბდება. საერთოდ, ყოველი 4 თვის შემდეგ, ღერების ცვლა ხდება. საშინელებაა, როცა ცვილის მეშვეობით ამოიქნება წარბი. უნდა ხდებოდეს თითოეული ღერის ცალ-ცალკე ამოღება. არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დარჩეს წარბებს შუა დიდი მანძილი.

— როგორი სახის ფორმის ქალბატონებს არ შეეფერებათ მომრგვალებული წარბები?

— თუ თვალის ზედა ქუთუთო ზომაზე მეტადაა ამობურცული, არ შეიძლება წარბის მომრგვალება, ვინაიდან ეს უფრო მეტად გაუსვამს ხაზს ამობურცულ ქუთუთოს.

— ტინეიჯერები „აჭრილ" წარბებს ატარებენ, ზოგი ზოლებადაც იკეთებს. როგორი წარბია დღეს მოდაში?

— ეს არის პანკების ტენდენციის გამოხატულება ანუ მათ საკუთარი „მეს" დაფიქსირება უნდათ. თუ ადამიანს ასეთი წარბი სურს, რა თქმა უნდა, ვერ დაუშლი, მაგრამ მოდაში არის-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი.

— გოგონებს ხშირად აწუხებთ ე.წ. „ულვაშის" პრობლემა...

— გარდა იმისა, რომ მზის ულტრაიისფერი გამოსხივების დიდი კოეფიციენტი თმიანობისკენ მიდრეკილებას ზრდის, გარე სამყაროც ხელს უწყობს თმის ზრდას. ამის თავიდან ასაცილებლად, არსებობს ცვილი, რაც ტუჩს ზემოთ ღინღლის მოშორებს მსოფლიოში გავრცელებული ფორმაა. თმა შეიძლება მოვიშოროთ სხივური მეთოდითაც თერმულ-ელექტროეპილაციის დროს, ფორებში ხდება ცხელი ნემსის ჩადგმა, შემდეგ — კოაგულაცია იმ კაპილარის, რომელიც თმას კვებავს. ეს ხერხი ეფექტიანია, თუმცა მისი გამოყენებისას თმის ღერების გარდა, ფორების სანათურის შიგნითა კედელიც იწვება, შესაბამისად, ხდება ქსოვილის ატროფია და ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს იმ კუნთის დამწვრობას, რომელიც ფორს ხსნის და კუმშავს. ტრავმა შემდეგ ნაწიბურებს ტოვებს. არსებობს სხვა ხერხებიც. უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია მაღალი სიხშირის გალვანური დენით ეპილაცია. მჟავე ტუტოვანი ბალანსი ისეთი ფორმაში გადადის, რომ ხდება თმის ღერის ღრმა კოაგულაცია. ნაკლებია კანის ქსოვილის ტრავმირება. ასეთი ეპილაცია უშუალოდ მოქმედებს იმ კაპილარზე, რომელიც თმას კვებავს და შესაბამისად, თმიანობის პრობლემა იხსნება.

— როგორ გავიწმინდოთ სახე სახლის პირობებში?

— სახის გაწმენდის საშუალებები აბსოლუტურად ინდივიდუალურია, მათ შორის — ხილისა და ბოსტნეულის ნიღბებიც კი. ამიტომ აუცილებელია კოსმეტოლოგის კონსულტაცია. მათთვის, ვისაც დიდი რაოდენობით ცხიმი გამოუმუშავდება და შესაბამისად, უფრო ხშირად აქვს კანის დაბინძურების პრობლემა, არსებობს პროფილაქტიკური სამკურნალო სისტემები, რომელთა მეშვეობითაც ცხიმის ჯირკვლების სეკრეციის დაქვეითება ხდება. ■



ო�და რამ ქალისა და სასმლის შესახებ

მართალია, სასმელების დაყოფა „ქალურად“ და „კაცურად“ პირობითია, მაგრამ მათ შორის ნამდვილად დიდი განსხვავებაა. სასმლის ძირითადი კრიტერიუმი — მისი სიმაგრეა. 20%-იანის ქვევით, ყველა სასმელი „ქალურს“ განეკუთვნება. ახლა კი უფრო კონკრეტულად თითოეული მათგანის შესახებ:

მშრალი და ნახევრად მშრალი ღვინოები: სასიამოვნო, არომატული, მსუბუქი დასალევია. ამასთანავე, ნაბახუსევს უსიამოვნო შეგრძნებაც არ შეგაწუხებთ. ეს ღვინოები ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა, განსაკუთრებით — წითელი ღვინო, რომელიც გულ-სისხლძარღვთა მოქმედების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. თუმცა, ზოგიერთი მათგანი თავის ტკივილსაც იწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად, ღვინოს ნიგვზიანი კერძები, ყველი და შოკოლადი მიაყოლეთ.

შამპანური და ცქრიალა ღვინოები საოცრად მაცდუნებელი სასმელებია. გაითვალისწინეთ, რომ ამ, ერთი შეხედვით, სასიამოვნო და მსუბუქმა სასმელმა შეიძლება ბევრი სისულელე ჩაგადენინოთ: ნახშირწყალბადის აირი — შამპანურის ბუშტუკები, კუჭის მიერ ალკოჰოლის შეწოვას აძლიერებს და სწრაფად ათრობს ადამიანს.

ლუდი შეიძლება ქალურ სასმლად მივიჩნიოთ, თუმცა, მას თავისი უარყოფითი თვისებებიც აქვს. ლუდის სმა ააქტიურებს თირკმლების მოქმედებას და აძლიერებს შარდის გამოყოფას.

არაყი, ვისკი, ჯინი და კონიაკი „კაცურ“ სასმელებად ითვლება. თუ მანდილოსანსაც მოუწევს მათი დალევა, უჯობესია, წყლით ან ხილის წვენით გააზავოს.

სასმელების ჰოროსკოპი

● თუ არამსმელი ბრძანდებით — მკაცრი, ძლიერი ხასიათი და თვითკონტროლის კარგი გრძნობა გაქვთ. ისე, ღმერთმა ნუ ქნას, ოდესმე ერთბაშად მირთვათ რამდენიმე ჭიქა. თავს ადვილად დაკარგავთ და შეიძლება უსიამოვნო სიურპრიზსაც ვერ ასცდეთ;

● თუ შამპანურის თაყვანისმცემელი ბრძანდებით, ე.ი. მხიარული, გულღია, სიცოცხლით სავსე და ენაწყლიანი ხართ;

● თეთრი, მშრალი ღვინო თუ მოგწონთ, გაწონასწორებული და ამ ღვინოსავით ოდნავ „მშრალი“ ხასიათის ბრძანდებით;

● წითელი, მშრალი ღვინო განუმეორებელი, ესთეტიკური, მიზანსწრაფული ქალბატონის სასმელია;

● მაგარ ღვინოს თუ მიირთმევთ, ნეტარების მოყვარული, საოცრად კონტაქტური, ზედმეტი ახირებებისგან თავისუფალი, საზოგადოებისთვის სასურველი ქალბატონი ბრძანდებით;

● თუ ლიქიორის თაყვანისმცემელი ხართ, ნამდვილი ინტელექტუალი ყოფილხართ. ლიქიორიანი სასმისის თანხლებით თქვენ საინტერესო, ბრძნულ და საქმიან საუბრებს აწარმოებთ და მომავალსაც ბრწყინვალედ გეგმავთ;

● თუ საუზმეს არაყს აყოლებთ, გულღია, პირდაპირი ადამიანი ხართ, რომელმაც ზუსტად იცის, როდის რა უნდა. ის, ვინც საუზმის გარეშე სვამს არაყს, სუსტი, დაბნეული და სასოწარკვეთილი ადამიანია;

● თუ ლუდს ბოთლიდან მიირთმევთ, ეს თავქარიანობის, გულგრილობისა და ნიჰილიზმის ნიშანია. თუ პლასტმასის სასმისიდან — ე.ი. უბრალოდ გცხელათ, თუ დაორთქლილი კათხიდან — რომანტიკული პიროვნება ყოფილხართ და ავანტიურული თავგადასავლები გიტაცებთ.

■

ვაკანსია

შპს „არტი“, Procter&Gamble-ისა და Gillette-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს

სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94-18-94. ელ. ფოსტაზე: vacansy@arti.ge



აცრა ალერგიის წინააღმდეგ

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

შესაძლებელია თუ არა გაზაფხულის პოლინოზის განვითარების თავიდან აცილება? შეიძლება თუ არა ასთმის მიმდინარეობის შემსუბუქება? იქნებ, ეს ყველაფერი წამლების გამოყენების გარეშეა შესაძლებელი? დიახ, ალერგოვაქცინაცია მთელ მსოფლიოში გამოიყენება და შესანიშნავ შედეგებსაც იძლევა.

ალერგოვაქცინაცია ალერგიის საწინააღმდეგო აცრაა. მკითხველს მოეხსენება, რომ სხვადასხვა ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ერთ, ორ ან სამ ინიექციას ითვალისწინებს. მათგან განსხვავებით, ალერგოვაქცინაცია ხანგრძლივი პროცესია. იმუნოლოგიური დაცვა და ალერგენისადმი მგრძნობელობის დაქვეითება თანდათანობით ვითარდება. მაგრამ შედეგი საკმაოდ მყარია და იცავს ადამიანს უფრო მძიმე ალერგიული დაავადებების განვითარებისაგან.

დღეისათვის სპეციფიკური იმუნოთერაპია ანუ, როგორც ბოლო დროს უწოდებენ, ალერგოვაქცინაცია, ყველაზე ეფექტური მეთოდია, ამა თუ იმ ალერგენზე ორგანიზმის რეაქციის შესაცვლელად და მის მიმართ იმუნური ტოლერანტობის (აღუქმელობის) შესაქმნელად. მეთოდი ჯერ კიდევ 1911 წელს შემუშავდა და მას წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში კვალიფიციური ალერგოლოგები.

ალერგენის შეყვანით, მხოლოდ კი არ ვაჩვევთ მას ორგანიზმს, არამედ ვაიძულებთ, გამოიმუშაოს ამ ალერგენთა საწინააღმდეგო დამცავი ნივთიერებები და ამგვარად ვაღწევთ დაავადების ხანგრძლივ რემისიას (ჩაწყნარებას).

თავდაპირველად ადგენენ, კერძოდ, რომელ ალერგენებზე რეაგირებს ადამიანის ორგანიზმი. ამისთვის კი, კანის ალერგიული ტესტირება – კანის სინჯები კეთდება. ამ პროცედურის მეშვეობით, ნახევარ საათში დგინდება ის ალერგენები, რომლებზეც ორგანიზმს მაქსიმალური რეაქცია აქვს. თუ გაირკვა, რომ ბრონქული ასთმისა და ალერგიული რინიტის (შემთხვევათა 75%-ში ისინი ერთდროულად გვხვდება) მიზეზად, ოთახის ან ყვავილების მტვერი გვევლინება, შეიძლება ჩატარდეს ალერგოვაქცინაცია.

არსებობს ალერგოვაქცინაციის რამდენიმე ხერხი და სამკურნალო ალერგენების შეყვანაც ასევე სხვადასხვა გზით ხდება: ინიექცირებით (ნემსით), პერორალურად (აბებით), ენის ქვეშ (სუბლინგვალურად). ყველაზე ტრადიციულია ინიექციური მეთოდი (ალერგენის პერორალური შეყვანისას, მისი დოზა, ინიექციურთან შედარებით, 200-ჯერ მატულობს). ტექნიკურად სწორად ჩატარებული პროცედურა (ინიექცირება) არ უნდა იწვევდეს

უსიამოვნო შეგრძნებას. ნემსის გაკეთების შემდეგ, ავადმყოფზე დაკვირვება საჭიროა 40-50 წუთის განმავლობაში, რათა ექიმი დარწმუნდეს, რომ ალერგენის შეყვანაზე უარყოფითი რეაქცია არ განვითარებულა. იმუნოთერაპიის დროს შეიძლება გამოვლინდეს ალერგიული რეაქციები – ნანემსრის შეწითლება ან ქავილი. ეს უფრო ხშირად, ალერგენის მაღალი კონცენტრაციით შეყვანისას ხდება. ასეთი რეაქციები ალერგოვაქცინაციის გაგრძელების უკუჩვენებას არ წარმოადგენს. ძალიან იშვიათია ზოგადი, სისტემური რეაქციები – სურდო, ცემინება, ძირითადი დაავადების (მაგალითად, ბრონქული ასთმის) გაძწვავება. ასეთ შემთხვევაში, ვაქცინაცია წყდება და ინიშნება პრეპარატები.

სპეციფიკური იმუნოთერაპია შეიძლება გაგრძელდეს 1-3 წელი, ცალკეულ შემთხვევებში – 5 წლამდეც კი. ყველაფერი დამოკიდებულია დაავადების სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორი რეაქცია აქვს პაციენტს ვაქცინაციაზე. მეთოდმა შეიძლება მოგვცეს ხანგრძლივი რემისია, რომლის დროსაც პაციენტს არ სჭირდება ფარმაკოლოგიური პრეპარატები. შემდგომში ადამიანს შეუძლია კონტაქტი იმ ალერგენებთან, რომლებიც უწინ მის ორგანიზმში მკვეთრ რეაქციებს იწვევდა.

მკურნალობა დასაშვებია 4-დან 50 წლამდე ასაკის პაციენტებში. ალერგოვაქცინაცია ეფექტურია შემთხვევათა 90%-ში, ხოლო არაეფექტურია, შესრულების წესების დარღვევისას. მაგალითად, პერორალური ან სუბლინგვალური მეთოდების დროს, არ შეიძლება, სამკურნალო ალერგენს დააყოლოთ წყალი. ვაქცინაციიდან ნახევარი საათის განმავლობაში, არ შეიძლება ჭამა და წყლის დალევა. სამკურნალო ალერგენის დოზები კი თანდათანობით უნდა გაიზარდოს... ამ პროცესს მრავალი წვრილმანი ახლავს და მათ შესახებ მხოლოდ სპეციალისტი იცის. მეთოდის გამოყენება არასპეციალისტების მიერ შეიძლება, მძიმე შედეგებით დამთავრდეს. ალერგოვაქცინაციის სქემის არასწორად შერჩევისას შესაძლოა, ანაფილაქსიური შოკიც კი განვითარდეს. ასეთი შემთხვევები მოხდა ინგლისში, რამაც ხანგრძლივი დროით შეაფერხა ამ ქვეყანაში მეთოდის განვითარება. თუმცა შემდგომ, ამის მიზეზი დადგინდა და ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა. ფარმაკოლოგიური პრეპარატებისგან ალერგიული პაციენტის თავის დაღწევის ერთადერთი მეთოდი დღეს, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღიარებულიცაა და ფართოდაც იყენებენ. ■

კმაყოფილებელი ება სკოლაში	ა. ფურცელაძე „... ხვიტია“	მიმიკის შესუსტება	გამის ნოტი	ქაღალდის ნაგლეჯი	მათემატიკური გამოსახულება მრიცხველითა და მნიშვნელით	უნივერსიტეტის ხელმძღვანელი (ზოგადად)
	იგივეა, რაც მულტიპლიკაცია	პანტომიმის მსახიობი	ცირკის მოედანი	რეპ-ტილია	ქათმის შვილი	დაწესებულების ან სკოლის ხელმძღვანელი

გაზაფხულის სევდა

გაზაფხულის თანამდევი ასთენიური სინდრომი ხასიათდება დაღლილობით, ძილიანობით, სიცილ-ტირილის სწრაფი მონაცვლეობით, აგრესიულობით, მეხსიერების დაქვეითებით, მოდუნებით. სიმპტომები საღამო ხანს ძლიერდება, ძილი კი ასეთ დროს, ძალებს ვერ აღადგენს. თუ გამორიცხულია ნერვული და ფსიქიკური პათოლოგიები, ტვინის სისხლძარღვოვანი და ორგანული დაავადებები, ქრონიკული, ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ნიკოტინური ინტოქსიკაცია, მაშინ ასთენიის მიზეზი, მზის სინათლის, ფიზიკური აქტიურობისა და ვიტამინების დეფიციტთანაა დაკავშირებული. რაც უფრო მალე აღმოფხვრით აღნიშნულ მიზეზებს, მით უფრო მალე შეძლებთ, „დადგეთ ფეხზე“ და თან, ჯანმრთელობაც შეინარჩუნოთ.

დავიწყოთ საკვებით

ვიტამინთა ძირითადი ნაწილი ორგანიზმში სწორედ საკვების მეშვეობით ხვდება და განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ მცენარეულ საკვებს აქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ ხილისა და ბოსტნეულის ხანგრძლივად შენახვა აქვეითებს მათში ვიტამინების შემცველობას. მაგალითად, თუ ოხრახუშს, კამასა და მწვანე ხახვს მაცივარში ერთი დღე-ღამის განმავლობაში გააჩერებთ, მათში, ორგანიზმისთვის უნივერსალური მნიშვნელობის მქონე ასკორბინის მჟავის (C ვიტამინის) შემცველობა 40-60%-ით შემცირდება. ვაშლი კი, 3 თვის განმავლობაში შენახვის შედეგად, ვიტამინთა 80%-ს კარგავს. დანაკარგის საკომპენსაციოდ, მურაბა და ხილფაფა არ გამოდგება. სამაგიეროდ, ვიტამინი მრავლადაა ცოცხლად გაყინულ მოცხარსა და ქაცვში. დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას შეიცავს კომბოსტოს მწნილი და ახალი კომბოსტო, ბულგარული წიწაკა, ციტრუსები, კარტოფილი. კარგია სტაფილოს სალათა, ბანანი, ფორთოხალი, კივი, ახალი ხახვი, ოხრახუში, კამა.

ნუ გამორიცხავთ რაციონიდან უცხიმო ხორცს, თევზს, ხაჭოს, ყველს, კარაქს, კვერცხს; აღნიშნული პროდუქტები B ჯგუფის A, D, PP და E ვიტამინების წყაროს წარმოადგენს. გახსოვდეთ, პროდუქტის ხანგრძლივი ხარშვა და შეწვა ვიტამინების დაშლას უწყობს ხელს, მაგრამ მათი შენარჩუნება ხდება ორთქლზე ხარშვისას, მჭიდროდ თავდახურულ ტაფაში კერძის მომზადებისას და აგრეთვე ულტრამაღალი სიხშირის ღუმლის გამოყენებისას. ნუ დატოვებთ გაფცქვნილ ხილსა და ბოსტნეულს ხანგრძლივად წყალში.

გაზაფხულზე უარი უნდა თქვათ სპირტიან სასმელებზეც, რადგან ალკოჰოლი შლის ვიტამინებს და მათი ნაკლებობის შევსების მცდელობა უშედეგოა.

ვიტამინთა საჭირო დოზის შევსებაში დაგეხმარებათ სპეციალური მცენარეული ნაყენები (მოცხარის, ჟოლოს ფოთლების, ასკილის ან შავი მოცხარის ნაყოფის, ჭინჭრის ფოთლების, მარწყვის).

თუ აიღებთ 100 მლ ასკილის ექსტრაქტს (იყიდება აფთიაქში), ამდენივე ქაცვის წვენს და დაამატებთ 50-50 მლ ალოეს წვენსა და ოქროს ფესვის ექსტრაქტს (იყიდება აფთიაქში), მიიღებთ არა მხოლოდ ვიტამინების კარგ წყაროს, არამედ იმუნიტეტისა და განწყობილების სტიმულატორსაც. ნარევი უნდა მიიღოთ, თითო ს/კ დილაობით და სადილამდე ერთი საათით ადრე. ძილის წინ დალევას არ გირჩევთ, რადგან შესაძლოა, აღარ დაგეძინოთ.

ერთი გრეიპფრუტის წვენი, ნახევარი ჭიქა ბროწეულის წვენი და ერთი კოვზი თაფლი შეგმატებთ ძალებს მთელი დაძაბული დღისთვის.

ბანანი, ჩირი და სხვადასხვა სახის თხილეული ნაკლებ ვიტამინს შეიცავს, სამაგიეროდ, მათში ბევრია მიკროელემენტი და ნაწლავების მოქმედებისთვის აუცილებელი უჯრედისი – ნაწლავთა ნორმალური მუშაობა კი ვიტამინების უკეთ ათვისებას უზრუნველყოფს.

ჰაერი, სინათლე და მასაჟი

მზის სინათლე, გაზაფხულის სევდის საუკეთესო მკურნალია. ამიტომ ხშირად ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. თუ დილით ცუდ ხასიათზე გაიღვიძეთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ როზმარინის, მიხაკის, ლავანდის არომატული ზეთები: რომელიმე მათგანის ერთი წვეთი დააწვეთეთ ხელსახოცზე და ღრმად ისუნთქეთ 10 წუთის განმავლობაში.

ძალებს აღგიდგენთ ზოგადი წერტილოვანი მასაჟი, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია. განსაკუთრებით ეფექტური წერტილებია: წარბებს შორის, ცხვირის ნესტოების გვერდით, ქვედა ტუჩის ქვემოთ და მკერდის ძვლის შუაში. თუ წერტილს მაგრად დააწვებით – ეს სტიმულაციას გამოიწვევს, ხოლო თუ სუსტად – დაგამშვიდებთ. თითოეული წერტილის მასაჟი საჭიროა, გაგრძელდეს არანაკლებ 5 წთ-ისა, საათის ისრის მიმართულებით, დღეში ორჯერ.

გაზაფხულის ასთენია სწრაფად იხევს უკან, დილის ვარჯიშის, ცურვის, კონტრასტული შხაპების, არომატული და მარილიანი აბაზანების გამოყენებისას.

■

რას ნიშნავს ეკუმენიზმი?

ბოლო დროს, ხშირად წერენ და ქადაგებენ ეკუმენიზმზე, ეკუმენისტურ შეხვედრებზე, ეკუმენისტურ ღვთისმეტყველებაზე და ა.შ. თუმცა, ჩვენ ირგვლივ მრავალმა ადამიანმა, მათ შორის, მრევლის ნაწილმაც არ იცის, თუ რას ნიშნავს ეკუმენიზმი, რას ისახავს მიზნად ეს მოძრაობა და საერთოდ, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მართლმორწმუნე ქრისტიანს მის მიმართ... გვესაუბრება წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ძვლიანიძე.

შორენა მერკვილაძე

— ეკუმენიზმი სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის ურთიერთდაახლოებისა და სულიერი გაერთიანებისკენ მიმართული მოძრაობაა (სიტყვა „ეკუმენიზმი“ ნიშნავს „სამყაროსი“, „მსოფლიოსი“, რომელიც ბერძნული სიტყვიდან — „ოიკუმენე, ოიკეო“ — „ვსახლობ, ვბინადრობ“ — წარმოიშვა). ეკუმენისტური მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს. თავდაპირველად, იგი მიმართული იყო მხოლოდ ქრისტიანულ მიმდინარეობათა სულიერი გაერთიანებისკენ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, გადაიქცა პანეკუმენისტურ ანუ საერთო რელიგიურ მოძრაობად, რომელიც მსოფლიოს (ეკუმენას) — ე.ი. მსოფლიოში არსებულ ქრისტიანულ და არაქრისტიანულ რელიგიათა გაერთიანებას ისახავს მიზნად. ეკუმენისტურ მოძრაობას, მის საქმიანობას წარმართავს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს), რომლის ცენტრიც ჟენევაში მდებარეობს. „თანამედროვე ეკუმენიზმის“ ანუ ე.წ. ჟენევის ეკუმენიზმის გარდა, არსებობს ჭეშმარიტი, „სახარებისეული“ ეკუმენიზმი, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეებში წარმოიშვა. ეს არის ეკუმენიზმი — ანუ მსოფლიო საყოველთაობა წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელიც დააარსა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რათა მისი მეშვეობით მთელ მსოფლიოში გავრცელებულიყო მის მიერ განცხადებული ჭეშმარიტება და აღსრულებულიყო ადამიანთა ცხონება. ჭეშმარიტად ეკუმენური ეკლესია ყოველთვის ისწრაფოდა და დღესაც ისწრაფვის სულიერი ერთობისკენ, გაერთიანებისკენ, მაგრამ ჭეშმარიტების — ე.ი. მართლმადიდებლური — ჭეშმარიტი სარწმუნოების წიაღში, რასაც თანამედროვე ეკუმენიზმი, მსოფლიოში გავრცელებული სხვადასხვა სწავლა-მოძღვრების მიმდევარ რელიგიურ მიმდინარეობათა გაერთიანების მცდელობით ცვლის. ამიტომაც არის თანამედროვე ეკუმენიზმი სრულიად ახალი მოვლენა და მიუღებელი ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის, რომელიც მართლმადიდებლობის სახით გვევლინება. მაგრამ როდესაც ჩვენ მათ მოძღვრებას ვეწინააღმდეგებით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლების მიმართ სიძულვილი გვამოძრავებს. ჩვენ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით ვხელმძღვანელობთ და ამ სიყვარულით მოვუწოდებთ, რომ აღიარონ საკუთარი მოძღვრების მცდარობა, შეინანონ, შეიცნონ ჭეშმარიტება და ცხონებისკენ მიმავალ სწორ გზას დაადგნენ.

— მაგრამ როგორ დავრწმუნდეთ იმაში, რომ მართლმადიდებლობა მართლაც, ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიაა?

— ამის გასარკვევად უნდა მივმართოთ „წმინდა წერილს“, რომელიც დაწერილია სულიწმიდის კარნახით. ქრისტეს სიტყვების თანახმად, სარწმუნოების ჭეშმარიტების უმთავრესი ნიშანია მისი უწყვეტად არსებობა — მოციქულთა დროიდან მოყოლებული, ვიდრე მეორედ მოსვლამდე, ამიტომაც ეუბნება მაცხოვარი პეტრე მოციქულს: „პეტრე, შენ ხარ კლდე და ამას კლდეთა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე 16, 18). „ამას კლდეთა ზედა“ ნიშნავს ჭეშმარიტ რწმენაზე აღვაშენოო“ — განმარტავს წმინდა იოანე ოქროპირი. ამავე აზრს იზიარებს ნეტარი ავგუსტინე: „კლდეს მაცხოვარი უწოდებს არა პეტრე მოციქულს, არამედ მის სარწმუნოებას ძე ღვთისასთან მიმართებაში“. ე.ი. ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის დამახასიათებელი ყოფილა, მოციქულთა დროიდან მოყოლებული, უწყვეტად არსებობა, რაც მხოლოდ მართლმადიდებლურ სარწმუნობას ახასიათებს, რადგანაც უცვლელად მისდევს იმ სწავლებას, რომელიც იქადაგეს მოციქულებმა და აკურთხა იესო ქრისტემ. მასში არაფერია, რომელიმე პიროვნების მიერ მოგონილი და შეთხზული. არამართლმადიდებლურ რელიგიებს კი ახასიათებთ მოციქულთა შემდგომდროინდელი წარმომავლობა და მათი სწავლა-მოძღვრების დამწყები პიროვნების არსებობა (ჩვენ რომ ნებისმიერი არამართლმადიდებლური სარწმუნეობა ავიღოთ, ვნახავთ, რომ ნებისმიერი მათგანისთვის არსებობს დრო, როდესაც დაიწყო მათი სწავლება და პიროვნება, რომელმაც დაიწყო ეს სწავლება — ანუ ჰყავთ ცრუმოძღვარი და მის მიერ მოგონილ ცრუ, მწვალებლურ სწავლა-მოძღვრებას იზიარებენ).

— რას წარმოადგენს საერთო რელიგიური ეკუმენიზმის მრწამსი?

— მისი მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ადამიანთა ცხონება უნდა მოხდეს სხვადასხვა გზით, მათი რწმენის შესაბამისად, რადგან სწამთ, რომ ჭეშმარიტების მფლობელი მეტ-ნაკლებად ყველა რელიგიაა და ცხონება ყველგან არის შესაძლებელი.

— ეი. ეკუმენისტური მოძღვრებით, ყველა რელიგია — როგორც ქრისტიანული, ასევე არაქრისტიანული — ამა თუ იმ ზომით ღვთივგამოცხადებულია და თითოეულში არსებობს მაცხოვნებელი ღვთის მადლი, რაც აშკარად გაუგებრობას ქმნის, რადგან ყოველთვის ითვლებოდა, რომ ქრისტიანული და არაქრისტიანული მიმდინარეობები სრულიად შეუთავსებელნი არიან ერთმანეთთან...

— „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხორებაი; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა-რემს მიერ“, — ბრძანებს მაცხოვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხონების მოპოვება შეუძლებელია იესო ქრისტეს გარეშე. აქედან ჩანს, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენის, მის მიერ ნაქადაგები სარწმუნოების და ქრისტეს მიერ მოცემულ მცნებათა ზუსტი, შეუცვლელი დაცვის გარეშე ადამიანი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს. თუკი ის ქრისტიანული მიმდინარეობები, რომლებიც აშკარად არ უარყოფენ იესო ქრისტეს, მაგრამ არ სწამთ ისე, როგორი სახით რწმენასაც მოითხოვს უფალი, ვერ შეძლებენ ადამიანის ცხონებას, მით უფრო ვერ მოახერხებენ ამას არაქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობები, რადგან ყველა მათგანი პირდაპირ უარყოფს იესო ქრისტეს, როგორც ადამიანთა ცხონებისთვის დედამიწაზე ჩამოსულ განკაცებულ ღმერთს. აქედან გამომდინარე, მათ შორის სულიერი ერთობის მიღწევაზე საუბარიც კი შეუძლებელია. მათი ეს მიზანი თვალნათლივ ადასტურებს ეკუმენისტური მოძრაობის ცთომილებას.

P.S. ეკუმენიზმთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ საკითხებს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.

ფიურერი ბოლოს გაეუდმებით ნამცხვარს ჭამდა, ნერწყვი სდიოდა, მაგრამ... ავზორიზეზს ინარჩუნებდა

ჰიტლერის განსახიერებით მსახიობმა რისკის ქვეშ დააყენა საკუთარი ჯანმრთელობა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მე-60 წლისთავზე, გერმანიაში მოგონებებისა და მონანიების დიდი ტალღა აგორდა. თითქოს სწორედ ამ თარიღს ელოდათ, ერი გულანდილად ალაპარაკდა იმ უბედურებაზე, რომელიც მსოფლიოს თავს დაატეხა. რასაკვირველია, ამის მგალობელი წინათაც იყო. მაგრამ უმეტესად, ინანებდნენ ერის საუკეთესო შვილები – მაგალითად, ჯერ კიდევ ომის წლებში ამერიკაში ემიგრირებული მწერალი თომას მანი, რომელიც 1945 წლის 10 მაისს წარმოთქმულ სიტყვაში მსოფლიოს წინაშე ბოდიშს იხდიდა გერმანელების მიერ დედამიწაზე მოწყობილი სისხლის კალოს გამო და აწ უკვე „უბედური ერისთვის“ შემწყნარებლობას ითხოვდა... იყო კლაუს მანის დიდებული რომანი – „მეფისტო“, გიუნტერ გრასის „თუნუქის დოლი“ და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები. მერე კი, თანდათანობით, მეორე მსოფლიო ომი ათასობით გერმანელისთვის იქცა მძიმე ტვირთად. მოვიდა ომის შემდგომი თაობა და დასვა შეკითხვა: „მანც როგორ მოხდა, რომ გერმანია მსოფლიოს ჯალათად მოევლინა?“ ბევრი კითხვა შეა აგრეთვე თავად ფიურერის იდუმალებით მოცულმა ფენომენმა: ვინ იყო იგი – ღმერთკაცი, დიდი სტრატეგი, გერმანიის მხსნელი, ღვთისგან ხელდასხმული მმართველი, როგორც მას 20-30-იან წლებში აფასებდნენ, თუ პარანოიკი, უბრალო მკვლელი, სატანა, ერის დამღუპველი, როგორც ახლა რაცხენ? ჰიტლერის ეს ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები საგონებელში აგდებს ფაშისტური გერმანიის დროინდელი თაობის შვილებსა და შვილიშვილებს, რომლებიც უთვალავ კითხვებზე პასუხის მისაღებად, წერენ წიგნებს, აშზურებენ დოკუმენტებს, იღებენ ფილმებს.

ფაშისტური ეპოქის ამსახველი ფილმებიდან, რომლებიც ბოლო წლებში შეიქმნა, ყველაზე ღირსშესანიშნავ ეკრანულ ტილოდ დიდი გერმანელი რეჟისორის ბერნდ აიხინგერის „ალსარულს“ მიიჩნევენ. ამ სურათში ჰიტლერის ცხოვრების ბოლო 12 დღეა ასახული.



ბერნდ აიხინგერი

ბრუნო განცი

ფიურერს ცნობილი მსახიობი ბრუნო განცი ასახიერებს. ჰიტლერი და ნაცისტური პერიოდი გერმანიაში ბოლო დრომდე ტაბუდადებული გახლდათ და მათი ეკრანზე გაცოცხლება დღემდე არავის უცდია. ბერნდ აიხინგერი პიონერი აღმოჩნდა. რამ უბიძგა ამ ფილმის გადაღებისკენ, როგორ წარიმართა მუშაობა ფიურერის როლზე და რამდენად კმაყოფილი არიან შედეგით, ამის შესახებ გერმანული ჟურნალის – „შტერნის“ მკითხველს რეჟისორი **ბერნდ აიხინგერი** და მთავარი როლის შემსრულებელი **ბრუნო განცი** უამბობენ.

— გერმანიაში ეკრანზე ნაცისტთა ლიდერების ჩვენებას ტაბუ ედო. ეს სამართლიანია?

აიხინგერი:

– ომის შემდგომი მსოფლიო შოკირებული იყო, გერმანია – დათრგუნვილი. ამიტომ ბოროტების კონკრეტული იერით ეკრანზე წარმოჩენა არაკორექტული იქნებოდა. თანაც, შეიძლებოდა, ნაცისტი ელიტის ეკრანზე გაცოცხლებას, ომის ტრაგედია ერთგვარად დაეკნინებინა... ესეც არ იყოს, შემოქმედს მომხდარის გასააზრებლად, მოვლენების სწორად შესაფასებლად დრო სჭირდება. ამერიკელებმა მხოლოდ 100 წლის შემდეგ გაბედეს იმის აღიარება, რომ ინდიელების წინაშე დამნაშავენი იყვნენ და მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ გადაიღეს ამ თემაზე ფილმები... მე ტოტალიტარული რეჟიმებისა და მათ მიერ ხალხის დათრგუნვის მეთოდიკას 30 წელიწადია ვსწავლობ. და როცა ბოლოს და ბოლოს, ამ კინოპროექტის განხორციელება დავიწყე, მეგობრები მეუბნებოდნენ – ამ ფილმისთვის გერმანიაშიც და საზღვარგარეთაც ჩაგქოლავენო. მაინც გავბედე: ჩემი ქვეყნის სირცხვილსა და ტკივილზე მე, გერმანელს უნდა მელაპარაკა და არ უნდა დავლოდებოდი, ამ თემაზე გადაღებულ, ჰოლივუდურ ფილმს...

— დიდხანს არჩევდით მსახიობს ჰიტლერის როლზე?

– არა. ბრუნოს რომ უარი ეთქვა, სცენარს უჯრაში ჩავბრუნებდი. და როცა დამთანხმდა, უკვე ვიცოდი, საქმე რომ აეწყობოდა... ბოლოს ჰიტლერი ძალიან მოტეხილი გახლდათ, ნამდვილი ბერიკაცი იყო, რომელიც სულ ნამცხვარს ჭამდა, ნამცეცები მუნდირზე ეყრებოდა და პირის კიდეებიდან გამუდმებით ნერწყვი სდიოდა... ბრუნოს გარდა, არ მეგულებოდა მსახიობი, რომელიც დამბუნებული, ნერვებად ქცეული ბერიკაცის დამჯერებელ სახეს შექმნიდა, რომელსაც მიუხედავად ფიზიკური უძლურებისა, უკანასკნელ წუთამდე შენარჩუნებული ჰქონდა ავტორიტეტი და სახელმწიფო ძალაუფლება ეპყრა ხელთ.

— როგორი რეაქცია ჰქონდა მსახიობს წინადადებაზე, განესახიერებინა კაცი, რომელიც 60 მილიონი ადამიანის განადგურებაზეა პასუხისმგებელი?

განცი:

– ამ წინადადებით ჩემი ოჯახი და მეგობრები არ აღფრთოვანებულან, განსაკუთრებით – ჩემი ვაჟი, რომელმაც მითხრა: „გაგიჭირდება და შენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედებს ამ ავადმყოფი ადამიანის ფსიქიკაში ჩაწვდომა. ფილმს, ალბათ, მთელი მსოფლიო ნახავს და შენ სიკვდილამდე დარჩები იმ კაცად, რომელმაც ჰიტლერი განასახიერა...“ მეც ვორჭოფობდი და დასფიქრებლად ორი კვირა ვითხოვე. ბოლოს, ჩემში მსახიობურმა პატივმოყვარეობამ იმძლავრა. მაინტერესებდა, შევძლებდი თუ არა იმ პერსონის განსახიერებას, რომლის ეკრანზე გაცოცხლებაც შეუძლებლად ითვლებოდა. ჰიტლერის კოსტიუმში გამოწყობილმა, სახეზე გრიმწასმულმა, სარკეში რომ ჩავიხედე, ჩემდა უნებურად ვთქვი: „ახლა კი ფიურერი ნამდვილად უნდა ვითამაშო!“ საოცარმა მსგავსებამ ამაღელვა და ამავე დროს, შემაშფოთა...

აიხინგერი:

– როცა ბრუნო პირველ გასინჯვაზე ვიხილეთ, ყველას თავზარი დაგვეცა: ეს „ნილბიანი“ კაცი ნამდვილი ჰიტლერი იყო!.. მერე



ჰიტლერი (1945 წ.)

„ჰიტლერი“ (2004 წ.)

სცენარზე ვსაუბრობდით, ბრუნო ისევ ფიურერის „ნიღბით“ იყო და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს თავად ჰიტლერს ველაპარაკებოდი ჰიტლერზე.

— ვის განსახიერებაზე იტყოდით უარს და არავითარ შემთხვევაში არ გააცოცხლებდით ეკრანზე?

განცი:

— საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეს: იმ საშინელების წარმოდგენა, რაც იქ ხდებოდა, ნამდვილად არ შემიძლია. ეს ჩემს ძალებს აღემატება, ამიტომ, მთელ ჩემს ტალანტსა და გამოცდილებასაც რომ მოვუხმო, ამ როლში მაინც ყალბი ვიქნები.

— ვისი განსახიერება იყო უფრო რთული: შექსპირის რიჩარდ მესამის თუ ადოლფ ჰიტლერის?

— რიჩარდ III მაინც მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, ამიტომ შეიძლება, რომ ამ პერსონაჟის ხასიათი ყველა მსახიობმა თავისებურად განასახიეროს. ადოლფ ჰიტლერი კი ნამდვილად არსებობდა და მძიმე კვალი დატოვა ისტორიაში, მისი ბიოგრაფია რეალურია და მისი შეცვლა შეუძლებელია.

— ამ როლმა თქვენზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედა?

— ჯერჯერობით თავს კარგად ვგრძნობ. მომავალში რა იქნება, არ ვიცი.

— გადაღებების დროს, ალბათ განსაკუთრებულ ყურადღებას ჰიტლერისთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციისა და მიმიკის გადმოცემას უთმობდით, არა?

— დიახ, ერთობ თავისებური, შეიძლება ითქვას, განუმეორებელი ხელების მოძრაობა, ჟესტები ჰქონდა. მათი ზუსტად კოპირება შეუძლებელია, მაგრამ, როგორც მეუბნებიან, საკმაოდ კარგად ვამსგავსებ.

— თქვენს ბრწყინვალე ტრანსფორმაციაზე რა რეაქცია ჰქონდათ მეგობრებს?

— ეს, მართლაც, ძალიან სასაცილო იყო. სადაც კი მივდიოდი, იქ მყოფნი ფეხზე დგებოდნენ: „შეჯი მოვიდა!“ — ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. დიახ, მუხედავად თვალში საცემი სიმბუნისა, ჰიტლერი მაინც შეჯად რჩებოდა...

— მხოლოდ ერთადერთი ჩანაწერი არსებობს, სადაც ჰიტლერი ჩვეულებრივი, ნორმალური ტონით ლაპარაკობს. ეს ფირი შვიდწუთიანია და ის 1942 წელს ერთმა რადიოტექნიკოსმა ფარულად ჩაიწერა. როგორი ხმა ჰქონდა ჰიტლერს, როცა ის არ ყვიროდა?

— დიახ, ამ ჩანაწერში ჰიტლერის ხმა, მისი საჯარო გამოსვლებისგან განსხვავებით, ერთობ სიმპათიურად ჟღერს. ხმა ჰქონდა ღრმა, ძალიან მელერი, მტკიცე და დიქცია მართლაც მშვიდი. ყოველ შემთხვევაში მის კოვლთან საერთო არაფერი აქვს.

— ჰიტლერის პროპაგანდისტული გამოსვლები დღეს სიცილს იწვევს.

— 1941 წელს დავიბადე და ბავშვობაში მისი მუქარით სავსე ხმა ჩემში შიშს იწვევდა. 40 წლის რომ გავხდი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ერთი მხრივ, ის დემონი იყო, მეორე მხრივ კი — ჩვენი დღევანდელი აღქმით, — საცოდავი, კომიკური ფიგურა, რომელიც მაღალი იდეებით — როგორებიცაა ღირსება, სამშობლო, კეთილდღეობა, — მანიპულირებდა. ჩემი მიზანი იყო, რომ ამ კაცს მაყურებლებში სიცილი კი არ გამოეწვია, არამედ აღექვათ ისე, როგორც მისი თანამედროვენი აღიქვამდნენ.

— რეჟისორები „ჰიტლერს“ რა დავალებებს აძლევდნენ?

— მეუბნებოდნენ — „აღმოაჩინე შენში ბოროტი!“ ჩემთვის თავდაზე ნათელი იყო, რომ საკუთარ თავში ბოროტების აღმოჩენით, პერსონაჟის ხასიათი ხელიდან გამისხლტებოდა და „სათნო ბრუნოს“ ვითამაშებდი...

— ეი. საკუთარ თავში ჰიტლერი ვერ აღმოაჩინეთ?

— ვერა, რაღა თქმა უნდა. საკუთარ თავში ბოროტის აღმოსაჩენად, თავად ჰიტლერს [illegible]და

ორგანიზმის სისუფთავე — ჯანმრთელობის საწინდარი

ორგანიზმის გაწმენდისა და გაჯანსაღების ეფექტური საშუალებები ჰოლივუდის ცნობილი დიეტოლოგისაგან

„დაავადებების 100 შემთხვევიდან 99-ის სიმძიმე პირდაპირპროპორციულ კავშირშია ორგანიზმში ტოქსინების რაოდენობასთან“ — ასეთი დასკვნა გამოიტანა მრავალწლიანი პრაქტიკისა და დაკვირვებების შედეგად ექიმმა ლინდსი დუნკანმა — კომპანია “ირვინ ნეიჩერალსის“ დირექტორთა საბჭოს თავჯდომარემ, რომელსაც ხშირად “ვარსკვლავთა ექიმს” უწოდებენ, რადგან მის პაციენტებს შორის მრავლად არიან კინოს, ტელევიზიის, მუსიკის, სპორტისა თუ პოლიტიკის კაშკაშა ვარსკვლავები. მის მიერ მოწოდებული ჯანმრთელი კვების მეთოდები თავის თავზე გამოსცადა რინგო სტარმა, დემი მურმა, რენე რუსომ, ლითლ რიჩარდმა, ენგელბერტ ჰამპერდნიკმა. ლინდსი დუნკანი, ამერიკის 42-ე პრეზიდენტის ბილ ქლინტონის მეუღლის, ჰილარი ქლინთონის კვების პირადი კონსულტანტია.

ლინდსი დუნკანი ასკვნის, რომ შეუძლებელია ეფექტური მკურნალობა, თუ ორგანიზმი არ გათავისუფლდა მასში არსებული მავნე ნივთიერებებისაგან, ანუ თუ არ მოხდა შინაგანი დეტოქსიკაცია.

საჭიროებს თქვენი ორგანიზმი შინაგან გაწმენდას? რა მოხდება თუ რამოდენიმე დღე არ გაიტანთ ნაგვის ნარჩენებით სავსე ვედროს სამზარეულოდან? როგორ ფიქრობთ, თქვენს სახლში არ იქნება საშინელი სუნი? ასევე ემართება ნაწლავებში დაგროვებულ საკვების ნარჩენებს. როდესაც ტოქსინები სრულად არ გამოიდევნება ორგანიზმიდან, ჯანმრთელობა მკეთრად უარესდება.

თუ ჩვენ არ გავთავისუფლდით მიღებული საკვების ნარჩენებისაგან, მაშინ ისინი ჩვენს ორგანიზმში თვეებისა და წლების მანძილზე დარჩებიან. ამ დროს ადგილი აქვს ტოქსინების ჩალაგებას ნაწლავის კედელში, რაც იწვევს აუტოინტოქსიკაციას. ტოქსინები აღწევენ სისხლში და იწვევენ უჯრედების, შესაბამისად, კი, ორგანოების მოწამვლას. შედეგად — ჩვენი თვითშეგრძნება უარესდება, ქვეითდება ცხოვრების ტონუსი, ძალა, სიმხნეე, ცოცხალი გამოხედვა. ჩვენ ვიწყებთ მიზეზის ძებნას და ვფიქრობთ, რომ ეს არის სიბერე, მაგრამ სიმართლე სულ სხვაა — თქვენი ორგანიზმი უბრალოდ შინაგან გაწმენდას საჭიროებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ლინდსი დუნკანის მიერ შემუშავებული ორგანიზმის გამწმენდი პრეპარატების ჩამონათვალი და მათი მიმართულებების მოკლე აღწერილობა:

სრული გაწმენდა

უზრუნველყოფს მთელი ორგანიზმის გასუფთავებას შლაკებისაგან, ახდენს შინაგანი ორგანოებისა და სისხლის დეზინტოქსიკაციას.

სასუნთქი სისტემის გაწმენდა

მაქსიმალურად განამტკიცებს და ასუფთავებს სასუნთქ სისტემას.

ღვიძლის გაწმენდა

წარმოადგენს უძლიერესს ჰეპატოპროტექტორს, უზრუნველყოფს ღვიძლის დეტოქსიკაციას და აუმჯობესებს მის მეტაბოლურ ფუნქციას.

საშარდე გზების გაწმენდა

აუმჯობესებს თირკმელების, საშარდე გზების, შარდის ბუშტის ფუნქციას.

სუპერ გაწმენდა

ახდენს ორგანიზმის წმენდას ნაწლავთა სრული გასუფთავების ხარჯზე. ასტიმულირებს პერისტალტიკას და აუმჯობესებს სწორი ნაწლავის ფუნქციას.

დიეტა და შინაგანი გაწმენდა

ეს კომბინირებული პრეპარატი ორგანიზმის შინაგან გაწმენდა-გაჯანსაღებასთან ერთად წონაში კლების ეფექტს უზრუნველყოფს.

მეგაპოლის კლასიკი

ამერიკული კომპანია “ირვინ ნეიჩერალსის” წარმომადგენლობა
შპს “მეგაპოლის კლასიკი”, ი. აბაშიძის 14. ცხელი ხაზი: 94 33 92, 98 96 95, 22 05 32
პრეპარატები ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ “სამგორი-ფარმა”-ს საბუთიანი ქსელში.

შესვედროდი, ეს კი შეუძლებელი იყო. ამიტომ გადავწყვიტე, წარსულში გადავსახლებულიყავი და ფიურერის სახე მისხალ-მისხალ შემეკოწიწებინა. და აღმოვაჩინე: დამკვიდრებული აზრი, თითქოს გერმანული მსხვილი კაპიტალი ჰიტლერს მარიონეტივით ათამაშებდა, მცდარია. პირიქით — ეს იყო პერსონა, რომლის ირგვლივაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გახლდათ დარაზმული და თავისი ფიურერი მხურვალედ უყვარდა...

— გადაღებების დაწყებამდე, თქვენ ბრძანეთ: „არ მინდა, ვიყო მონა და ჰიტლერს მივბაძო. მინდა, ფიურერს გავუგო, ამისთვის საჭიროა, შევიყვარო იგი“. როგორია ეს — გიყვარდეს ჰიტლერი?

— მისი თანამოაზრე უნდა გავმხდარიყავი. ასეთი წინააღმდეგობებით სავსე პიროვნების ხელაღებით უარყოფა, მისდამი სიძულვილი, სახის გახსნაში ნამდვილად ვერ დამეხმარებოდა. ჩემი მორალი გვერდზე უნდა გადამედო და მის აზრთა წყობას, განზრახვას, სურვილებს ჩავწვდომოდი. მისდამი სიძულვილით და ცივი დამოკიდებულებით ამას ვერ მოვახერხებდი. ჰიტლერს მისი მდივნები, და არა მარტო ისინი, ახასიათებენ, როგორც თავმდაბალ, თავაზიან, ხალისიან მამაკაცს, რომელიც ქალბატონებს გალანტურად ეარშიყებოდა... თუ ამას ვირწმუნებდი, მაშინ მხედველობაშიც უნდა მიმეღო.

— ფიურერზე შთაბეჭდილება როდის შეგეცვალათ?

— როცა მივხვდი, რომ მისთვის უცხო იყო თანაგრძნობა. თანაგრძნობა ჰიტლერისთვის მხოლოდ „ღორი პასტორების ლაებობა“ გახლდათ... ხშირად ვფიქრობდი იმ დროზე, როცა ჰიტლერი ვენაში მამაკაცთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, სულელურ საფოსტო ბარათებს ხატავდა და პურის ფულს ამით შოულობდა. მას, რომელიც ვაგნერის ოპერების გმირთა ხვედრზე ოცნებობდა, პანიკურად ეშინოდა „არარაობად“ დარჩენისა...

— როგორ ფიქრობთ — მაყურებელსაც უნდა გაუჩნდეს ჰიტლერისადმი თანაგრძნობა?..

— ფილმში ნაჩვენებია ჰიტლერის ცხოვრების უკანასკნელი 12 დღე, რომელიც მან ძველი რაიხსკანცელარიის ბაღში, მიწაში 10 მეტრის სიღრმეზე ჩაშენებული ბეტონის ბუნკერ-სარკოფაგში გაატარა. ახლა, როცა დროის დისტანციიდან ვუცქერ ამ თხუნელად ქცეულ კაცს, რომელიც გასცემს ბრძანებებს უკვე არარსებული არმიების მისამართით, ადამიანურად მეცოდება და თანავუგრძნობ კიდეც მას — თუმცაღა, ეს პოლიტიკურად კორექტული არ გახლავთ. მაგრამ ჩვენ ხომ გასართობი ფილმი არ გადაგვიღია — ჩვენ საკუთარი წარსულის გაანალიზება ვცადეთ... ომის შემდეგ აუცილებელი იყო, გერმანელები დაერწმუნებინათ, რომ მათი საყვარელი ფიურერი სინამდვილეში, მოღალტე და დემონი იყო. მაშინ ხალხი შეძლებდა, ჰიტლერისათვის ზურგი შეექცია, დაეგმო იგი, საკუთარი დანაშაულის შეგრძნება ოდნავ გაუნელდებოდა და ქვეყნის უბედურების ატანაც გაუადვილდებოდა. დღეს კი, ჩვენი წარსულის ობიექტურად შეფასების დრო დადგა.

მისთვის უცხო იყო თანაგრძნობა...

პანიკურად ეშინოდა „არარაობად“ დარჩენისა...

ალბერტ შპეერი:

— ამ ფილმის გადაღებისას, ჩემი მიზანი არ ყოფილა, ჰიტლერისადმი თანაგრძნობის გამოწვევა. მაშინ გამოვდიოდა, რომ ამად დავმშვრალვარ, სიყალბე გამიკეთებია და ეგ არის. არც მისი აბსოლუტურ ბოროტებად წარმოსახვა წარმოადგენდა ჩემს მიზანს. უბრალოდ, იმის ჩვენება მინდოდა, რომ მისი ემოციების და ქმედებების რაღაც ნაწილის გაგება შესაძლებელია. როდესაც მაყურებელი ნაცისტურ ელიტას ეკრანზე ინილავს, ბევრ კითხვაზე, რომელიც მას აწვალებს, პასუხს მიიღებს...

— ჰიტლერის ქმედებებიდან ყველაზე მეტად რამ გაგაოგნათ?

განცი:

— იმან, რაც მსოფლიომ არ იცის, ან იცის და სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს. ეს არის დამსჯელი აქციები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ, ჰიტლერს საკუთარი ერი ეზიზღებოდა. ამიტომ ბოლოს უნდოდა, ომში დამარცხება სრულიად გერმანიის კასტასტროფაში გადაზრდილიყო. ბუნკერში მან ალბერტ შპეერს უთხრა: „არ არის საჭირო იმ ბაზისის შექმნაზე ფიქრი, რომელიც გერმანელ ხალხს თავისი უპრიმიტიულესი არსებობის გასაგრძელებლად სჭირდება, პირიქით — ვჯობს, ყველაფერი განადგურდეს, რადგანაც ეს ხალხი ძალზე სუსტი აღმოჩნდა“... ჰოდა, გამოსცა „ნერონისეული“ ბრძანებები, რომელთა შესაბამისადაც, ქვეყანა უდაბნოდ უნდა ქცეულიყო... მან ბოლო წუთებში, გერმანელებს კიდევ ერთხელ „ამოჰკრა პანლური“.

— ბევრი თანამედროვე ირწმუნებოდა, რომ ფიურერს ნორმალური სექსუალური ურთიერთობა ქალებთან არ ჰქონია.

— მისი გარემოცვა ირწმუნებოდა, რომ ის და ევა ბრაუნი სხვადასხვა ოთახში იწვნენ, მაგრამ სექსი ნამდვილად ჰქონდათ. მაგრამ იმ დროს გავრცელებული იყო ერთი ხუმრობა: როცა ჰიტლერი თავის ჩვეულ პოზაში, წელს ქვემოთ ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელებით დგას, ეს ნიშნავს, რომ ფიურერი იცავს უკანასკნელ უმუშევარსო...

— გერმანელი ქალები ჰიტლერის ფეხდადგმულ ქვეს იპარავდნენ. რითი იწვევდა ფიურერი ქალებში ასეთ აღტაცებას?

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქარიზმატული ფიგურა, ყოვლისშემძლე მმართველი გახლდათ და დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა. ყველა და ყველაფერი მის ირგვლივ ტრიალებდა. წარმომიდგენია, მასზე რამდენი ქალი ოცნებობდა...

— ჰიტლერის ერთ-ერთი მდივანი ქალი თავის მემუარებში წერს, რომ ჩემი ყველა კოლეგა ფეხმრუდ გებელსს ეკეკლუცებოდაო...

ალბერტ:

— მდივან ქალებს ჰიტლერისადმი უფრო ისეთი დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორიც შეიძლება, ახალგაზრდა ქალს ჰქონდეს მამისადმი, ბიძისადმი, მფარველისადმი. მაგრამ თუკი რომელიმე ქალი ფიურერთან სასიყვარულო ინტრიგის გაბმას მოინდომებდა, ის ასე ვთქვათ, კურდღელივით მაშინვე ბუჩქში იმალებოდა. გებელსი კი, პირიქით — ნამდვილი მამაკაცი იყო. ტყეილად კი არ უწოდებდნენ „ბაბილონელ ვაცს“.

— შეიძლება თუ არა, ვუწოდოთ, ჰიტლერს ბოროტი გენია?

განცი:

— როცა ნახევარ მსოფლიოს აკონტროლებდა, მაშინ მის ბანალურობას ვერავინ აჩნევდა. მაგრამ დიდების შარავანდედი რომ ჩამოშორდა, ერთ მოსაწყენ, სულელ ბერიკაცად იქცა...

— თქვენი ფილმი კრიტიკამ და პრესამ აღიარა, როგორც საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი. თქვენც ასე ფიქრობთ?

განცი:

— დიდი რეჟისორები დიდ ფილმებს იღებენ. ბერნდ აიხინგერი კი დიდი რეჟისორია. პირადად მე მოხარული ვარ, რომ ჩვენ პირველებმა ავხსენით ტაბუ კინოში ნაცისტურ თემას და ნაცისტების ბელადის სახე შევქმენით.

გერმანულიდან თარგმნა
დიდო თოფურიამ



ისტორიული გამარჯვებისთვის „დინამოელებმა“ 600-600 დოლარი და „ვოლგები“ მიიღეს

გალახული ფოტოგრაფი, „არ ითამაშოთ, თორემ გესვრით“ და ... ლოცვა თამაშამდე

1981 წლის 13 მაისი ქართული ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა. 24 წელი გავიდა, რაც ევროპის თასების თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ იენის „კარლ ცაისი“ 2:1 დაამარცხა და სანუკვარ ჯილდოს დაეუფლა. ფეხბურთის ჭეშმარიტ ქომაგს მაშინ განცდილი სიხარული დღემდე არ განელებია და ეს ბუნებრივიცაა. დინამოს“ უდიდეს წარმატებაში საკუთარი წვლილი კარის დარაჯმა ოთარ გაბელიამაც შეიტანა, რომელიც ნოდარ ახალკაცმა თავის დროზე, „ქუთაისის „ტორპედოში“ შეამჩნია და თბილისელთა რიგებში დაუყოვნებლივ მიიწვია. გამოცდილ მწვრთნელს ალღომ არ უმტყუნა: 1979 წელს, ოთარ გაბელია საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს, რაც ბევრ საუცხოო გოლკიპერზე გამარჯვებას ნიშნავდა. გარდა ამისა, „დინამოს“ კარის დარაჯი რამდენჯერმე „33 საუკეთესო“ ფეხბურთელის სიაშიც შეიყვანეს, რომელსაც საკავშირო პირველობაზე სეზონის დასრულების შემდეგ, ფეხბურთის სპეციალისტები და სპორტული ჟურნალისტები ადგენდნენ.

ბატონი ოთარი დღესაც ფეხბურთში მოღვაწეობს და ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელობის პარალელურად, საქართველოს ნაკრებში მეკარეებს ავარჯიშებს. მას „დინამო“—„ტორპედოს“ მატჩის შემდეგ შევხვდით, რომელშიც სტუმრებმა ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში მეტოქე 2:1 დაამარცხეს. ბუნებრივია, საუბარი 13 მაისით დავიწყეთ.

დაჯარგული ბარგი ჯარგი ნიშანი ყოფილა

– თასების თასის ფინალისკენ მიმავალ გზაზე ჩატარებული ყველა შეხვედრა ჩვენთვის რთული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მეოთხედფინალში სტუმრად ინგლისის „ვესტ ჰემი“ 4:1, ხოლო ნახევარფინალში თბილისში როტერდამის „ფეინოორდი“ 3:0 დავამარცხეთ, არც ერთ შემთხვევაში გამარჯვება იოლად არ მოგვიპოვებია. ჰოლანდიელებთან განმეორებით მატჩში 0:2 დავმარცხდით, მაშინ ავსტრიელმა მსაჯმა ვიორერმა ყველაფერი გააკეთა, რომ „ფეინოორდი“ ფინალში გასულიყო. სხვათა შორის, ვიორერი შარშან თბილისში იყო ჩამოსული და როდესაც მას „ფეინოორდი“–„დინამოს“ დაპირისპირების თაობაზე შეეკითხნენ, მან პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა... „კარლ ცაისი“ სოციალისტური ბანაკის ქვეყნის კლუბი იყო და ამიტომ ფინალში მსაჯების მხრიდან რაიმე ლაფსუსს ადგილი არ ექნებოდა. გერმანელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდათ და მათ ფინალამდე ისეთი მეტოქეები დაამარცხეს, როგორებიც იყვნენ იტალიის „რომა“ და პორტუგალიის „ბენფიკა“. თუმცა ჩვენ დიუსელდორფში მხოლოდ მოსაგებად ჩავედით და ამის საფუძველს ის დიდი გამოცდილება გვაძლევდა, რომელიც წლების მანძილზე ევროტურნირებზე ასპარეზობისას მივიღეთ. დიუსელდორფში როდესაც ჩავფრინდით, აღმოჩნდა, რომ ჩემი ბარგი დაკარგულიყო. როგორც იცით, იმ პერიოდში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი მაღალ დონეზე მუშაობდა და ეტყობა, ვიღაცამ დამასმინა, რომ ბარგში ცოტა თანხა მედო, ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების შესაძენად. ამიტომ ჩემი ნივთები სპეციალურად „დაკარგეს“...

გიორგი ლანჩავა

დიუსელდორფში მაისური, ტრუსი და ხელთათმანი მომიტანეს, ხოლო, ვიდრე „ადიდასის“ წარმომადგენელი ბუცებს გადმომცემდა, ნოდარ ახალკაცის სპორტული ფეხსაცმლით ვვარჯიშობდი. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ჩემი ბარგის დაკარგვა, კარგის ნიშანი ყოფილა. გერმანელების მიერ გატანილ გოლში, თანაგუნდელებიდან ვერავის დავადანაშაულებ, რადგან აღნიშნულ ეპიზოდში მთელი დაცვის ხაზი შეცდა. თან, გერმანელმა ფეხბურთელმაც თითქმის კუთხურის ხაზიდან იშვიათი სიზუსტით მიაწოდა პასი ჰოპეს, რომელმაც შეუჩერებლად დაარტყა და ანგარიში გახსნა. მოვლენების ასეთი განვითარების მიუხედავად, მჯეროდა, რომ საპასუხო გოლს გავიტანდით და გამარჯვების შანსი დამატებით დროში ან თერთმეტმეტრიანების სერიაში მოგვეცემოდა. გაშვებული ბურთის მერე, გუნდი პანიკას არ მოუცავს. ახალკაცმა შეცდომებზე მიგვითითა და დაგვიძახა, რომ თამაში ჩვეულებრივად გაგვეგრძელებინა. შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 27 წუთი რჩებოდა. მართალია, დასაკარგი აღარაფერი გვქონდა, მაგრამ შეტევაში თავქუდმოგლეჯილი არავინ გაქცეულა. ჩვენ მეთოდურად ვუტევდით და მცველებიც ფლანგებიდან სახიფათოდ ერთვებოდნენ იერიშებში. ანგარიში შენგელიას ინდივიდუალური გარღვევისა და ოსტატური გადაცემის შემდეგ, გუცაევმა გაათანაბრა. რამაზმა დაინახა, რომ მოწინააღმდეგე მცველი დარტყმის საშუალებას არ აძლევდა და გუცაევს ბურთი დროულად გადააწოდა. ეს თავისთავად, შენგელიას მაღალ კლასზე მეტყველებდა. ხოლო ის, რაც ვიტალი დარასელიამ გააკეთა, გონებიდან დღემდე არ ამომდის. მან შესანიშნავი ცრუმოძრაობებით აუარა გვერდი რამდენიმე გერმანელს და ქართველი ხალხისთვის „საუკუნის გოლი“ გაიტანა...

თამაშის დასრულების შემდეგ, გუნდის მასაჟისტმა, ანზორ გაბიტაშვილმა იტალიელ არბიტრს, რიკარდო ლატანცის ხელიდან ბურთი გამოსტაცა და

გაიქცა. დიუსელდორფის სტადიონზე მყოფი 40 ქართველი გულშემატკივრიდან, ჩვენს გასახდელში ნახევარმა შემოაღწია და გამარჯვება მოგვილოცა. რაც შეეხება ნოდარ ახალკაცს, მას თითქმის არაფერი უთქვამს. როგორც ყოველთვის, დინჯად იქცეოდა და აუღელვებელი ჩანდა. შოთა გორგოძემ *(მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი: „დინამო“ ამ სამინისტროს სისტემაში შედიოდა. – ავტ.)* თბილისში საკუთარ ოჯახებში დაგვარეკვინა, რომ გაგვეგო, საქართველოში რა ხდებოდა. იმავე საღამოს ბანკეტი გაიმართა და გამარჯვება, როგორც ქართველებს შეეფერებათ, ისე აღვნიშნეთ. თბილისში დაბრუნებულებს აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა და გულშემატკივრებმა ხელში აყვანილი გვატარეს. ამ გამარჯვებისთვის, პრემიის სახით, თითოეულ ფეხბურთელს, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, 600 დოლარი გადმოგვცეს და ავტომანქანა „გაზ-24“ („ვოლგა“) ურიგოდ გვაყიდვინეს.

ფეხბურთში დაუწერელი კანონია, რომ მეკარეს თანაგუნდელი არ უნდა შეეპასუხოს

არშემდგარი გარემარბი

– ბავშვობაში მარცხენა გარემარბად და „ტყავის ბურთის“ *(საყმაწვილო ტურნირი, რომელიც საბჭოთა კავშირში ტარდებოდა. – ავტ.)* პრიზის გათამაშებაში ბომბარდირიც კი გავხდი. იმ პერიოდში, კარში ხანდახან ვარჯიშის დროს თუ ჩავდგებოდი. „ტყავის ბურთის“ მორიგი ტურნირის დაწყებამდე, ჩვენი გუნდის მეკარე საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადავიდა და მწვრთნელმა კარში ჩადგომა მე მთხოვა. თავიდან უარი ვთქვი, მაგრამ მერე დავთანხმდი და ფოთში გამართულ „ტყავის ბურთის“ ზონალურ ასპარეზობაში საუკეთესო მეკარის პრიზიც დავისაკუთრე. გუნდში მეკარის ადგილი ყველაზე საპასუხისმგებლოა და იქიდან გამომდინარე, რომ რისკი მიყვარს, თუნდაც ახლა ვიწყებდე კარიერის შექმნას, ამპლუას ნამდვილად არ შევიცვლიდი. თბილისის „დინამოში“ დებიუტი ლუბლიანის „ოლიმპიასთან“ ამხანაგურ მატჩში მქონდა. ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ლუბლიანელებს ორჯერ შევხვდით და ორჯერვე ერთნაირი ანგარიშით – 4:0 დავამარცხეთ. პირველი ოფიციალური თამაში „დინამოში“ 1977 წლის სეზონის გახსნისას, თბილისში, ბაქოს „ნეფთჩისთან“ ჩავატარე. იმ შეხვედრაში 0:1 ვმარცხდებოდით, მაგრამ 4:1 მოვიგეთ. რა თქმა უნდა, თავიდან ვნერვიულობდი, მაგრამ დაიწყო თუ არ მატჩი და ცოტა ოფლი მოვიდინე, ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

დამტვრეული ფოტოაპარატი

– ხარკოვში, „მეტალისტთან“ ანგარიშით 0:2 ვმარცხდებოდით და როდესაც მასპინძლებმა მესამე გოლი გაგვიტანეს, ადგილობრივი ფოტოკორესპონდენტი, რომელიც ჩვენი კარის უკან იდგა, მოედანზე შემოიჭრა და დამიძახა – გამოიღე მესამე ბურთიო! ამის გამო, მას ჯერ წიხლი ამოვარტყი, ხოლო შემდეგ, ფოტოაპარატიც გადავუგდე. ჩემთვის დისკვალიფიკაცია არ მოუციათ, რადგან ფოტოკორესპონდენტს მინდორზე შემოსვლის უფლება არ ჰქონდა. კარს უკან რომ მეცემა, მაშინ მკაცრად დამსჯიდნენ. მაგრამ მომდევნო თამაშში, რომელსაც ასევე სტუმრად, დონეცკის „შახტიორთან“ ვატარებდით, ნოდარ ახალკაცმა ძირითად შემადგენლობაში არ დამაყენა – მან ასეთი ფორმით „მეტალისტთან“ მატჩში ჩადენილი საქციელისთვის დამსაჯა. შეხვედრის დაწყებამდე, დონეცკის სტადიონზე სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, როდესაც ადგილობრივი გულშემატკივრები მოვიდნენ და ავტოგრაფთან ერთად, სამახსოვრო ფოტოს გადაღებაც მთხოვეს. ცხადია, მათ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი, მაგრამ ამ დროს ტრიბუნიდან ვიღაცამ დაიძახა: მოაშორეთ ფოტოაპარატი, ვიდრე გაბელიამ თავზე არ დაგამტვრიათო!..

გაღიზიანებული მასლაჩენკო

– თბილისში, „შახტიორთან“ მატჩის ბოლო წუთზე, თერთმეტრიანი ავიღე, რაც რუს კომენტატორ ვლადიმირ მასლაჩენკოს არ მოეწონა, რადგან, მას ალბათ დონეცკელთა გამარჯვება სურდა. მასლაჩენკო იმან გააღიზიანა, რომ ვიდრე მოწინააღმდეგის მცველი სოკოლოვსკი პენალტს შეასრულებდა, ვცდილობდი, იგი წონასწორობიდან გამომეყვანა, ამიტომ ხან ბურთთან მივიდოდი და ვითომ მისი გასწორება მინდოდა, ხან სოკოლოვსკის რაღაცას ვეტყოდი. ასე თან დროც გამყავდა. მაშინ მასლაჩენკოს ისიც კი უთქვამს: ბოლოს და ბოლოს, დადგეს გაბელია კარში და ეს ეპიზოდი საბოლოოდ დასრულდესო. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ მეტოქემ პენალტი ცუდად შეასრულა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. სხვათა შორის, სოკოლოვსკი ბურთს ძალიან ძლიერად ურტყამდა და მახსოვს, თერთმეტრიანის მოგერიებისას, ხელი მეტკინა.

საერთოდ კარიერაში 13 პენალტი მაქვს თამაშის დროს მოგერიებული. ამ მხრივ, ერთ-ერთი დასამახსოვრებელი, 1979 წელს, საბჭოთა კავშირის თასის ფინალი იყო, მოსკოვის „დინამოსთან“. ამ მატჩში გამარჯვებული ვერც ძირითადმა და ვერც დამატებითმა დრომ ვერ გამოავლინა, ხოლო პენალტების სერიისას გუნდი სამჯერ ვიხსენი. მოსკოველთაგან ბოლო თერთმეტმეტრიანი ვალერი გაზაევმა შეასრულა და როდესაც ვერ გამიტანა, ცხადი გახდა, რომ თასი ჩვენ დაგვრჩა. გეტყვით რომ, მოსკოვში „დინამოსთან“ გამარჯვება და თან – თასის ფინალში, საკმაოდ რთული გახლდათ.

„არ ითამაშოთ, თორემ გესვრით“

– „ჩაწყობილ“ თამაშებში მონაწილეობა არასოდეს მიმიღია. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმე „ზემოდან“ მატჩებს „აწყობდა“, ამის თაობაზე ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს. მით უმეტეს, ასეთი წაგების შესახებ არაფერი ვიცი. ერთადერთი მახსოვს, რომ ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, ხარკოვის „მეტალისტთან“ მატჩის წინადღეს, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, უცნობი შეიარაღებული პირები მოვიდნენ და გვითხრეს: რუსებს არ ეთამაშოთ, თორემ, გესვრითო... ჩვენ, ცხადია, ავნერვიულდით და ვფიქრობდით, გავსულიყავით სათამაშოდ თუ არა. თან, სიტუაციიდან გამომდინარე, მოედანზე გასვლის შემთხვევაში, „მეტალისტთან“

აუცილებლად უნდა გაგვემარჯვა. ამის გამო, ხარკოველებს კაცურად ვთხოვეთ, შეხვედრა დაეთმოთ და შევპირდით, რომ მეორე წრეში მატჩს ჩვენ დავუთმობდით. სხვათა შორის, მატჩის დაწყებამდე, ბატონ ზვიად გამსახურდიას დაუკავშირდნენ და როდესაც საქმის ვითარება აუხსნეს, მას უთქვამს: ითამაშონ და მოუგონ კიდეცო. თურმე, გამსახურდიას, ბაზაზე მისვლა და თამაშის აკრძალვა არავისთვის დაუვალებია. თუმცა, ყველაფერი როდესაც გაირკვა, ფეხბურთელებს უკვე ნერვები გვქონდა დაწყვეტილი და შესაძლოა, მატჩი წაგვეგო, რასაც, არ იყო გამორიცხული, ექსცესები მოჰყოლოდა. სწორედ ამის გამო მივმართეთ ხარკოველებს თხოვნით, რომ თამაში „მოეცათ“.

ბესკოვმა დასავს კონკურენტი მოაშორა

— ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში სულ ორი მატჩი ჩავატარე და წესით, 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზეც უნდა წავსულიყავი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ნაკრებში დასავი და პილგუი აიყვანეს. როგორც შემდეგ გავიგე, დასავს კონკურენციის ეშინოდა და გუნდში ამიტომ არ მიმიწვიეს. როდესაც ბესკოვისთვის შინაურულ წრეში უკითხავთ — გაბელია ოლიმპიადაზე რატომ არ წაიყვანეო? — უპასუხია — დასავს კონკურენტი თუ ჰყავს, ვერ თამაშობსო. ეს ამბავი ჩემმა მეგობარმა მსაჯმა მოიყვა, რომელმაც ყოველივე თავად მოისმინა. ნაკრებში მეორე მეკარედ პილგუი ირიცხებოდა, რომელსაც სულ არ ადარდებდა, მეორე იქნებოდა თუ მეთოთხმეტე, ოღონდაც საზღვარგარეთ შეკრებებსა და ტურნეებზე წაეყვანათ. ცხადია, მისგან განსხვავებით, მე ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია მექნებოდა, დასავი კი თურმე, ნერვიულობდა, რომ მატჩი არ „ჩაეგდო“, როდესაც გუნდში კონკურენტს ხედავდა.

„შინაგან საქმეთა მინისტრმა ძვრა ვერ მიყო...“

— კიევის „დინამოსთან“ მატჩისას, უკრაინელმა ბოიკომ ვიტალი დარასელიას შეაგინა, თამაშის შემდეგ სტადიონიდან გასასვლელ გვირაბში, დარასელიამ ბოიკოს ხელი დაარტყა, მას მიხეილ მესხმა-უმცროსმა აუბა მხარი და ჩხუბი გაჩაღდა. კიეველებს, როგორც ყოველთვის, შეეშინდათ და გასახდელში შეცვივდნენ. ჩვენები მათ უკან მიჰყვნენ და ჩხუბი გაგრძელდა. მე გასახდელის კართან დავდექი და შიგ არავის ვუშვებდი. ამ დროს, სოლიდურად ჩაცმული კაცი მომიახლოვდა და შეეცადა, გავეწიე, მაგრამ ძვრა ვერ მიყო. როგორც მერე გაირკვა, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი ყოფილა. სტადიონთან „ჩორნი ვორონი“ *(მილიციის, გისოსებიანი მანქანა. — ავტ.)* მოაყენეს და მთელი გუნდი მილიციაში მივყავდით, მაგრამ კიეველთა თავკაცმა ვალერი ლობანოვსკიმ ამის ნება არ მისცა. იმ ჩხუბში, მხოლოდ ბესონოვს, ბალს და ერთი-ორ კაცს არ შევხებივართ, რადგან მათთან ვმეგობრობდით...

ლოცვა თამაშამდე

— მეკარის შეცდომას ვერავინ გამოასწორებს და თამაშის მსვლელობისას მინდვრის მოთამაშეებმა მისი ნაკარნახევი აუცილებლად უნდა შეასრულონ. ამიტომ იყო, რომ მთელი მატჩის მანძილზე გამუდმებით ვყვიროდი და ზოგჯერ ყიფიანისთვის ან გუცაევისთვის უცენზუროდაც მიმიმართავს. ფეხბურთში დაუწერელი კანონია, რომ მეკარეს თანაგუნდელი არ უნდა შეეპასუხოს. პარტნიორებისთვის ნათქვამი მქონდა, რომ ზოგჯერ შესაძლოა, გინებაც წამომცდენოდა, მაგრამ მათ ეს გულში არ უნდა ჩაედოთ. მართალია, გულშემატკივარს არ მოსწონდა, რომ ზოგიერთი ჩემი გამონათქვამი უზრდელური იყო, მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვებდა. სამაგიეროდ, ქომაგებს ის უხაროდათ, რომ „დინამოს“ კარში გოლი არ გადიოდა. ფეხბურთელთა უმრავლესობის მსგავსად, თამაშისთვის მეც თავისებურად ვემზადებოდი. კერძოდ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიერ ნაჩუქარ ლოცვანს ვკითხულობდი და მოედანზე ყოველთვის მარცხენა ფეხით შევაბიჯებდი ხოლმე. კარში როდესაც ჩავდგებოდი, გავიქცეოდი და ჯერ ერთ ძელს შევახებდი ხელს, შემდეგ — მეორეს. თან მთელი მატჩს განმავლობაში ბევრს ვლაპარაკობდი, სულ ტონუსში რომ ვყოფილიყავი. თანაგუნდელებს იმ შემთხვევაშიც ვეძახდი, როდესაც მეტოქე არ გვიტევდა.

მეკარედ უნდა დაიბადო...

საბერძნეთთან და თურქეთთან, საქართველოს ნაკრების დამარცხების მარტო მეკარეებისთვის დაბრალება არ შეიძლება. მართალია, მათ შედარებით სუსტად ითამაშეს, მაგრამ ვიდრე საქმე მეკარემდე მივიდოდა, მანამდე შეცდომები მინდვრის მოთამაშეებმა დაუშვეს. ეროვნულ ნაკრებს მეკარეები კლუბებმა უნდა მიაწოდონ. თან, მარტო შრომით ფონს გასვლა ძნელია, თუ სპორტსმენი ღმერთმა ნიჭით არ დააჯილდოვა. ვარჯიში აუცილებელია, მაგრამ კარგ მეკარედ უნდა დაიბადო. ნამდვილად ვერ გეტყვით, ბოლო პერიოდში საქართველოში მაღალი დონის მეკარეები რატომ აღარ იზრდებიან. ერთი ხანობა იდეაც მქონდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მეკარეთა სკოლა ჩამოგვეყალიბებინა, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდები ივარჯიშებდნენ, მაგრამ აქ ამის პირობები არ არსებობს. ახალგაზრდა მეკარეები კი გვყავს, მაგრამ საჭიროა, ისინი ნაკრებს ნელ-ნელა გავუშინაუროთ, რადგან ქართველი გულშემატკივარი მაქსიმალისტია და შეცდომებს ძნელად აპატიებს ვინმეს. ახალბედა მეკარემ ეროვნულ გუნდში ერთი შეცდომაც რომ დაუშვას, მერე კარში სულ შიშით იდგება. საჭიროა, ქართულ ფეხბურთში მდგომარეობა გამოვასწოროთ და მეკარეებიც თანდათან გამოჩნდებიან.

■



მიხეილ იაშვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-18)

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაპატიმრებულ ჟურნალისტ ზურა მჭედლიძეს აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიან წინასწარ პატიმრობას შეუფარდებენ. მისი მეგობარი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ოთარ ცაგარეიშვილიც კი, მხოლოდ იმას მოახერხებს, რომ ციხის საავადმყოფოში გადაიყვანოს. „რეზბალნიცაზე“ ზურას, ლეგენდად ქცეულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთად მოათავსებენ პალატაში...

ზურას ადვოკატი შალვა საყვარელიძე ვარაუდობს, რომ ჟურნალისტის იზოლირებით ვიღაც ბობოლა იყო დაინტერესებული. მისი ვარაუდით, ეს ამბავი რაღაცნაირად დაკავშირებულია პანკისის ხეობის თემასთან, რომელზეც ზურა რამდენიმე თვის წინ მუშაობდა. ჟურნალისტი იხსენებს, რომ საბჭოთა ჯარში გაცნობილი, ჩეჩენი მუსა, რომლის ლტოლვილი ოჯახი პანკისს შეეფარა, ჰპირდებოდა მას ინფორმაციის მიწოდებას გატაცებული ადამიანების შესახებ... შემდეგ მუსა კარგა ხნით გადაიკარგა, ზურას დაკავების წინადღეს კი, კარის მეზობელმა უთხრა — შინ რომ არ იყავი, ოციოდე წლის ყმაწვილმა რუსულად გიკითხაო... ბოლო შეხვედრისას, ადვოკატი ზურას ამცნობს, რომ მას რამდენიმე თვის წინ მომხდარ, ორი პოლიციელის მკვლელობაში ადანაშაულებენ... შალვა იმასაც ამცნობს ზურას, რომ მისი საცოლე ეკა პანკისში გამგზავრებას აპირებს, რათა მისთვის სასარგებლო ინფორმაცია მოიპოვოს. ზურა იხსენებს, როგორ მოვიდა ეკა პირველად რედაქციაში, რა ბევრი დრო დასჭირდა საიმისოდ, რომ მას დაახლოებოდა და როგორ დაედევნა ბათუმში მატარებლით წასულ გოგოს მანქანით...

კრიმინალური ავტორიტეტი გოგი ჩხეიძე სთავაზობს ჟურნალისტს — რაც ათწლეულების მანძილზე პატიმრობაში მინახავს, მოგიყვები და შეიძლება, კარგი წიგნი დაწერო, რომელსაც ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნებო. მაგრამ ზურას გონება ახლა მხოლოდ საკუთარი მდგომარეობითა და გამოსავლის ძიებითაა დაკავებული. ცოტა ხნის შემდეგ, ეს წინადადება ჟურნალისტს ჭკუაში დაუჯდება. ზურა იმის მომსწრეც გახდება, თუ როგორ გაურჩევს საქმეებს მის პალატაში მოსულ ქურდებს გოგი და რაოდენ სასტიკად გაუსწორდებიან მისი ბრძანებით ერთ-ერთ მათგანს. ამის შემდეგ, თანამესაკნე საკუთარი წარსულის ეპიზოდების მოყოლას იწყებს. ის იხსენებს დურუ ხურცილავას, საბჭოთა უზბეკეთის მაფიოზს ახმაჯან ადილოვს, ცნობილ ფეხბურთელს ედუარდ სტრელცოვს.

— ...ჰო, კიდევ ედუარდ სტრელცოვს დავასახელებდი... — დასძინა ჩხეიძემ.

— ფეხბურთელს? ეგეც ოჯდა?

— კი... ვიღაც კახპა უხმარია. იმან უჩივლა და ჩასვეს... 1962 წელი იყო. ტულის ოლქში, დონსკოის ზონაში ვიჯექი. ერთხელაც ვხედავ, ეტაპით ზეკების ახალი პარტია მოიყვანეს. ვიკითხე, — მათ შორის ქურდი თუ არის-მეთქი? არაო, მაგრამ ვიღაც ცნობილი ფეხბურთელი უნდა იყოსო. მივედი — ედიკა სტრელცოვი! საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი იყო, მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდა.

ძალიან გამიკვირდა, მილიონობით ადამიანის კერპი იქ რომ ვიხილე. ხელი ჩავავლე, ჩვენს ბანაკში მივიყვანე, შესაფერისი საწოლი შევურჩიე და იქ მყოფთ ვუთხარი, — ახალი ტანსაცმელი, საბანი მიეცათ და საერთოდ, ეს კაცი არავინ შეაწუხოს, თორემ დედას ვუტირებ-მეთქი.

პრინციპში, ჩემი თქმა არც სჭირდებოდათ — მის დანახვაზე სიხარულით გადაირივნენ. იმხანად მთელ საიუზში სტრელცოვსკი პრიჩოსკა იყო მოდაში, შუბლზე თმას რაღაც უცნაურად იპრეხდნენ და ლაგერშიც იყვნენ მისი მიმდევრები...

მაშინ ზონაში პარადი მე და ჩადოს — ვანია ლუკიანოვს — მიგვყავდა. ყოფილი ბოცმანი იყო ოდესიდან. ისიც ედიკას გულშემატკივარი აღმოჩნდა და იმ საღამოს დიდებული ბანკეტიც გადაუხადა. კონსერვები, ტუშონკები, ბლომად თეთრი პური, ჩეფირი, არაყი... პატიმრის პაიოკთან შედარებით, რაც 20 გრამ შაქარსა და 200 გრამ შავ პურს შეადგენდა, ეს მართლაც ბანკეტი იყო...

სტრელცოვი მორიდებული და წესიერი ბიჭი აღმოჩნდა. იუმორიც მაგარი ჰქონდა, ხომ იცი, ეგ ზონაში ძალიან ფასობს.

უნდა გენახა, როგორ გაიხარა, რომ ვუთხარი, — მიშა მესხის ძმაკაცი ვარ-მეთქი...

დილით, სხვა პატიმართა მსგავსად, სამუშაოზე გასვლა დააპირა, მაგრამ არ გავუშვი, — თავს გაუფრთხილდი, სათამაშო კიდევ გაქვს-მეთქი. მერე ბიბლიოთეკარობა გავუხერხეთ. ზონაში ეს ყველაზე მშვიდი და თბილი ადგილი იყო. მადლობების გადახდა რომ დაიწყო, ვუთხარი, — აქ, ბრატ, მეფესავით გაცხოვრებთ, ოღონდ სროკს რომ მოიხდი, სათამაშოდ თბილისის „დინამოში“ უნდა გადახვიდე-მეთქი. არაო, თქვა ჩადომ, — ოდესის „ჩერნომორეცშიო“... ბოლოს მოვილაპარაკეთ, რომ ერთ სეზონს თბილისში ითამაშებდა, ერთსაც — ოდესაში. ვხუმრობდით, რა თქმა უნდა...

გავიდა რამდენიმე თვე და მე და ლუკიანოვი ჩხუბისთვის დახურულ ციხეში გადაგვიყვანეს. შემდეგი ოთხი წელი ედიკა იმ ბიბლიოთეკაში მუშაობდა. კიდევ კარგი, იქ მოვაწყვე, თორემ ხეტყის ჭრაზე მუშაობა უთუოდ დააავადებდა...

სხვათა შორის, სასჯელი რომ მოიხადა და თამაში განაახლა, საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და ამაში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის...

მოდი, ზურაჯან, დღეს ამით მოვრჩეთ. შვიდი საათი სრულდება და საცაა სტუმარი მომივა...

— კი, ბატონო...

სტუმრის გაგონებაზე იმდღევანდელი ამბები, ამათი თავყრილობა, ცემა-ტყეპა, გამ-

ახსენდა და უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა...

18.

კარი ნახევრად გაიღო და ვახო ნადზირატელის ხოტორა თავი გამოჩნდა. ჩხეიძეს მლიქვნელურად გაულიმა.

— საღამო მშვიდობის, გოგი იასონოვიჩ. კაცია თქვენთან. — მერე მეც დამითმო ყურადღება, — ზდრასტი, ზურა.

— შემოვიდეს. — გოგი საწოლიდან წამოდგა და დოინჯი შემოიყარა.

მაღალმა, ხმელ-ხმელმა კაცმა გაუბედავად შემოაბიჯა. ნატანჯი სახე და დიდრონი თვალები ჰქონდა. ხმადაბლა მოგვესალმა.

— შემო, მეგობარო, რისი გერიდება? — მიმართა ჩემმა თანასაკნელმა. — კარალევა ელიზავეტასთან კი არ ხარ აუდიენციაზე, ასე სმირნაზე რომ გაჭიმულხარ. დაჯე.

სტუმარი სკამზე დაეშვა. ამოვისუნთქე — არ ჰგავდა ისეთ ადამიანს, ჩხუბი და დავიდარაბა რომ გამოეწვია. მოხუციც მშვიდად განწყობილი ჩანდა...

— უკაცრავად შეწუხებისთვის, — ყრუდ ჩაილაპარაკა უცნობმა. — ბიჭებმა მირჩიეს, მიდი, შესაძლოა, გოგი დაგეხმაროსო და მეც მოვედი...

ბერიკაცი ფანჯარასთან მივიდა, მხრით რაფას მიეყრდნო, მარჯვენა ხელით კრიალოსანი აათამაშა და მოსული კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ზაურა მამფორიამ შენზე მითხრა, წესიერი კაციაო, — თქვა ბოლოს, — რომელი კამერიდან ხარ?

— დვა-შესტოიდან.

— რისთვის ზიხარ?

— ავარია მომივიდა. ტრასაზე ბებერი ქალი გადმომიხტა და...

— რა გაგჭირვებია? გისმენ.

— ბატონო გოგი, შოფერი კაცი ვარ, ნახალოვკაში დაბადებულ-გაზრდილი. ბოლო ორი წელი გერმანიიდან მანქანები ზაკაზით ჩამომყავდა. პურის ფულს, თვეში 150-200 დოლარს, ასე ვშოულობდი. ცოლი ავადმყოფი მყავს. ერთადერთი გოგო ქუთაისში გავათხოვე, დღე-დღეზე ბავშვს ელოდება. სიძე უმუშევარია და ამათი ერთადერთი მარჩენალი მე ვიყავი... სამი თვის წინ ვიფიქრე, რაღა სხვისი ფულით ჩამოვიყვანო, თანხას თავად ვიშოვი, წავალ, მერე მანქანას აქ, ბაზარზე გავყიდი და ასე გაცილებით მეტი, 500 დოლარამდე, დამრჩება-მეთქი. რამდენიმე კაცისგან პროცენტიანი ვალი ავიღე — 8 ათასი, გერმანიიდან „მერსედესი“ ჩამოვიყვანე, მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა ავარია... ნახალოვკაში, მთაზე, პატარა კარ-მიდამო მაქვს. „მერსედესიც“ იქვე, ეზოში მეყენა. ამას წინათ, ცოლმა პერედაჩა მომიტანა და შინ რომ მიბრუნდა, მანქანა მოპარული დახვდა... აღარ ვიცი, რა ვიღონო. ბინაც რომ გავყიდო, იმ ფულს მაინც ვერ მოვაქუჩებ. პროცენტებიც ემატება და მალე 9 ათასს მიუკაკუნებს. შავ დღეში ვარ, თავის მოკვლას ვფიქრობ კაცი...

— კარგი, გასაგებია, — მოუჭრა ჩხეიძემ. — ნახალოვკაში რა ადგილას ცხოვრობ?

— კინო „საქართველოს“ ზემოთ.

— მანქანის თაობაზე თქვენებს მილიციაში ხომ არ განუცხადებიათ?

— არა. მე შევუთვალე, არ გინდათ, მაინც ვერ იპოვიან-მეთქი.

— ძალიან კარგი. დაბრუნდი კამერაში და ვეცდები, დაგეხმარო.

სტუმარს მოულოდნელად თვალზე ცრემლი მოადგა. გულზე ხელი დაიდო და მოხუცს ვედრებით უთხრა:

— ოღონდ დამეხმარეთ, ბატონო გოგი და სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მევალე ვიქნები...

— კაი, ჰო, კაი. — ჩხეიძემ კრიალოსანი შარვლის ჯიბეში ჩაიდო. — მოვრჩეთ ბაზარს. წადი და გაგაგებინებ, რამე თუ გამოვა.

სტუმარი რომ გავიდა, გოგი მე მომიბრუნდა:

— ჰა, ზურიკო, დავეხმაროთ, არა?

— თუ ეს შესაძლებელია, რა თქმა უნდა!

— მეც იმავე აზრის ვარ, ძმობილო. საწყალი კაცია. მადლი იქნება...

ბერიკაცს გაკვირვებული ვუყურებდი:

— კი მაგრამ, აქედან როგორ უნდა შეძლოთ ეს?

ჩხეიძემ თვალი ჩამიკრა.

— ტექნიკა, ძმობილო, ტექნიკა! დავწერ ახლა წერილს, დილით ერთ-ერთ ჩვენს ექიმს გადავცემ, ის ნახალოვკაში გავარდება, საჭირო კაცს იპოვის, წერილს ჩაბარებს და საქმეც მოყომარდება. „მერსედესს“ ხვალვე დაუბრუნებენ.

— თუკი უკვე გაყიდულია?

— არც ეგაა პრობლემა, ზურავჯან. ზუსტად ისეთს ან ცოტა უკეთეს მანქანას მიუყვანენ. იმ ბიჭებზე იმხელა ამაგი მაქვს, ერთს კი არა, ათ „მერსედესს“ აჩუქებენ... საერთოდ, თხოვნა მოპარულის ვიკუპის გარეშე დაბრუნების თაობაზე, ჩვენს კანონებს ეწინააღმდეგება, არაქურდულია, მაგრამ... — და გოგი ჩხეიძემ ეშმაკურად მოჭუტა თვალები, — ამ შემთხვევაში გაჭირვებულ კაცს როგორც მეგობარი, ისე ვეხმარები და არა როგორც ქურდი... პირადულში ამის უფლება მაქვს...

ჰოდა, ძალიანაც კარგი-მეთქი, — გავიფიქრე. ის გატანჯულსახიანი ძალიან შემეცოდა.

19.

— დილა მშვიდობისა, — მომესალმა შალვა საყვარელიძე. — როგორ ხარ?

— ვარ რა... როგორც ჩიტი გალიაში.

— აქაური ტერმინები დაგიმხეცებია, — გაეღიმა ადვოკატს.

— მეტი რა გზა მაქვს... ბატონო შალვა, ეკა ხომ კარგად არის?

— კი, კი. ძალიან ყოჩაღი გოგოა. მთელი დუისი კარდაკარ შემოუვლია და ასეთი ამბავი ჩამოიტანა: დაახლოებით ერთი თვის წინ, მუსას ოჯახში, რამდენიმე მანქანით, იარაღასხმული ხალხი მისულა. სამხედრო ფორმა ეცვათო, თუმცა ვინ იყვნენ ან რომელი უწყებიდან, არავინ იცის. შენი მეგობარი შინ არ დახვედრიათ. დედამისს აგრესიულად ექცეოდნენო, — უთქვამთ მეზობლებს. მთელი სახლი გადაუქოთებიათ და უკან, ახმეტის მიმართულებით წასულან. მუსა ღამით დაბრუნებულა და შემდეგ, ვაჟსა და დედასთან ერთად, სადღაც გაუჩინარებულა. ადგილობრივებს შენც უხსენებიხართ, — ასეთი და ასეთი ახალგაზრდა კაციც ეძებდაო. შენ მერე ისევ ის ავტომატიანები მისულან და სახლი ცარიელი რომ დახვედრიათ, კედლები და ფანჯრები ტყვიებით დაუცხრილავთ. იქაურები ამბობენ, — კიდევ კარგი, შინ არავინ იყო, თორემ დახვრეტდნენ, მკვლელები იყვნენო. მეზობლები ფიქრობენ, რომ ტლეკიმპაშევები ამათ დაღესტანში გაექცნენ...

— დიახ, ჩემთანაც დაღესტანი ახსენეს.

— ეკამ მითხრა, — განაგრძო ვექილმა. — ადგილობრივები დაშინებული იყვნენ, ამ ოჯახზე საუბარი არავის უნდოდაო. ეს ცნობებიც რის ვაი-ვაგლახით შეუკრებია. და კიდევ — მას შემდეგ, რაც თბილისში დაბრუნდა, ეჭვი აქვს, რომ

უთვალთვალებენ...

— რას ლაპარაკობთ! — შევყვირე აღელვებულმა.

— ნუ, ეს მხოლოდ ვარაუდია, — მშვიდად მომიგო საყვარელიძემ. — დანამდვილებით არ იცის. რამდენჯერმე ქუჩაში ერთი და იგივე უცნობი კაცისთვის მოუკრავს თვალი. მომეჩვენა, რომ მომყვებოდაო. მეორე დღეს ის ტიპი რედაქციის მახლობლადაც შეუნიშნავს... ვთხოვე, რომ თუ ისევ დაინახავს, სასწრაფოდ დამირეკოს... პრინციპში, კარგად არც კი ვიცი, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცე, თუმცა ამას ადგილზევე გადავწყვეტ...

— ბატონო შალვა, ეკა სასწრაფოდ უნდა წავიდეს სადმე, ცოტა ხნით გაერიდოს აქაურობას... ბორჯომში ბებიამისი ცხოვრობს და უთხარით, რომ ჩემს გამოსვლამდე იქ იყოს... ხომ იცით, რა ხალხთან გვაქვს საქმე. რაიმე მასაც არ დამართონ...

— ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამის თაობაზე. მეც ივიგე ვურჩიე, მაგრამ ჯიუტობს.

— მე დავარწმუნებდი! აქ ვერაფრით შემოიყვანთ?

— გამორიცხულია. თავადაც სულ ამას მთხოვს, მაგრამ იმ გაქცევის შემდეგ ისეთი შეზღუდვები დაწესდა, მეც — ადვოკატი — ძლივს ვახერხებ შემოღწევას. ამას წინათ თქვენს საერთო მეგობართან, ცაგარეიშვილთან ვიყავით, მაგრამ ამ საქმეში ვერც ის დაგვეხმარა. ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ შედარებით ადამიანური პირობები შეგიქმნა, მეტი მართლაც არაფერი შეუძლია. მართალია, პენიტენციარული სისტემა ახლა უკვე მათ სამინისტროს ეკუთვნის, მაგრამ თვით იუსტიციის მინისტრის მოადგილეც კი აქ ბევრს ვერაფერს წყვეტს. მანდ მხოლოდ ერთი კაცის, მინისტრის, ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ის კი ავარიაში მოყვა, თავით პარპრიზი გაიტანა და აგერ, უკვე სამი კვირაა, გრძნობაზე ვერ მოჰყავთ.

— ვიცი, — ამოვიოხრე, — ტელევიზორს ვუყურებ ხოლმე. მე რომ რამე დამჭირდება, მაშინ დაიქცევა ყველაფერი...

— იმ დიდი პაბეგის შემდეგ უბრძანებია, სვიდანიები დროებით შეაჩერეთო და ესენიც თავისით ვერაფერს ბედავენ, ეშინიათ... ექიმებს უთქვამთ, — უკეთესობაა, გიორგაძეს ფეხზე დავაყენებთო და სამსახურში რომ დაბრუნდება, ბრძანების შეუსრულებლობისთვის თავებს წააცლის ყველას...

— ამის დედა ვატირე! — მუშტი მაგიდას დავცხე. — ყელში ამოვიდა ყველაფერი! როდემდე უნდა ვიყო ასეთ კრეტინულ მდგომარეობაში... იმ დღეს ორი გამოსირებული გამომძიებელი მოვიდა. თავი ძლივს შევიკავე, რომ არ დამეცხო...

— ვიცი, ზურა, ვიცი და კარგადაც მოქცეულხარ, ნერვებს რომ არ აჰყევი, — შემაქო საყვარელიძემ. — ვესაუბრე მათ, მაგრამ თითქოს კედელს ველაპარაკებოდი... სად პოულობენ ასეთ ხისთავიანებს... კვლავ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ გამოძიებას რეალური ვითარების დადგენა საერთოდ არ აინტერესებს. ან კიდევ თითქოს რაღაცას ელოდებიან, დროს წელავენ...

— ბატონო შალვა, საკანში ერთ ცნობილ მოხუც ქურდთან ერთად ვზივარ. გოგი ჰქვია, ჩხეიძე. ვიფიქრე, ხომ არ მოვუყვე-მეთქი ყველაფერი, ეგებ ის მაინც დამეხმაროს რამეში?... წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო... ასეა, ალბათ, ჩემი საქმე.

— აღმოსავლეთში კი ასე ამბობენ, წყალწაღებული შხამიან გველს ეჭიდებოდაო... — ადვოკატმა მხრები აიჩეჩა. — რა ვიცი, აბა?... გამიგია მაგ კაცის შესახებ. თავის სამყაროში მართლაც დიდი ავტორიტეტი, წონა აქვს და შესაძლოა, ჩვენთვის საჭირო რაღაც ინფორმაციაც ჰქონდეს, მაგრამ... შხამიანი გველი რომ აღმოჩნდეს?... მოდი, ცოტა კიდევ დავიცადოთ.

— ვეღარ ვიცდი! — ავფეთქდი. — ბოღმა მახრჩობს! რისთვის ვზივარ აქ?

— მესმის შენი და ფულსაც იმისთვის მიხდიან, რომ დაგეხმარო. დავიცადოთ კიდევ... იმ ჩხეიძეს შენი ამბები ისედაც ეცოდინება, თუნდაც ტელევიზორიდან და დახმარება თუ უნდოდა, დაგეხმარებოდა კიდეც. დამიჯერე — ჯერ ნურაფერს ეტყვი მუსას თაობაზე. დავიზღვიოთ თავი. არ გაფუჭდეს საქმე. შენც ხომ ხედავ, ჩვენი ვერსია თანდათან მართლდება და თითქმის დარწმუნებული ვარ, როგორც ვივარაუდეთ, ყველაფერი სწორედ ისეთი სცენარით მიდის. რეალური სურათი რომ გვეცოდინება, ამ ჭაობიდანაც უფრო იოლად დავაღწევთ თავს. მოვლენები აუცილებლად განვითარდება, ვიღაც ნამდვილად შეგვეხმიანება და ეს ლოგიკურიც იქნება. ის შენი მტერი არ ჰგავს იმ კაცს, ლოგიკის გარეშე რომ იმოქმედოს... უეჭველი დაგიწყებს ვაჭრობას.

— მაშ, რატომ აჭიანურებს დროს?

შალვა საყვარელიძემ თვალები დახუჭა, თავი დახარა და შუბლზე მომდგარი ოფლის წვეთები ხელისგულით მოიწმინდა.

— არ ვიცი, ზურა. ჯერ არ ვიცი...

20.

— უწინ აქ გაცილებით მეტი კომფორტი იყო, — მითხრა მოხუცმა. — პრაგულკები არ გვაკლდა, მობილური ტელეფონიც მქონდა და საკნის კარსაც არავინ მიკეტავდა. კაცს დაუბრკოლებლად შეეძლო მთელ სართულზე მოძრაობა, მაგრამ რაც ის ტიპები გაიქცნენ, თავისუფლებაც მაშინვე შეიზღუდა.

— ყოფილ მინისტრს და მის ძმაკაცებს გულისხმობთ, ამას წინათ გვირაბი რომ გათხარეს?

— ჰო, იმათ, — თავი დამიქნია ბერიკაცმა. — ის გვირაბი კი ზუსტად ჩვენს ქვეშ, პირველ სართულზე იწყებოდა და აგერ, იმ ხევში ამოდიოდა.

— მაგრად უმუშავიათ. იქამდე ხომ 15 მეტრი მაინც იქნება. ისე, ნეტავ, როგორ ვერავინ გაიგო...

ჩხეიძეს ჩაეცინა. არაფერი უთქვამს, მაგრამ მიგხვდი — უთუოდ ფიქრობდა, რა გულუბრყვილო ვინმე ხარო.

— ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, ვერ გაიგეს, თუ არ გაიგეს... გვირაბის სიგრძეს რაც შეეხება, სხვებს გაცილებით გრძელიც გაუთხრიათ და ამათზე ბევრად მეტნიც გაქცეულან... ჰა, ჟურნალისტ, მოგიყვე?

— რა თქმა უნდა!

— Поехали: თუ არ ვცდები, 93 წელია, იანვარი. სისხლის სამართლის აღსრულების სამმართველოს №37-ე დაწესებულებაში, ანუ უბრალო, ადამიანურ ენაზე — ქსნის ზონაში, დიდი ჩეპე მოხდა. ლაგერიდან უამრავი პატიმარი აითესა. თუ გახსოვს, იმ წლებში ციხეკოლონიებიდან ლამის ყოველდღე გარბოდნენ, მაგრამ ეს შემთხვევა მართლაც რომ უნიკალური იყო.

მზადება თითქმის ერთი წლით ადრე დაიწყეს. რამდენიმე კაცმა გვირაბის გათხრა გადაწყვიტა და ამ სამუშაოს დაწყებისთვის ხელსაყრელი ადგილიც იპოვა — იქაური სკოლის შენობაში მდებარე ბიბლიოთეკა. ზონის თანამშრომლები იქ თითქმის არასოდეს შედიოდნენ, ეგენი წიგნებთან მწყრალად არიან... გარდა ამისა, ბიბლიოთეკა ღობის მახლობლად იდგა.

მიწას ნიჩბებითა და ამ საქმისთვის სპეციალურად დამზადებული იარაღებით თხრიდნენ. ამოღებულ მიწას ლაგერის ტერიტორიაზე ფანტავდნენ. რამდენიმე ათეული კაცი მუშაობდა და სამუშაო იანვრის შუა რიცხვებში დაასრულეს. პატიმრებმა 22 მეტრი სიგრძისა და ასე, 70-80-სანტიმეტრიანი დიამეტრის გვირაბი გაიყვანეს, რომლის ბოლოც მავთულხლართიანი კედლის მიღმა ამოდიოდა.

იმ საღამოს, თერთმეტ საათზე, შემოწმება და სიის ამოკითხვა ჩატარდა, არესტანტებს უთხრეს, — აბა, გვრიტებო, წადით ახლა თქვენს ბარაკებში და დაიძინეთო. ისინიც წავიდნენ...

მაგ კოლონიაში კორპუსები ლოკალიზებული არ არის და იქ მყოფთ ზონის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ჰქონდათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება. შეკრება დაახლოებით ღამის პირველ

საათზე დაიწყეს. თითო-თითოდ გამოდიოდნენ ბარაკებიდან და თავს ბიბლიოთეკაში იყრიდნენ. თითოეულს თან თეთრი ზეწარი მიჰქონდა. გარეთ თოვლი იდო და ეს ზეწრები შესანიღბად სჭირდებოდათ. მოკლედ, სკოლაში შეგროვდნენ და ორი საათისთვის გვირაბში ჩასვლა დაიწყეს. მალე კოლონიის კედლის გარეთ პირველი პატიმარი ამოძვრა. ცოტა ხანში — მეორე, მესამე... მიჰყვა და მიჰყვა...

სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ. ზოგმა მთებს მიაშურა, ზოგიც რკინიგზის ხაზისკენ გაემართა. ზონის პერიმეტრზე განლაგებული საგუშაგო კოშკები ისე იყო მოწყობილი, რომ მასზე მყოფი ჯარისკაცები საერთოდ ვერ აკონტროლებდნენ ღობის იქით მდებარე ტერიტორიას. ხომ გაგიგია, თავზე ხელაღებულებს ბედი წყალობთო. ჰოდა, პატიმრებს მაშინ ქარბუქიც დაეხმარა...

იმ დროს ქსანში სამასამდე კაცი ივჯდა და იმ ღამით ნახევარზე მეტი, 153 გაიქცა.

სხვათა შორის, როგორც ბიჭებმა მითხრეს, ამ ამბიდან მოკლე ხანში კოლონიის უფროსი დაუწინაურებიათ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გადაუყვანიათ... თავიანთი საქმე თვითონ იციან...

— ბატონო გოგი, — ჩხეიძეს თხრობა გავაწყვეტინე. — ერთი რამ მაინტერესებს. როგორ არ გახმაურდა ეს საქმე, ნუთუ ამდენ ხალხში ერთი გამცემი არ იყო? ამბობენ, საპატიმროები ნასედკებითაა სავსეო...

— ნასედკები მართლაც ყელამდე არიან, მაგრამ გვირაბს ოცდაათამდე სანდო კაცი თხრიდა და სხვებმა არაფერი იცოდნენ. რომ გაეგოთ, მაინც არ ჩაუშვებდნენ, რადგან ასეთი საქციელისთვის სიკვდილი არ ასცდებოდათ, სულ ბრიტვებით აკუწავდნენ... ნასედკები სხვა ზონაშიც რომ გადაეყვანათ, იქაც მისწვდებოდნენ... გვირაბი რომ გაითხარა და საქმე გასვლაზე მიდგა, ითქვა, ასე და ასეა, ძმებო, ვისაც თავისუფლება გინდათ, წამოდითო და ამდენი ხალხიც იმიტომ შეგროვდა...

ეგ ერთი ამბავი. ახლა — მერე, ორისამი წლის წინ რუსთავის ერთ-ერთ ზონაში რომ მოხდა.

საღამო ხანი იყო. შინაგანი ჯარების კაპიტანი, ასე ვთქვათ, კოლონიის ტერიტორიის შემოვლას აწარმოებდა. დადის ეს კაცი და უცებ, რაღაც უცნაური ხმა შემოესმა. ყრუ ხმა ყოფილა, თითქოს მიწიდან ამოდიოდა. ყურადღებით დაათვალიერა ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ ვერაფრით მიხვდა, საიდან ისმოდა ხმაური. გავარდა და თავის უფროსებს უთხრა, არიქა, მგონი, რაღაც ამბავიაო. გამოიძახეს დამხმარე ძალა — 200-მდე ჯარისკაცი და მთელი ტერიტორია გაშმონეს, მაგრამ ამაოდ, საეჭვო ვერაფერი იპოვეს. გადაუწყვეტიათ, ყოველი შემთხვევისთვის, კოლონიის კედლის გარეთ, იმ ადგილის სიახლოვეს, საიდანაც ოფიცერს ხმა შემოესმა, ჩასაფრება მოეწყოთ. მთელი ღამე ბუჩქებსა და თხრილებში გაატარეს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. არადა, ის კაპიტანი მაგარი კერკეტი კაკალი ყოფილა, დაუჩემებია, ნაღდად გვირაბი გაჰყავთ, — კაკუნის ხმა მესმოდაო. დილით ისევ შეამოწმეს არემარე, გაჩხრიკეს შენობები, საწყობები... ისევ — არაფერი, თუმცა მომდევნო ღამეს კიდევ ჩასაფრდნენ.

შუაღამისას საკონტროლო ზოლის — მოხნული მიწის განიერი ზოლია, რომელიც გარს ერტყმის კოლონიას — სიახლოვეს მიწა გაიხსნა და დანიანი ხელი გამოჩნდა... ხელს თავი მოჰყვა, მერე — ტანფეხი... საწყალმა პატიმარმა მიმოიხედა, საეჭვო ვერაფერი დაინახა და იქვე შეჩერდა. რამდენიმე წამში მიწიდან მეორე ამოძვრა და თავქუდმოგლეჯილი სადღაც გაიქცა.

საფარში მყოფნი, ალბათ, ფიქრობდნენ, ამოვუშვათ ყველა და მერე დავეცეთო, მაგრამ იმ გაქცეულმა აიძულათ, მაშინვე გამომხტარიყვნენ. ყიჟინით ეცნენ ორივეს, მიწაზე დააგდეს და ზედ წიხლებით შედგნენ.

გვირაბში იმ დროს ათობით ადამიანი იმყოფებოდა. ხმაური რომ ჩაესმათ, მოტრიალდნენ და უკანვე, ზონაში შებრუნდნენ.

ატყდა ერთი ამბავი. ისევ გამოიძახეს ჯარისკაცები, ადამიანზე დაგეშილი ნაგაზებიც ბლომად მიიყვანეს... ორი დაჭერილი იქვე ისე უწამებიათ, რომ ხელად დაუფქვევინებიათ ყველაფერი და ის ადგილიც უჩვენებიათ, სადაც გვირაბი იწყებოდა. მისულა იქ მთელი ადმინისტრაცია და გაშტერებულა...

გვირაბის სათავე კლუბის დარბაზში მდებარე სცენის ქვეშ იყო. ბიჭებს ყველაფერი ისე კოხტად შეენიღბათ, რომ დაკვირვებული თვალიც ვერაფერს შეამჩნევდა. გვირაბი ელექტრონათურებითა და ვენტილაციით იყო აღჭურვილი. მისი სიგრძე კი 85 მეტრს აღწევდა.

— წარმოუდგენელია! — შევძახე გაოცებულმა. — ეგ ხომ თითქმის ერთი ფეხბურთის მოედნის სიგრძეა!

— ეჰ, ძმობილო, ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ რომ იცოდე, ციხიდან სიბერემდე ვერ გახვალ, მოედანსაც გათხრი და — ორსაც... ერთ ამბავსაც გიამბობ, ქუთაისის იზოლატორში ყოფნისას საკუთარი თვალით რომ ვნახე. ის გაქცევა ვინმეს ფირზე რომ აღებეჭდა, ნამდვილად მსოფლიოს ყველა ქვეყნის ტელეარხს მოივლიდა და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდოდა...

დილაა, ოცამდე პატიმარი სასეირნოდ ეზოში გაიყვანეს. მოულოდნელად, ერთი ბიჭი ბადრაგს ხელიდან დაუსხლტა, რაღაც სასწაულებრივად კედელზე შეხტა, იქიდან გისოსებიან ფანჯარაზე გადავიდა და შენობის სახურავზე აცოცდა. პატიმრები მაშინვე საკნებში დაგვაბრუნეს და ფანჯრებთან მიახლოება აგვიკრძალეს, თუმცა ასეთ სანახაობას ვერაფრით მოვაკლდებოდი... ვხედავ, იზოლატორის თანამშრომლები ეზოში შეკრებილან და ბჭობენ, რა ვქნათო. ერთი ყვირის, ავიდეთ და ჩამოვათრიოთო, მეორემ — საშიშია იქ ასვლა და ტყვია ვესროლოთო. ამ დროს უფროსმაც ინება მობრძანება. უყურა, უყურა სახურავზე მყოფს და ხელი ჩაიქნია, — ერთი მაგის მკვდარიც და ცოცხალიც, მოჰბეზრდება და თავისით ჩამოეთრევაო...

გადის დრო, საათი, ორი საათი, მაგრამ შენც არ მომიკვდე — არ აპირებს, ის ბიჭი ჩამოსვლას. ზის კარლსონივით, არხეინად და პაპიროსს აფუილებს.

აბა, ასეთ სეირს რომელი ქუთაისელი მოაკლდებოდა და საპატიმროს მახლობლად ლამის მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი. ის ბიჭი ქუთაისელი ყოფილა და ხალხში, თურმე, მისი მეზობლები, ნათესავები და მეგობრებიც ერივნენ. მალე ამათ სილით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა მოიყვანეს და იზოლატორის კედელთან გაჩერეს.

დღისით, მზისით, შეიარაღებული გუშაგების ცხვირწინ პატიმარმა კამარა შეკრა, ხუთი მეტრი სიმაღლის გალავანს გადააფრინდა, მანქანის ძარაში ჩახტა და გაიქცა... ავოე! კინოში მეგონა თავი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ულიჩკო-უმცროსი გოლფის დიდი მოყვარულია

ვლადიმირ კლიჩკო სერიოზულად გაიტაცა გოლფმა. უკვე მესამე წელია, რაც ის თავისუფალ დროს სიამოვნებით ერთობა სპორტის ამ სახეობით. ამას წინათ, კლიჩკო-უმცროსი გოლფის ჰოლიჯოხით ხელში UNESCOBENEFIZ-GALA-ს საქველმოქმედო საღამოზეც შენიშნეს, რომელიც მაინის ფრანკფურტის ახლო მდებარე ჰაიდიბერგში მოეწყო. იქვე გაიმართა საქველმოქმედო აუქციონიც, სადაც ცხრა ათას ევროდ გაიყიდა კლიჩკოს კრივის ხელთათმანები, რომლითაც მან თავის ბოლო ორთაბრძოლაში ელისეო კასტილიო დაამარცხა. უახლოეს მომავალში ვლადიმირი საქველმოქმედო გოლფის ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას, რომლის ორგანიზატორიც ჰამბურგში ბორის ბეკერის ფონდი იქნება. „დერიკ ჯეფერსონთან ჩატარებული ორთაბრძოლის შემდეგ, რომელიც ჩემი დაბადების დღის წინ შედგა, საჩუქრად გოლფის სათამაშოდ საჭირო აღჭურვილობა მომართვეს. სწორედ ამ საჩუქრის წყალობით დავიწყე თამაში. მაგრამ უკვე სამი წელია ვთამაშობ. პირველი ორი წელი იმას მოვანდომე, რომ ჰოლიჯოხით ბურთის დარტყმა მესწავლა. მიუხედავად ამისა, თავს ცუდ მოთამაშედ არ მივიჩნევ, თუმცა ოსტატობამდეც ჯერ ბევრი მიკლია," – ამბობს უკრაინელი მოკრივე. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ მისი მომდევნო ორთაბრძოლის თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს. კლიჩკო-უმცროსი სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ივლისის მეორე ნახევარში ან აგვისტოს დასაწყისში გავა რინგზე. ■

მთიშავმა ფრანკენშტეინი გამოიწვია დუელში

ჯეიმს ტონი, მეტსახელად მთიშავი, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ჯონ რუისი დაამარცხა და WBA-ს ჩემპიონის ქამარს დაეუფლა, არ ცხრება. ივლისში ის IBF-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ კრის ბერდთან შეხვედრას აპირებს. თუმცა, როგორც მოსალოდნელია, არც ამით დაკმაყოფილდება. ტონიმ დუელში უკვე გამოიწვია WBC-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო, რომელსაც ფრანკენშტეინი უწოდა. სხვათა შორის, ტონის არც რუისის მისამართით დაუშურებია „თბილი სიტყვები", რომელზეც ჟურნალისტებთან განაცხადა – არ მესიმპათიურება და უშნოდ იბრძვისო. მიუხედავად ამისა, ის თავის მეტოქეს მაინც აფასებს, რადგან მან „ასეთი დიდი ტიტულის მოპოვების" საშუალება მისცა. ტონი ხაზს უსვამს იმასაც, რომ რუისს უბრალოდ არ გაუმართლა, რადგან რინგზე სწორედ მის პირისპირ დადგომა მოუხდა. აქვე გაცნობებთ, რომ ჯონ რუისზე გამარჯვებით, 36 წლის ჯეიმს ტონი კრივის ისტორიაში მესამე საშუალო წონის მსოფლიო ჩემპიონია, რომელმაც შემდგომში, სუპერმძიმე წონით კატეგორიაშიც მოიპოვა ეს ტიტული. ■

ერთმანეთს ჩერლიდინგშიც ეჯიბრებიან

საკალათბურთო კლუბ „ურალ-გრეიტის" მხარდამჭერ მოცეკვავე გოგონათა ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს ჩერლიდინგის ტურნირში, რომელშიც სრულიად რუსეთის თასი გათამაშდება. შეჯიბრება 15 მაისს მოსკოვში გაიმართება. Dance-ის ნომინაციაში პერმელ გოგონებს კონკურენციას მოსკოველი, მაგნიტოგორსკელი, ასტრახანელი, ჩელიაბინსკელი და სარანსკელი გოგონები გაუწევენ. ხოლო ის გუნდები, რომლებიც პირველ-მეორე ადგილებს დაიკავებენ, მონაწილეობას მიიღებენ ჩერლიდინგის ევროპის ჩემპიონატში (შეჯიბრება პირველად ჩატარდება რუსეთში ივნისის მიწურულს). „ასეთი დონის შეჯიბრებაში პირველად მივიღებთ მონაწილეობას, – ამბობს „ურალ-გრეიტის" მხარდამჭერ გოგონათა გუნდის ხელმძღვანელი, ანა აგაფონოვა, – ძალიან საინტერესოა იმის ნახვა, თუ რას აკეთებენ ჩვენი კოლეგები სხვა ქალაქებში. ახლა ამ ტურნირისთვის თავდაუზოგავად ვემზადებით და შევეცდებით, რომ შეჯიბრებაში რაც შეიძლება კარგად ვიასპარეზოთ". ჩერლიდინგში ევროპის ჩემპიონატები 1995 წლიდან ტარდება. პირველი ტურნირი ქალაქ შტუტგარტში გაიმართა, 16 წელზე უფროსთა და ახალგაზრდულ გუნდებში (12-15 წელი). სამწუხაროდ, საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში მონაწილე არც ერთ გუნდს არ ჰყავს მოცეკვავე გოგონათა მხარდამჭერი გუნდი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისა და სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით (რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკულ NBA-ზე), ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი მეტისმეტად დაბალ დონეზე მიმდინარეობს. ამიტომ მოცეკვავე გოგონათა გუნდები მისთვის უბრალოდ, ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა. ■

რინგიდან პირდაპირ „პლეიბოის" გარეკანზე

დღეს უკვე აღარავის უკვირს ის, რომ წმინდა მამაკაცურ სპორტის სახეობებში ქალებიც ასპარეზობენ. მართალია, რესტლინგს სპორტს ვერ ვუწოდებთ (იგი უფრო ეფექტურად დადგმული შოუა), მაგრამ ამ სანახაობაში მონაწილეობა ერთი შეხედვით სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის შეუფერებელი და მიუღებელიც კი უნდა იყოს. არადა, ქალებმა უკვე ამ სფეროშიც მოსინჯეს ძალები. თანაც ხშირად, რინგზე ერთმანეთისთვის „ცხვირ-პირის სამტვრევად" საკმაოდ სიმპათიური გოგონები გამოდიან, ისეთებიც კი, ვინც შემდგომ „პლეიბოის" გარეკანზეც ხვდებიან. სწორედ ასეთ რესტლერთა კატეგორიას მეეკუთვნება ამერიკელი კრისტი ჰემი, რომელიც რინგის გლადიატორიდან მოულოდნელად, ჟურნალის „თვის გოგონად" გადაიქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლა ჰემი ფოტო და ვიდეოგადაღებებში უფრო ხშირად მონაწილეობს, ვიდრე შოუორთაბრძოლებში. გარდა ამისა, მან კინოშიც მოსინჯა ძალები და სულ უფრო ხშირად იწვევენ ამა თუ იმ ფილმში მონაწილეობის მისაღებად. ■

ზაგალო ავადმყოფობს

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის, მარიო ზაგალოს ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დროს მეტისმეტად გაუარესდა. ცოტა ხნის წინ, ის მუცლის ძლიერი ტკივილის გამო რიოს ერთ-ერთ ჰოსპიტალში მოათავსეს. სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ერთ-ერთმა ექიმმა განაცხადა, რომ 74 წლის ფეხბურთის სპეციალისტს ბიოპფსიის (ორგანიზმიდან ქსოვილების ამოღება კვლევის მიზნით) ჩატარება დასჭირდება. „ზაგალოს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას ყველა აუცილებელი პროცედურა ჩაუტარდა და ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ტესტების საბოლოო შედეგებს დაველოდოთ“, – დასძინა მწვრთნელის ექიმმა, რომელმაც იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ყვითელმაისურიანთა ყოფილი თავკაცის ავადმყოფობა გულის არითმიასთან არ არის დაკავშირებული (ბოლო პერიოდში, ზაგალოს ეს დაავადება აწუხებს). შეგახსენებთ, რომ მარიო ზაგალომ იმით გაითქვა სახელი, რომ ფრანც ბეკენბაუერის მსგავსად, ორ ამპლუაში გახდა მსოფლიო ჩემპიონი – როგორც ფეხბურთელი და როგორც მწვრთნელი. მან ბრაზილიის ეროვნული გუნდის მაისურით 1958 და 1962 წლების მუნდიალებზე

გაიმარჯვა, 1970 წელს კი, თავად ედგა ნაკრებს სათავეში, როდესაც ყვითელმაისურიანები მესამედ დაეუფლნენ ამ ტიტულს. გარდა ამისა, 1994 წელს, როდესაც „ტყავის ბურთის ჯადოქრებმა“ ასევე მოიგეს ჩემპიონატი, ზაგალო გუნდის ტექნიკური კოორდინატორი გახლდათ. 1998 წელს კი, მისი ხელმძღვანელობით, სამხრეთამერიკელებმა ფინალში საფრანგეთის ნაკრებთან ბრძოლისას დათმეს ოქროს მედლები.

■

ჟამელია მეორე შვილს ელოდება

ბრიტანელი მომღერალი ჟამელია ფეხმძიმობის მესამე თვეშია. 24 წლის ვარსკვლავი „ჯილინგემის“ მოთამაშის, დარენ ბიფილდისაგან ელოდება ბავშვს. მომღერლის პრესსამსახური იუწყება, რომ ჟამელიას სავარაუდოდ, ვაჟი შეეძინება. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი მეორედ იმშობიარებს. 2001 წელს მას პირველ ქორწინებაში ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ტეჟა დაარქვეს. გოგონას სახელი, მისი მშობლების სახელთა პირველი ბგერებისგან შედგება (ტერი და ჟამელია). მოგვიანებით, ჟამელია ქმარს გაეყარა, მაგრამ გულხელდაკრეფილი დიდხანს არ მჯდარა და შარშან თავისი ბედი დარენ ბიფილდს დაუკავშირა. ამასთან, ჟამელიამ კარიერაც კარგად აიწყო. პირველი მშობიარობის შემდეგ, ის სცენაზე უმალვე არ დაბრუნებულა, თუმცა უკვე 2003 წელს, მისი სიმღერები არაერთი ქვეყნის ჰიტაღლუმებში მოხვდა. მიმდინარე წელს კი, ჟამელიას სიმღერა – "Thank You" @ Ivoy Novello Award-ის ერთ-ერთ ნომინაციაზე იქნება წარდგენილი. რაც შეეხება ბიფილდს, მას პირველი შვილი შეეძინება.

■

„არსენალის“ მოთამაშე ჩხუბისთვის დაასჯეს

ლონდონის „არსენალის“ მოთამაშე ქუინსი ოვუსუ-აბეიე ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ყოველწლიურ საზეიმო ცერემონიაზე – „წლის ფეხბურთელი“ – სტუმრობის შემდეგ დააკავეს. აბეიეს 2002 წლის ზაფხულიდან „მეთოფეთა“ შემადგენლობაში სულ 7 მატჩი აქვს ჩატარებული. თავად იგი არც ერთ ნომინაციაში არ ფიგურირებდა, სამაგიეროდ, სკოტლენდიარდელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული

ღონისძიების შემდეგ, აბეიე თავის ორ შავკანიან მეგობარს შეხვდა და მათთან ერთად ლონდონის ქუჩებში გასეირნება გადაწყვიტა. ისინი ღამის 3 საათამდე სეირნობდნენ, ვიდრე სამივე მათგანი პოლიციამ არ დააკავა. „ლონდონის ცენტრში მდებარე, კაფე „როიალში“ მომხდარი ინციდენტის შესახებ პოლიციის მორიგემ ღამის 3 საათზე შეიტყო. როდესაც სამართალდამცავები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, თავგატეხილი მამაკაცი იპოვეს. ის უმალ საავადმყოფოში წაიყვანეს, როგორც ეჭვმიტანილი, სამი ახალგაზრდა დააკავეს, რომელთა შორისაც „არსენალის“ ჰოლანდიელი ფორვარდიც აღმოჩნდა. სამივე, პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს“, – ნათქვამია სამართალდამცავთა მიერ გაკეთებულ განცხადებაში. თვითმხილველები კი ამბობენ, რომ 20-ოდე წლის დაზარალებულს, 3 ახალგაზრდა ფეხებით სცემდა. ჯერჯერობით უცნობია ინციდენტის მიზეზი.

■

კომპოზიტორ ოთარ ტატიშვილს ცოტა ხნის წინ, 50 წელი შეუსრულდა. იუბილეს გადახდამდე ცოტა ხნით ადრე, ბატონმა ოთარმა მითხრა, რომ ბევრი საინტერესო სიმღერა დაუგროვდა, ამიტომ შეეცდებოდა, ერთგვარი ანგარიშით წარმდგარიყო მსმენელის წინაშე. ასეც მოხდა. ვინც მის საიუბილეო კონცერტს დაესწრო, აღნიშნა, რომ იმ საღამოს მიღებული შთაბეჭდილებები მისთვის დაუვიწყარი იქნება... თუმცა ამჯერად, ბატონ ოთართან ძირითადად, ქართულ შოუბიზნესში არსებულ პრობლემებზე ვისაუბრეთ.

ოთარ ტატიშვილი: უნიჭობას ნიჭიერებასთან ბრძოლის დიდი ნიჭი ჰქონია...

ლელა ჭანკოტაძე

— სამწუხაროდ, საქართველოში პროფესიონალებს კეთროვანებივით გვიყურებენ, ახლოს არ გვიკარებენ. 1985 წლიდან, სახელმწიფო ტელევიზიაში ვმუშაობდი. ბოლოს, ხელფასი 14 ლარი მქონდა. ზაზა შენგელიას ვუთხარი: ვიცი, რომ ტელევიზიისთვის საჭირო ადამიანი ვარ, მაგრამ თუ არ გჭირდები, პირდაპირ მითხარი-მეთქი... — ახალგაზრდები და ენთუზიასტები გვჭირდებაო. ასეთია ჩვენში პროფესიონალების ხვედრი. ამიტომაც არ ჩანს ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი. ისეთი ინსტრუმენტალისტები გვყავს, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის ესტრადას დაამშვენებდნენ.

— თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია კომპოზიტორისთვის, გაჰიტდება თუ არა სიმღერა?

— ძალიან მნიშვნელოვანია. პირადად მე, თითოეული სიმღერის ბედს განვიცდი, რადგან ყოველი სიმღერის მარცხი ჩემი მარცხიცაა, ჩემი ანტირეკლამაა. არის ხოლმე შემთხვევა, როცა ნაკლებად საინტერესო სიმღერა ჰიტი ხდება, ათჯერ უკეთესი სიმღერა კი, ჩრდილში მოექცევა. ამის მიზეზად ის მიმაჩნია, რომ ძალიან დაიწია მსმენელთა დონემ, თითქოს აღარ იციან დიდი ხელოვნების ფასი... 1993 წელს, ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩემი საავტორო კონცერტი ჩატარდა. მაშინ იყო ანსამბლი — „მზე და შოკოლადი". ურთულესი აკაპელა ვამღერე ამ ანსამბლს. 3 თვის მანძილზე ვასწავლიდი, ისეთი რთული აკორდები იყო. დარბაზში ამერიკელები ისხდნენ. მერე კულისებში შემოვიდნენ. აღტაცებას ვერ ფარავდნენ ამ მუსიკალური ნომრის გამო... როცა ტელევიზიის ხელმძღვანელობას ამ გადაცემას ვაბარებდით, თავმჯდომარის ერთ-ერთმა მოადგილემ სწორედ ამ ნომრის ამოღება მოითხოვა: „ჭუჭყიანად" მღერიანო, — თქვა... ამაშია ტრაგედია. ამას წინათ, ქალბატონმა ლაურა იაშვილმა *(ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სკოლის დირექტორი. — ავტ.)* მითხრა: ოთარ, შენს დროს, ჩვენთან 1000 ბავშვი თუ სწავლობდა, ახლა 400 მოსწავლეღა გვყავსო... უწინ, მუსიკაზე ვინც დადიოდა, ყველას კი არ სურდა, მუსიკოსი გამოსულიყო, მაგრამ ჰარმონიის ფასი იცოდა და კარგ და ცუდ მუსიკას არჩევდა ერთმანეთისგან, ე.ი. მისგან კარგი მსმენელი დადგებოდა.

— იმ სიმღერებზე რა აზრის ხართ, რომლებიც ბოლო დროს ჟღერს?

— ხშირად ამბობენ, ცუდი სიმღერები იწერებაო. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ბევრი კარგი სიმღერაც გაჩნდა. ლილიკო ნემსაძეს და რუსა მორჩილაძეს ბევრი ლამაზი სიმღერა აქვთ. მაგრამ ვერ უარვყოფ იმას, რომ ჩვენი კომპოზიტორები პლაგიატობას თავს არ ანებებენ. მე რომ სიმღერას ვწერ, ახლობლებს ვასმენინებ და ვეკითხები: მელოდია რამეს ხომ არ გაგონებთ-მეთქი?.. კომპოზიტორს შეიძლება, რაღაც შეემალოს, შემთხვევით შეეპაროს თავის ნაწარმოებში, მაგრამ როცა სხვისი მელოდიიდან მთელ მონაკვეთს იღებ, ეს ხომ პლაგიატობაა!.. თავს იმით იმართლებენ ხოლმე, თითქოს სულ შვიდი ნოტია და გამორიცხული არ არის, მელოდიებს შორის მსგავსება იყოს... ამას, უვიცის გარდა, არავინ იტყვის. შვიდი ნოტის გარდა, მუსიკაში რიტმია, ინტონაციაა და კიდევ უამრავი სხვა რამ... სულ 9 ციფრი არსებობს, მაგრამ თვლა უსასრულობამდე შეიძლება... ხულიო იგლესიასის ყოფილი პროდიუსერი იყო ჩამოსული თბილისში. მე და გია მაჭარაშვილი შევხვდით. საუბრისას მან თქვა: „პირატობა" ჩვენთანაც ხდება, მაგრამ ჩვენ ვებრძვით და მინიმუმამდე დაგვყავს, რათა ნამდვილად ნიჭიერი ადამიანებისთვის გზა გავათავისუფლოთო. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

— ბოლოს მოსმენილი სიმღერებიდან რომელს გამოარჩევთ?

— ქართული ქალაქური სიმღერები დიდად არ მიყვარს, მაგრამ ძალიან მომწონს ლილიკო ნემსაძის სიმღერა, რომელსაც „ფორტე" ასრულებს. ნოსტალგიაცაა მასში, რეტროც და სიახლეც. ულამაზესი სიმღერაა. ასე რომ, არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, ჩვენი ესტრადა რა საშინელებაა!.. მარგალიტი ქართულ შოუბიზნესში ნამდვილად ცოტაა და ნაგვის პროპაგანდა ხდება. მაგრამ ვისაც უნდა, ამ მარგალიტებს იპოვის და შეიყვარებს.

— როცა ასპარეზზე თქვენი თაობა გამოდიოდა, მაშინ რა ხდებოდა მუსიკალურ სამყაროში?

— მაშინაც იყო ბრძოლა და კონკურენცია. მაგრამ მაშინ პროფესიონალიზმს გაცილებით მეტი ყურადღება

არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, ჩვენი ესტრადა რა საშინელებაა!..

მუსიკათმცოდნეები რატომღაც დუმან...
(ლიანა ისაკაძესთან ერთად)

ექცეოდა. მქონდა სიმღერა – „თეთრი წმინდანი“, რომელიც საახალწლო რეპერტუარში ტრიალებდა. სიმღერა იყო თოვლზე, რომელიც ციდან მოდიოდა და ყველაფერს წმენდდა, თეთრად ფარავდა... ტელევიზიის თავმჯდომარის მაშინდელმა მოადგილემ თქვა: ტექსტიდან წმინდანი ამოვიღოთო... სამხატვრო საბჭოზე ნებისმიერი სიმღერა შეიძლებოდა „დაებლოკათ“, თუ შიგ რაღაც დასავლურს აღმოაჩენდნენ. სამხატვრო საბჭო წყვეტდა, რომელი სიმღერა უნდა გასულიყო ეთერში. მისი წევრების პოზიცია ცოტათი რეტროგრადული იყო, მაგრამ საბჭო კომპლექტდებოდა კომპეტენტური ადამიანებით – მუსიკათმცოდნეებით, კომპოზიტორებით, კრიტიკოსებით. როცა ახალ ნაწარმოებს მივიტანდი, მოისმენდნენ და შემდეგ წყვეტდნენ, შეესყიდა ეს ნაწარმოები ტელევიზიას თუ არა. 150-დან 300 მანეთამდე გვიხდიდნენ. იმ დროისთვის ნორმალური თანხა იყო. მერე ხდებოდა ამ ნაწარმოების ჩაწერა, გაორკესტრება, პარტიტურის წერა. ამის შემდეგ, ის მეორედაც გაჰქონდათ სამხატვრო საბჭოზე, რათა გადაეწყვიტათ, დატოვებდნენ თუ არა ტელევიზიის ფონდში. პროგრესს ყოველთვის ამუხრუჭებდნენ რეტროგრადები, მაგრამ მუსიკა თუ არ იყო აკადემიური, ის ტელეეკრანზე არ გაჟღერდებოდა.

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ უფროსი თაობის კომპოზიტორებთან?

– მათგან ყოველი შექება ჩვენთვის დიდი სტიმული გახლდათ. ბიძინა კვერნაძემ საერთოდ, თავისი ნაწარმოებების შესრულება მომანდო. დღემდე შენახული მაქვს ოთარ თაქთაქიშვილის ინტერვიუ, სადაც ამბობდა – ოთარ ტატიშვილი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაო... მეც მიყვარს ახალგაზრდებთან მუშაობა. მათთან საერთო ენას იოლად ვპოულობ. მათგანაც თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ. ჩვენი ახალგაზრდები ნიჭიერები არიან, მაგრამ არ იციან, თავიანთი ნიჭი როგორ გამოიყენონ. კულტურა და ინტელექტი აკლიათ. ხშირად გაიგონებთ – რა კარგი ხმა აქვს ეკა კვალიაშვილსო! ნამდვილად კარგი ხმა აქვს, მაგრამ მისი ღირსება მხოლოდ ხმაში კი არ არის – ის მოაზროვნე მუსიკოსია, განსაკუთრებულად მღერის, იშვიათი შესრულების მანერა აქვს. თუ მომღერალს ძლიერი ვოკალური მონაცემები არ გააჩნია, მან უნდა იცოდეს, რა შეასრულოს. ცისანა სეფიაშვილმა არიების შესრულება რომ დაიწყოს, ხომ სასაცილო იქნება?! მან შეძლო, საკუთარი სტილისთვის მიეგნო. ჩურჩულით მღერის, მაგრამ ხალხის სიმპათია მაინც დაიმსახურა.

— სხვა ახალგაზრდა შემსრულებლებზე რა აზრის ხართ?

– ელტონ ჯონს ან სტინგს აქვთ მაღალი ხმა? ცხადია, არა. მაგრამ მათ მსოფლიო დაიპყრეს, იმიტომ, რომ მოაზროვნე მუსიკოსები არიან. ასე რომ, მომღერლისთვის მხოლოდ ხმა საკმარისი არ არის. ნინა (წკრიალაშვილი) არაჩვეულებრივი ადამიანია. ძლიერი ვოკალური მონაცემები არა აქვს, მაგრამ მოძებნა თავისი სტილი და შესრულების მანერა, საკუთარი ხელწერა აქვს. ნიჭიერები არიან ნეკა სებისკვერაძე და ნინი ბადურაშვილი. უნიჭიერესი გოგოა თათია ხაბურზანია. სოფო ხალვაშიც ძალიან ნიჭიერია. სხვათა შორის, ის პიანისტიცაა.

— ბოლო დროს, მოდური გახდა, სატელევიზიო კონკურსებით ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ „ვარსკვლავების“ აღმოსაჩენად ამგვარი სელექცია?

– ძალიან მიყვარს დუტა სხირტლაძე, თბილი ბიჭია, კარგი ადამიანია. მაგრამ დუტას ან ნანიკოს ჟიურიში რა უნდათ?.. სატელევიზიო კონკურსებისთვის თვალყური სერიოზულად არ მიდევნია, მაგრამ მონაწილეებიდან თითქმის ყველას ვიცნობ. უდავოდ ნიჭიერი ბავშვები გავიდნენ ფინალში, თუმცა ფაქტია, რომ უფრო ნიჭიერები კონკურსის მიღმა დარჩნენ – როგორც „ჯეოსტარში“, ასევე „ნუცას სკოლაშიც“. ამის დასტურად სოფო ხალვაშის მაგალითიც გამოდგება... მე არ დავჯდები ისეთ ჟიურიში, სადაც კომპრომისზე წასვლა მომიწევს. ამასვე ვურჩევ სხვებს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯანსაღი კრიტიკა არ არსებობს. მუსიკათმცოდნეები რატომღაც დუმან. არადა, სწორედ ისინი უნდა ამბობდნენ, ვინ მღერის კარგად და ვინ – ცუდად. ამაზე მე არ უნდა მიწევდეს ლაპარაკი... ამ მხრივ, ჟურნალისტებიც სცოდავენ. ჟურნალისტები პროფესიონალური ტერმინებით უნდა ლაპარაკობდნენ. მაგალითად, მინდა, მათგან გავიგონო: ამ მომღერალს გადასარევი ვოკალი აქვს, მაგრამ ტექნიკაში მოიკოჭლებს, ან – პირიქით... აღარ უნდა დამთავრდეს ის დრო, როცა მთავარ ჟურნალისტურ მონაპოვრად ითვლება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის რა მოუნდა ორსულობის მესამე თვეში ან ვინ რომელი საპნით იბანს?!.

— თქვენს მოსწავლეებზეც მოგვიყევით. რა პერსპექტივა აქვთ მათ? რას იტყვით ქეთა თოფურიას წარმატებაზე?

– ძალიან ნიჭიერი მოსწავლეები მყავს. მეცოდებიან, გზას რომ ვერ იკაფავენ, მაშინ, როცა მათზე უნიჭოები წარმატებას იოლად აღწევენ. სამწუხაროდ, უნიჭობას ნიჭიერებასთან ბრძოლის დიდი ნიჭი ჰქონია... ქეთა მე აღვზარდე – 9 წლის ასაკიდან ჩემთან მეცადინეობდა. ბოლოს, ვეღარ ვაკონტროლებდი. ხალხი ყველა მის ნამუშევარს მე მომაწერდა, მაგრამ ასე არ იყო. კარგი რეპერტუარი აქვს, მაგრამ 11 წლის ასაკში, „საქართველო“ რომ იმღერა, ის ჩანაწერი რომ მოგასმენინათ, მოიხიბლებით. ქეთას უფრო მეტი შეუძლია. ის ბევრს მიაღწევს. ძალიან მიყვარს და ალბათ, მშობლების შემდეგ, მისი წარმატება ყველაზე მეტად მე გამიხარდება... ■

მიყვარს ახალგაზრდებთან მუშაობა.
მათთან საერთო ენას იოლად ვპოულობ...

შეგახსენებთ — თბილისელი გოდერძი კაციტაძე მარიო მერონად მას შემდეგ იქცა, რაც 20 წლის ასაკში შეიტყო, რომ იტალიელი ქალის შვილი იყო. მამამ გოდერძის უამბო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, იტალიელი კლავდია მერონი შეირთო ცოლად და 1945 წელს, საქართველოში გამომგზავრებისას, მისი ცოლი თვითმ-ფრინავში მშობიარობას გადაჰყვა... გოდერძი კაციტაძე ბაბუის — მარიო მერონის გვარ-სახელზე დაიწერა. მის მამას არ გაუწყვეტია კავშირი დაღუპული კლავდიას ოჯახთან. გოდერძი-მარიომ იტალი-იდან მიწვევა მიიღო და ბებიისა და ბიძების გასაცნობად, მილან-ში გაემგზავრა. „გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წიგნის ფრაგმენტში მისი სტუმრობის დასაწყისია აღწერილი...

პორჯოლაში – დედის საფლავზე და მილანში – ბებია კანჩეტინოსთან

მარიო მერონი: „არ გავიგვლი მე ჩემს სამშობლოს!“

ფრაგმენტები წიგნიდან

ეს იყო ენით აუწერელი შეხვედრა და ახლა ვნანობ, რომ ეს ყველაფერი იმ დროში მოხდა, როცა ვიდეოკამერები ჯერ კიდევ არ იყო. ისე კი, სურათი ბევრი გადაგვიღო ბიძაშვილმა გოგონამ, ალბერ-ტოს ქალიშვილმა, რომელსაც სოფია ერქვა.

რომიდან მილანამდე მგზავრობას ექ-ვსი საათი მოვუნდით. გზაზე ერთ პატარა დასახლებაში, კაფეში შევედით. ბებია ყველას – ნაცნობსა თუ უცნობს ჩემზე უთითებდა და ეუბნებოდა, ჩემი კლავდ-იას შვილი ჩამოვიდაო. ვატყობდი, ბევრ-მა არც კლავდია იცოდა, ვინ იყო, და არც ის, თუ საერთოდ რა ხდებოდა.

გზაში ბებია ხელებს მიკოცნიდა და გულში მიხუტებდა, სულ ლაპარაკობდა, თანაც ჩქარა, არ გაჩერებულა...

...და აი, ისიც, ქალაქი მილანი, ქალაქი, სადაც დედაჩემი იყო დაბადებული, სადაც ფეხი აიდგა და ყმაწვილქალობა გაატარა, სადაც ჩემთვის ყველაფერი თითქოსდა ნაცნობი იყო, თითქოს სადღაც სხვა ცხოვრებაში მენახოს ქუჩები, სახლები, მოედნები, გამვლელ-გამომვლელებიც, თი-თქოს ყველას და ყველაფერს ვიცნობდი.

ფილიპო ბიძია 55 წლის იყო. მეუღლე, ორი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი ჰ ყავდა. პროფესიით ინჟინერ-კონსტრუქტორს, „ფიატის“ საავტომობილო ქარხანაში უმუ-შავია წამყვან სპეციალისტად.

50 წლის ბიძია ალბერტოს კი, მეუღლე და ორი გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. მას საკუთ-არი მაღაზია ჰქონდა მილანის გარეუბანში. ბებია კანჩეტინო უფროს ვაჟიშვილ ფილი-პოსთან ცხოვრობდა, ბაბუაჩემის, მარიოს მიერ 1905 წელს ნაყიდ ორსართულიან სახლში.

ეს იყო ტიპური, დიდი იტალიური ოჯახი, სადაც უფროსობას ბებია ჯერჯერ-რობით არავის უთმობდა.

დღის ოთხი საათი იქნებოდა, მილან-ის გარეუბანში სახლს რომ მივადექით. პატარა, ვიწრო ქუჩა მეზობლებით იყო გაჭედილი, ყველანი გარეთ გამოსულიყვნენ, ზოგნიც აივნებზე სარეცხივით იყვნენ გადმოკიდებულები, ჩვენ გველოდებოდნენ, დღესასწაული გეგონებოდათ.

მანქანები გაჩერდა და ჩვენც ჩამოვედით.

– ჩემი მარიო ჩამოვიდა, ნახეთ, რო-გორი შვილიშვილი მყავს! – ყველას გასაგონად დაიძახა ბებიამ.

მეზობლები მოდიოდნენ და მესალ-მებოდნენ, ხანში შესული ქალები კი მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ. გავიფიქრე, ალბათ, ეს ის ქალბატონები არიან, დედაჩ-ემის პატარაობა რომ ახსოვთ-მეთქი.

შეხვედრის ცერემონიის შემდეგ, სახ-ლში შევედით. მე მეორე სართულზე, ბებიის გვერდით ოთახში მომათავსეს, სა-დაც ძველმოდური რკინის საწოლი, შიფ-ონერი და კომოდი, შუაში კი მრგვალი მაგიდა და ძველებური გრეხილი ოთხი სკამი იდგა. კედელზე შავ-თეთრი სურათი ეკიდა, სადაც ბებია კანჩეტინო და ბაბუა მარიო ახალგაზრდობაში იყვნენ გადაღებული.

ხელჩანთა გავხსენი, საჩუქრები ამოვ-ალაგე და ბებიას ვთხოვე, ვინმე ნაწყენი რომ არ დარჩეს, თქვენ უკეთ გაანაწილებთ-მეთქი. ეს ბლუზონი და ყელსაბამი კი პირადად თქვენთვის არის და ძალიან გამიხარდება, თუ მოგეწონებათ-მეთქი, – ვუთხარი ბებიას და საჩუქრები გავუწოდე.

– როგორ არ მომეწონება, დიდი მად-ლობა, შვილო! – თქვა ბებიამ, ძღვენი გამომართვა და გულში ჩაიხუტა.

დანარჩენი საჩუქრებიც იქვე მდგომ სოფიას მიაწოდა და უთხრა, ჩემს ოთახში შეიტანეო.

– ბაბუა მარიოსთვისაც მაქვს საჩუქ-რი, – ჩუმად ვუთხარი ბებიას. – დედის საფლავიდან ერთი მუჭა მიწა წამოვიღე და ბაბუის საფლავზე მინდა მოვაყარო.

ამის გაგონებაზე, ბებია კედელზე გაკრული სურათისაკენ მიბრუნდა, ხელები აღაპყრო და თვალცრემლიანმა თქვა:

– შენ რა გიშავს, კლავდიას შენ მანდ ხედავ და ეფერები, მე კი რა ვქნა, მარიო?!

იმ საღამოს, ყველამ ერთად ვივახშმეთ, ცნობილი იტალიური „სპაგეტი“ ცხარე საწებლითა, პიცა და თითო ჭიქა წითელი ღვინო დავაგემოვნეთ. შემდეგ შხაპი მივიღე, ჩემს ოთახში ავედი და ლოგინზე წამოვწექი.

მაგიდაზე პატარა, ძველ სურათების ალბომს მოვკარი თვალი. ის თითქოს სპეციალურად ჩემთვის იყო აქ დადებული. ავიღე და თვალიერება დავიწყე.

– აგერ, ჩემი პატარა დედიკო! – წამოვიძახე ინსტინქტურად. სურათზე სამი-ვენი – ფილიპო, ალბერტო და დედა იყვნენ გადაღებული. დედას მოკლე კაბა აცვია და ძმებს შუა ზის... უცებ თვალი მოვკარი მის მარჯვენა ფეხის წვივზე პატარა შავ ლაქ-ას და ჩემს ფეხზეც დავიხედე. აი, საოცრება, რას ვხედავ, ზუსტად იმ ადგილას მარცხენა ფეხის წვივზე, შავი ხალი.

ტანში გამცრა. ალბომით ხელში ოთა-ხიდან გამოვედი და ბებიის ოთახის კარზე დავაკაკუნე. შემოდიო, მომესმა ბებიის ხმა. კარი გავაღე, ვიგრძენი, რომ ბებია არ მელოდებოდა. მივედი საწოლთან, ალბომი გადავშალე და საჩვენებელი თითით დედაჩ-ემის ფეხის წვივზე, შავ ხალზე მივუთითე. ხალს იტალიურად რა ერქვა, არ ვიცოდი, მაგრამ მივახვედრე, თან შარვლის მარცხენა ტოტი ავიწიე და ისეთივე შავი ხალი ჩემი ფეხის წვივზე დავანახვე.

უნდა გენახათ, როგორ ელდანაკრავი-ვით წამოვარდა ლოგინიდან ეს მოხუცე-ბული ქალი, კართან მივარდა, გამოაღო და დაიყვირა:

– ამოდით, სუყველანი აქ ამოდით!

მე ისევ გაოგნებული ვიდექი. ბებიის ხმაზე, ვინც კი სახლში იყო, ყველა მეორე სართულზე, მის ოთახთან ამოვ-იდა გაკვირვებული სახით. ბებიამ ხელი მომკიდა, ცოტა დაიკუზა, შარვლის ტოტი თვითონ ამიწია და თითქოს რაღაცის დამტკიცება უნდაო, საზეიმოდ განაცხადა:

– ხედავთ ამ ხალს? ჩემს კლავდ-იასაც ზუსტად ამ ფეხზე ჰქონდა! – და თან იმ სურათზე მიუთითა.

ამ სცენის შემხედვარემ, უკვე მეც ამ დიდი ოჯახის წევრად ვიგრძენი თავი, არანაირი ეჭვი აღარ არსებობდა, მე ჩემი დედის შვილი ვიყავი...

მეორე დღეს, ბებიამ დღის ორ საათზე დაგვგმა ბაბუა მარიოს საფლავზე გასვლა, თან გამაფრთხილა, ის ჩამოტანილი მიწა არ დამვიწყებოდა. სასაფლაოზე ალბერტო ბიძიას მიკროავტობუსით წავედით, ყვავილები და სანთლები წინასწარ ეყიდათ.

ტერიტორიულად სასაფლაო, მილანის სხვა გარეუბანში იყო. ერთი განსხვავება შევნიშნე – იქ საფლავები შემოღობილი არ არის, არც ჰურმარილის გატანა სცოდნიათ.

ბაბუის საფლავზე მარმარილოს ქვა იდო წარწერით: „აქ განისვენებს მარიო მერონი 1887 – 1941 წ.წ.“

უცებ იმ გულის ჯიბეზე მივიდე ხელი, სადაც პასპორტი მედო, რომელშიც იგივე სახელი და გვარი ეწერა, რაც საფლავზე. თავი იმ დიდი პიროვნების „ასლად“ წარმოვიდგინე, ვის საფლავთანაც ვიდექი. გავიფიქრე, ცხოვრებაში მართლაც, არაფერი კვდება, ყველაფერი მეორდება-მეთქი.

ბებიამ ცოტა წაუტირა, მიწა გამომართვა და საფლავის ზედა მხარეს მოაფრქვია, იმავე პარკში კი, მარიო ბბუას საფლავიდან აღებული ერთი მუჭა მიწა ჩაყარა და მე მომაწოდა.

ყველანი დუმილით ვადევნებდით თვალს ბებიის მოქმედებას, მერე სანთელი დაანთო და პირჯვარი გადაიწერა, მარცხნიდან მარჯვნივ. მეც გადავიწერე პირჯვარი მხოლოდ ისე, როგორც მართლმადიდებელმა, მარჯვნიდან მარცხნივ. საფლავზე რამდენიმე სურათი გადავიღეთ. დიდხანს აღარ გავჩერებულვართ და იმავე მანქანით დავბრუნდით სახლში. საღამოს ბიძია ალბერტოს ვთხოვე, თბილისში დამარეკვინე-მეთქი, ქაღალდის ფურცელი და ფანქარი მომცა, ნომერი დამიწერეო.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, ჩვენი დროით – ათი საათი. მე სახლის ნომერი დავუწერე. მან ნომერს დახედა და გაეცინა:

– მეგონა, სხვაგან რეკავდი, თქვენი ნომერი ხომ ზეპირად ვიცი! – მითხრა, ყურმილი აიღო და სასწრაფო საუბარი შეუკვეთა.

დაახლოებით ათ წუთში შეგვაერთეს თბილისს. მამაჩემი გამესაუბრა, მომიკითხა, მოკლედ ვუამბე, თუ როგორი შეხვედრა მომიწყვეს რომის აეროპორტში.

– აბა, შენ იცი, როგორ წარადგენ დედაშენს თავის სამშობლოში! – შემაგულიანა მამაჩემმა, თან დასძინა, როცა წამოსვლას გადაწყვეტ, შემატყობინეო და დამემშვიდობა.

...დღეები მხიარულად გადიოდა. ბიძაშვილებთან ერთად ვიმოგზაურე რომში, ვენეციაში, ტურინში, ვნახე უამრავი ღირსშესანიშნაობა, ვიყავი ვატიკანში, დავესწარი ოპერას მილანის საქვეყნოდ განთქმულ „ლა სკალას“ თეატრში, ცოტა იტალიურიც გავაუმჯობესე. ბიძია ფილიპომ „ფიატის“ ქარხნის დასათვალიერებლად წამიყვანა... ამასობაში ოცი დღეც გავიდა. ბებიას ნელ-ნელა ვაპარებდი, რომ ჩემი უკან გამგზავრების

დრო ახლოვდებოდა. თავიდან ყველას უნდოდა, გადამეწყვიტა და სამუდამოდ იქ დავრჩენილიყავი საცხოვრებლად, მპირდებოდნენ, რომ არაფრის პრობლემა არ მექნებოდა, მაგრამ დიდი ანგარიშით ვგრძნობდი, რომ სამუდამოდ იქ, მათთან ერთად დარჩენა შეუძლებელი იყო. მე ხომ ქართული ადათ-წესებით ვიყავი აღზრდილი, ცხოვრების წესით მე მათთვის უცხო ვიყავი. თანაც ვფიქრობდი, ასე რომ მოხდეს, რა პასუხი უნდა გავცე ჩემს შშობლებს, დედაჩემს, ჩემს მეგობრებს. მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა. ან როგორ შეველიო ჩემს უბანს – ჩემს თბილისს და მთლიანად საქართველოს!

და რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, ვინ მოუვლის დედაჩემის საფლავს იქ, ბორჯომში, ვინ დაუნთებს სანთელს, ვინ გაუგორებს წითელ აღდგომის კვერცხს საფლავზე, ვინ? ვინ და ისე, როგორც მე, ვერავინ. ამიტომაც იტალიაში სამუდამოდ დარჩენა აზრადაც კი არ მომსვლია.

მართალი გითხრათ, როცა განვაცხადე, ივლისის ბოლოს უნდა წავიდე-მეთქი, დიდად არავის გაჰკვირვებია. ერთს კი გულით მთხოვდნენ: როცა დაქორწინდები, მეულლესთან ერთად აუცილებლად უნდა ჩამოხვიდეო, რისი პირობაც ყველას მივეცი.

უკან წამოსასვლელი ბილეთი ფილიპო ბიძიამ მომიტანა. 31 ივლისს, დღის თორმეტ საათზე მივფრინავდი მოსკოვში...

და აი, გათენდა 31 ივლისის დილა. ბებია კანჩეტინომ ყველა ადრიანად გაგვაღვიძა, აბა, არაფერი დაგავიწყდეთ და არ დაგაგვიანდეთო.

ბებიას ვთხოვე, რომში წამოსვლაზე ნულარ შეწუხდებოდა, ვინაიდან ბიძები მაცილებდნენ. ოდნავი ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა, თავის ოთახში შევიდა და ის პარკი გამომიტანა, მარიო ბაბუის საფლავიდან აღებული მიწა რომ ეყარა. ერთხელ კიდევ მთხოვა, ეს მიწა ჩემი კლავდიას საფლავზე მოაყარეო და ტირილი აუვარდა. მეც ცრემლი მომადგა. მოხუცმა გულში ჩამიკრა და კოცნა დამიწყო, მერე შარვლის მარცხენა ტოტი ამიწია და იმ ხალს დახედა, ეტყობა, კიდევ ერთხელ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მე ნამდვილად მისი ერთადერთი ქალიშვილის, კლავდიას შვილი ვიყავი. ჩემი უკან წამოსვლის ამბავი მთელ ქუჩას გაეგო, გამოცილებაც ისეთივე ოვაციით ?ახდა, როგორითაც დახვედრა, ოღონდ გამცილებლები გაცილებით ნაკლებნი იყვნენ.

ყველას გამოვემშვიდობე და ფილიპო ბიძიას მანქანით რომისაკენ ავიღეთ გეზი. ბიძია ალბერტომ მე წინ დამსვა, თვითონ კი – უკან დაჯდა.

აეროპორტში ერთი საათით ადრე მივედით, რეგისტრაცია გავიარე, ბიძებს დიდი სიყვარულით გამოვემშვიდობე და მოსაცდელ ოთახში შევედი.

ნახევარი საათის შემდეგ, თვითმფრინავში ვიჯექი და მოსკოვისკენ მივფრინავდი. უკან დარჩა ჩემი დედულეთი, ჩემი მეორე სამშობლო – იტალია, მილანი, ბებია კანჩეტინო და მრავალი ნათესავი...

საღამოს 11 საათზე თბილისში ვიყავი...

მეორე დღეს, მე და კუკური ბორჯომში წავედით, თან იტალიიდან წამოღებული მიწა წავიღეთ და დედაჩემის საფლავს მოვაყარეთ.

სასაფლაო შეკეთებული და შეღებილი დაგვხვდა, ეტყობა, ჩემი იტალიაში ყოფნის დროს, მამაჩემმა ივაჟკაცა. იქვე რკინის პატარა მაგიდა და სკამიც ჩაუდგამს. ძალიან გამიხარდა და თბილისში რომ დავბრუნდით, დიდი მადლობა გადავუხადე...

გაგრძელება იქნება ■

მკურნალობა გარანტიით!

თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, სებორეა, თმის ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა თავის არეშე), სოკო, ფსორიაზი, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. იაპონური აპარატით ვაკეთებ მასაჟს, თმის მოცილება ხელებზე და ფეხებზე. **მჭედლიძე, ბეგაშვილი**

☎ 39-39-51; 30-94-73; 893-91-89-17; 35-32-62

ანტონიო ბანდერასი ჰოლივუდში 1989 წელს ჩავიდა და საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში „ოსკარზე“ წარდგენილი ესპანური სურათი — „ნერვული აშლილობის ზღვარზე მყოფი ქალი“ ჩაიტანა. პრემიების გადაცემის ცერემონიაზე მან ლამაზი, ქერათმიანი ქალი იხილა, რომელიც დანახვისთანავე შეუყვარდა. ბანდერასმა მოგვიანებთი გაარკვია, რომ ეს, თავქარიანობით განთქმული მელანი გრიფიტი იყო. „ეს ქალი ჩემი ცოლი გახდება!“ — განაცხადა ანტონიომ.

სიცოცხლის ტაბოს ხუნიკლიკი

ნიჭის დაჯილდოებული ანტონიო ბანდერასი

შეგობრების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა...

შეყვარებული მაჩო მეგობრებმა მეოცნებედ და ფანტაზიორად შერაცხეს. სიტუაცია მისთვის მართლაც, წამგებიანი იყო: ანტონიომ ერთი ღერი ინგლისურიც კი არ იცოდა, ჰოლივუდში სამუშაოს შოვნის იოტისოდენა შანსიც კი არ გააჩნდა და, ბოლოს — ის უკვე ესპანელ მსახიობ ანა ლესაზე იყო დაქორწინებული.

ანტონიო ჰოლივუდში მაინც დარჩა, საკუთარი აგენტი გაიჩინა და სასწრაფოდ, ინგლისური ენის სწავლა დაიწყო. რამდენიმე კვირის შემდეგ, ის მუსიკალური ფილმის — „მამბოს მეფეები“ — სინჯებზე მიიწვიეს. ანტონიო პანიკაში ჩავარდა — მას ინგლისურად მხოლოდ რამდენიმე ფრაზის წარმოთქმა თუ შეეძლო.

სინჯების წინ, ბანდერასმა თავისი ტექსტი დაიზეპირა და თან, ორი ფრაზა — „მერიდება“ და „თავად უკეთ მოგესენებათ“ — აითვისა. ეს ფრაზები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რეჟისორი დარწმუნებულიყო: ესპანელი ყმწვილი საკმარისად კარგად ფლობდა ინგლისურს საიმისოდ, რომ ერთ-ერთი მთავარი როლის თამაში შესძლებოდა.

ასე დაიწყო ანტონი ბანდერასის კარიერა ჰოლივუდში. მეგობრები მისი წარმატებით ხარობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ კარიერა მას, მელანი გრიფიტით უაზრო გატაცებას დაავიწყებდა, მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, სულ მალე ბანდერასი მიიწვიეს ფილმში „ორნი — ეს უკვე მეტისმეტია“, — სადაც მელანი გრიფიტიც თამაშობდა...

ჩვეულებრივი სასწაული

მოგვიანებით, უკვე დაქორწინებულ წყვილს, ხშირად ეკითხებოდნენ, თუ რა მოხდა მათ შორის გადაღებებზე. ანატონიო და მელანი ამ კითხვაზე მუდამ ერთსა და იმავე პასუხს იძლევიან: „სასწაული“ — ერთხმად ამბობენ ისინი.

ანტონიოს მუდამ სჯეროდა, რომ სიყვარული დიდი ხელოვნებაა, რომელიც ისეთივე თავგანწირვასა და სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს, როგორსაც თვით სამსახიობო შემოქმედება. მისგან განსხვავებით, მელანის უკვე ორი უიღბლო ქორწინების მწარე გამოცდილება ჰქონდა და გულწრფელად ფიქრობდა, რომ სიყვარული მხოლოდ უსაქმურთა მიერ მოგონილი სისულელეა და სხვა არაფერი. ანტონიო ბანდერასთან შეხვედრამ მელანის შეხედულებანი სიყვარულსა და მამაკაცებზე, თავდაყირა დააყენა.

ანტონიო ჭეშმარიტად ლათინურამერიკელი მიჯნური აღმოჩნდა — ის ერთდროულად ვნებიანიც იყო და თავშეკავებულიც, მგზნებარე საყვარელიცა და მოკრძალებული ჯენტლმენიც. მასში, ცეცხლოვანი მაჩო და კეთილშობილი რაინდიც რაღაც მანქანებით შეერწყა ერთმანეთს. პაემანზე



ყვავილების გარეშე არასდროს მისულა. მასთან შეხვედრა მუდამ საინტერესო იყო ქალისთვის. იქ, სადაც ანტონიო იყო, მუდამ საზეიმო განწყობილება სუფევდა. „ადამიანთა უმრავლესობა ისე ცხოვრობს, თითქოს უკვდავნი არიან, ისინი ძვირფას წუთებს უაზროდ ფლანგავენ. მე ვცდილობ, ისე ვიცხოვრო, რომ თითოეული დღე დასამახსოვრებელი იყოს და მომავალში, ჩემი ცხოვრების თითოეული წუთი სიამოვნებით გავიხსენო“, — უთხრა ერთხელ ანტონიომ მელანის.

მელანი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ იდეალური ამერიკელი ქალის იმიჯი არ შეელახა. თავდაუზოგავად შრომობდა, მაგრამ ზოგჯერ, სამუშაოს დაძაბულ ტემპს ვეღარ უძლებდა და ნერვებს აჰყვებოდა ხოლმე. მისმა მაშინდელმა ქმარმა, დონ ჯონსონმა მელანი სპირტიან სასმელებს შეაჩვია და ქალი აშკარად გრძნობდა, რომ უფსკრულისაკენ მიექანებოდა. ანტონიომ საყვარელი ქალი აიძულა ცხოვრებაზე აზრი შეეცვალა. ბანდერასი ხშირად იმეორებდა, რომ ადამიანებისთვის სამუშაო მთავარი არ არის. თუმცა, ანტონიო ძალიან მშრომელი ადამიანია, მაგრამ მას დასვენება და გართობა კიდევ უფრო კარგად ემარჯვება. მელანი ცხოვრებაში პირველად ხედავდა ადამიანს, რომელიც ერთნაირი გზნებითა და თავდავიწყებით შრომობდა და ერთობობა. ანტონიოსთან ურთიერთობამ მას ფასეულობათა გადასინჯვისკენ უბიძგა და აიძულა, ცხოვრებისადმი ამერიკული მიდგომა ევროპულით შეეცვალა. „პირველად მივხვდი, რომ უბრალოდ ცხოვრება საკმარისი არ არის — საჭიროა, სიცოცხლით ტკბობა ისწავლო. არ ვიცი, რა მეშველებოდა, ანტონიოს რომ არ შევხვედროდი“, — ამბობს დღეს მელანი გრიფიტი.

საიდუმლო ქორწილი

ანტონიო ბანდერასი ერთ-ერთია იმ იშვიათ ადამიანებს შორის, რომელთაც ძალუძთ საკუთარი ცხოვრება ხელოვნების ნიმუშად აქცინონ. მართლაც, მასზე მხატვრული ფილმის გადაღება დღესვე შეიძლება და თანაც ისე, რომ სცენარისტებს სიუჟეტის მოსაფიქრებლად დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებათ.

მელანი დონ ჯონსონს გაეყარა, მაგრამ ბანდერასთან დაქორწინებაზე დიდხანს უარს ამბობდა. ეჩვენებოდა, რომ ოჯახური ყოფა იმ საოცარ სასიყვარულო იდილიას ჩაკლავდა, რომელშიც თავდავიწყებით გადაეშვა, მაგრამ როდესაც დაორსულდა, არჩევანი აღარ დარჩა. ამ დროისთვის, ანტონიოც გაეყარა პირველ ცოლს და „ევიტას“ გადაღებებზე ბუდაპეშტში გაემგზავრა. ჭორებმა მათი მოსალოდნელი ქორწინების შესახებ პრესაშიც გაჟონა და რეპორტიორებმა ანტონიოსა და მელანიზე ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს.

პრესისთვის თვალის ასახვევად, ნეფე-დედოფალმა რამდენიმე რთული მანევრი განახორციელა. მელანიმ ბილეთი ბუდაპეშტის რეისზე აიღო, მაგრამ უკანასკნელ წუთს, ყველასაგან მალულად, ლონდონში გაფრინდა, სადაც გრიმით შენიღბული და გადაცმული ანტონიო ელოდა. წყვილმა ლონდონის სასტუმროში დაბინავება ვერ გაბედა. ისინი მეგობრებთან ცხოვრობდნენ. ვესტმინსტერის საბატონში ძალზე მოკრძალებულ საქორწინო ცერემონიაზე ნეფე-პატარძალი იმდენად უკაცრიელი და მიყრუებული ქუჩებით მივიდა, რომ ერთ ადგილას ღობეზე გადაძრომაც კი დასჭირდა. ერთი სიტყვით, სიბერეში ანტონიო და მისი მეულლე საკუთარ ჯვრისწერას ბევრჯერ ხალისიანად მოიგონებენ.

შრიღიანჯის ამბები

თავდაპირველად, ცოლ-ქმარი ჰოლივუდის ერთ-ერთ უბანში — ბრენტვუდში დაბინავდა. მაგრამ მათი, იქაური საზომით პატარა სახლი, ანტონიოს მიერ მოწყობილი ხალხმრავალი წვეულებისთვის ვიწრო აღმოჩნდა და ოჯახი ლოს-ანჯელესის პრესტიჟულ ჰენკოკ-პარკში მდებარე მდიდრულ ვილაში გადასახლდა, სადაც მხიარული წვეულებები და ხალხმრავალი სადამები დღესაც ხშირად იმართება.

ქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ანტონიომ კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ ის ჭირშიც და ლხინშიც მუდამ მელანის ერთგული დასაყრდენია. 1990-იანი წლების მიწურულს, მელანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გაუჩნდა. წინათ მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგებმა თავი იჩინა: მელანის კისრის მალების ტკივილი ტანჯავდა, მან ტკივილგამაყუჩებელი აბების მიღება დაიწყო და წამლებს იმდენად შეეჩვია, რომ მედიკამენტებზე დამოკიდებულებისგან თავის დასაღწევად, სარეაბილიტაციო ცენტრში აღმოჩნდა. ანტონიომ მელანის გახარება ამ რთულ სიტუაციაშიც შეძლო: მან ოუველირს პლატინისგან საუცხოო სამაჯური დაამზადებინა, რომელიც 400 ათასი დოლარის ღირებულების ბრილიანტის თვლებით იყო მოოჭვილი, თითოეულ მათგანს კი „ვიკოდინის“ აბის ფორმა ჰქონდა. ამის გარდა, აბების გარეშე გატარებული თითოეული წლისთვის თითო „ბრილიანტის აბს“ დაჰპირდა და მართლაც, ამ საჩუქარს მელანის დღემდე უძღვნის. ქალმა საბოლოოდ თქვა უარი პრეპარატებზე და ტკივილს მასაჟისა და ჩინური ნემსების საშუალებით უმკლავდება.

პლატინის სამაჯური ანტონიოს მიერ მელანისადმი მიძღვნილი ერთადერთი სამკაული როდია. მელანის კოლექციის მშვენებაა, ბრილიანტებით მოოჭვილი ჯვარი, რომელიც მას პირველად, ფილმის — „ზოროს ნიღაბი“ — პრემიერაზე ეკეთა, აგრეთვე, 1870 წელს დამზადებული, „ჰარი უინსტონის“ დამღიანი საფირონისთვლიანი ბეჭედი და 160 ათას დოლარად ღირებული Garrard&Go-ს ფირმის საქორწინო ბეჭედი.

აბებთან დაკავშირებული უსიამოვნებების შემდეგ, ექიმებმა მელანის სპორტული ცხოვრება ურჩიეს. ქალს სპორტი არ უყვარდა, ჭირვეულობდა, ანტონიო დაჟინებით ითხოვდა, რომ მეუღლეს ექიმების რჩევები შეესრულებინა. ბოლოს, მელანიმ ეშმაკობა იხმარა: მცხუნვარე კალიფორნიული მზის ქვეშ მდგომმა, ქმარს უთხრა — სამთოსათხილამურო სპორტს ვირჩევო. რამდენიმე დღის შემდეგ, ცოლ-ქმარი უკვე ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ სათხილამურო კურორტ ასპენში (კოლორადოს შტატი) იყო. ანტონიო ბანდერასს ცოლის ეს კაპიზი სულ 10 მილიონი დოლარი დაუჯდა. მან ასპენში მდიდრული ვილა შეიძინა, რომელსაც მალე, სახლი სტუმრებისათვის, კლდეში ჩაშენებული აუზი და სატრენაჟორო დარბაზიც შეემატა.

„ხანგრძლივი ურთიერთობები რთული პროცესია. ვნებიანი სიყვარული მარადიული ვერ იქნება. წლების შემდეგ ადამიანებს ერთმანეთი ისევ უყვართ, მაგრამ ეს სხვა სიყვარულია. ხანდახან გეჩვენება, რომ ყოფითმა პრობლემებმა სიყვარული მოსპო, მაგრამ ეს ასე არ არის... დრო გადის და ხვდები, რომ ცოლი ისევ თავდავიწყებით გიყვარს“, — ამბობს ანტონიო ბანდერასი, რომელიც გერებს — ალექსანდრესა და დაკოტას — ნამდვილ მამობას უწევს, ღვიძლი შვილისთვის კი, რომელსაც სტელა დელ კარმენი დაარქვა, სიცოცხლეს არ იშურებს. „ჩემი ცხოვრების უბედნიერეს დღედ მუდამ ის დღე დარჩება, როდესაც ქვეყანას სტელა მოევლინა, მან დაბადებისთანავე სიკვდილს სძლია (ბავშვს ასფიქსიით დაღუპვის საფრთხე დაემუქრა) და ამან მის ცხოვრებას ღრმა კვალი დააჩნია... სტელას დაბადებამ მაიძულა, უკეთესი ადამიანი გავმხდარიყავი“.



ოჯახთან ერთად

ოჯახური ღელვანღელი ღლით!

ანტონიო ესპანეთის ქალაქ მალაგაში დაიბადა. მან ბავშვობიდან კარგად იცოდა, რომ მიზნის მისაღწევად დიდი და მძიმე გზის გავლა მოუწევდა. თეატრში თამაში სკოლის მერხიდან დაიწყო. სკოლის დამთავრებისთანავე, საგასტროლო დასში დაიწყო მუშაობა. მისი სიჭაბუკის წლები ფრანკოს რეჟიმის პერიოდს დაემთხვა. სპექტაკლების დროს, კულისებში მუდამ პოლიციელები იდგნენ და თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ მსახიობებს რეჟიმისთვის მავნე იდეები არ გაეხმოვანებინათ. „გასაოცარია, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებდით, რომ მხიარულად გვეცხოვრა. რისკი აღგვაგზნებდა, გვაიძულებდა, ცხოვრება მხიარულ თავგადასავლად გვექცია. შიში, ცხოვრებით ტკბობის შეგრძნებას გვიმძაფრებდა!“ — იხსენებს მსახიობი.

ანტონიო 20 წლის იყო, როდესაც მადრიდში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც პედრო ალმოდოვარი გაიცნო და კარგა ხნით, ესპანური კინოს დიდოსტატის მუდმივ მსახიობად იქცა. „სურვილთა კანონი“ (1987), „ნერვული აშლილობის ზღვარზე მყოფი ქალი“ (1988), „შემბოჭე!“ (1990) — ამ სურათებმა ახალგაზრდა მსახიობს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ გაუთქვა სახელი. იყო დრო, როდესაც ერთი წლის მანძილზე, ანტონიო ათზე მეტ ფილმში იღებდა მონაწილეობას, რათა მატერიალურად უზრუნველეყო საკუთარი ცხოვრება. მუუხედავად ამისა, ბანდერასი დღესაც ირწმუნება, რომ ამერიკაში ფულის გამო არ გადასულა. „ამერიკის სიმბოლოდ ჩემთვის მელანი იქცა — ლამაზი, ოდნავ თავქარიანი და მიმზიდველი ქალი. ამერიკა ქალივით შევიყვარე და მანაც სიყვარულით მიპასუხა“.

ამერიკამ ანტონიო მართლაც, სიყვარულით მიიღო. დღეს ის ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობია. მისი ჰონორარები მილიონებს აღწევს, მას აქვს ყველაფერი — მდიდრული სახლები, ლამაზი, მოსიყვარული ცოლი და საინტერესო ცხოვრება. მაგრამ ის ყოველწლიურად, ოჯახთან ერთად, რამდენიმე თვეს მაინც ესპანეთში, მშობლიურ მალაგაში ატარებს, რადგან ცხოვრების გემო იქ მაინც უკეთესად იციან! ■

ბრიტნი სპირსი შვილსა და კარიერას შორის არჩევანს აკეთებს

ბავშვის გაჩენის შემდეგ, პოპულარულმა მომღერალმა ბრიტნი სპირსმა შესაძლოა, საშემსრულებლო კარიერა დაასრულოს. მისი შვილი რამდენიმე თვეში, შემოდგომაზე გაჩნდება. ბრიტნიმ და მისმა მეუღლემ, კევინ ფედერლაინმა ძიძის მომსახურებაზე უარი თქვეს. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, ოჯახური ცხოვრების ყველა სიმძიმე დამოუკიდებლად გადალახოს. ადვილი მისახვედრია, რომ სტუდიებში, გასტროლებსა და მრავალრიცხოვან ინტერვიუზე ბრიტნი ჩვილთან ერთად ვერ ივლის. ამიტომ, მას დროებით კარიერის დათმობა მოუწევს. „ჩემს შვილს ვერავის ვანდობ. ეს თუ იმას ნიშნავს, რომ სიმღერას თავი უნდა დავანებო, ასე მოვიქცევი!“ – ამბობს მომავალი დედა. ■

ოლივერ სტოუნი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა

როგორც ცნობილია, სახელგანთქმული ამერიკელი რეჟისორის ოლივერ სტოუნის უკანასკნელი ფილმი – „ალექსანდრე“ – ამერიკულ და მსოფლიო კინოგაქირავებაში ჩავარდა. მაგრამ რეჟისორი მარცხს არ ეპუება და ახალი წარმატების მისაღწევად ემზადება. ავტორმა საკულტო ფილმებისა – The Doors, „მკვლელებად დაბადებულნი“ და „რაზმი“ – მრავალტანჯული პროექტის – „ღამის დარაჯი“ – ეკრანიზაციას მოჰკიდა ხელი. სცენარი ჯეიმს ელროის ეკუთვნის („ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი“) და მაყურებელს იმ პოლიციელის შესახებ მოუთხრობს, რომელსაც კორუფციის საქმის გამოძიების გამო ხელმძღვანელობის რისხვა დაატყდა თავს. ეს პროექტი ჰოლივუდში წლიდან წლამდე ხელიდან ხელში გადადის. ადრე სურათზე რეჟისორები სპაიკ ლი და დევიდ ფინჩერი მუშაობდნენ, მაგრამ საქმე გადაღებამდე ვერ მივიდა. ■



ჯასტინ ტიმბერლეიკი საოპერაციო მაგიდაზე ადის

პოპულარული მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი იძულებულია, საოპერაციო მაგიდაზე დაწვეს, რათა ხმის იოგებზე გაჩენილი კვანძები ამოიკვეთოს. ეს ოპერაცია ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში უახლოეს დღეებში ჩატარდება. ქირურგიული ჩარევის შემდგომ, ტიმბერლეიკს 3 თვის მანძილზე, ეკრძალება სიმღერა. მისი მეგობრების თქმით, ჯასტინს, სიმღერის გარდა, უამრავი სხვა საქმე აქვს, მომღერალი მომდევნო თვეებს სამსახიობო კარიერას დაუთმობს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯასტინის მონაწილეობით უკვე ორი ფილმის – „ედისონი“ – და Alpa Dog – გადაღებები იგეგმება. ყელის პრობლემამ სინგლის – Signs – ჩაწერის დროს იჩინა თავი. მომღერალმა მაშინვე სპეციალისტებს მიმართა, რომელთაც კვანძების ამოკვეთა ურჩიეს. ■

ორლანდო ბლუმი ნორჩი იუმილარების გარემოცვაში

ახალი ფილმის პრემიერაზე მისული ორლანდო ბლუმი ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში, ავტოგრაფებს იძლეოდა. ლონდონის Leicester-ის მოედანზე 1000-ზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი, რათა ფილმის – „ზეციური სამეფო“ – პრემიერაზე მისული ვარსკვლავებისათვის მოეკრა თვალი. თაყვანისმცემლებთან საუბრისას ორლანდო ბლუმმა განაცხადა, რომ რეჟისორ რიდლი სკოტთან ერთად სიამოვნებით იმუშავა. „როდესაც მსახიობი რიდლი სკოტის დონის რეჟისორის ხელში ხვდება, შეუძლია, გულდამშვიდებული იყოს. რიდლიმ შესანიშნავად იცის, როგორ გადაიღოს კარგი ფილმი“, – თქვა მსახიობმა. ლაპარაკში გართულ ორლანდოს ერთ-ერთი თაყვანისმცემელი გოგონა მიადგა, რომელმაც უთხრა – დღეს ჩემი დაბადების დღეაო, – და თავის კერპს საჩუქრად კოცნა სთხოვა. მსახიობს უარი არ უთქვამს და რამდენიმე წამში, ბედნიერი გოგონას ზურგს უკან ათეულობით „იუბილარის“ რიგი დადგა. ■

Touring სათადარიგო ბორბლის გარეშე

გერმანული კონცერნი მე-3 სერიის კომპაქტური მოდელის ხაზს აფართოებს. სექტემბერში, ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე წარმოდგენილი იქნება ამ სერიის ახალი მოდელი – BMW Touring 3, რომლის გაყიდვა უკვე 17 სექტემბრიდან დაიწყება. მანქანა ახალი, უფრო მძლავრი ძრავებით იქნება აღჭურვილი. მაგალითად, BMW 325i Touring-ის აგრეგატი 6-ცილინდრიანი იქნება და 218 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 243 კმ/სთ, ხოლო 100 კმ/სთ-ს 7,2 წმ-ში მიაღწევს. დიზელის მოდიფიკაციის – BMW 320d Touring-ის მონაცემები ასეთია: მაქსიმალური სიჩქარე – 223 კმ/სთ, 100 კმ/სთ-მდე „აგორების" დრო – 8,6 წმ, საწვავის ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე – 5,9 ლ. მესამე სერიის ახალი მანქანებისთვის გათვალისწინებულია აგრეთვე შემდეგი ძრავები: 330i (258 ცხ.ძ.), 320i (150 ცხ.ძ.) და დიზელი – 330d (231 ცხ.ძ.).

მე-3 სერიის Touring-ის საბაზო კომპლექტაციაში 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი შედის. მომხმარებლის დაკვეთით 6-საფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფს მას ოპციის სახით შესთავაზებენ.

წინამორბედ უნივერსალთან შედარებით, ახალი Touring საკმაოდ გაიზარდა ზომებში. მისი სიგრძე 4520 მმ (42 მმ-ით მეტი, ვიდრე ძველის), სიგანე – 1817 (78 მმ-ით მეტი), სიმაღლე – 1418 (4 მმ-ით მეტი) გახლავთ. საბორბლე ბაზა ასევე გაიზარდა (35 მმ-ით) და ახლა 2760 მმ-ს აღწევს. გაბარიტების გაზრდის წყალობით, კონსტრუქტორებმა მოახერხეს, 25 ლ-ით გაედიდებინათ საბარგო დანაყოფი: ის 460 ლ მოცულობისაა, ხოლო უკანა სავარძლის დაკეცვის შედეგად, 1385 ლ-ს აღწევს.

ყველაზე აღსანიშნავი ის გახლავთ, რომ მე-3 სერიის ახალ Touring-ს არ ესაჭიროება სათადარიგო ბორბალი, რადგან ის კომპლექტდება საბურავებით – Runflet, რომლებიც პროტექტორის დაზიანების შემდეგაც ინარჩუნებს მოძრაობის უნარს. ამის წყალობით კონსტრუქტორებს საშუალება მიეცათ, საბარგულის ქვეშ ნივთების შესანახი დამატებითი ყუთი განეთავსებინათ. ახალი მანქანის ფასები ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ. ■

ავტომნახმოებლებმა ვატიკანი აიკლეს

ავტომრეწველობის მსოფლიო ლიდერებმა ახალი პონტიფიკოსისთვის ახალი მანქანის – ე.წ. „პაპმობილის" აგების წინადადებებით აიკლეს ვატიკანი. მას შემდეგ, რაც 1981 წელს, იოანე-პავლე მეორეზე თავდასხმა განხორციელდა, „მერსედესმა" მისთვის ტყვიაგაუმტარი მინისთავიანი, დაჯავშნული მანქანა დაამზადა. „პაპმობილის" ბოლო მოდელი, სრულამძრავიანი Mercedes-Benz ML 430-ის ბაზაზე იყო აგებული. დღეს ვატიკანს თავიანთ პროექტებს „აუდი", „ფოლკსვაგენი" და „ბეემვე" სთავაზობენ. ამასთან, „ფოლკსვაგენი" აცხადებს, რომ მისი პროდუქტი უკვე მზადაა და ბენედიქტე მეთექვსმეტეს, გერმანიაში აგვისტოსთვის დაგეგმილი ვიზიტის დროს მოემსახურება. დაჯავშნული მანქანა VW Touareg-ის ბაზაზეა აგებული. BMW-ს მიერ დამზადებული კონსტრუქცია X5-ის ბაზას ეფუძნება. გერმანელი ავტომწარმოებლების გარდა, „ჯენერალ მოტორსი" და „ფიატი" აპირებენ გამოუცხადებელ კონკურსში მონაწილეობას. ერთიც და მეორეც ადრე, ვატიკანის ავტოპარკს დახურულ, წარმომადგენლობით ლიმუზინებს აწვდიდნენ. ■

მოკრძალებული Croma

იტალიურმა კონცერნმა Fiat გამოაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს, კვლავ აპირებს D კლასის ავტომობილის – Croma-ს წარმოებას, რომლის გამოშვება 11 წლის წინ შეწყდა. უკვე ივნისში, ამ მოდელის ახალ მოდიფიკაციას დილერებს მიაწვდიან. ევროპულ ბაზარზე ის 22 ათასი ევრო ეღირება. ახალი Croma განსაკუთრებულად თვალში საცემი დიზაინით არ გამოირჩევა. მას მოკრძალებული კონტური, ხალვათი სალონი და იტალიური ავტომობილების უმეტესობისგან განსხვავებით, ექსპრესიულობის ნაკლებობა ახასიათებს. აქვე დავძენთ, რომ Fiat Croma, იტალიელ კონსტრუქტორებთან ერთად, ამერიკული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის" სპეციალისტებთან ერთად შემუშავდა და თუმცა ამ ცოტა ხნის წინ, მათ ურთიერთთანამშრომლობას წერტილი დაესვა, იტალიელებმა მაინც გადაწყვიტეს ერთობლივად შექმნილი პლატფორმის გამოყენება. საინტერესოა, რომ „ფიატის" გარდა, ამ პლატფორმის ბაზაზე იგება Opeli-სა და Saab-ის ცალკეული მოდელები.

„ფიატი" დიდ იმედებს ამყარებს ახალ Croma-ზე, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს, იტალიური ავტოგიგანტი დიდ სიძნელეებს აწყდება: მისი ვალების საერთო მოცულობამ 14 მლრდ ევროს მიაღწია, ხოლო მის მიერ წარმოებული მანქანები საავტომობილო რეიტინგებში ტრადიციულად, ბოლო ადგილებს იკავებს. ■

ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს უამრავი ადამიანი ემადლიერება. მისი ყოფილი პაციენტები რედაქციაში გვირეკავენ და გვთხოვენ, მადლობა გადავუხადოთ ამ ღვთისნიერ ქალბატონს უანგარო სიკეთისა და გულისხმიერებისთვის. ისინი დალი ავაგუმაშვილის ლოცვის ძალაზე ლეგენდებს ჰყვებიან. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, ქალბატონმა დალიმ გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და უარი არ გვითხრა შეხვედრაზე.

დალი ავაგუმაშვილი: მეარწმუნეთ, მხოლოდ ღმერთია გაღაგვარჩენს!

ნანა სისაური

— ქალბატონო დალი, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს აინტერესებთ, ანსამბლ — „ოთხი გიას“ წევრი, პოპულარული ქართველი მომღერალი გია ავაგუმაშვილი თქვენი ძმაა?

— დიახ, მე გიას და ვარ!..

— ამობენ, რომ თქვენ უწინასწარმეტყველეთ, ვის მოიყვანდა ცოლად, მართალია?

— მთლად ასე არ იყო!.. სანამ გია თავის მომავალ მეუღლეს გაიცნობდა, მე ვნახე სარძლო. დედამისი ჩემი პაციენტი გახლდათ და ერთხელაც თან ქალიშვილი მოიყვანა. შევხედე უცნობ გოგონას და ვუთხარი: თქვენ იქნებით ჩემი რძალი-მეთქი და მართლაც, ასე მოხდა... უკეთესს გეტყვით, როცა გიას მეუღლე დაფეხმძიმდა, ორსულობის 4 თვეზე ჩემმა ძმამ მთხოვა, გვითხარი, გოგო გვეყოლება თუ ბიჭი. აურაში შევედი, მაგრამ ბავშვი ვერ დავინახე. იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაოგნებული დავრჩი. თეას მივუბრუნდი და ვეუბნები, მუცელში ბავშვი არ გყავს-მეთქი. ცოლქმარს სასაცილოდ არ ეყო ჩემი ნათქვამი, რამაც ძალიან გამაღიზიანა და ორივეს პირში მივახალე, რაც დავინახე: 5 წლის განმავლობაში ღმერთი შვილს არ მოგცემთ, მერე 4 თუ არა, სამი მაინც გეყოლებათ-მეთქი.

— გამართლდა თქვენი ნათქვამი?

— ჩემს ძმას შეეშინდა და მეორე დღესვე ექიმთან წავიდნენ. ექოსკოპიამ დაადასტურა, რომ მართალი ვიყავი — თეას ცრუორსულობა დაუდგინეს. შვილი მართლაც არ ეყოლათ 5 წლის განმავლობაში. ჩემი რძალი ფეხმძიმდებოდა, მაგრამ ნაყოფს ვერ ინარჩუნებდა, მუცელი თვითნებურად ეშლებოდა. ქორწინებიდან 5 წლისთავზე ეყოლათ პირველი შვილი — ნინო, მერე ზურაბი და დეა გაჩნდნენ. შეუძლიათ მეოთხეც იყოლიონ, ხელს არაფერი უშლით.

— ქალბატონო დალი, ზოგიერთ მკითხველს ნათელმხილველი ჰგონიხართ.

— იმის გამო, რომ ადამიანის აურაში შესვლა შემიძლია, ზოგს მკითხავი ვგონივარ. ტყუილად მომაწერენ ნათელმხილველობას, ძალიან გთხოვთ, სამარჩიელოდ არავინ მოვიდეს. დროდადრო, ჩემგან დამოუკიდებლად, ვიღებ ინფორმაციას, ძირითადად, ლოცვების დროს...

— რედაქციაში გვირეკავენ და გვეკითხებიან, შეგიძლიათ თუ არა, გამოულოცოთ პიროვნებას, თუ მან ამის შესახებ არაფერი იცის?

— ათასი სანთელიც რომ დავანთო, თუ ადამიანმა თავად არ მოისურვა მადლის მიღება, არაფერი გამოვა. ვისაც გამოლოცვა უნდა, ჩემთან პირადად მოვიდეს, უკიდურეს შემთხვევაში, წინასწარ მაინც შეუთანხმდით, რომ იცოდეს ამის შესახებ, სხვაგვარად სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

— მკითხველებს აინტერესებთ, ორგანულ დაავადებებს თუ კურნავთ?

— არა, პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ ვიღებ საკუთარ თავზე, როცა ექიმის დიაგნოზის თანახმად, პაციენტს ორგანული დაავადება არ აღენიშნება. მაგრამ თუ ჩვილები გამოწვეულია ბინძური ენერგიის ზემოქმედების შედეგად, ადამიანს ლოცვების გარდა სხვა არაფერი ეშველის.

— რა დაავადებებს იწვევს აურის დაბინძურება?

— ჯადო, ანუ მაგიური ზემოქმედება ავესტიკურ დაავადებებს იწვევს.

— რას ნიშნავს ავესტიკური დაავადება?

— ჯადოს გაკეთების დროს მჩხიბავს ადამიანის აურაში ხელოვნურად შეჰყავს ნეგატიური პროგრამა, რომლის ზემოქმედებაც იწვევს ავესტიკურ, ანუ ენერგეტიკულ დაავადებებს. ამგვარ შემთხვევებში პაციენტის ჩვილები აურის დაბინძურებითაა გამოწვეული. ზოგჯერ ექიმს უჭირს დიაგნოზის დასმა, რადგანაც ორგანული პათოლოგია არ ფიქსირდება, მიუხედავად ამისა, ადამიანი ცუდად არის, რაღაც აწუხებს, მიზეზს კი ვერ ხვდება. ასეთ დროს პაციენტს წამალი და ექიმი არ შველის, პირიქით, ქიმიური პრეპარატების მიღება კიდევ უფრო ამძიმებს ავადმყოფის მდგომარეობას. ამიტომ გირჩევთ, დროულად მიმართოთ სპეციალისტს, თუ მაგიური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებით, რადგანაც ჯადოს შედეგად გამოწვეული ავესტიკური დაავადებების განკურნება იოლი არ არის, მისგან თავის დაღწევას საკმაოდ დიდი დრო და ენერგია სჭირდება.

— მკითხველებს აინტერესებთ, მართალია, რომ მოუნათლავებს არ იღებთ?

— დიახ, ასეა! ვინც ჯერ არ გაქრისტიანებულა, სამწუხაროდ, ვერ მივიღებ. თუ მოინათლებიან, კი ბატონო, მათთვისაც ღია იქნება ჩემი სახლის კარი.

— ლოცვით, წინაპართა ცოდვების ახსნა თუ შეიძლება?

— მე ყოველთვის საგანგებოდ აღვნიშნავ ხოლმე ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუებში, რომ წინაპართა ცოდვები 9 თაობაზე გადადის, რის გამოც მერე უდანაშაულო ადამიანები იტანჯებიან. ეშმაკი ცოდვილი გვარის შთამომავალთა ენერგიით იკვებება და სწორედ მათი სულების დაპატრონებას ცდილობს... დედამ მოიყვანა გოგონა, რომელსაც უხილავი ძალა თვითმკვლელობისკენ უბიძგებდა. უწმინდური ქალის ხმით ჩასჩურჩულებდა ყურში, აივნიდან გადადიო, არადა, მეშვიდე სართულზე ცხოვრობენ. გოგონას ეჩვენებოდა, რომ მწვანე მოლი იყო გადაშლილი. ქალიშვილის ამბავი დედას შემთხვევით ჩემი ყოფილი პაციენტისთვის მოუყოლია. სწორედ მისგან შეუტყვიათ მისამართი და გაუფრთხილებლად დამადგნენ თავზე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი, უფლის კარნახით მაშინვე მივიღე. დროზე რომ არ დავხმარებოდი, უბედურება დატრიალდებოდა.

— შეპყრობილი იყო?

— დიახ, ეშმას მისი სულის დაპატრონებაც სურდა.. როგორც საუბრიდან გაირკვა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს გოგონას მამიდამ, მამამ და ძმამ. ასე რომ, წინაპართა ცოდვების გამო მასაც უნდა ეგო პასუხი, რადგანაც დასჯილები იყვნენ.

— როგორ იხსენით უწმინდურისგან?

— მასაც გამოვულოცე და სახლიც გავწმინდე... საერთოდ, თუ ოჯახში ფუძის ანგელოზი არ დაბრუნდება, უწმინდურს ვერაფერს დააკლებთ! გახსოვდეთ, ეშმას საგვარეულო ცოდვები იზიდავს, აქედან გამომდინარე, გაითვალისწინებ, რომ თქვენი შთამომავლებიც დაისჯებიან და სრულიად უდანაშაულო ადამიანები აგებენ პასუხს უზენაესის წინაშე.

— სატანურ ძალებს მხოლოდ ცოდვიანი გვარის შთამომავლები იზიდავენ?

— ეშმა ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილ ადამიანებსაც ეპატრონება. მათი აურა ნეგატიური ინფორმაციით უკიდურესად ბინძურდება, რის გამოც ბიოველი საგრძნობლად სუსტდება. უარყოფითი მუხტი სა-

ტანურ ძალთა გამოხმობის მიზეზი ხდება, საერთოდ, მსგავსი ენერგიები ერთმანეთს იზიდავენ. ჩემთან მოიყვანეს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თვეში ერთხელ უხილავი არსება ყელში ხელს უჭერდა დასახრჩობად. მისივე თქმით, უფორმო შავი სილუეტი სხეულში შედიოდა. საბრალო, 6 თვის განმავლობაში საშინლად იტანჯებოდა. ოჯახის წევრების დანახვაც კი აღიზიანებდა, მაგრამ უცხო ადამიანების მიმართ აგრესიას არ ავლენდა, რადგანაც უწმინდური მის ოჯახში იყო ჩაბუდებული და სახლიდან გასულს თან არ დასდევდა. როცა ეშმა დახრჩობას უპირებდა, ყვიროდა ხოლმე, მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა, როგორც კოშმარულ სიზმრებში ხდება. სატანურ ძალებთაგან შეპყრობილები ვერ იტანენ ადამიანებს, ისე არიან გაღიზიანებულები, მიზეზს ეძებენ, რათა ვინმე მოკლან, სადისტებივით იქცევიან, კარჩაკეტილები და მარტოსულები ხდებიან.

— **ქალბატონო დალი, რა იწვევს დეპრესიას?**

— ძირითადად, აუტანელი სოციალური პირობები, იმედგაცრუება სიყვარულში და ნარკომანია... ძალიან ცუდად იქცევიან მშობლები, როცა შვილების პირად ცხოვრებაში უხეშად ერევიან. ხშირია შემთხვევები, გოგოს და ბიჭს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ სარძლოს სადედამთილო და სამამამთილო იწუნებენ, რის გამოც ქორწინება იშლება. ბუნებრივია, შვილი აგრესიული ხდება მშობლებისადმი... ერთი ქალბატონი ტირილით მოვიდა ჩემთან, ბიჭი დედას აღარ მეძახისო... რა ქნას, უყვარს თავისი რჩეული, მაგრამ მშობლების, ახლობლებისა და ნათესავების წინააღმდეგ ვერ წასულა, რის გამოც დიდი ანტიპათია უჩნდება მათ მიმართ, საკუთარ თავში იკეტება, აურა თანდათან უბინძურდება ნეგატიური გრძნობებით და ღრმა დეპრესიაში ვარდება.

— **მშობლები ხშირად სცოდავენ ხოლმე შვილების წინაშე...**

— სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით!.. ზოგჯერ ქმარს აღარ უნდა ცოლთან ცხოვრება, ან პირიქით, ქალს სურვილი აქვს, გაეყაროს უვარგის მეუღლეს, სამაგიეროდ მშობლებს არ აწყობთ ხოლმე ოჯახის დანგრევა და შვილები იძულებული ხდებიან, დაჰყვნენ მათ ნებას... გასაგები და მისასალმებელია, რომ დედა ან მამა ოჯახის დანგრევის წინააღმდეგია, მაგრამ შვილის უბედურების ფასად? დეპრესიას შესაძლოა, ძალიან ცუდი გაგრძელება მოჰყვეს, მერე გაცილებით ძნელია ხოლმე ადამიანის შველა, რადგანაც დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

— **ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, შეძლებთ თუ არა იმ ადამიანთა დახმარებას, ვისაც ეკლესიაში სიარული გულით სურს, მაგრამ ვერ მიდის, რადგანაც უწმინდური არ უშვებს?**

— რა თქმა უნდა! ლოცვა ადამიანის უმთავრესი იარაღია, დაბინძურებული აურის გასუფთავებას დეპრესიიდანაც გამოჰყავს ადამიანი და ოჯახურ პრობლემებსაც უგვარებს... ზოგს მართლა გულით უყვარს ღმერთი, მაგრამ უწმინდური ებრძვის და მამის სახლში არ უშვებს, ლოცვით განწმენდილები ბოროტ ძალას დაამარცხებენ და ტაძარშიც თავისუფლად ივლიან.

— **შეგიძლიათ დაეხმაროთ ადამიანებს, ვისაც სული აქვს დამძიმებული და ცხოვრება აღარ უხარია?**

— ჩემთან ხშირად მოდიან ადამიანები, რომლებიც უჩივიან სიმძიმეს ფეხებში, გაზარმაცებულები არიან, დაკარგული აქვთ სიცოცხლის ხალისი. აღარაფერი აინტერესებთ. ერთი სიტყვით, მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგანაც სული აქვთ დამძიმებული, ლოცვებით აურა იწმინდება და მსუბუქდება, შესაბამისად მათი მდგომარეობაც უმჯობესდება, ქრება სიზარმაცე, სიმძიმის შეგრძნება და ცხოვრების ინტერესი უბრუნდებათ... სხვათა შორის, ჩემთან კარგად აღზრდილი შვილების დედებიც მოდიან ხოლმე თხოვნით, ბავშვებს ველარ ვცნობთ, აგრესიულები არიან, სიტყვას ვერ ვეუბნებით, იქნებ დაგვეხმაროთო.

— **რა იწვევს ამგვარ მეტამორფოზას?**

— ზოგ ადამიანს ბუნებრივად სუსტი აურა აქვს და დროთა განმავლობაში ნეგატიური ინფორმაციით ბიოველის დაბინძურება უარყოფით ენერგიას, ანუ ბოროტ ძალებს იზიდავს. გამოლოცვა აუცილებელია, რათა აურა გასუფთავდეს, მსგავს შემთხვევებში მხოლოდ ლოცვას გამოჰყავს ადამიანი მდგომარეობიდან... რამდენიმი წლის წინ კახეთიდან ჩამოიყვანეს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ეშმაკი აწამებდა, რათა მის სულს დაჰპატრონებოდა. უწმინდური სახეს უკაწრავდა, სცემდა, ფიზიკურ ტკივილს აყენებდა. თავდაპირველად მეუღლემ და დედამთილმა არ დაიჯერეს ავი სულისგან შეპყრობილის ნათქვამი და ფსიქიატრთანაც კი მიიყვანეს, მაგრამ წამალმა კიდევ უფრო დაამძიმა ავადმყოფის მდგომარეობა. ექიმს ეგონა, რომ ქალი თვითონ იკაწრავდა სახეს, მაგრამ როცა მისი რჩევით ქმარმა ძირში დააჭრა ფრჩხილები ორივე ხელზე, სისხლიანი ნაკაწრები კი ისევ გაუჩნდა ქალს სახეზე, მიხვდნენ, რომ საქმე მართლა ეშმაკისეულ ძალასთან ჰქონდათ, დედამთილმა დაიჯერა რძლის ნათქვამი და ჩემთან ჩამოიყვანეს. ცხრა ლოცვის შემდეგ სამი შვილის დედა გათავისუფლდა, ეშმაკმა დატოვა მისი სხეული.

— **ზოგიერთები ოჯახიდან წასული ქმრების დასაბრუნებლად მჩხიბავებს ჯადოს უკვეთენ, გამართლებულია თუ არა გამწარებული ცოლების საქციელი?**

— არა და არა!.. სანთელი, ეკლესია, ლოცვა, სხვა არაფერი გვიშველის. ჯადოს შეკვეთაც და მოხსნაც მჩხიბავების დახმარებით დიდი ცოდვაა, თუ დროულად არ მოინანიებენ, მათ შთამომავლებზე გადავა და უდანაშაულო ადამიანები დაისჯებიან. მერწმუნეთ, მოლა ქრისტიანს არ დაეხმარება. მაგიური ზემოქმედების განეიტრალება მხოლოდ ლოცვის ძალით უნდა მოხდეს. ვინც ჯადოს მოხსნა სხვა გზით სცადა, სული დაიმძიმა, ვინც ჯადო შეუკვეთა სხვისი ოჯახის დასანგრევად, დიდი ცოდვა დაიდო კისერზე. მერწმუნეთ, ლოცვა სასწაულებს ახდენს.

— **ზოგს ჰგონია, რომ სასიყვარული ჯადოს გაკეთება ცოდვა არ არის, თქვენ რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

— ნებისმიერი სახის ჯადოს გაკეთება ძალიან მძიმე დანაშაულია. წინაპართა სხვა ცოდვები ცხრა თაობაზე გადადის, ჯადოს შემკვეთი უფრო მკაცრად ისჯება, მისი შთამომავლების თორმეტ თაობას დაედება სასჯელი. ზოგიერთ ქალს ჰგონია, რომ ვირის ტვინით კაცის გამოლენჩება დიდი დანაშაული არ არის, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცევით... ჩემთან ხშირად მოჰყავთ ხოლმე ნათესავებს სასიყვარულო ჯადოებისგან გამოთაყვანებული ქმრები, რომლებიც არცთუ იშვიათად ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ხვდებიან.

— **რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე ვირის ტვინი?**

— სასიყვარულო ჯადოს გასაკეთებლად მჩხიბავები ამბუნებული ვირის ტვინს იყენებენ, რადგანაც სწორედ ამ მდგომარეობაში გამოიყოფა ცენტრალური ნერვული სისტემის დამთრგუნელი ნივთიერება, მისი სისტემატური გამოყენება სავალალო შედეგს იწვევს. ჯანსაღი განსჯის უნარს აკარგვინებს ადამიანს და თანდათან აჩლუნგებს, წლების მერე კი, ცენტრალური ნერვული სისტემის ხშირი პარალიზების გამო, შიზოფრენია უვითარდება, რაც პრაქტიკულად უკურნებელი დაავადებაა.

— **ამბობენ, გაზაფხული ცუდი პერიოდია მათთვის, ვისაც ჯადო აქვს გაკეთებული ან სატანურ ძალებს ჰყავს შეპყრობილიო, მართალია?**

— დიახ, ასეა! ბუნებასთან ერთად ნეგატიური ძალებიც იღვიძებენ და უტევენ ადამიანს, მაგრამ ღვთის შეწევნით ლოცვის ძალა დაგვიცავს უწმინდურისაგან.

P.S. გაითვალისწინეთ, რომ წინასწარი ჩაწერის გარეშე ქალბატონი დალი არავის იღებს. თუ სიაში მოხვედრა გსურთ, დარეკეთ ყოველდღე, კვირის გარდა, 9 საათიდან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონებია: 96.79.00. 899.10.73.06. R

„სამი ნათლული ჰყავდა და საკუთარი შვილებივით უვლიდა...“



10 მაისს, პრეზიდენტ ბუშთან შესახვედრად საქართველოს ყველა მხარის რწმუნებული უნდა გამოცხადებულიყო. გურიაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა, ბეჟან კალანდაძემ სამსახურის საქმეები 9-ში სალამოს მოილია და საკუთარი მანქანით თბილისისკენ გამოეშურა. მოგეხსენებათ, იმ სალამოს წვიმდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, სწრაფად მომავალი მანქანა სველ ასფალტზე მოცურდა, ჟანიმ საჭე ველარ დაიმორჩილა და ბოძს შეეჯახა. რწმუნებული ხაშურის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა...

ბეჟან კალანდაძე მხოლოდ 27 წლის გახლდათ. სულითა და გულით ცდილობდა, მასზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა. ბევრი გეგმა ჰქონდა და როგორც შევიტყვე, უახლოეს მომავალში დაოჯახებასაც აპირებდა. როდესაც შარშან ზაფხულს მასთან „სასიძოს“ რუბრიკისთვის ინტერვიუს ვწერდი („გზა“, №32, 2004 წ.), როგორ წარმოვიდგენდი, რომ იმ მასალიდან ზოგიერთ ნაწყვეტს მის გასახსენებლად გამოვიყენებდი?!.

მარი ᲧᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ

„გურული ვარ, ჩოხატაურელი, სოფელ ხიდისთავიდან. ეს არის ყველაზე ლამაზი სოფელი, სადაც ყველაზე კოლორიტული ხალხი ცხოვრობს. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვახერხებ იქ ჩასვლას, მაგრამ ხიდისთავი ძალზე მიყვარს“. — *ასე იხსენებდა ჟანი კალანდაძე თავის მშობლიურ კუთხეს.*

გარდაცვლილზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ რომც მოვიწადინოთ, ჟანის შესახებ ცუდს მაინც ვერაფერს გავიხსენებთ

„მახსოვს, ბავშვობაში რომ მეკითხებოდნენ — ვინ ხარო? — ვპასუხობდი — უბანში გაიკითხე და გაიგებ-მეთქი...“

ოთხშაბათს დილით, მის სახლთან მივედი და რამდენიმე მის თანატოლ ბიჭს გავესაუბრე.

— ბეჟანი ისეთი ბიჭი იყო, რომელსაც არც ქუჩა ეშლებოდა და არც ძმაკაცობა. ვიდრე რწმუნებული გახდებოდა, ჯერ პარლამენტარი იყო. არც ერთ თანამდებობას ის არ შეუცვლია. ძველებურად მეგობრობდა უბნელ ბიჭებთან. ხანდახან, როცა დრო ჰქონდა, ერთ-ორ ჭიქასაც დალევდა ხოლმე ჩვენთან ერთად. თუ არ ეცალა, სასმელსა და პურმარილსაც კისრულობდა ხოლმე, — ასე იხსენებენ მას ის ბიჭები, ვისთან ერთადაც გაიზარდა.

„მიჭირს თავის ქება. ამიტომ უფრო ჩემს „ნაკლებზე“ გეტყვი და ჩათვალე, რომ დანარჩენი ყველაფერი საუკეთესო მაქვს... ვაა, ხედავ, ცუდსაც ვერაფერს ვიგონებ... არა, განა ცუდი თვისებები არ მაქვს?! ისეთი საშინელი ხასიათი მაქვს, რომ... მაგალითად, ჩემი მეგობრები მეუბნებიან — შენთან ურთიერთობა არ შეიძლებაო“..., — *მიყვებოდა ჟანი საკუთარ თავზე, მაგრამ მეგობრები მასზე სრულიად საწინააღმდეგოს ამბობენ:*

— გარდაცვლილზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ რომც მოვიწადინოთ, ჟანის შესახებ ცუდს მაინც ვერაფერს გავიხსენებთ. უზომოდ კეთილშობილი და უკონფლიქტო ადამიანი იყო. მას მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში, სამი ნათლული ჰყავდა და საკუთარი შვილებივით უვლიდა. არც გურიაში ყოფნის დროს ივიწყებდა მათ. ყოველი ჩამოსვლისას მოინახულებდა ხოლმე და საჩუქრებით ხელდამშვენებული მიდიოდა მათთან. კარგი მოქეიფე, ერთგული მეგობარი და ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო. ბუშის ვიზიტი ქართველი ხალხისთვის დაუვიწყარი იქნება. ჩვენ კი, ჟანის მეგობრებსა და ახლობელს ყოველთვის გულისტკივილით გაგვახსენდება ეს დღე. მას ბუშთან შესახვედრად რომ არ ეჩქარა, დღესაც ჩვენ გვერდით იქნებოდა.

ვცადეთ, მის უახლოეს მეგობრებთან — გივი თარგამაძესთან, გიორგი კარბელაშვილთან, დავით კირკიტაძესთან დალაპარაკება, მაგრამ ჟანის უეცარი სიკვდილით თავზარდაცემულნი თავაზიანი უარით გვისტუმრებდნენ, — შოკში ვართ, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვითო...

■

ნუმეროლოგიური ამბანაბიები 167 რიცხვის სიმფონია

მიუხედავად იმისა, რომ ნუმეროლოგიამ პოპულარობას შედარებით ახლახან მიაღწია, იგი ოკულტურ მეცნიერებათა შორის ერთ-ერთი უძველესია. შეიძლება ითქვას, რომ ციფრებს საკუთარი ენა აქვს. ეს ენა მრავალ პირველყოფილ ტომს ესმოდა და სწორედ მისი წყალობით ამყარებდნენ ერთმანეთში კონტაქტს. უძველეს ანბანებში ასოებს რიცხვითი მნიშვნელობებიც მიეწერებოდა (ძვ. ივრითი, არაბული, ქართული ასომთავრული და ა.შ.)...

მაგალითად, შუმერებისთვის რიცხვებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ მსოფლიოში პირველი ანბანი შექმნეს და თითოეულ ასოს საკუთარი რიცხვითი (კაბალისტიკური) მნიშვნელობაც მიანიჭეს. ისინი კენტ ციფრებს „ბედნიერ“, ლუწებს კი – „უბედურ“ ციფრებად მიიჩნევდნენ. აქედან ყველაზე მეტ „პატივს სცემდნენ“ ერთიანსა და ხუთიანს, თორმეტს ღვთიურ რიცხვად მიიჩნევდნენ, ხოლო მათთვის საბოლოო რიცხვი 60 გახლდათ (90 – 60 და ნახევარი იყო, 120 – ორჯერ 60 და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ აქედან იღებს სათავეს საათის 60 წუთად და წუთის 60 წამად დაყოფის სისტემა).

რიცხვთა ხელოვნება ძველ ეგვიპტეში უფრო გაძლიერდა და განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა. ყოველივე ამას ეგვიპტის საიდუმლო ტაძრებში ქურუმები ახერხებდნენ, რომელთა რჩევის გარეშე თვით ფარაონიც ვერ დაიკავებდა სამეფო ტახტს (სხვათა შორის, მრავალი ფარაონი შესწირვია ქურუმებთან ურჩობას).

სწორედ ეგვიპტეში მიიღო საიდუმლო (საკრალური) ცოდნა რიცხვების „პატრიარქმა“ პითაგორა სამოსელმა, რომელმაც შემდგომ, საბერძნეთში ჩამოაყალიბა სკოლა და ბევრი მიმდევარიც გაიჩინა. აღნიშნულ სკოლაში ციფრებმა უკვე ოკულტური სახე შეიძინა და სათავე დაედო სისტემატიზებულ ნუმეროლოგიას. პითაგორამ თითოეულ ციფრს თავისი პლანეტა და ფერი შეუსაბამა, რითიც ნუმეროლოგია უფრო დაიხვეწა, თუმცა მისტიკურ საბურველშიც გაეხვია...

თანამედროვე ნუმეროლოგია, რომელიც არ ღრმავდება კაბალისტიკური კოსმოლოგიისა და ეზოტერიკული დოქტრინების ლაბირინთებსა და სიღრმეებში, გამარტივებულ რიცხობრივ და ალფაბეტურ კოდს ანიჭებს უპირატესობას (იგი ისევ და ისევ პითაგორას თეორიებს ეყრდნობა). როგორც ცნობილია, პითაგორამ და მისმა მიმდევრებმა შეამცირეს რიცხვების რაოდენობა და 1-დან 9-მდე დაიყვანეს. იქიდან მოყოლებული, ისინი საწყის ციფრებად მიიჩნევა და მათგან ყველა რიცხვი წარმოიქმნება.

თითოეული რიცხვი გარკვეულ ძალას ფლობს (რომელსაც მასში შემავალი ციფრები გამოხატავს, ამასთან – არა მარტო რაოდენობრივად) და ეს ძალა საგნებისა და პრინციპების ოკულტურ კავშირებში გამოვლინდება.

1. ***(შეესაბამება მზეს)***. ეს არის მზის ენერგია. ადამიანში სულიერი და შემოქმედებითი საწყისი, შემოქმედებითი პოტენციალი. თვითშემეცნების უნარი. ფიზიკური ბუნება, „ეგო“, ბრწყინვალება, კაშკაში (ის, რაც ინდივიდს სხვა ადამიანისაგან განასხვავებს). ამ ციფრის უარყოფითი თვისებებია: ეგოცენტრიზმი, ფორმალიზმი, ამპარტავნება.



2. ***(მთვარე)***. ადამიანის შინაგანი ბუნება, ქვეცნობიერი. ეს არის კავშირი სულსა და ფიზიკურ სხეულს შორის – ანუ სამშვინველი. ფსიქიკა, ემოციურობა, მგრძნობელობა, სიფაქიზე, გარშემო მყოფებთან დამოკიდებულება. უარყოფითი თვისებებია: არამდგრადობა, გაორება, ჟინიანობა.

3. ***(იუპიტერი)***. ეს არის ენერგია, რომელსაც ყველაფრის გაფართოება შეუძლია (როგორც დადებითის, ისე უარყოფითის). ავტორიტეტი, ძალაუფლება, ეკლესიურობა, მორალი, ეთიკა, კანონი, ტრადიცია, მისიონერობა. ავტორიტეტულობა, ქედმაღლობა, ამბიციურობა, დოგმატიზმი.

4. ***(ურანი)***. გარდაქმნა (ოღონდ – ფიზიკური და სულიერი ტკივილების გარეშე), თავისუფლება, დამოუკიდებლობა, რეფორმატორობა, სიახლე, გამომგონებლობა, მოულოდნელობა, დროის გასწრება, ზეინტუიციურობა, რომელიც ნათელხედვაში და წინასწარმეტყველებაში გადადის.

5. ***(მერკური)***. ეს არის ყველანაირი აზროვნების პროცესი. ინტელექტუალურობა, კონტაქტები, კომუნიკაციები, სწავლა, ლიტერატურის სიყვარული. ინფორმაცია, კომერცია, მოძრაობა, სიჩქარე, სიმარჯვე, მოხერხებულობა. სიშმაგე, ცბიერება, ტყუილი.

6. ***(ვენერა)***. ეს ენერგია მიწიერ დონეზე ვნებას იძლევა, კოსმოსურ დონეზე – უმაღლეს სიყვარულს. ჰარმონია, სილამაზე, მგრძნობელობა, ლტოლვა, სიამოვნება. სიზარმაცე, აპათია, გულგრილობა, მუქთახორობა.

7. ***(ნეპტუნი)***. სრული ჰარმონია, რომელიც სამყაროს მოიცავს. გამარჯვება ილუზიებზე. უმაღლესი ინტუიცია. ყველაფერი, რაც წინასწარმეტყველებას უკავშირდება. მედიტაცია. უმაღლესი სიყვარული. მუსიკა. სიცრუე, დაფარულობა, ილუზია, ფანატიზმი, სიგიჟე.

8. ***(სატურნი)***. ეს არის სამყაროს მომწესრიგებელი ენერგია. სიზუსტე. სისტემა. შინაგანი კანონი, მხარდაჭერა, მდგრადობა, კრისტალიზაცია, ასკეტიზმი, ბუნდოვანება, სიძუნწე, დეპრესიულობა.

9. ***(მარსი)***. 9 იგივეა, რაც 0 (ნული) – ანუ, თუ ნებისმიერ ციფრს დავამატებთ ცხრას, იმავე ციფრს მივიღებთ. მაგალითად, 1+9=10=1+0=1, 2+9=11=1+1=2 და ა.შ). ეს ყველაზე „უხეში“ ენერგიაა, რომელიც ზოგჯერ დამანგრეველ სახეს იღებს. აქტიურობა, ნებისყოფა, სტაბილურობა, სიმყარე, მიზანსწრაფვა, დინამიკა, ნაკადი, სიმამაცე, აგრესია, სიუხეშე, შურისმაძიებლობა, ბოროტება.

10. ***(პლუტონი)***. 10-ის ეზოტერიკული მნიშვნელობა არის 1 ანუ 10=1+0=1. ეს არის დაბრუნება საწყისთან, შემოქმედთან; მუდმივი ციკლი! მასობრივი ენერგია და ურთიერთმოქმედება, სუბლიმაცია, შინაგანი გარდაქმნა-ტრანსფორმაცია (რომელსაც თან ახლავს ფიზიკური და სულიერი ტკივილები). სექსუალური ენერგია, ლტოლვა წარსულისადმი, ზემოქმედება სხვათა ცნობიერსა თუ ქვეცნობიერზე, ქაოსი, დიქტატორობა, ნგრევა და ახლის შენება.

იმაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ ჩვენი ბედისწერის ციფრი, „გზის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ. ■

მოამზადა რამაზ ბიბაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(12 - 18 მაისი)

ვერძი – 21/III-20/IV

შესამჩნევად გააქტიურდება თქვენი გონებრივი შესაძლებლობები, ადვილად მოახერხებთ საკუთარი აზრისა თუ იდეის გამოხატვას, რაც ხელს შეგიწყობთ ახალი კონტაქტების დამყარებასა და საქმიანი ურთიერთობების გამყარებაში. არ არის გამორიცხული, მონაწილეობა მიიღოთ რაიმე აზარტულ თამაშებში, სადაც მოგიწევთ თქვენი ინტელექტუალური დონის დამტკიცება. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბისა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 14, 17. **ნეგატიური დღეები:** 13, 15.

კურო – 21/IV-21/V

გაგიმძაფრდებათ შემოქმედებითი ინტუიცია, უფრო ალღოიანი გახდებით, რაც თავისთავად დადებით როლს ითამაშებს თქვენს წინსვლაში. მოგეცემათ კარგი შანსი, განაახლოთ მოლაპარაკებები თქვენს ძველ პარტნიორებთან თუ კოლეგებთან, შესაძლოა, საზოგადოებრივ საქმიანობას მიჰყოთ ხელი. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მერწყულთან, ნეგატიური – ლომსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 15, 18. **ნეგატიური დღეები:** 14, 16.

მარჩხიბი – 22/V-21/VI

საღი აზრი და საქმისადმი პრაქტიკული მიდგომა დაგეხმარებათ იმაში, რომ წარმატებით გაართვათ თავი თქვენზე დაკისრებულ მოვალეობებს და გადაჭრათ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. მოგიწევთ ბევრი ლაპარაკი – როგორც სატელეფონო, ისე ადამიანებთან პირისპირ. შეეცადეთ, უცნობ ადამიანებს პირადად შეხვდეთ და ასე დაარწმუნოთ თქვენი იდეების მართებულობაში. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური – კუროსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 13, 16, 17. **ნეგატიური დღეები:** 14, 15.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

გირჩევთ, ბრმად არ ენდოთ სხვის რჩევა-დარიგებებს, რადგან შესაძლოა, ვინმესგან მოწოდებულმა იდეამ არცთუ ისე სასიკეთო შედეგი მოგიტანოთ. თუ გეგმავთ შეხვედრას ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან, ეს ამ პერიოდისთვის დაგეგმეთ, რადგან წარმატების მეტი შანსი გექნებათ. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თევზებთან, ნეგატიური – მარჩხიბისა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 14, 15. **ნეგატიური დღეები:** 13, 17.

ლომი – 23/VII-23/VIII

ზღვარგადასული სიამაყე და ამასთან, არარეალური გეგმები წინსვლაში ხელს შეგიშლით. შეეცადეთ, არ დაარღვიოთ კანონი და არ გადადგათ ისეთი ნაბიჯი, რომელიც თქვენს იმიჯს შეუქმნის საფრთხეს. მოსალოდნელია ცნობა უახლოესი ადამიანის წარმატების შესახებ (სავარაუდოა, რომ ეს საზღვარგარეთთან იქნება დაკავშირებული). ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ლომთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 14, 16, 18. **ნეგატიური დღეები:** 13, 15.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ამ პერიოდში ფიზიკურად უფრო ამტანი და გარეგნულად უფრო მიმზიდველი გახდებით, რაც ახალი კონტაქტების დამყარებას შეუწყობს ხელს. თუმცა, თუ არ იქნებით აქტიური და პესიმისტურ განწყობილებას მიეცემით, ვერაფერს მიაღწევთ და შესაძლოა, კონფლიქტებიც მოგიხდეთ. შეეცადეთ, შეიცვალოთ გარეგნული იმიჯი. ურთიერთობები პოზიტიურია თხის რქასა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 15, 18. **ნეგატიური დღეები:** 15, 17.

სასწორი – 24/IX-23/X

თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდება სამსახურები, წინა პლანზე წამოიწევს უფროსებთან და კოლეგებთან ურთიერთობები. თუ შეძლებთ, სხვებისთვის ხელმისაწვდომი ენით საკუთარი იდეების გადაცემას და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევას, მაშინ მათი მხრიდან მხარდაჭერა გარანტირებული გექნებათ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და სასწორთან, ნეგატიური – ვერძსა და კუროსთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 16, 17. **ნეგატიური დღეები:** 12, 13.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

თავდაჯერება და სიმტკიცე დაგეხმარებათ საკუთარი იდეებისა და ინტერესების უკეთესად წარმოჩენაში. კონკურენტებთან საერთო ენას ადვილად გამონახავთ, ეს შესაძლოა, მათთან თანამშრომლობაშიც კი გადაიზარდოს. თუმცა, ამავე პერიოდში, მოსალოდნელია, უფრო სარკასტული გახდეთ და ვინმეზე შურისძიების სურვილიც გაგიჩნდეთ. გაფრთხილდით – ახლობელს ნუ აწყენინებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 14, 15, 17. **ნეგატიური დღეები:** 13, 18.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

უფრო ხშირად მოგიწევთ ცდუნებასთან გამკლავება. შესაძლოა, თქვენი მხრიდან წარსულში ჩადენილმა არასწორმა საქციელმა ახლა შეგახსენოთ თავი და გარკვეული პრობლემებიც შეგიქმნათ. მოერიდეთ ციინიზმისა და აგრესიის გამოვლენას, განსაკუთრებით – საწინააღმდეგო სქესის ადამიანებთან. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური – მარჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 15, 18. **ნეგატიური დღეები:** 16, 17.

თხის რქა – 22/XII-20/I

მოულოდნელი და ამასთან უსიამოვნო ცვლილებები გელით. ეს ძირითადად, კარიერასთან დაკავშირებით არის მოსალოდნელი. თუ დაუფიქრებლად იმოქმედებთ და ამ დროს ეგოიზმსაც გამოიჩენთ, ამით პრობლემები მხოლოდ მოგიმრავლდებათ. შეეცადეთ, შეზღუდოთ ხარჯები და საერთოდ, მოაწესრიგოთ თქვენი ფინანსური საქმეები. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – სასწორსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 13, 16, 17. **ნეგატიური დღეები:** 12, 14.

მერწყული – 21/I-19/II

პრობლემების არასერიოზულად აღქმა, უდარდელობა და ფულის დაუფიქრებლად ხარჯვა – აი, ის უარყოფითი თვისებები, რომლებსაც ამ კვირაში გამოიჩენთ. არ გაწყენთ ახლობლების დახმარება, ამიტომ გაჭირვების მომენტში აუცილებლად მიმართეთ მათ. სამსახურში არ მოითხოვოთ ხელფასის მომატება – ამისათვის ნამდვილად არახელსაყრელი დროა. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – ლომსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 14, 15, 18. **ნეგატიური დღეები:** 13, 16.

თევზები – 20/II-20/III

მოგიწევთ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერის როლის შესრულება და ნებისყოფის გამოვლენა – ეს ყოველივე აუცილებელი იქნება თქვენ მიერ დასახული გეგმების შესასრულებლად. მოგეცემათ შანსი, დადებითად გადაწყვიტოთ ის საკითხები, რომლებიც ბოლო დროს, თქვენი გაღიზიანების საფუძველს წარმოადგენდა. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და თხის რქასთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 17, 18. **ნეგატიური დღეები:** 14, 16.

	მუსიკის დიდი სიყვარული	სპორტული, ბალახოვანი მცენარე		აქლემის ნაშიერი		სამხედრო ფორმის პალტო	კანი ფრჩხილის გარშემო	ყვავილი
	კულტურის დაქვითება, დაცემა			ერთ-ერთი რელიგია ჩინეთში				
							... პუჩინი	

ანეკდოტები

***

— მიხო, შენი ქალიშვილის ხელი უნდა გთხოვო ჩემი მიტოსთვინა.

— რატომა, რა... თავისი არა აქვს?!.

— თავისი დაეღალა...

***

ქმარი ცოლს ურეკავს:

— ალო, საყვარელო, ამაღამ აღარ მოვალ, აქ გიოსთან კარტს ვთამაშობთ.

ცოლი ყურმილს ხელს აფარებს:

— გესმის, გიო, ეგენი შენთან კარტს თამაშობენ!..

***

სვანმა ქუჩაში ყავარჯნებით მიმავალი კაცი დაინახა:

— ძმაო, სიარული გიჭირს?

— კი, ძალიან...

— მოიცა, მაგ ჯოხებს მე წამოგიღებ!

***

ცოლი ეკითხება ქმარს:

— ძვირფასო, ყავა საწოლში გსურს?

— არა, ფინჯანში.

***

გურული ცოლ-ქმრის ჩხუბიდან:

— შენ გეცხოვროს მხოლოდ ხელფასზე!

— შენ კი ალიმენტი მიგეღოს იმ ხელფასიდან!

***

კახელი ცოლ-ქმარი ქუჩაში მისეირნობს. ქმარი ლამაზ ქალებს ათვალიერებს. ცოლი ეკითხება:

— მიხო... ხომ არ გავიწყდება, რომ ცოლიანი ხარ?

— მავიწყდება კი არა — პირიქით, მაგაზე ფიქრი გულზე მხეთქამს...

***

ცოლ-ქმარი იყრება. მოსამართლე მიზეზს კითხულობს:

— ჩემი ქმარი ვირივით ჯიუტია, — ეუბნება ცოლი.

— მერე, ქორწინებამდე ეს არ იცოდი?

— არ ვიცოდი...

— ტყუის! იცოდა...

— იღრიალა ქმარმა.

***

— არ გეწყინოს, მიხო, მაგრამა... შენი შვილი მუქთა პურსა სჭამს.

— ეჰ, მუქთა რომ იყოს, რა მიჭირდა!..

***

ცოლი ეკითხება ქმარს:

— ძვირფასო, როგორ მოგეწონა სადილი?

— ისევ ჩხუბის მიზეზს ეძებ?!.

***

— ოჰ, ექიმო, ძალიან ვიტანჯები, მომკალით!

— ქალბატონო, არ მჭირდება შეხსენება... კარგად ვიცი ჩემი პროფესია.

***

ერთმა კაცმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე უცნობ ქალს აკოცა და იქვე ბოდიში მოუხადა:

— მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ თქვენ ძალიან ჰგავხართ ჩემს ცოლს.

— ტუტუცი და უზრდელი ხართ, ვიღაც თავხედი! — აღშფოთდა ქალი.

— ხედავთ?.. ლაპარაკითაც კი ჩემი ცოლის ასლი ხართ!

***

— დედიკო, მამაჩემი მორცხვი კაცია?

— აბა რა, თორემ ახლა შენ 5 წლით უფროსი იქნებოდი.

***

ცოლქმრული ცხოვრებიდან:

თანაცხოვრების პირველი წელი: კაცი ლაპარაკობს, ცოლი უსმენს.

მეორე წელი: ცოლი ლაპარაკობს, ქმარი უსმენს.

მესამე წელი: ორივე ლაპარაკობს, უსმენენ მეზობლები.

***

ქმარი ეუბნება ცოლს:

— ძვირფასო, შენი ვარცხნილობა საოცარ სიზმარს მაგონებს.

— შენი კი — შიშველ რეალობას.

***

საბაჟოზე:

— გახსენით თქვენი ჩემოდანი.

— კი, მაგრამ მე არა მაქვს ჩემოდანი!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ახლა საქართველოში კანონი ყველასთვის ერთია.

***

ცოლი ქმარს შინ გვიან მოსვლის გამო ეჩხუბება. ქმარმა ვერ მოითმინა და უყვირა:

— დაიძინე, ქალო და გაჩუმდი, ერთხელ და სამუდამოდ!

— დაძინებით კი დავიძინებ, მაგრამ გაჩუმებით არ გავჩუმდები!

***

ქმარი ცოლს საყვარელთან შეუსწრებს და კითხულობს:

— რას შობით?

ცოლი — საყვარელს:

— ხო გეუბნებოდი, ამ საქმეში არაფერი გეეგება-თქვა!

***

აფთიაქში ახალგაზრდა კაცი შევიდა და რაღაცას ათვალიერებს.

გამყიდველი ეკითხება:

— რაში დაგეხმაროთ? როგორი პრეზერვატივები გნებავთ?

— უკვე დაგვიანებულია, — ამოიხრა მამაკაცმა, — ბავშვის საფენები მომეცით...

***

რესტორანში:

— ეს ქათამი ბულგარულია...

— რავა, თავად გითხრა?

***

კაცი ეუბნება ტაქსის მძღოლს:

— თუ ძმა ხარ, წაიყვანე ჩემი სიდედრი აეროპორტში. ოღონდ — სწრაფად, რომ თვითმფრინავზე არ დაავიანდეს.

— მენდე, ძმაო... როგორც ჩემსას, ისე წავიყვან.

რამდენად კარგი ცოლი ხართ?

I. რას იზამთ, თუკი შემთხვევით მეუღლეს ტყულში გამოიჭერთ?

1) ვთხოვ, რომ მომიბოდიშოს – ა;

2) ისე მოვიქცევი, თითქოსდა ვერაფერი შევამჩნიე – დ;

3) რასაც ვფიქრობ, ყველაფერს პირში მივახლი – ზ.

II. ვთქვათ, ქმარს დაავიწყდა თქვენი ქორწინების წლისთავი. როგორ მოიქცევით?

1) გავუნაწყენდები და გარკვეული ხნის მანძილზე ხმას არ გავცემ – თ;

2) ამ თარიღს მსხვილი ასოებით დავწერ ქაღალდზე და სწორედ იმ კედელზე გავაკრავ, რომლის მოპირდაპირე მხარესაც მეუღლე საღამოობით ზის ხოლმე – ე;

3) მსუბუქად დავტუქსავ – ბ.

III. როგორ მოიქცევით, თუკი ეს-ეს არის დაამთავრეთ იატაკის მოწმენდა, შინ დაბრუნებული ქმარიკო დასვრილი ფეხსაცმლით ოთახში ნაფეხურებს ტოვებს?

1) ნაფეხურებზე მივუთითებ და მოვთხოვ, რომ მოწმინდოს – ვ;

2) ასე ხომ შესაძლოა, მეც მოვიქცე – ი;

3) ვთხოვ, რომ დასვრილი ფეხსაცმელი გაიხადოს – გ.

IV. როგორი რეაქცია გექნებათ, თუკი შეამჩნევთ, რომ ბოლო ხანებში მეუღლე უფრო ნაზი და ყურადღებიანი გახდა თქვენ მიმართ?

1) ვეცდები, გავარკვიო, რა შესცოდა – დ;

2) ძალზე ხელსაყრელი მომენტია იმისათვის, რომ ქმარს ქურქის ყიდვაზე ჩამოვუგდო სიტყვა – თ;

3) მის მიმართაც სათანადო სინაზესა და ყურადღებას გამოვიჩენ – ბ.

V. როცა დილას ქმარი სამსახურში მიდიოდა, შეამჩნიეთ, რომ პიჯაკზე ერთი ღილი აწყვეტილი ჰქონდა, შინ დაბრუნებისას კი, მისი ღილი დაკერებული აღმოჩნდა. რას მოიმოქმედებთ?

1) ახსნა-განმარტებას მოვთხოვ – ე;

2) თავს უხერხულად ვიგრძნობ, რადგან ჩემი გასაკეთებელი საქმე სხვამ გააკეთა – ა;

3) ამ ფაქტს არანაირ მნიშვნელობას არ მივანიჭებ – ზ.

VI. სტუმრად ყოფნისას, ქმარი თქვენი თანდასწრებით განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენს სხვა ქალისადმი...

1) არავის მოვერიდები და ქმარს იქვე გავცემ საკადრის პასუხს – ი;

2) იქ ისე მოვიქცევი, თითქოსდა ეს ამბავი სულაც არ მაღელვებს, შინ დაბრუნების შემდეგ კი პასუხს მოვთხოვ – ვ;

3) ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ ყოველივე, იუმორში გავატარო – გ.

VII. როგორი რეაქცია გექნებათ, თუკი ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნევთ, რომ თქვენს ქმარს თმა შეუთხელდა?

1) დავამშვიდებ და ვეტყვი, რომ ასეც ძალზე სიმპათიურად გამოიყურება – ა;

2) ვეტყვი, რომ კონსულტაციისათვის ექიმს მიმართოს – დ;

3) ხელიდან არ გავუშვებ შანსს, რომ ოჯახური კინკლაობის დროს, ამ საკითხს არ გადავწვდე – თ.

VIII. ვთქვათ, მეუღლეს არ მოეწონა თქვენი ნაჩუქარი ჰალსტუხი....

1) მაკრატელს დავავლებ ხელს და ჰალსტუხს ნაკუწებად ვაქცევ – ი;

2) ვეცდები დავარწმუნო, რომ მაღაზიაში წავიდეს და ჰალსტუხი გადაცვალოს – ბ;

3) ყველანაირად ვეცდები დავარწმუნო, რომ მას ეს ჰალსტუხი უხდება – ე.

IX. შეამჩნიეთ, რომ ქმარი შინ გვიან ბრუნდება და თანაც გამუდმებით დაბნეული და გაღიზიანებულია...

1) გავაფრთხილებ, რომ თუკი ამას ბოლო არ მოეღება – გავეყრები – თ;

2) ვეცდები გავარკვიო, სხვა ქალი ხომ არ არის ამის მიზეზი – დ;

3) გულახდილ საუბარში გამოვიწვევ და რითიც შემეძლება, დავეხმარები – ა.

X. მეუღლემ ჭეშმარიტი მამაკაცის შესაფერისი საქციელი ჩაიდინა. როგორ შეაფასებთ მის საქციელს?

1) მივიჩნევ, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითობამ განაპირობა – ი;

2) მის საქციელს სათანადო შეფასებას მივცემ. ოღონდ ვეცდები, რომ ქებაში არ გადავაჭარბო – ბ;

3) ის ჯილდოს ღირსია – გ.

დაანგარიშეთ ქულები: „ა“, „ბ“ და „გ“ ჯგუფის პასუხებში დაიწერეთ 10 ქულა, „დ“, „ე“ და „ვ“ ჯგუფის პასუხებში — 5, ხოლო ყოველ „ზ“, „თ“ და „ი“ ჯგუფის პასუხებში, თქვენ მიერ მოგროვილ ქულათა საერთო რაოდენობას გამოაკელით 5 ქულა (ქულათა საერთო რაოდენობის დაანგარიშებისას, შესაძლოა, მინუსებიც მიიღოთ).

ტესტის შედეგები

90 ქულა და მეტი: იდეალური მეუღლე ბრძანდებით, კეთილი, ნაზი, ყურადღებიანი და მომთმენი.

70-85 ქულა: ზედმიწევნით კარგად იცნობთ მამაკაცის ფსიქოლოგიას. გასაოცარი ტაქტიანობით გამოირჩევით. თქვენს ოჯახში გამეფებული სიმყუდროვე, სიმშვიდე და ურთიერთგაგება, სწორედ თქვენი დამსახურებაა.

45-65 ქულა: ვერავინ იტყვის, რომ ქმარი არ გიყვართ, თქვენი მომავლის გეგმები თუ ფიქრები ხომ სწორედ მას უკავშირდება. მაგრამ დაფიქრდით, ძალზე ხშირად ხომ არ მიმართავთ, „პროფილაქტიკის“ მიზნით, მის „დამუშავებას“? გირჩევთ, ამ მეთოდის გამოყენებაზე უარი თქვათ.

5-40 ქულა: როგორც ჩანს, თქვენ და თქვენს მეორე ნახევარს, საკმაოდ გულგრილი დამოკიდებულება გაქვთ, პასუხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამაში თქვენც მიგიძღვით ბრალი, ვინაიდან ყოველთვის და ყველაფერში ცდილობთ, თქვენი გაიტანოთ.

0 ქულა და ნაკლები: როგორც თქვენი პასუხებიდან ჩანს, ან არასერიოზულად პასუხობდით დასმულ შეკითხვებს, ან თქვენს მეორე ნახევარზე ამჟამად ძალზე განაწყენებული ხართ. გამორიცხული არ არის, რომ გასათხოვარი ბრძანდებით და მხოლოდ თეორიული ხასიათის მსჯელობით შემოიფარგლებით. თუკი ჩვენი ეს ვარაუდი სიმართლეს შეეფერება, გირჩევთ, არ გათხოვდეთ, ვიდრე ამ ტესტის მიხედვით თქვენ მიერ მოგროვილ ქულათა რაოდენობა 50-ს არ მიუახლოვდება.

ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚ ᲠᲐᲢᲪᲘᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲥᲝᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ავტომობილი „ფოლკსვაგენ-გოლფი“, რომელიც ადრე რომის პაპის იოზეფ რატცინგერის კუთვნილება იყო, გერმანიაში გამართულ აუქციონზე 45 ათას დოლარად შეფასდა. როგორც ჩანს, მისი ფასი კიდევ უფრო გაიზრდება.

ავტომობილი აუქციონზე 21 წლის

გერმანელმა ბენიამინ ხალბემ წარმოადგინა. „მანქანა იანვარში ვიყიდე. მისმა ყოფილმა მფლობელმა მითხრა: დარწმუნებული ვარ, მანქანით ძალზე კმაყოფილი იქნებით, რადგან ის ღვთივ კურთხეულიაო. მოგვიანებით, მისგანვე, წერილობით შევიტყვე, რომ ავტომობილის მფლობელი, უფრო ადრე კარდინალი რატცინგერი ყოფილა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა „ღვთივ კურთხეული ავტომობილი“, – თქვა ხალბემ და დასძინა: „იანვარში აზრადაც არავის მოუვიდოდა, რომ რატცინგერი ასეთი პოპულარული გახდებოდა. ამგვარად გავხდი „პაპმობილის“ მფლობელი.“

კარდინალის ნაქონი „ფოლკსვაგენ-გოლფი“ ნაცრისფერი მეტალიკია, გამოშვებულია 1999 წელს და გავლილი აქვს 77 ათასი კმ.

■

ᲛᲘᲗᲘᲗᲮᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

ერთ-ერთი სამხრეთკორეული ფიჭური კომპანია მომხმარებელს უჩვეულო სერვისს სთავაზობს: ეს გახლავთ მობილური ტელეფონით მომავლის წინასწარმეტყველება, სახის ნაკვთების მიხედვით.

ბევრი აზიური ქვეყნის კულტურაში სახის ნაკვთებით მომავლის ამოცნობა საკმაოდ საჭირო და პატივსაცემ პროფესიად ითვლება. ეს არა მარტო მკითხაობა, არამედ მთელი ხელოვნებაა. საუკუნეების მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნის მცხოვრებლებს ღრმად სწამდათ ამგვარი წინასწარმეტყველების. დღესდღეობითაც კი, ხსენებული ქვეყნების მაღალჩინოსნები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე, კონსულტაციისთვის ამ საქმის ოსტატებს აკითხავენ: ეს ძირითადად, ქორწინებასა და ბიზნესში ფულის დაბანდებას ეხება.

დღესდღეობით, სახის ნაკვთების „კითხვა“ მობილური ტელეფონითაცაა შესაძლებელი. მომსახურება ფასიანია. მომხმარებელი თავის ფოტოს MMS-შეტყობინების სახით გზავნის, პასუხი, კი, SMS-შეტყობინების სახით მოსდის. კლიენტებს შეუძლიათ შეიტყონ, 1 დღის, 1 თვის ან თუნდაც 1 წლის პროგნოზი; შეისწავლონ საკუთარი ეროტიკული ჰოროსკოპი და ისიც კი შეამოწმონ, თუ რამდენად შეეფერებიან ის და მისი პარტნიორი ერთმანეთს.

ჯერჯერობით ამგვარი მომსახურება მხოლოდ ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული ფიჭური ოპერატორის აბონენტებისთვისაა ხელმისაწვდომი, მაგრამ მალე ის სხვა ადგილობრივ ოპერატორებზეც გავრცელდება.

■

ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲨᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ $50.000-ᲘᲗ ᲒᲐᲘᲐᲤᲓᲐ

თურქმენეთის რესპუბლიკაში გაუქმდა კანონის ის პუნქტი, სადაც მითითებული იყო, რომ უცხოელს (სულერთია, ქალი იქნებოდა ის თუ მამაკაცი), ამ ქვეყნის მოქალაქეზე დაქორწინების შემთხვევაში, სახელმწიფოსთვის 50 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა.

ქვეყნის საოჯახო კოდექსში, სულ ცოტა ხნის წინ შეტანილი ცვლილებების მიხედვით, უცხოელს, რომელიც ერთი წლის მანძილზე მაინც ცხოვრობს თურქმენეთში, ყოველგვარი გადასახადის გარეშე შეუძლია, ოფიციალურად იქორწინოს ამ ქვეყნის მოქალაქეზე. კანონი, 50-ათასიანი გადასახადის შესახებ, 2001 წლიდან მოქმედებდა და ხელისუფლებას მისი გაუქმების არანაირი მიზეზი არ დაუსახელებია.

კანონმდებლობის შეცვლის შესახებ მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, როცა ქვეყნის უმსხვილესმა გაზეთმა „ნეიტრალურმა თურქმენეთმა“ გამოაქვეყნა ახალი საოჯახო კოდექსი, სადაც არაფერია ნათქვამი, უცხოელებისგან თანხის მოთხოვნის შესახებ. რამდენიმე დღეში კი, ქვეყნის პრეზიდენტის საპარმურატ ნიაზოვის ადმინისტრაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ზემოთ ხსენებული კანონი ნამდვილად გაუქმებულია.

■

ფოტოკუთხეები

69/6

№10(96) 12.V.-25.V.2005

ოჯახის მეუღლეები

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ზურგის ტკივილი

აპენდიციტი ბავშვებში

ქალბატონი კომპიუტერი?!

მივირთვათ თუ არა ხორცეული

ბრონქული ასთმა და ორსულობა

მთავარი თემა: მოხუცებულთა პრობლემები

როგორ დავიცვათ თავი ნალველკენჭოვანი დაავადებისგან

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის